

შინაარსი

წითავი და წლავი	2	ნანა კუცია ქველ ნიგნეხსა და გუკინისტაგუა (მალხაზ ხარბედიას ესეი „ისინი იდგნენ“)
აქსარეს-ინტარვი	6	კობა იმედაშვილი „მოდნი ჩემთან“ (მომამზადა მაკა ჯაფარიძემ)
პროზა	8	თეიმურაზ გაგნიძე გემი ვარდისფერი საკვამურებით
დოკუმენტური პროზა	10	როსტომ ჩხეიძე ამბავი აპაკის ოსუნჯოვანთა შებრუნებისა (ბიოგრაფიული რომანიდან „მოციქული (თედო სახოკიას ცხოვრების ქრონიკა)“)
პოეზია	21	თამარ შაიშმელაშვილი ეძო ყივჩაღის პაემანისა და სხვა ლექსები
	24	დოდო ჭუმბურიძე ფილოსოფიური პარადიგმა და სხვა ლექსები
უსხოეთის ცხოვრებიდან	27	პატრიკ მოდიანო ნობელის ლექცია (2014 წლის 7 დეკემბერი)
სად წაიყვან სადაურსა	31	რუსუდან ნიშნიანიძე იქ — ამერიკაში
რეპორტაჟი	36	ნინო დეკანოიძე ლამპრით განათიებული მრავალფეროვნება (განხილვა ოთარ ჩხეიძის ნიგნისა „პოლიტიკური აქცენტები“)
ფიქრი და განსჯა	40	ნოდარ გურაბანიძე სამყარო თეატრალის თვალთ
კრიტიკა	47	მაია ჯალიაშვილი სიცოცხლე სიტყვის განფორმებაში (მანანა კვაჭანტირაძის კრიტიკული ნერილების კრებული „ვექტორები“)
ახალი წიგნები	50	დალილა ბედიანიძე პოეზია პროზაში (ოლესია თავაძის მინიატურების კრებული „კაკლის ქარები“)
მომგონებათა სივრდი	52	ლეილა მესხი ფიქრის კრიალოსანი
ახალგაზრდობა, ან კი თქვენ	57	ქეთევან ტომარაძე თაობის ერთი სიმკვთო
	57	ოთარ ჭულუხაძე აღდგომა დღე
	60	თინათინ მანია ნატარ არინან ურნეუნონი(ც)
პოეზიის მერიდიანები	62	ტომას სტერნზ ელიოტი ჯენტლმენ ელფრიდ პრუფროკის სამიჯნურო სიმღერა
ახალი თარგმანები	64	ფელისიან მარსო სამი ნოველა
ამ მთისა და იმ გარისა	71	ორ ცაცხლშუა



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2015 წლის 6 მარტს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ხეცურული ნატურმორტი
ირაკლი შუბაშვილის კომპიუტერული გრაფიკა

ნანა კუცია

კვლ ნიგნებსა და ბუკინისტებზე

(მალხაზ ხარბადას ასაი „ისინი იღვანე“)

ქარები რატომ არ არბევენ ნიგნებს გადაშლილს...
ლია სტურუა

მალხაზ ხარბადას ესეებისა და ბლოგების კრებულში „მამაჩემი, ბობ დილანი და კაცი საკაბელოდან“ (საბჭოთა-საქართველო, 2013), მრავალ „წყველაკრულვანი საკითხავთან“ ერთად, ერთი უარსებითესიცაა ნამოჭრილი, გააზრებული და განსჯილი — ბუკინისტის „დანიშნულება და საღმრთო ვალი“ საზოგადოებაში (თუ მას საზოგადოებად და არა „შიზოგადობად“ (პ. შამუგია) ყოფნა სწადა).

სათაურიც ესეისა (უფრო დახვეწილ მინიატურად თუ ნოველად რომ აღიქმება) „ისინი იღვანე“ (რადიო „თავისუფლების“ საიტზე გამოქვეყნდა 2009 წელს) ნიგნიერ ქართველს ვაჟასეულ, ქრესტომათიულ სტრიქონს მოაგონებს, მთების უსაზღვრო მოლოდინს, „იღვანე და ელოდ(ნ)ენ“-ის ტრაგიკულ მისტიკას.

ამავე ნიგნის სხვა ესეიში („საახალწლო მოსაკითხი“) რეზიუმირებულია სხვა პრობლემა: „დღეს მოსაკითხის კრიზისია საქართველოში. და ჩვენიც, მომკითხველებისაც“. კრიზისია „მშვენიერ ნიგნის მკითხველისაც“, განსხვავებით „გადამკითხველისაგან“.

დარდინი მიუყვება ბუკინისტებისაგან დაცლილ თბილისის ესეის პროტაგონისტი, იმავდროულად, პროტოტიპიც რომაა (ტექსტი პუბლიცისტიკისა და ბელეტრისტიკის მიჯნაზე ვიბრირებს და მერამდენედ აცნობიერებ ლევან ბრეგაძის მიერ კონსტატირებული სიმართლეს, რომ „ლიტერატურაში ნონფიქშენის ჟამი დგას“), როგორც ოდესლაც ჯოისი — „გულისმომწყველად პროვინციული და სტუმართმოყვარე“ დუბლინის ქუჩებს. კრიტიკოსები წერდნენ, რაიმე რომ მომხდარიყო და, განადგურებულიყო, ჯოისის ტექსტებითაც აღვიდგენდით დუბლინის ქუჩაბანადების მომხიბვლობასო.

თბილისის ქუჩებსაც სიყვარულით დამახსოვრების ნაღველით („მქონდა იგი თუ მომავინა“) ამოხატავს ესეისტი, ზუსტი, სკრუპულოზური დასახელებით, არეალს ხან შლის, ხან ავიწროებს, კადრს ხან გაშორებს, ხან გაიხლოვებს — გიჩვენებს, რას კარგავ, რას ელევე — ნებით, არხეინი უზრუნველობით.

მოდერნისტულ თუ პოსტმოდერნისტულ ტექსტებში (ჯოისის „ულისეში“, კორტასარის „გამოცდაში“, ბორხესის „ზაპირში“, ზაალ სამადაშვილის „60“-ის მოთხრობებში, ნაირა გელაშვილის რომანში „მე ის ვარ“...) მარშრუტის (ინიციაციის მინიერი გეზის) დანვრილებით აღწერას ჯერ კიდევ მარსელ პრუსტი ასე განმარტავდა, თუ წინასწარმეტყველებდა: „ნიგნების გადაფურცვლისას ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს გარდასულ დღეთა კალენდრებს ვათვალიერებდით და იმედი გვიჩნდება, იქნებ ამ ფურცლებზე აირეკლოს ის სახლები და ტბორები, დღეს რომ აღარ არიან“ („ნიგნის კითხვა“).

მალხაზ ხარბადასთან ჩვენებითი ნაცვალსახელი „ისინი“ განზოგადების ძალას იძენს — „ისინი“ (ბუკინისტები) ყველგან იდგნენ და, თუ ოდესლაც გამსახურდიასეული რაჭველი მეკურტნეები („დიდი იოსები“) ქართულ იერს უნარჩუნებდნენ საქართველოს უპირველეს ქალაქს, „ესენი“ ნიგნიერების, სულიერების კუნძულებად ამოზიდულიყვნენ (ვაჟას სახისმეტყველებას დავესესხებით) „ჩოთქის“, „არშინის“ ზეობის დუნდგომი, „დუქნადქვეულ ქვეყანაში“.

„ისინი იდგნენ: ვაკეში, ჭავჭავაძეზე, უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსთან;

პირველ კორპუსთან, გაღმაც, გამოღმაც, მინის ქვეშაც; დივლის მეტროს წინ, უკაცურ ამოსასვლელთან; ვაკე-საბურთალოს ამოსახვევთან, 4 ნომრის გაჩერებაზე; ვაჟას ჩაყოლებაზე, „სამედიცინოს“ მეტროსთან, პეკინისა და დოლიძის ქუჩების დასაწყისში; ტექნიკური უნივერსიტეტისწინა დაღმართზე, ერთი მხრიდან რომ უზარმაზარი „სტუდენტური სახინკლე“ დაჰყურებს, მეორე მხრიდან კი — „გეპეის“ სტალინური კორპუსი.

თავისუფლების მოედნის ქვეშ, დაბალჭერიან გადასასვლელში; პუშკინის ქუჩის დასაწყისში, ბანკთან; კოლმეურნეობის მოედანთან; ქაშუეთის წინ, მინისქვეშა გადასასვლელში; პირველ საშუალო სკოლასთან; სასტუმრო „მერიოტის“ წინ; ოპერის წინ, გაღმაც, მინისქვეშაშიც; ზემელზე — ყველგან; გამოცემლობა „სამშობლოს“ წინ, ვერაზე — რამდენიმეგან; მეტრო „მარჯანიშვილის“ ამოსასვლელთან, გლდანში — „ახმეტელის“ მეტროს წინ, „დინამოს“ სტადიონთან; ვაგზალზე; ავტოსადგურ „ოკრიბასთან“...

აღწერით, დოკუმენტურ კადრებს მალაღი ბელეტრისტიკა ცვლის, ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურებით დაწერილი და დარდინი, მეტაფორის ლვლარჭილებსაგან განტვირთული: „ისინი იდგნენ... იდგნენ რალაცის სადარაჯოზე, ირჩენდნენ თავს, არჩენდნენ პატარა ოჯახებს, იდგნენ სხვების ოჯახების სადარაჯოზეც... ზოგიერთი დღეს, ალბათ, ცდილობს, სხვა საქმეს მოეკიდოს. ზოგი ყოველ დილას უბრუნდება ძველ ადგილს — ნიგნების გარეშე. ნიგნების გარეშე მას ვერავინ ცნობს, მან დაკარგა სახე ნიგნების გარეშე. თავის შვილთან ერთად შეჭედილი სტელაჟის წინ ის პიროვნება იყო, ახლა კი აღარავინაა — უჩინმაჩინი... ზოგიერთმა კარდაკარ დაიწყო სიარული, ბევრი, ალბათ, სახლში ზის, მიმტერებია ნიგნების სვეტებს, ნიგნებითვე გამოტენილ გიგანტურ ჩანთებს...“

საკრებულოს საიტზე გამოქმეული „გარემოვაჭრეებისგან“ „გასუფთავებულ“ ქალაქში „უკვე აღარაფერი გაგახსენებთ ნიგნებს. აღარც არტურაა, აღარც გია, აღარც ავთო, ვაგანა, ალიკა, როინი და ალექსანდრე... (ზოგის სახელი გავიხსენე, ზოგის ვერაო — ავტორისეული რემარკა)... არ უნდათ ნესტიან და ყველასგან დავიწყებულ ადგილზე გადასვლა, იქ მათ ვერავინ იცნობს, ძველი ნაცნობები ვეღარ მოაგნებენ... მათ ქალაქში უნდათ ყოფნა, ისინი ქალაქის მარული არიან — ზოგი მეძვირე, ზოგი — მეიაფე.“

თითქოს თემა ნეორეალისტური იტალიური ფილმისთვის, თუ პოსტმოდერნისტული ჟამის აბსურდის რეფლექსიისთვის: ერთმანეთის საპირსონედ — მონწყვლადი, სიფრფავა სტელაჟი და „ნიგნის მალაზიები, საიდანაც ძვირიანი ალბომები იწონებენ თავს მანეკენებით, ძვირიანი კალენდრები, პლაკატები, კალმები, ფლომასტერები, ჭრელი მარკერები და, რაც მთავარია — ნამცხვრები, ნამცხვრები, ნამცხვრები! სხვანაირად ვერ იტყუებენ იქ ადამიანებს.“

მინიატურის მონწყვლად სიღბოში თითქოს პუბლიცისტური სუსხი იჭრებოდეს, მკვეთრი და უღმობელი, მართალი და პირუთვნელია პოზიცია: „ქუჩის ბუკინისტებთან ნიგნებისთვის მიდიოდა ხალხი, და არა გასაგრელებლად და კალორიების მისაღებად. ქუჩის ბუკინისტებთან ნიგნის მოყვა-

რული ნევროზს მკურნალობდა, მკურნალობდა ნიგნით და არა — უზომო რაოდენობის ტკბილეულით. დღეს ბიბლიონევროზით დაავადებულნი საკვების გარეშე დარჩნენ.“

გავიმეორებთ: მინიატურის ნოსტალგიურ მხატვრულ ქსოვილში ესეი-ბლოგის სიმი უღერს, „მაჯამისა შემტყვევების“ მხსნელი პირდაპირობა, „ზეგარდმო არსებებად“ თავის წარმომდგენ (რა მნიშვნელობა აქვს, კონკრეტულად რომელი ხელისუფლების, რომელი პარტიის, რომელი ფრაქციის...) ხელისუფალთათვის მთავრის შემსენებლის სუსხი — ლიტერატურა მარადისის პარაბოლა (პაროლიც).

როგორც ყოველ პარაბოლას, მალხაზ ხარბედიასეულსაც მორალი ახლავს, უკეთ, ჭკვია-ნური შეთავაზება — „მშენიერ ნიგნის მკითხველისაგან“ — „გადამკითხველებს“: „თუ მაინც-დამაინც ერთად გინდათ მოაყურით ქუჩის ბუკინისტები, რატომ არ დაუთმობთ ტაბიძის ქუჩას, ზედგამოჭრილი როა ნიგნებისთვის?! გალაკტიონ ტაბიძის ქუჩას, აი, იმას, თავისუფლების მოედნიდან რომ აუღის საკრებულოს შენობას... დავარქვათ ამ ადგილს „ნიგნის უბანი“, ან რაც გინდათ, ის დავარქვათ, უბრალოდ, ნუ გადავხვეტავთ ქალაქის ქუჩებიდან ნიგნებს... ნუთუ არ გინახავთ ნიგნის ქუჩები, ნიგნის უბნები ლონდონში, პარიზში, ბუენოს-აირესში, რომში?! არ გსმენიათ მაინც ამ უბნებზე, სადაც იდგნენ და ახლაც დგანან ნიგნით მოვაჭრენი: ბრიტანელები, ინდოელები, არაბები, არგენტინელები, იტალიელები — განსხვავებული გაგების, განსხვავებული პრინციპების ადამიანები?!... ჩვენებმა რაღა დააშავეს, ჩვენმა ბუკინისტებმა, რომლებიც ამდენი წლის მანძილზე იდგნენ, ჩვენ კი მათი ნიგნებით გვედგა სული?!“

იდიომა ჰიპერბოლა არაა — ნიგნი რომ სულის მოთქმაა, სულისდგმა, „ოთახში ჰაერზე მეტი“, „ჯიბის ჰაერი“, განდობილით ეს განმარტების გარეშეც ესმით.

„სამყარო იმისთვის შეიქმნა, მასზე ნიგნი დანერვილიყო“ — კატეგორიულია მაქსიმა.

პარადიგმა ძველთუძველესია და ნიგნის და ბუკინისტის გულისმომწყვლევი წყვილი (ჯუფთი წმიდათანმიდასი და სინმინდის მცველისა) მრავალ მშენიერ ტექსტში ამოჩნდება განწირულების ნიშნით.

მოგვაგონდება კონსტანტინე გამსახურდიას მუსიო შარტრიე „დიონისოს ლიმილიდან“ — პარიზელი ბუკინისტი, რომანის ერთი დაუვინყარ პერსონაჟთაგანი (შემთხვევითი როლია, პასაჟის სათაური — „ნისლი.“ თითქოს შარტრიეც ნისლიდან ამოჩნდება განწირულ (თუ განწირულების) შუქად — უკვე მოდერნიზმის ეპოქაში რაღაც მშენიერის, გარდასულის თუ გარდასვლისკენ მიდრეკილის ენიგმად (რაღა ითქმის პოსტმოდერნიზმის ჟამზე, როცა გუტენბერგს ინტერნეტი დაჰლირებია (ეკოს დეფინიციით).

„უცხოეთში შემოდგომის გადატანა ძლიერ მიმძიმს. რაღაც ჩუმი, უსიტყვო დარდი დაეუფლება ჩემ სულს. მივყვები სენის ნაპირს. მდინარის გაღმა-გამოღმა აუარებელი ბუკინისტები, თვალთა ცის ქვეშ რომ გაუშლიათ თავიანთი დაზგები. რა და რა ნიგნს არ ნახავთ აქ — იშვიათი ბიბლიოგრაფიული უნიკუმები, ხელთნაწერები, ძველი სურათები, ილიუსტრაციები! დიდი ხანია, ნაპოლეონის კოლექციებს ვაგროვებ. ამიტომაც შევეჩვიე სენის ბუკინისტებს. არც ეს ბუკინისტებია ამ ნიგნებზე ნაკლებად საინტერესო. ჰმ, ადამიანის გონების ნასუფრალით მოვაჭრენი! მე მიყვარს მათთან მასლაათი. ჩვენი ნიგნური ცივილიზაციის გროტესკული მაჭანკლები! ძველი ნიგნების მეტი არაფერი აინტერე-



მხატვარი მზია დედანაშვილი

სებთ, უცებ რომ ჰკითხოთ, ვგონებ, იმასაც კი ვერ გეტყვიან, თუ საით მიედინება სენა. ყველანი მიცნობენ, სტუმართმოყვარე ლიმილით შემეგებებიან...

განსაკუთრებით ერთ მოხუც ბუკინისტს შევეჩვიე, ეს გახლავთ მუსიო შარტრიე, თხზმოდახუთი წლის მოხუცი, საოცარი პატრიარქალური ტიპი, სენის ნაპირას საუკუნოების ნიაღვარისგან გადარჩენილი. განსაკუთრებით მისი ფიგურა ვერ ეგუება სენის გარემოს: გრძელი თეთრი წვერი აქვს (სამეგრელოში მინახავს ამ სახის მოხუცი. ალბათ, ამიტომ მახარებს მასთან შეხვედრა). ნაზი, ტკბილი პარიზული კილოთი ლაპარაკობს, უაღრესად რბილი, თავაზიანი ბუნება და ფრიალ კეთილმოზილური აღნაგობა აქვს, ნამდვილი დარბაისილი მოხუცია, საქართველოში ან აღმოსავლეთში რომ შეგხვდებოდა ალაგ-ალაგ. ენაც არქაული აქვს. თანამედროვე ფრანგივით არასოდეს იტყვის „პარდონ“, არამედ — „პარდი“... მოწინებთ იღებს თაროდან ნიგნს, თითქოს მღვდელმსახურებას ასრულებდეს... დამშვენდებოდა პატრიარქის კვერთხი და გრძელი ოლარი ან რომელიმე პატარა რესპუბლიკის თავკაცობა...

ამავე რკალის პერსონაჟად აღიქმება ოთარ ჩხეიძის მუსიო — ადამ ბროძელი „ტინის ხიდიდან.“ ბუკინისტი არ არის, მაგრამ „ნიგნის კაცია“ — საფრანგეთში განსწავლულს თბილისში ევროპული სტამბა გაუმართავს, მაღალპოლიგრაფიული გამოცემებით ანებივრებს ქართველ მკითხველს...

კამიუ წერდა, „მწერლისთვის უმჯობესია, რაღაც ბოლომდის არა თქვას, ვიდრე თქვას ზედმეტი.“ ოთარ ჩხეიძეც არაფერს იტყვის ზედმეტს, მხოლოდ ფაქტს კონსტატირებს: საქართველოს „გასაბჭოებამ ყოველგვარი ზრუნვა და დავიდარაბა მხრებიდან აპყარა“ („ტინის ხიდი“).

ნიგნი და მინა, როგორც ეროვნულობის უპირატესი ნიშანი, ეროვნებანანისლულ „მონსტრუოზულ“ (ბროდსკი) სახელმწიფოში ტაბუირებულია.

ფერმწერის გულდასმითი სკრუპულოზურობით ამოხატული პორტრეტი კონსტანტინე გამსახურდიასეული ბუკინისტისა ერთგვარ არქტივად აღიქმება, მალხაზ ხარბედიამდე ზურაბ კიკნაძე რომ გამოიხმობს „ნისლიდან“ 2002 წელს „არილში“ დაბეჭდილ ნატიფ ესე-ნოველაში „ბუკინისტები“ (ყანრის დეფინიცია აქაც პირობითია, აქაც მხატვრულ-დოკუმენტურის „მიჯნური“ ველია, რაციონალისტურ-მხატვრული, ფაქტობრივ-ინტუიციური სივრცე, მხატვრულის პრევალირებით).

ნიგნი, ნიგნიერება, ნიგნისმცველობა ყოველ ეპოქაში თითქოს პარადოქსს ესაძირკვლება — მედიუმთა მარგინალებად აღქმას მასის მიერ (ან, იქნებ, სულაც კანონზომიერი ეს პარადოქსი?!).

ტექსტის კვინტესენცია ლაკონიურ აზრსაცადა დაწერული: „ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ნიგნი მხოლოდ წასაკითხად არსებობს. მათთვის. ვინც ნიგნს პრაგმატული თვალთუყურებს, თუნდაც როგორც ცოდნის მიღების საშუალებას, დაფარულია მისი არსების ეპოქალური სიმბოლიზმი. ნიგნი არ არის საშუალება. ის სიმბოლოა.“

ყველა უნახავს ეკლესიის კონქში პანტოკრატორის კალთაზე გადაშლილი ნიგნი. ჩვენი ცხოვრების გზამ, ჩვენმა წარსულმა და მომავალმა, მთელმა სამყარომ მისი ბედიურთ, ნიგნის სახე მიიღო. სიცოცხლის ნიგნი ნიშანს გვაძლევს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ნიგნურ ცივილიზაციაში ვიმყოფებით (შდრ. პასაჟი „დიონისოს ღიმილიდან“: ბუკინისტები — „ჩვენი ნიგნური ცივილიზაციის გროტესკული მაჭანკლები!“ — ნ. კ.), მიუხედავად მუდმივად მზარდი კომპიუტერული საოცრებებისა (ისიც კი ვერ გასცდა ნიგნის ფორმას). მომხმარებლურ-პრაგმატული მიდგომა ნიგნისადმი პირნიმინდად გამოორიცხავს ეკსისტენციალურ მომენტს... ხმარებიდან გამოსული წმინდა ნიგნების სხეულს მინაში მარხავდნენ, რათა მათი სული ისევ იმ ცას დაბრუნებოდა, საიდანაც იყო გადმოსული. ყველა ნიგნს თავისი სხეული და თავისი ცა აქვს. ნიგნის სხეულს, დაფლეთილს და დაქნდილს, საბოლოოდ, მინა მიიღებს. როდის მიაკითხავს უკანასკნელი ნიგნის სული თავის ცას?“ („ბუკინისტები“, „არილი“, №2, 2002).

ესეი-ნოველის პარადიგმული ველი რეალურ პერსონა-პერსონაჟებს „დაიმარხავს“ — პორტრეტებს ბუკინისტებისა, ნახევარი საუკუნის მანძილზე (50-იანი წლებიდან მესამე ათასწლეულის დამდეგამდის) სულიერების ნაღვერდალს რომ სულს უბერავდნენ სინოპსისების ქვეყანაში („მოკლე შინაარსის სიყვარული არ შეიძლება“ (ლია სტურუა), ასინელსა და ბერგსონს სთავაზობდნენ განდობილთ, „ვიდრე უშუალო წყაროები გამოჩნდებოდა“: „პერსონალურად რევოლუციამდე“ (და ამიტომაც უმაღაზიოდ დარჩენილი) სუმბათ ლოტოევი, შარდენს რომ აქართულებდა, ასევე „უმაღაზიო და უდახლო“ ვანო სამადაშვილი (თუ სამადალაშვილი), ცალთვალახვეული „ნელსონი“, ლეგენდარული ვაგაბუნდი პეხო — სერგო მდივანი, სიძველისაგან კანდახეთქლი, „პორტატული“, გახუნებული ბობრ-ნითური პორტფელით, „გერმანიის რომელიღაც დარბეული პატარა ქალაქიდან წამოღებულმა ნადავლმა რომ შექმნა ბუკინისტად“, ვილაც უსახელო-უგვარო შავგერმანი (ნაძალადევე ფსევდოსაკრალური წესით: „ია ნიკოგდა ნე პრიკასაიუს კნიგამ ბეჟ ვედომა ვლადეცა. კნიგი სვიამჩენი“)...

თითოეულის პორტრეტი (პერსონალურიც და „ჯგუფურიც, ინტერიერი“) ბრწყინვალე რომანისტიკისათვის შესაშური დიდოსტატობით ამოუხატავს ზურაბ კიკნაძეს, გროტესკულის და ნოსტალგიურის, ირონიულისა და ამალღებულის უცნაური ნაზავი მკითხველს დაასხამს „კვლავ ვერაფრით ამის ვერნახვის მსუბუქ თავბრუს“ (ესმა ონიანი).

„პეხო რომ მოკვდა, ქუჩაში რომ დაეცა, ვიგრძენით, რომ დასრულდა თბილისური ბუკინიზმის ერა. აღარ იყო ლოტოევი, აღარ იყო ნელსონი, აღარ იყო სამადალაშვილი, აღარც ის გამოუცნობი.“

თვითმკმარ ნოველად აღიქმება დრამატული ამბავი უკანასკნელი ბუკინისტის, კიმოთე მახაურისა, თავიდან რომ „მარკვიდერსკოე ისკუსსტვოს“ ხელოვნების თაროზე მიუჩინა ადგილი, ნელი-ნელ „სწავლობდა ბუკინისტობას“, სანამ ვინრო დარაბაში შეამწყვდევდნენ სასტუმრო „საქართველოს“ წინ. „კიმოთეს ბოლო წლები ბუკინიზმის დეგრადაცი-

ის წლები იყო, ის მოესწრო მის სულისღაფვას. გვალვა იდგა მთელ ქვეყანაში. დგებოდა, დადგა კიდევ ახალი დროება, რომელმაც სრულიად ახალი ურთიერთობანი მოიტანა კლიენტსა და ბუკინისტს, ნიგნსა და პატრონს შორის. გაუჩინარდა ნიგნი, როგორც ნივთი თავისთავად, მას განშორდა იდუმალება, როგორც გარეთ გასულ მზეთუნახავს.“

საკრალური დამოკიდებულება ნიგნისადმი, მისი აღქმა „მზეთუნახავად“ ზურაბ კიკნაძის ესე-ნოველის დერიტაა.

გარდაცვლილი პროფესორის, ზავრიევის ბიბლიოთეკის ნაშთს დაუზინყარი დეტალიზაციით აღწერს (ხატავს) ესეისტი: „დარბაზი ექსპეტრიანი ჭერი მზეთუნახავებს ინახავდა. ჩვენ მივუსწართ კუდს, ნაშთს ძველი დიდებისა, რომელსაც ნამდვილად ვერა განძი ვერ შეედრებოდა თბილისში. გამეჩხერებულ თაროებს ეტყობოდა პიტოევის თუ მისი რომელიმე პარადიგმის თარეშის კვალი.“

მოგვაგონდება გამსახურდიას „პორცელანის“ ნაღვლიანი ლირიზმი და „ჯაყოს ხიზნების“ უტრაგიკულესი პასაჟი — თეიმურაზი მაშინ მიხვდა, ქვეყანა რომ საბოლოოდ დაიქცა, როცა შვილივით ნალოლიავეები ბიბლიოთეკის გატანა მოუხდა შინიდან.

იგივე პარადიგმაა ბლოკის დამწვარი ბიბლიოთეკა შახმატოვში...

ბორხესი „კედელსა და ნიგნებში“ ჩინეთის იმპერატორში ხუან დის ქმედებას შემდეგნაირად ინტერპრეტირებს: „იქნებ, კედელი მიტომ შემოავლო იმპერიას, რომ მისი სისუსტე იგრძნო და ნაცარტუტად აქცია ნიგნები, რადგანაც მიხვდა, რომ ისინი შეიცავენ იმას, რასაც შეიცავს მთელი სამყარო და კაცთა მოდგმის ცნობიერება... ჯაილსი გვაუნწყებს, რომ ნიგნების მმალავთ გახურებული შანთით დაღვდნენ და სასტიკი განაჩენით აიძულებდნენ, სიკვდილამდე უსასრულო კედელი ეშენებინათ“ („ჩვენი მწერლობა“, 16 აპრილი, 2010).

ზურაბ კიკნაძის ესეი-ნოველაში გაილანდება კონტური ვერაზე მდებარე ერთადერთი ბუკინისტური მაღაზიისაც, გაიჟღერებს პაროლადქცეული „იოდლიც“ („ო, ეს იოდლია! — თქვა ერთხელ ჩვენმა სუმბათამ იურისპრუდენციის ერთ ნიგნზე იმ ინტონაციით, რომ ამ გვარს — იოდლს — დიდი შანსი მიეცა, მნიშვნელოვან და იშვიათ ნიგნთა საზოგადო სახელად ქცეულიყო“).

გაუქმებული ბუკინისტური მაღაზიის ნისლოვანი სილუეტი თითქოს „იდიოტის ცხოვრების“ პასაჟსაც აცოცხლებს და უნიგნოდ ცხოვრების იდიოტურობასაც კონსტატირებს. უთალფაქო ელექტრონათურის შუქზე, ნიგნის მაღაზიის მეორე სართულიდან აცქერდება ჭაბუკი გამყიდველებსა და მუშტრებს — „უცნაურად პატარებს და უსუსურებს, უმნეო, საცოდავ ქმნილებებს.“ თაროებზე „საუკუნის დასასრულია“: ბოდლერი, სტრინდბერგი, იბსენი, შოუ, ტოლსტოი, ნიცშე, ვერლენი, გონკურები, დოსტოევსკი, ჰაუპტმანი, ფლობერი. მკაცრია დასკვნა-განაჩენი: „ადამიანის მთელი ცხოვრება ბოდლერის ერთ სტრიქონადაც არა ღირს“ (რიუნოსკე აკუტავავა).

გაძველებულ ბუკინისტთა თემა ბუნებრივად ამოიყოლებს სახებას განწირული, დარბეული ბიბლიოთეკისას, დარბეულივე ტაძრის ანალოგად რომ აღიქმება („რა არის ნანგრევთა მიმზიდველი საიდუმლო? მარადისობის მიერ ჟამიერის ძლევა“ (ნიკოლაი ბერდიაევი).

ტაძრისა და ნიგნის იდენტურ ბუნებას ბორხესი ჯორჯ ჰერბერტის „ტაძარი. წმინდა ნიგნის“ ციტატით კონსტატირებს, როდესაც ხსენებული თხზულების ამონარიდს „ქვიშის ნიგნის“ ეპიგრაფად გაიტანს („ქვიშაზე აშენებული“).

უმბერტო ეკო ესეიში „ინტერნეტიდან გუტენბერგამდე“ (უკუმიმართულებაც საცნაურია) „პარიზის ღვთისმშობლის

ტაძარს“ (ციტირებს პოსტმოდერნისტიკის ბუნებრივი ორმაგი კოდირებითა და ტრაგიკული გროტესკულობით: „აბატი კლოდ ფროლო მიუთითებს ჯერ ნიგნზე (იმხანად მხოლოდ იწყებოდა ნიგნების ბეჭდვა), შემდეგ თავის ტაძარზე, და ამბობს: „ეს მოკლავს მას.“ XV საუკუნეში ბეჭდვა ახალი გამოგონებული იყო, ხელნაწერები — მხოლოდ მცირერიცხოვანი ელიტისთვის განკუთვნილი. ფართო მასების განსწავლა ტაძრის ფრესკებსა და სკულპტურულ ფიგურებს ევალებოდა. შუასაუკუნეების ტაძარი თითქოს მუდმივი, შეუცვლელი ტელეპროგრამა იყო, რაც ადამიანს სიცოცხლისათვის აუცილებელს ანეხდა, ნიგნები კი მოსწყვეტდნენ საბაზო ფასეულობებს, ხელს შეუწყობდნენ ზედმეტ ინფორმირებულობას, წმინდა წერილის თავისუფალ გამარტებასა და არაჯანსაღ ცნობისმოყვარეობას“ (პრობლემა „ვარდის სახელშიც“ დომინანტურია — ნ. კ.).

გუტენბერგისა და ინტერნეტის „ბინარული ოპოზიციის“ ანალიზისას ეკო პირველის თაყვანისმცემლად გვევლინება, რეჟი დერბეს კვალდაკვალ იმეორებს, რომ უძველესი მომთაბარე ცივილიზაციები — ძველებრაული, არაბული — ნიგნს ეყრდნობოდნენ — „ვისაც წითელი ზღვით უნდა სიარული, თავისი სიბრძნე თან მხოლოდ გრაგნილის ფორმით შეუძლია წაილოს... თუმცა ინტერნეტი ჰიპერტექსტუალური რომანის პოტენციალს ვგოთავაზობს, წერილობით „ომსა და მშვიდობას“ არა უსაზღვრო თავისუფლებამდე, არამედ გარდუვალობის მკაცრ კანონამდის“ მივყავართ... კომპიუტერის გამოგონებამდე დიდი ხნით ადრე მწერლები ოცნებობდნენ ბოლომდის ღია ტექსტზე, რისი უთვალავი სახით გადაწერა მკითხველს საკუთარი სურვილისამებრ შეეძლებოდა. ასეთი იყო სტეფან მალარმეს „ნიგნის“ იდეა — ფიზიკური დეფორმაციისათვის მზადყოფი ტექსტისა, რაც მკითხველს სრული თავისუფლების ილუზიას უქმნის, მაგრამ ერთადერთი მანქანა, რომელიც უთვალავი ნიგნის წარმოშობის თავისუფლებას განაპირობებს, ათასწლეულების წინაა გამოგონილი. ესაა ანბანი — ასოები შობს მილიარდ ტექსტს და ასეა ჰომეროსიდან დღემდე“ („არილი“, №14, 2001).

მსგავსი იდეა მსჭვალავს ბორხესის „ბაბილონის ბიბლიოთეკას“, რომლის ინსპირაციაც ბოდლერის ლექს „ხმის“ დეფორმირებული ქრესტომათიული სინტაგმა თუა: „ბიბლიოთეკის ბაბილონის მეზურა ჭერი“.

ბორხესთანაც ანბანი ნიგნის სუბსტანცია, ყოველი ტექსტის — რეალურად არსებულის თუ პოტენციად ნაულისხმევის. „ბაბილონის ბიბლიოთეკას“ ეპიგრაფად უძღვის „მელანქოლიის ანატომიის“ ციტატა: „ეს ხელოვნება საშუალებას მოგცემთ, ოცდასამი ასოს სხვადასხვანაირ კომბინაციას უქმნოთ.“

სულაც არ მიმაჩნია შეუძლებლად, აღნიშნავს ბორხესი, „სამყაროს ამა თუ იმ თაროზე მართლაც იდოს ყოველისმომცველი ნიგნი (ნიგნი, რომელშიც არეკლილია „მომავლის სრული ისტორია, მთავარანგელოზთა ავტობიოგრაფიები, ბიბლიოთეკის ნამდვილი კატალოგი, მისივე ათასობით და ათი ათასობით ყალბი კატალოგი, კატალოგთა სიყალბის დასაბუთება, ბასილიდეს გნოსტიკური სახარება, მისი კომენტარები, ამ კომენტართა კომენტარები, ადამიანის სიკვდილის უტყუარი ამბავი, თითოეული ნიგნის თარგმანი ყველა სხვა ენაზე, თითოეული ნიგნის ინტერპრეტაცია ყველა სხვა ნიგნის საშუალებით...“).

დე, არსებობდეს ზეცა, ჩემი ადგილი ჯოჯოხეთშიც რომ იყოს. არად მივიჩნევ დამცირებას და შეურაცხყოფას, ოღონდ შენმა უზარმაზარმა ბიბლიოთეკამ თუნდაც წამით, თუნდაც ერთადერთ არსებაში გამართლება პოვოს, უფალო...“

ბორხესი ესეიმი ადამიანს „არასრულყოფილ ბიბლიოთეკარად“ უხმობს.

ტექსტის პათოსი პესიმისტურია, თუმცა — „ელეგანტური იმედით“ განათებული: „კაცთა მოდგმა თავის აღსასრულს უახლოვდება, ბიბლიოთეკა კი დარჩება — განათებული, უკაცური, უსასრულო, აბსოლუტურად უძრავი, ძვირფასი ტომეზით სავსე, ფუჭი, უხრწელი და იდუმალი... ბიბლიოთეკა — უსაზღვრო და პერიოდული — ერთი და იგივე ნიგნები ერთი და იმავე უწესრიგობით მეორდებიან, მაგრამ, რაკი უწესრიგობა მეორდება, წესრიგად იქცევა. ეს ელეგანტური იმედილა ასულდგმულებს ჩემს მარტოობას“ („ბაბილონის ბიბლიოთეკა“, „ჩვენი მწერლობა“, 7-13 ნომბერი, 2003).

ბუკინისტ სუბათ ლოტოევის პორტრეტის ხატვისას ზურაბ კიკნაძე მრავალთაგან ერთ არსებით დეტალსაც მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას — „შქონდა სხვადასხვაენოვანი ბიბლიების მცირე კოლექცია. „საკრა ბიბლია“, — იტყოდა, — „ბიბლია“ არა, „ბიბლია.“ ეს იტალიურია.“ არც ეს „ბიბლია“, არც სხვა რომელიმე არასოდეს გამოუტანია გასაყიდად. ან ვინ წარმოიდგენდა მათ დახლზე სხვა ნიგნებს შორის — არ გარევედნენ წმინდას რიოში. ეს ნიგნი მუდამ ტრანსცენდენტური იყო ყველასგან და ყველაფრისგან, როგორც შეეფერებოდა. იქნებ, აქ გამოჩნდა ერთადერთხელ და უნებურად ათეისტური ხანის ბუკინიზმის სიკეთე?!”

ასაჟის კითხვისას ჩნდება სახეა ბორხესის „ქვიშის ნიგნის“ ბუკინისტისა, ლოტოევისაგან განსხვავებით, სწორედ „საკრა ბიბლიას“ რომ შესთავაზებს პლანეტარული ბიბლიოთეკარის პროტაგონისტს, არადა, აღნიშნული ნიგნი სულაც ღვთიურისაგან საპირისპირო, ბოროტ ძალას ფლობს — ვერასოდეს იპოვო უკვე ნაკითხული, არაფერი შეგრჩეს ურყევი, მარადიული, საიმედო, სულშესაფარი, შეირყეს „სადირკველი ძირკველთა“ (ესმა ონიანი).

ბუკინისტისაგან (ტექსტში სატანის პერსონიფიცირებს რომ უფრო ნაავაგს) შეძენილი „საბაგელი ნიგნი-მოჩვენება სინამდვილეს ბილწავდა და ანგრევდა. საშინელი ნიგნის მფლობელი ვიყავი.“

„საშინელი ნიგნისაგან“ გასათავისუფლებლად პროტაგონისტს სადღაც ამოკითხულ სიბრძნეს მიენდობა — „ფოთოლი ყველაზე უკეთ ტყეში დაიმალუბაო“ და ბიკანერულ ბიბლიას ნაციონალური ბიბლიოთეკის უშორეს თაროზე გადამალავს (თავიდან დაწვა განიზრახა, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან უსასრულო ნიგნის დაწვა უსასრულოდ გაგრძელდებოდა, სამყაროს გადააშავებდა). მექსიკის ქუჩაზე (სადაც ბუენოს-აირესის ეროვნული ბიბლიოთეკა მდებარეობს — ნ.კ.) გავლას მაინც ერიდება („ქვიშის ნიგნი“, „ჩვენი მწერლობა“, 18-24 ივლისი, 2003).

ზაალ სამადაშვილის „ნიგნების გასაყიდად ნასვლა“ ბუკინიზმის არს განსხვავებული რაკურსით წარმოაჩენს, მაგრამ იმავე დარდითაა გაჯერებული, რითაც ყოველი ტექსტი ბუკინისტებზე — ნიგნი საკრალურია და საკრალურს მიახლება ყოველთვის გულისხმობს მოწინებას, კრძალვას, გამოთხოვება კი (გავიმეორებთ ესმა ონიანისეულს) — „თვით ძირკველთა საძირკვლის“ რყევას.

უნებლიე ბუკინისტებად ქცეული მამა-შვილი, იძულებითი გარდასახვა მკითხველიდან ნიგნის გამყიდველად ეპოქალური ჟამიანობის უზუსტესი ხატია — ადამიანს ამეტებიანებენ უძვირფასესს, უმნიშვნელოვანესს, „ლამაზ არსს კაცობის“ (ვაჟა-ფშაველა).

ტექსტის უფაქიზესი მხატვრული ქსოვილი კომენტარებით დასაძენდა დაგენანება. ტრაგიკული ამბავი თავად გულისხმობს თავის ტრაგიკულ კომენტარს: „მარკესი წავილეთ, სარტრი, კამიუ და კორტასარი... საყიდელი გვექონდა, პირველ რიგში, ნავთი, მერე — შაქრის ფხვნილი, მარგარინი, ზეთი და ვერმიშელი. თუ ფული დაგვრჩებოდა — ლობიოც...“

უნივერსიტეტიდან წამოსული მამა გაზეთში მუშაობდა, წერდა პატარა წერილებს, დაახლოებით ასეთებს: „თუ

გასურთ, ღირსეულად გადაიტანოთ გაჭირვება, არ გაგაცოფოთ უპურობამ, უშუქობამ და სიცივემ — იკითხეთ! თქვენ მიგატოვავთ მუსიკამ, თეატრმა, კინომ. არ მიუტოვებხართ მხოლოდ წიგნს, ლიტერატურას“...

წიგნების გარდა, აღარაფერი გვქონდა გასაყიდი... წიგნების გასაყიდად წასვლა ძალიან სახიფათო ზღვართან მიახლოებას ნიშნავდა, რომლის მიღმაც [მამას] რალაც საშინელება ელოდა. ხმაბალა რომ იკითხა: „წიგნებს არ ყიდიან?“ და პასუხი ვერ მიიღო მის მიმართ აღძრული სიბრალულის გამო, მხოლოდ მაშინ იგრძნო, უფსკრულის თავზე რომ ქანაობდა“.

წიგნიდანვე მოგვაგონდება ენიგმის არქეტიპი — ფოლკნერთანაც ეპოქის ხატია უფსკრულის თავზე ქანაობა.

პოლიგუდის (რომელსაც ფოლკნერიც, მარკეისიც, ბორხესიც... თავის ნაწარმოებთა ეკრანიზაციის ნებას არ რთავდნენ) დამაქრულ პროდუქციასშიც კი („ნოტინგ ჰილი“, „თქვენთვის წერილია“...) პატარა ბუკინისტური მაღაზიები „ნოსტალგიის მსუბუქი ფლერიტ“ რეფლექსირდება — საპირწონედ უზარმაზარი, უტიფარი შუქით გაბრდღვიალებული მაღაზია-მონსტრებისა, მალხაზ ხარბედიას მიერ ხაზგასმული გასტრონომიული კუნძულებით (მეტიც — სატრენაჟორო დარბაზებითაც კი) რომ იტყუებენ ჟამის მღვრიე დიუნებით დაბნეულთ.

„პირადი ბიბლიოთეკის“ ავტორისაგან გასაკვირი არ არის „წყველაკრულვანი საკითხავთან“ მარადი დაბრუნება, მით უფრო, რომ „საკითხავი“ საკითხავად რჩება.

მკითხველს ეიმედება ესეში მოხაზული აბრისი ყმანვილებისა, „მორცხვად რომ იქექებინ მტვრიან წიგნებში, შინაურდებიან.“

ჩემი ბავშვობის ერთ-ერთ ბუკინისტს, სოხუმელ გერმანელ ებრაელს, შმიდტსაც მოვიგონებ. წიგნის პერსონაჟი არაა, მხოლოდ — ჩემი ცხოვრებისა.

კილგას კრეისერ „შმიდტივით“ როდი შემოჭრილიყო პატარა ქალაქში. გერმანული წესრიგთანობით, აკურატულობით, ებრაული ნალველ-ნოსტალგიით შეექმნა პანია კუნძული — ბუკინისტურ წიგნთა მაღაზია, გვიმრებით, ფიკუსებით, ია-იებით ჩამყუდროვებული „ტერრა სპირიტუალის“.

რუსულად საუბრობდა, მაგრამ ეთაყვანებოდა ქართულ წიგნს, საერთოდ, ყველაფერს ქართულს. მახსოვს, ომამდე დიდი ხნით ადრე, როგორი ცივი სიმკაცრით მიუთითა კარისკენ მზეზე დიდხანს გდებისაგან კანამძვრალ დამსვენებელს, პანია სივრცეში ძველ და ახალ ქართულ წიგნთა სიმრავლით გაღიზიანებულს („კოგდა ეტო გრუზინი ჩიტალი!“), წიგნსა და წიგნიერებასთან მწყრალად უნდა ბრძანდებოდეთო.

ათასობით ტომის წინ, „ვით დედოფალი უცხო მხარეში“, იდგა მინიატურულ წიგნთა სტელაჟი — ნამდვილი საგანძური — ბიბლიის და „ვეფხისტყაოსნის“ („წმინდა წერილის ეროვნული ტრანსკრიფციის“ (გურამ ასათიანი) ათეულობით გამოცემა სხვადასხვა ენაზე — შმიდტის პირადი კოლექცია, სიამაყისა და თაყვანისცემის საგანი („ნი დღია გლაზა, დღია დუში“).

ისიც მახსოვს, როგორი ბედნიერი გაოცებით იძენდნენ ბროდსკის, ბერდიევის, ბერგსონის ტომებს ოთხმოცდაცამეტის ზაფხულში თავიდანვე განწირული სოხუმის დასაცავად ანუ „გამოცხადებული სიკვდილის“ შესახვედრად ჩამოსული ბიჭები (მარბიელნი წიგნის მაღაზიებს არ სტუმრობენ).

„საკრა ბიბლია“ და „საკრა“ „ვეფხისტყაოსანი“ — წმიდათაწმიდა — რასაკვირველია, არ იყიდებოდა, „სულისთვის იყო.“

ყოველთვის ელეგანტური, წიგნებთან მუდმივი სიახლოვით განატიფებული შმიდტი, ჩვეულებისამებრ, ლამის ჩურჩულით, ტკბილად ესაუბრებოდა წიგნის ფასის მხსომთ ომში — ყველაზე დიდ უწიგნურობაში.

ოთხმოცდაცამეტის შემდეგ აღარაფერი მსმენია დახვეწილ ბუკინისტზე. მინდა მჯეროდეს, რომ „ბიბლია“ და „ვეფხისტყაოსანი“ ისევე უჩინარი გახდა „გამარჯვებულთათვის“, როგორც რობაქიძისეული კიტეჟი — მონღოლთა ურდოსთვის...

აკა მორჩილადის ესეების კრებულში „მწერლებსა და წიგნებზე“ სინანულითაა კონსტატირებული: „წიგნი, ხმალი და თავის ქალა... ჩვენს დროში ამ წიგნებს ველარ ნახავ ერთი კაცის ხელში...“

ცხოვრება უამისოდ უფრო იოლია...“ (დღიური „ჰამლეტის“ შესახებ). და ყოფნა არაფრით განსხვავდება არყოფნისაგან... საკითხავიც არაფერია...“

კობა იმედაშვილი

„მოდი ჩემთან“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— ყველასა და ყველაფერზე გულის გატეხვა, აბსოლუტური უიმედობა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— იქ, სადაც ვცხოვრობ, თბილისში, საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— გარემოსა და საკუთარ თავთან ჰარმონიული ერთიანობის წამიერი განცდა, რაც ძალზე იშვიათია.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— რუსთაველის ავთანდილი, ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაური, ანტუან დე სენტ-ეზიუპერის პატარა უფლისწული, ტომაზო დი ლამპედუზას ფაბრიციო კორბერა სელინა, ოთარ ჩხეიძის როსტომ იტრიელი, ერნესტ ჰემინგუეის მოხუცი, ჭაბუა ამირეჯიბის დათა თუთაშხია და ა.შ. ბევრია ასეთი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— მარკუს ავრელიუსი, დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, მეფე ერეკლე, ცოტნე დადიანი, სულხან-საბა ორბელიანი, ალექსანდრე ბატონიშვილი, ილია ჭავჭავაძე.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ფიროსმანი, დავით კაკაბაძე, ვან-გოგი, კლიმტი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბახი. ქართული მრავალხმიანი სიმღერების უცნობი ავტორები.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— სიტყვისკაცობას, პასუხისმგებლობის გრძნობას, შიშის დაძლევისა და საკუთარი თუ სხვისი ღირსების დაცვის უნარს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სათნობას, ერთგულებას, მომხიბვლელობას, სიყვარულისა და დედობის ნიჭს.

— რომელი ადამიანური სათნობაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— განსხვავებული აზრის მოსმენისა და გაგების უნარი, სხვებზე ზრუნვის ნიჭი.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ჩემი წინაპრების საწერ მაგიდასთან ჯდომა და მუშაობა, ფიქრი დროის მარადიულობასა და სიკვდილ-სიცოცხლეზე, საკუთარ ბაღში შვილიშვილებთან ერთად ჩხირკედლაობა და მათთან საუბარი.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ალტაცებული ვიყავი და ვარ ილია ჭავჭავაძით, მიხეილ ჯავახიშვილით, კოტე აფხაზით, ქაქუცა ჩოლოყაშვილით, ექვთიმე თაყაიშვილით, მაგრამ ერთადერთი და მისაბაძი ადამიანი ჩემთვის იოსებ იმედაშვილი გახლდათ, რომელმაც მასწავლა, რომ მუდამ ჩემი თავი მეძებნა. არასოდეს არ მინდოდა, რომ სხვა ვინმე ვყოფილიყავი.

— **თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— სიმშვიდე ნებისმიერ სიტუაციაში, გაჭირვების უხმოდ გაძლება, განსაცდელში მობილიზების უნარი და პასუხისმგებლობის თავზე ალება.

— **რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— გაჭირვებაში უჩუმრად გვერდით დგომას.

— **თქვენი მთავარი ნაკლი?**

— იმპულსურობა და არაპრაქტიკულობა. თითქმის ყოველთვის ვიცი, რა უნდა გავაკეთო, მაგრამ ემოციის კარნახით, ასევე თითქმის ყოველთვის, სანინაალმდეგოს ვაკეთებ.

— **თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— ბედნიერება ისაა, როცა ყველა კარგად გყავს, ვინც გიყვარს და ვისაც უყვარხარ, როცა იმას აკეთებ, რაც გიყვარს, მაგრამ როცა შენი ხალხი უბედურია, როცა შენი ქვეყანა მიწადაკარგული და ხალხის მომავალიც გაურკვეველი, ბედნიერი ვერასდროს იქნები.

— **რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— თქმისაც კი მეშინია.

— **როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— უფრო პრაგმატული, უფრო საქმიანი.

— **თქვენი საყვარელი ფერი?**

— ცისფერი.

— **ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— თეთრად გადაპენტილი ალუბლის ყვავილები, სურნელოვანი ვარდი და ჩვეულებრივი ია.

— **თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— არ ვიცი, რა ჰქვია, ფანჯრის წინ, ბრონეულის ბუჩქზე შემოჯდება ხოლმე და წივიწივებს, თითქოს პურს თხოულობს, მაგრამ ჩემი ხელით დაყრილ ნამცეცებს არ ეკარება და მემანწინისთვის გადადებულ პურის ნარჩენების პარკს უნისკარტებს, თავად შოულობს თავის საზრდოს. დიდად პატივსაცემი ვინმეა.

— **თქვენი საყვარელი მწერალი?**

— მხოლოდ ერთის გამოყოფა შეუძლებელია, რადგან თვით მკითხველი მუდმივად იცვლება და იცვლებიან მისი სიყვარულის ობიექტები. მაინც შევცდები — ჟიულ ვერნი, ალექსანდრე დიუმა, არტურ კონან დოილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ერნესტ ჰემინგუეი, ჯერომ სელინჯერი, ოთარ ჩხეიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, რეზო ინანიშვილი, მიხაილ ბულგაკოვი, ბორის პასტერნაკი, ვარლამ შალამოვი, ხორხე ლუის ბორხესი, გაბრიელ გარსია მარკესი.

— **თქვენი საყვარელი პოეტები?**

— ესენიც ბევრია: შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, რობერტ ბერნსი, ალექსანდრ პუშკინი, გიომ აპოლინერი, ნიკო სამადაშვილი, ანა კალანდაძე, ვლადიმირ მაიაკოვსკი, სერგეი ესენინი.

— **საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— შექსპირის კორდელია, ვაჟა-ფშაველას ალაზა, ილია ჭავჭავაძის ოთარანთ ქვრივი, გიორგი ლეონიძის მარიტა და მარადი, ნოდარ დუმბაძის ბებია.

— **საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— ყველა, ვინც ერთგულად, ღირსეულად და უანგაროდ ემსახურება ხალხს, მათ შორის „იმედის“ გმირებიც, რა თქმა უნდა.

— **საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— თამარი — დიდი ქართველი მეფე და ტრაგიკული ბედის ქალი, ასევე ტრაგიკული ბედის ქალი — ქეთევან წამებული.

— **საყვარელი სახელები?**


— ყველას ჩამოთვლა შორს წავიყვანს, ამიტომ ქართველებისთვის ორ წმინდა სახელზე შევჩერდები — ნინო და გიორგი.

— **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— ლალატსა და სიცრუეს მის ნებისმიერ გამოვლენაში — სიტყვასა, საქმესა თუ სიყვარულში.

— **ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— ჩემი თანამედროვეებიდან — სტალინი, ორჯონიკიძე, ბერია, პუტინი.



— **საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?**

— დიდგორის ბრძოლა.

— **რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევის რეფორმა.

— **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— მუსიკალური. ერთხელ კარგად დავუკრა, ერთხელ კარგად ვიმღერო და მერე, ჯანსუღ ჩარკვიანის თქმისა არ იყოს, „წამოვალ, სადაც გინდა“.

— **როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?**

— მშვიდი, ყველასა და ყველაფერთან ანგარიშგასწორებული. დღესვე მოვკვდებოდი, ოღონდ არ ვენვალო და არც ჩემიანები ვანვალო, მაგრამ მე ვინ მეკითხება, მაგრამ იმას ხომ მაინც ვნახავ, რა არის „იქ“.

— **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— მძიმე. ჩემს შთამომავლობასა, ჩემს ხალხსა, ჩემს თბილისსა და ჩემს საქართველოზე დარდი მიმყვება თან.

ქვეყანა გახლენილია, თბილისი თბილისს ალარა ჰგავს, ქართველებისგან იცლება საქართველო, როგორ უნდა ვიყო. დიდ ცოდვასა, დიდ სიცრუესა, დიდ უგუნურებაში ვდგავართ და თუ გონებას არ მოვუხმობთ, უარესი დაგვემართება.

— **ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— შვილებისა და შვილიშვილების გადასარჩენად ჩადენილი დანაშაული.

— **თქვენი დევიზი?**

— სხვაზეც იფიქრე.

— **თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— „მოდი ჩემთან“.

თეიმურაზ გაგნიძე დაიბადა თბილისში, 1979 წლის 21 ივლისს, მხატვრების – თინათინ ჯაფარიძისა და ბადრი გაგნიძის ოჯახში. 1994-98 წლებში სწავლობდა თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, ფერწერის ფაკულტეტზე. 1998 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე, რომელიც 2004 წელს დაამთავრა და დაიცვა სამხატვრო აკადემიის დიპლომი. შეისწავლა ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, ციფრული ხელოვნება, დიზაინი. 2008 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 2008-9 წლებში ასწავლიდა ფერწერას სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2014 წლიდან კი სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მინვეული პედაგოგია ფერწერაში. 1998 წლიდან პერიოდულად მონაწილეობს ჯგუფურ გამოფენებში საქართველოსა და უცხოეთში. 2005 წლის 28 ივნისს მისი პირველი პერსონალური გამოფენა გაიხსნა გალერეა „კოპალაში“. მისი ნამუშევრები ინახება საქართველოში (თბილისი). აშშ (ატლანტა, ნიუ იორკი, ვაშინგტონი ნიუ ჯერსი), დიდ ბრიტანეთში (ლონდონი, მანჩესტერი), თურქეთში (სტამბული, ანკარა), გერმანიასა და რუსეთში კერძო კოლექციებში. 2013 წელს გაიმარჯვა საფოსტო მარკის კონკურსში (საქართველოს ფოსტა). მისი პელებტრისტული დებიუტი — „მამა საბა“ — „ჩვენი მხერლობის“ 2008 წლის 18 იანვრის (№2) ნომერში შედგა.

თეიმურაზ გაგნიძე

გემი ვარდისფერი საკვამურებით

ხუჭუჭათმიან ბიჭს სახელად ტომასი ერქვა, რომელსაც ყველა მოფერებით ტომის ეძახდა, ზრდიდა მოხუცი ბებია, რადგან მშობლები ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ. ტომის პატარაობიდანვე უყვარდა დაკვირვება ყველაფერზე, რაც მის გარშემო ხდებოდა. ბიჭი გონიერი, ცნობისმოყვარე და, ამასთან, საშინლად ცელქიც იყო. ხშირად, მზიან დღეებში, წყლის სავსე ბოთლებით ეზოში სანუნაოდ ჩადიოდა, სადაც მომზადებული თანატოლები ხვდებოდნენ. ტომასს, პუტკუნა აღნაგობის გამო, ისე წუნწავდნენ, რომ ლაზღანდარა ბავშვებისაგან თავის დაღწევას ძლივს ახერხებდა. ერთ-ერთი ასეთი შრიამულისას მოიფიქრა: შევარდა შინ, გაავსო დაცარიელებული ბოთლები, აირბინა მეორე სართულზე და რამდენიმე წამში სახლის სახურავზე აღმოჩნდა.

— ახლა ამით ვაჩვენებ სეირს, — გაიფიქრა მან. გახსნა ბოთლები და გაათრეხული ბავშვების განწუნვას შეუდგა. მისი გაოგნებული და დაბნეული მეგობრები უაზროდ დარბოდნენ სახლის გარშემო და ბოლო ხმაზე ყვიროდნენ.

ყოველთვის, როდესაც ბავშვები წუნაობას დააპირებდნენ, ტომი სახურავზე წინასწარ „იმაგრებდა პოზიციებს“ და წყლით სავსე ბოთლებით შეიარაღებული შეუბრალებლად წუნავდა თანატოლებს.

ერთხელ, მორიგი მხიარულების დროს, ტომის შემთხვევით გაუვარდა ბოთლი, მაგრამ მის ასაღებად დახრილ ფეხი დაუცურდა და გადმოვარდა. ბავშვი რამდენიმე წუთს გონს ვერ მოდიოდა. ვილაცამ სასწრაფო გამოიძახა, მაგრამ ლოდინს აზრი არ ჰქონდა და მეზობლებმა უახლოეს საავადმყოფოში ჩაიყვანეს. გაირკვა, რომ ორივე ფეხი მოტეხა და ნერვული შოკიც ჰქონდა. გარკვეული დროის მერე, ტომი საავადმყოფოდან გამოწერეს და შინ გადაიყვანეს, მაგრამ დიდი ხნით მიეჯაჭვა ლოგინს. ამ მხიარულ ბავშვს მომდევნო თვეებმა დიდი განსაცდელი და სევდა მოჰგვარა. მართალია, ზოგჯერ მეგობრები აკითხავდნენ, მაგრამ არცთუ ისე ხშირად. არავინ იცის, ბიჭი ამ განელილ თვეებს როგორ გადაიტანდა, რომ არა ერთი შემთხვევა, რომელსაც ახლა გიამბობთ.

ჩვენი უკვე ნაცნობი ბებია და შვილიშვილი ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ, რომლის ერთადერთი სიკეთეც დიდი ფანჯარა იყო, საიდანაც ასეთი სურათი იშლებოდა: ფანჯრიდან მარცხნივ იშვიათი, ბუმბერაზი მუხის ტყე იყო; მარჯვნივ — ხეობა, ნაირნაირი ფრინველია და მწერით სავსე. ისინი პატარა რუს თავზე დაქროდნენ და ფანტასმაგორიულ ხმებს გამოსცემდნენ; წინ ზღაპრული, თითქმის სიურრეალისტური სივრცე იშლებოდა, რომლის ჰორიზონტზეც, ყოველი დღის ბოლოს, ვე-

ბერთელა წითელი მზე ეფლობოდა. აი, ასეთ პეიზაჟს უყურებდა ჩვენი გემი, რომელსაც იმ დღეებში სხვა არჩევანი ნამდვილად არც ჰქონდა.

როგორც უკვე გიამბოთ, ტომასი საკმაოდ დაკვირვებული ბავშვი გახლდათ და ერთ დღეს, როდესაც ტკივილი მიყრუვდა და მხურვალე ბამ იკლო, უეცრად ჰორიზონტზე გემი დაინახა. ეს იყო მოლივლივე გემი ვარდისფერი საკვამურებით. ჩვეულებრივი გემისგან განსხვავებით ის გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილას და მხოლოდ ფერებს იცვლიდა. ტომი გაოგნებული უცქერდა გემს. ამ უძღურების დროს მსგავსი არაფერი ენახა. მეტიც, არასდროს უნახავს ასეთი საკვირველი რამ. ბიჭი ყოველ დღე გემთან ერთად იძინებდა და იღვიძებდა, ესაუბრებოდა მას და სიზმარშიც ხედავდა. მოკლედ, ტომისთვის ეს აღმოჩენა ერთადერთ მეგზურად და უახლოეს მეგობრად გადაიქცა.

ერთხელ ბებიას შემთხვევით მოესმა თუ როგორ ესაუბრებოდა ბიჭი თავის გემს. გაკვირვებულმა ბავშვს ხმადაბლა ჰკითხა:

- რაო, შვილო, ვის ელაპარაკები?
- პატარა გემს, — უპასუხა შვილიშვილმა.
- რა გემს? სად ხედავ?
- აი, ფანჯარაში, შორს. ნახე, ვარდისფერი საკვამურები აქვს და სულ ფერებს იცვლის. ნეტავ როდის შევძლებ იქ მისვლას?!

ბებიამ გაიხედა ფანჯარაში და მალევე გავიდა სამზარეულოში. იგი დარწმუნდა, რომ ბავშვს მისი არ ესმოდა და ექიმთან დარეკა. ბებიამ მოკლედ აუწერა ექიმს თავისი შვილიშვილის მდგომარეობა და დასძინა, რომ ბიჭის გასასინჯად მისი გამოძახება უნდოდა. მიზეზიც ჰქონდა, უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც მისი თქმით, „ბავშვს რაღაც გემი ელანდებოდა“. ერთ საათში ექიმი უკვე სინჯავდა პაციენტს.

— სიცხე არ აქვს! — თქვა მან. — ჩემი აზრით, გადატანილი ტრავმის შედეგია, მაგრამ არაუშავს, გაუფლის. „დამამშვიდებლები“ დაალევიან და ყველაფერი კარგად იქნება.

დასმული „დიანოზის“ შემდეგ ორიოდე წამალი გამოწერა, ამდენივე „რჩევა-დარიგება“ დაამატა და წავიდა.

დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, თვე თვეს... ტომასმა ნელ-ნელა სიარული დაიწყო, ოღონდ ჯერ მხოლოდ ყავარჯენებით.

ზამთარში ბიჭი განსაკუთრებით სევდიანი იყო — თავის გემს ვერ ხედავდა, მაგრამ მალევე მონახა გამოსავალი. ერთ



დღეს კარადიდან ორი ფანქარი გადმოიღო და უბრალო ხელსახოცზე ხატვა დაიწყო. ახალბედა მხატვარი მესხიერებაში თავისი გემის აღდგენას ცდილობდა. უნდოდა მაქსიმალური სიზუსტით დაეხატა, მაგრამ ამაოდ. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ სრულად მოიკრიბა ყურადღება და ხატვა განაგრძო: აილო შავი ფანქარი და თავდაპირველად გემის კონტური მოხაზა. შემდეგ მეორე ფანქარი, რომელიც კიდევ უფრო შავი იყო, და გემის „გაფერადება“ დაიწყო. როცა საქმე საკვამურებთან მივიდა, შეჩერდა, აღარ იცოდა, ნახატი როგორ დაესრულებინა. ბიჭმა სალამომდე უშედეგოდ იფიქრა და დალილოს მაგიდასთან ჩაეძინა. ამასობაში ბებია ტახტზე რაღაცას კერავდა. მან მძინარე შვილიშვილს გახედა და ამ დროს შემთხვევით ნემსით თითი დაიზიანა. მოხუცმა სინქარეში პირველივე ხელსახოცს დაავლო ხელი, რომელიც მაგიდაზე იდო და ჭრილობა მოინმინდა.

დილით, გაღვიძებისთანავე ტომიმ თავის ნახატს დახედა. ნახატი რატომღაც დაჭმუჭნული იყო. როდესაც გაასწორა, მისთვის მოულოდნელად, საკვამურები ვარდისფერი გახდა, უფრო სწორად, თითქმის წითელი. ეს ნახატი ბევრად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ის ჰორიზონტზე ხედავდა, რადგანაც მასში რაღაც შემზარავი და დამთრგუნველი იყო. ბიჭი ვეღარც მიუბრუნდა გემს.

შეუმჩნევლად გაზაფხულიც შემოვიდა ქალაქში. ჩვენი გმირი უკვე იმდენად აღარ სჭირდებოდა ყავარჯნები და დამოუკიდებლად სიარულს სწავლობდა. თანატოლებთან თამაშის მოლოდინი არ აძლედა მოსვენებას.

ერთ დღეს საზღვარგარეთიდან ტომასის ბიძა ჩამოვიდა, რომელიც ქალაქში თითქმის სამი წელი არ იმყოფებოდა. ბიძამ იცოდა, რაც ბიჭს შეემთხვა და, როდესაც მოინახულა, უამრავი ტკბილეული და სათამაშო მიუტანა. თუ კეთილ მეზობლებს არ ვიგულისხმებთ, ბიძა ერთადერთი კაცი იყო, რომელიც ბებიასა და შვილიშვილს ეხმარებოდა, ზრუნავდა მათზე: მათი ერთადერთი იმედი იყო. შეხვედრით გახარებულ ბიძას ბავშვის სასიეროდ წაყვანა სურდა, მაგრამ უამინდობის გამო გადაიფიქრა და აღუთქვა, რომ უკეთეს ამინდში გაისიერებდნენ. ტომასი მოუთმენლად ელოდა ამ დღეს და მანის ერთ თბილ დილას ბიძაც ეახლა.

— ტომ, წავედით? მზად ხარ? — მისვლისთანავე იკითხა მან.
— კი, წავედით! — უპასუხა გახარებულმა ბავშვმა. დაავლო ხელი ყავარჯნებს, მაგრამ უეცრად გაახსენდა, რომ ისინი უკვე აღარ სჭირდებოდა და კუთხეში მიყარა.
— არა, წამოიდე, წამოიდე, — ღიმილით უთხრა ბიძამ. — მაგას მე მივხედავ.

ცოტა ხანში მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ. ბიჭმა მალევე შეამჩნია, რომ ბიძას იგი ზუსტად მისი გემის მიმართულებით მიჰყავდა. ბიჭს პეიზაჟი და ხეები მუდამ ეფარებოდნენ, მაგრამ გემი სულ უფრო უახლოვდებოდათ. ტომი მთელი გზა ხმას არ იღებდა.

— ნუთუ ბიძამ იცის გემის შესახებ? — ფიქრობდა ბიჭი.
— მაგრამ მე ხომ მისთვის არაფერი მითქვამს, ალბათ ბებიამ უთხრა...

ამ ფიქრებში გართულმა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ გემს უკვე ვეღარ ხედავდა, მაგრამ რაღაც შინაგანი ხმა ეუბნებოდა, რომ გემი ახლოს უნდა ყოფილიყო. მოულოდნელად ბიძამ გზიდან გადაუხვია, შევიდა ტყეში და თავისი „JAGUAR“-ი გააჩერა. ეს მრავალფეროვანი, შერეული ტყე იყო, სველი ფოთლების სურნელითა და რაღაც უცნაური, მძაფრი ელფერით. ტომის ტანში ბედნიერების ყრუანტელმა დაუარა.

— ჩვენ მოვედით? მოვედით ჰო? — მოუთმენლად იკითხა მან.

— მე მალე დავბრუნდები და მერე უკეთეს ადგილას წაგიყვან. — გაურკვეველად ჩაიბუტბუტა ბიძამ. — გადმოდი გაისიერნე, ოღონდ შორს არ წახვიდე. მე მალე მოვალ.



ილუსტრაცია ავტორისა

მანქანიდან ტომასის ყავარჯნები გადმოიღო და ნელა წავიდა იმ მიმართულებით, სადაც სავარაუდოდ გემი უნდა ყოფილიყო. ბიჭი განცვიფრებული უცქერდა ბიძას. როდესაც იგი მაყვლოვანს მიეფარა, რომელიც ბებერ მუხას შემოჰხვეოდა, ეს ნაფოტივით თხელი სხეული შეხტა და მჭახედ დაიყვირა:

— ჰეი.. მოიცა, მოიცა, მოვდივარ, დამელოდე... — და ბიძას გაედევნა. გასცდა თუ არა მაყვლოვანსა და მუხას, თავზარდაცემული შედგა.

თვალთდაბნელებულს სუნთქვა შეეკრა.
— ვაი, ეს...

ბიჭმა მეტი ვერაფრის თქმა ვეღარ შეძლო, შემობრუნდა და მანქანისკენ გაიქცა.

— სახლში წამიყვანე! სახლში წამიყვანე... — მოთქვამდა ხმაჩახლეჩილი.

უკანა გზაზე გაკვირვებული ბიძა ბავშვის დამშვიდებას და ტირილის მიზეზის დადგენას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ.

ყველა, ვინც ამ ბიჭს იცნობდა, ერთხმად ამბობდა, რომ მაშინაც კი, როდესაც ფეხები მოიტეხა, ისე მწარედ არ უტირია, როგორც ამ უკანასკნელი შემთხვევისას.

ამ ამბის შემდეგ ბევრმა ნელმა განვლო. ახლა ტომასი წარმატებული ხელოვანია. უკვე დიდი ხანია აღარც იმ კორპუსში ცხოვრობს და აღარც იმ ქალაქში, მაგრამ ყოველთვის განსაკუთრებულად იხსენებს იმ დროსა და ადგილს, სადაც არცთუ ტკბილი ბავშვობა გაატარა.

ეს შემთხვევა ხელოვანის ცხოვრებაში პირველი შეხვედრა იყო სასტიკ რეალობასთან, რამაც განსაზღვრა მისი პიროვნების ჩამოყალიბება და გავლენა მოახდინა პირად ცხოვრებასა თუ შემოქმედებით მოღვაწეობაზე.

...და მაინც რა ნახა პატარა ტომიმ ტყეში, რა იყო ისეთი, რამაც ასე ძლიერ იმოქმედა მის გულზე? ალბათ ყველაზე არაცნობისმოყვარე ადამიანისთვისაც კი საინტერესო იქნებოდა ამის გაგება.

რა თქმა უნდა, თქვენთვის უკვე ცხადია, რომ ეს არ ყოფილა გემი ვარდისფერი საკვამურებით, რომელთან შეხვედრასაც ასე მოუთმენლად ელოდა ტომასი. მსგავსიც არაფერი.

გაზაფხულის იმ თბილ დღეს, ტყის განაპირას, მის თვალთნინ უსაშველოდ დიდი, მყრალი ნაგავსაყრელი გადაიშალა, სადაც უამრავი დაღუნული არმატურა, ჟანგიანი ჟემპი და გახრწნილი საკანალიზაციო მილი დაეხვავებინათ. ნაგავს ყველა მხრიდან შავი კვამლი ასდიოდა, თავს კი ურიცხვი ყორანი და მძორიჭამია ყვავი ეხვია.

როსტომ ჩხეიძე

ამბავი აკაკის ოსუნჯობათა შეგროვებისა

— ის და აკაკი წერეთელი მტრები იყვნენ.

ეს რა ექო ჰქონია იმ ხმაურს, ამდენი წლის შემდგომაც რომ არ ჩანყნარებულიყო და გალაკტიონს ისლა აინტერესებდა, აკაკის გარდაცვალების მერე თედო სახოკიამ კიდევ ორმოცი წელი რომ იცოცხლა, ნეტა როგორ გაუსწორა ანგარიში ამა სოფლიდან გასულ მტერსო.

თვითონ გალაკტიონს არ ებრალებოდა თავისი მტრები და იცოდა მტრობა.

და თედო როგორღა მოქცეულიყო, როდესაც უკვე ბურთი და მოედანი დარჩენოდა და შეედლო ამკარად თუ ფარულად გადაეხადა სამაგიერო?!

საამჟამაოზე არაფერი მოჩანდა, ყოველ შემთხვევაში ვერაფერი ევარაუდა გალაკტიონს, მაგრამ, აი, ფარულად?!

ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტს რომ წარმოსახავდა აკაკი წერეთლისას, თედო საერთოდ არ გაიხსენებდა იმ უსიამოვნო ამბავს, ყრუდაც კი არა, არამცთუ მტკიცებას მოჰყოლოდა, ტყუილურალოდ დამესხა თავს, ჩემი კეთილი გულით ნაკარნახევი აბუჩად აიგდო და ნაშრომი უსამართლოდ გამიბიბოროტა... მე როგორ მიყვარდა, მან კიო... ასეო, ისეო...

მამ იქნებ აკაკის პორტრეტს დააჩნევდა ზოგიერთ ისეთ ზადს, რასაც უშუალო კავშირი არ ექნებოდა იმ სკანდალთან და შესაძლოა მკითხველს შემცდარი წარმოდგენა შექმნოდა: მემუარისტს რაიმე პირადი მოტივი სულაც არ ამოძრავებს, ეგაა, მართლა ჰქონია აკაკის ასეთი ბუნებითი ნაკლი, ანდა ნამდვილად ჩაუდენია ურიგო საქციელი და ლიტერატურული პორტრეტის ხატვისას, გინდა-არგინდა, გვერდს ვერ აუქცევდით?!

მაგრამ მოგონება-პორტრეტი იმ პანეგირისტული სულით განსჯივებულა, თუნდ აგერ გალაკტიონი როგორც შეჰყურებდა აკაკის სახებას და ერთდროულად აღიქვამდა მინიერად და ზეციურად, თან რომ გჯერა მისი არსებობა ყოფით რეალობაშიც, მაგრამ თან დაბეჯითებით გნამს, რომ ღვთიურ გამოჩენებას შეჰყურებ, ხორცი მხოლოდ მოჩვენებითად რომ ასხია.

რღა გალაკტიონ ტაბიძისა და რღა თედო სახოკიას ხედვა!..

თედოს აკაკი წერეთელი პირველად ეხილა ტფილისში — 1885 წლის გაზაფხულზე.

ის 45 წლისა იქნებოდა.

ეს — სასულიერო სემინარიის მოსწავლე.

შეჰყურებდა გაშუქებულ-გაოგნებული მაღალს, წარმოსადეგს, მხარბეჭიანს, დიდ, აწნილ, ხუჭუჭა, შავ გრუზათმიანსა და შესაფერისად წვერულვაშიანს, ლამაზ ჩარჩოდ რომ შემოხვეოდა მეტად მაღალ შუბლსა და ვაჟკაცურ და ღვთაებრივ სახეს. ცოტათი კეხიან ცხვირს ზემოდან წამოსხდომოდა დიდრონი, ცოცხალ ნაპერწკალთა მფრქვევი, შორსგამჭვრეტი, ჭკვიანი თვალები.

იმ წუთს ეს შთაბეჭდილება დარჩებოდა და შემდგომი დაკვირვებანიც დაუდასტურებდა, რომ, ვინც ერთხელ დაინახავდა ამ სახეს, შეუძლებელია დავიწყებოდა, და კაცი იქნებოდა თუ ქალი, ვინც აკაკის გვერდით ჩაუვლიდა, შეუძლებელი იყო, უკან არ მოეხედა, მზერა არ გაეყოლებინა პოეტიკისათვის, თითქოს სურს, სამარადისოდ ჩარჩეს ხსოვნაში მისი გარეგნობაო.

აგერ თვითონ თედოს, მრავალი წლის გადაკეცვის შემდგომაც, აკაკი, ეს განსახიერება არაჩვეულებრივი ფიზიკური და გონებრივი სიმშვენიერისა, თვალწინ ედგა ცხოვლად და უჭვრეტდა, და თვალწინ ედგა არა მარტო მისი სახე, არამედ

თვით ის ადგილიც, სადაც პირველად ენახა: მთავრობის ახალი სასახლის ბალის ალაყაფის პირდაპირ, ტროტუარზე.

— მეტად განუზომელი იყო შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე დასტოვა, რომ ისე ადვილად დამვიწყნოდა!..

ლიტერატურულ პორტრეტს ისეთ კომპოზიციურ ღერძზე ააგებდა, რომ სხვადასხვა წლის თავისებური მოზაიკა შეექმნა და ერთიან პანორამად გადაეჭიმა, თუმც ამდენს ველარ გასწვდებოდა და ორად ორ მონაკვეთს იკმარებდა: „აკაკი თბილისში 80-იან წლებში“ და „აკაკი პარიზში 1909 წელს“. პორტრეტს კი იმ დანიშნულებას დააკისრებდა, რომ წარმოჩენილიყო ერთ ფურცლად აკაკის ცხოვრებისა და იმ ხანისა, როდესაც ეს საამაყო პოეტი გამოჩნდა დედაქალაქის ცისკიდურზე.

თედოს ისიც ძალიან ხიბლავდა, რომ რუსეთიდან უმაღლეს სწავლადამთავრებულ ქართველთა შორის აკაკი გამოინაკლისად წარმოდგებოდა, რაკილა, მათგან განსხვავებით, არ ეცადა სახელმწიფო სამსახურში მოკალათებას და არც ჩინოვნიკობა გაეხადა იდეალად.

აკაკი რა სჭირდა საამისო ბუნების ნებიერს:

— ნიჭით, არაჩვეულებრივი სილამაზის გარეგნობით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით, დაუშრეტელი მახვილგონიერებით.

და თედოს ელიმებოდა, ნეტა ვის ეგონა, რომ თავისუფლების მებოტბის, დამოუკიდებლობის მოყვარის ბუნება როგორღაც შეეგუებოდა ერთ ადგილასა და განსაზღვრულ საათებში ჯდომას, ვისიმე უფროსობას და ვისიმე ბრძანებების მოსმენას, რაც ჩინოვნიკთა ხვედრიაო.

თვალს რომ მიმოავლებდა გარშემო, აკაკის იგულისხმებდა იმ ერთადერთ ქართველად, რომელსაც ჩინოვნიკობა და საზოგადო რამე „სამსახური“ არ გამოეცადა, თუ არ ჩავთვლიდით ასეთ თავმოსაბეზრებელ სამსახურად ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარეობას, ისიც — ძალზე მოკლე ხნით.

აკაკი ყველასათვის ძვირფასი და სანატრელი სტუმარი რომ გახლდათ, პირველი ოჯახი, სადაც ხანგრძლივად დაიდებდა ბინას, ლიზა ჭავჭავაძის ოჯახი იქნებოდა, მარჯანიშვილის ქვრივისა, მაშინდელ გალოვინის (ან რუსთაველის) პროსპექტზე, მირიმანოვის სახლში — იქ, სადაც გამზირს გრიბოედოვის ქუჩა უერთდებოდა.

თედო იმიტომ აზუსტებს ამ სახლის ადგილმდებარეობას, რათა მკითხველს უფრო ნიშანდობლივად წარმოუდგინოს ბინა, სადაც აკაკის ერთი საუკეთესო ოთახი საკუთრად ჰქონდა ღამის გასათევად და სამუშაოდ. ის „ცისფერ ოთახად“ იწოდებოდა, რაკილა იქ ცისფერი იყო ყველაფერი: საბანი, ლამპის აბაჟური, მუთაქები, კედლებიც კი... საერთო შეხამებისა და ჰარმონიისათვის დიასახლისის სამოსელშიც ცისფერი სჭარბობდა, და თედო ნინო მაჭავარიანის — ლიზა მარჯანიშვილის უფროსი ქალი — ნინოს ამხანაგის აღწერის მიხედვით ამ ყოველივეს ნიშანდობლივად რომ წარმოიდგენდა, თავისთვის დაიბეჯითებდა: ეტყობა, პოეტის სიმპათია ყოფილა ეს ფერიო.

ნიკოლოზ ბარათაშვილი სიყრმიდანვე რომ ეტრფოდა ცისა ფერს, ეს განცდას ლექსში ასე პირდაპირვე აღბეჭდავდა.

ხოლო აკაკი წერეთლის გატაცება სიყრმიდანვე ამ ფერით ასე გამჟღავნდებოდა.

ისეთი სასოებითა გათავისებული და გადმოცემული აკაკის ეს ტფილისური ადგილსამყოფელი, ამკარად გრძნობ, თედოს არაერთხელ უტრიალია მის სიახლოვეს და გაშუქებულიც მდგარა, რათა იქიდან მონაბერი მაღლი ხელშესახებად განეცადა, განსაკუთრებით კი ის წუთები გამოკრთომოდა ხილვა-

* თავი ბიოგრაფიული რომანიდან „მოციქული (თედო სახოკიას ცხოვრების ქრონიკა)“

ში, თუ როგორ წერდა ლექსს აკაკი — დაირის ხმას რომ ააყოლებდა, და-
ირას დიასახლისი წამოავლებდა ხოლმე ხელს და ნელა, სულ დაბალი
ხმით იწყებდა დაკვრას, პოეტი კი ბოლოს სცემდა ოთახში. მაგიდას რომ
უნდა მისჯდომოდა და ხელში კალამი მოემარჯვებინა, თითო უნდა ენიშ-
ნებინა დიასახლისისათვის: შეჩერდიო, — და კიდევ შეუდგებოდა წერას.

თურმე რა პირობებში იქმნებოდა ის მშვენიერი ლექსები.
და თედოს საგანგებოდ უნდა აღენიშნა ამ მშვენიერი დიასახლისის
ერთგვარი როლიც აკაკის პოეტურ შთაგონებასა და შემოქმედებაში.
ასე მოიარებთ და ფაქიზად ამჯობინებს ღიზა ჭაფჭავაძისა და აკა-
კის ურთიერთობის გადმოშლას.

რომანტიკული იერით შემოსვას.
აქ ცნაურდება არა მარტო თედოს პიროვნული ბუნება, არამედ აკა-
კისადმი დამოკიდებულებაც.

განა ასეთი სიფაქიზითა და მონივნით მოეპყრობი მტრის ცხოვრე-
ბისეულ ეპიზოდებს, მითუმეტეს, თუკი შეგიძლია სულ იოლად იპოვო
გასაკილი და არც მწარ-მწარე ეპითეტები მოაკლო?

მარტო ოთახში არ გამოიკეტებოდნენ, ზოგჯერ ეზოში მწვანე ხა-
ლიჩების გაშლაც სჩვეოდათ და ზედ მოკეცილთ ტკბილ ბაასში დროის
გატარება — აკაკის დაუსრულებელი ოხუნჯობით გამშვენიერებულის.

ღიზა ჭაფჭავაძის სალონის სტუმართა შორის გამოირჩეოდნენ: სა-
ქართველოში ახალდაბრუნებული ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე ყაზბე-
გი, სერგეი მესხი, ვასო აბაშიძე და მისი მომავალი მეუღლე მაკო საფა-
როვი. 1882 წელს ამ სალონს უნდა მიმატებოდა ახალკურსდამთავრებუ-
ლი ექიმი გრიგოლ ელიავა, შემდგომ ბათუმში რომ გადასახლდებოდა და
სახელსაც გაითქვამდა საზოგადო მოღვაწეობით, ამასთან, სიძვედ მოეკი-
დებოდა ღიზას — მის უფროს ქალს ნინოს შეერთავდა.

ილია ჭაფჭავაძე აკლდა ამ გარემოს?
თედო მოვალედ მიიჩნევდა თავს, ამის მიზეზიც განემარტა — თურ-
მე ილია არა მარტო იცნობდა ღიზას, არამედ მისი პირველი სიყვარუ-
ლიც ის ყოფილა და მისი ცოლად შერთვაც სდომებია. და იმ უსათაურო
და მართლაც გულდამწვარი ლექსის: —

“გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში მე და შენ რომ ერთად ვრბოდი-
თო?..” შთამავგონებელი ეს სიყვარული იქნებოდა. ეს საქმე ჩაიშლებოდა და
თედომ ისიც იცოდა, თითქოს მამა ღიზასი, სოლომონი, ილიას ახლო ნათე-
სავი, გამხდარა წინააღმდეგი ნათესავთა ქორწინებისა... თუმც ნამდვილი
მიზეზი სულ სხვა გახლდათ და სოლომონისათვის ნათესაობა არავითარ
დაბრკოლებას არ წარმოადგენდა... მაგრამ თხრობის გეზს ავცდებით და
ეგაა, და მხოლოდ ის ვიკმაროთ, რომ ილიას ის ახალგაზრდული სიყვარუ-
ლი ღიზასადმი საკმაოდ შენელებოდა, მით უფრო, ქალის გათხოვების
შემდეგ, ის ჩაშლილი ურთიერთტოლგვა ბარიერად აღიმართებოდა ამ ორ-
თა შორის და ილია მოერიდებოდა ამ ოჯახში სტუმრობას, რაოდენ თავმო-
საწონებელიც უნდა ყოფილიყო მისი ფეხის შედგმა ღიზას სალონში.

ესეის ავტორი არც იმ ეპიზოდს გამოტოვებდა, ღიზა ჭაფჭავაძე აკა-
კის სიღნაღში რომ წაიყვანდა ერთ ზაფხულს — თავის დას, ეკატერინეს
ასტუმრებდა, ამ ქალაქში მდგარი ჯარის უფროსი — აბელიშვილის —
მეუღლეს. და არა მარტო უშუალო მასპინძელი, არამედ მთელი სიღნა-
ღის საზოგადოება განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით დაუხვდე-
ბოდა — აუღებელი სუფრა სუფრას მოსდევდა და აკაკის ენაწყლიანო-
ბით ხომ აღტაცებას ვერა ფარავდნენ. და სიღნაღელებს დიდხანს რომ
ექნებოდა სალაპარაკოდ ეს სტუმრობა, აკაკიც თავის მხრივ იშვიათი სი-
ამოვნებით იგონებდა ამ დახვედრასა და პატივისცემას.

ეს ეპიზოდები რომ მიიქცევდა თედო სახოკიას ყურადღებას, რა გა-
საკვირია, მაგრამ აკაკის პარიზული ყოფა რატომღა გამოერჩია?

თურმე გამოსარჩევი ეს იყო, თუ იყო მისთვის: აქედან არის სწორედ,
ბრიუსელში დასახლებულ თედოს ბარათი რომ უნდა გამოეფეზავნოს.

ციმბირიდან გამოქცეულს აქ უნდა ეპოვნა დროებითი თავშესაფარი
და ისე მოხდებოდა, რომ სწორედ ამ ქალაქში უნდა მისვლოდა, ერთი
მხრივ, აკაკი წერეთლისა და, მეორე მხრივ, ვაჟა-ფშაველას წერილები,
ერთსაც რაღაც სათხოვარი რომ გასჩენოდა მასთან და მეორესაც.

პარიზში აკაკის სტუმრობა კი იქ მოსწავლე ქართველი ახალგაზრდო-
ბისათვის მთელ დღესასწაულად რომ გადაიქცეოდა, რა მიხვედრა სჭირ-
დება, და თედო მხოლოდ გვიდასტურებს, რომ მათ აღტაცებას საზღვარი
არა ჰქონია, ყველანი დატრიალებულიყვნენ და მოენდომებინათ შესაფე-
რისი დახვედრა. მის პატივსაცემად ქართულ საღამოსაც გამართავდნენ



მხატვარი მალხაზ იაშვილი

და მიიწვევდნენ ფრანგ მწერლებსაც, რომელთაც
უნდა გაეზიარებინათ მასპინძელთა სიხარული, გა-
მონვეული სახელოვანი მგოსნის იქ ყოფნით.

ფრანგები პირველად რომ იხილავდნენ რო-
გორც ქართველ პოეტს, ისე ერთად თავმოყრილ
ქართველობას, მოხიბლულნი დარჩებოდნენ აკა-
კის არაჩვეულებრივი გარეგნობითაც და ქართუ-
ლი დროსტარებისა და ცეკვის მშვენიერებითაც.
და ამიტომაც დარჩებოდათ ეს შეხვედრა სალაპა-
რაკოდ და ტკბილ მოსაგონრად. თვითონ აკაკის კი
ისე ალაფრთოვანებდა ეს წრფელი შეგებება, იმას-
ღა იძახდა:

— ასეთი პატივისცემის შემდეგ რომ მოვკვდე,
არ დამენანება კიდევ.

მერე მოინდომებდა პარიზიდან გადასვლას ევ-
როპის სხვა ქალაქებში, სადაც ქართველები ეგუ-
ლებოდა. ბრიუსელში თედოს გარდა კიდევ ორი
ქართველი იმყოფებოდა: პალიკო ყიფიანი და ბარ-
ბარე ყიფიანისა, ხოლო ბელგიის სხვა ქალაქებში
— ლიეჟში, ჟანბლუსა თუ მონსში — ათ კაცამდე
მაინც იქნებოდა.

პარიზში აკაკის სტუმრობის ამბავს რომ შე-
იტყობდნენ, რა გუნებაზე დადგებოდნენ?

— დიასაც გვშურდა, რომ არ შეგვეძლო საყვა-
რელი მგოსანი დაგვეპატიჟნა და ერთ კვირას მა-
ინც გაგვეჩერებინა ჩვენს შორის.

განა მტრის მიმართ ასეთი განცდა უჩნდებათ —
სხვისი სტუმარი რატომ არის და ჩემი რატომ არაო?

— ამ წუხილში ვიყავით ბელგიის ქართველობა.

ხედავთ, აკაკის დაპატიჟების სურვილი რარიგ გამძაფრებია თედოსაც?

და ამ დროს თვითონ აკაკის ბარათი უნდა მოსულიყო ბრიუსელში და არა ვინმე სხვის, არამედ — თედოს სახელზე.

ამდენი ქართველიდან ვითომ მაინცდამაინც მტერს გამოარჩევდა თხოვნის გადასაცემად?

აშკარაა, ყველაზე მეტად იმათში თედო სახოკიას აფასებს, ყველაზე ახლობლად ის ეგულება და ყველაზე თავგამოდებულადაც — თუკი რაიმე სახსარი მოიძევეს ბელგიაში, იცის, თედო ქვას გახეთქავს და თავისას მიაღწევს, ოღონდაც ძვირფას სტუმარს ღირსეულად დახვდეს. და თუ თედოც ვერაფერს გააწყობს, ეს ნიშნავს, რომ ერთი ბენო შანსიც არ არსებულა ბელგიური ტურნესი.

— ბედნიერი ვარ, რომ პარიზი ვნახე და საფლავში არ ჩამყვა მისი ჯავრიო, — ინერებოდა აკაკი, — აქაურმა ქართველობამ ძალიან მასიამოვნა, მიწა ევროპის სხვა ქალაქებიცა ვნახო, აი, თუნდა თქვენი ბრიუსელი, თქვენი ნახვაც გამიხარდებოდა, მაგრამ რა ვქნა, უფულობა, როგორც ყოველთვის, ხელს მიშლის. ამიტომ მიიღეთ შორი საღამიო.

ზოგად შინაარსს რატომ გადმოგვცემს თედო და უშუალო ციტატას კი არ იმონებებს?

ეს ბარათი პირველი მსოფლიო ომის ატეხვისას ბრიუსელში დარჩებოდა თავის ბიბლიოთეკასთან ერთად, მაგრამ იმედს არა ჰქარავდა, რომ კვლავაც იქ ინახებოდა და ადრე თუ გვიან, თვითონ თუ ველარ, ვილაც მაინც მიაკვლევდა.

თქვენი ნახვაც გამიხარდებოდაო...

მტრის ნახვა განა რა გასახარია, არაა?!

უფულობა ხელს მიშლისო...

ეს ნიშნავდა, რომ ამათ უნდა ეზრუნათ საგზაო ფულის გაგზავნისა და, ბრიუსელში რომ ჩამოვიდოდა, შესაფერისი პატივისცემისთვისაც... მაგრამ, აი, სახსარი...

და თედო იძულებული შეიქნებოდა მადლობა მოეხსენებინა ბარათის მონერისათვის და გამოეთქვა ბელგიაში მყოფი ქართველობის საერთო, გულწრფელი სინანული, რომ ხელმოკლეობა ნებას არ აძლევდათ, აკაკის აქ მონვევით უსაზღვრო სიამოვნება განეცადათ.

პარიზში აკაკის ყოფნასთან დაკავშირებით მოხსენიებდა პოეტის გამოუქვეყნებელ ლექსსაც, საჩხერეში რომ გამოეგზავნა ბეჟან ნერეთლისათვის. ლექსში ხომ აკაკისებური იუმორით აღინერებოდა ის შთაბეჭდილებანი, რაც პოეტზე დაეტოვებინა ამ მსოფლიო კულტურის ქალაქს, მის სახელდახელოდ ნანახ ცხოვრებას. იმ სინანულსაც გამოთქვამდა, რომ პარიზი ვერ ინახულა ახალგაზრდობისას, რათა საკვებით ეგემნა სიამენი ფრანგთა დედაქალაქისა. ახლა კი, — დასძენდა პოეტი, — ჩემთვის, მოხუცებული სათვის, ყოველივე ეს მიუწვდომელი, შორით საყურებელია.

ეს ლექსი საზოგადოებაში ხელნაწერის სახით რომ ტრიალებდა, თედოს აზრით, მისი დაბეჭდვა ზოგიერთი, ისედაც მისახვედრი სიტყვის გამოკლებით, მაინცდამაინც შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო.

„პარიზის“ გამოქვეყნების დროც დადგებოდა, თავით ბოლომდე ამ წუხილით რომ გაჟღენთილიყო, ეს როდის მომინია ამ სამოთხის პირას მოხვედრა, თანაც სრულიად უარაფროდ, და ამიტომაცაა, რომ აქ ცხოვრებას ისე თუ მივწვდები, ვით მალლა ცაში მთვარესაო. პარიზში ვის უნდა ეცხოვრა: ვინც ლხინს დაჩვეულიყო, ჯიბე ოქროთი გასძეპგოდა და რკინის ხასიათითაც გამოირჩეოდა. ხასიათის სიმტკიცეს არ ემდუროდა აკაკი, მაგრამ, აი, სხვა მხრივ კი... და ისლა დარჩენოდა, რომ პირდაღებულს ეცქირა სხვათა ნეტარებისათვის და საკუთარ თავთან ებუტბუტა ნალვლიანი აღსარება.

**ვითომ კაცი ვარ მეც, რაღა?!
ნაციით ივერიელი...
ვცხოვრობ, დავდივარ, დავბზუი
ბუზივით, ოხერ-ტიელი.**

ვილაცას ეს ლექსი მწარე განცდების ანარეკლად მოეჩვენებოდა, მართლაც ნალვლიან აღსარებად, თედოს კი როგორ გამორჩებოდა ის ლალი, მხიარული განწყობილება, რაც მკვეთრად ანელედა განცდათა სიმძაფრეს და ღირიზმს იუმორისტული სამოსელით მოსავდა.

აკაკისებური იუმორიო...

აკაკის დაუსრულებელი ოხუნჯობაო...

რაო, რას ირწმუნებოდა ანდაზა? — ჩამოხრჩობილის სახელში თოკზე არ ლაპარა-კობენო...

ამჯერად კი რა ხდებოდა — თვითონ „ჩამოხრჩობილი“ ჩამოგდებდა სიტყვას „თოკზე“, თუმცე საამისო აუცილებლობა მაინცდამაინც არა ჩანს. განა არ შეიძლება აკაკი წერეთლის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის შტრიხები ისე წარმოსახო, რომ მის ენაკვიმატობასა და ხუმრობა-ოხუნჯობის დაუსრუტელ უნარს გვერდი აუქციო? ეს რომ სრულყოფილი პორტრეტი იყოს, კიდევ იძულებული იქნები, მაგრამ ფრაგმენტებში ნუ მოიხსენიებოდა აკაკის ეს ნიჭი იმ კაცისაგან, ვისაც უსიამოვნო მოგონებანი აუფორიაქებდა სულს.

მაგრამ თუკი თავს ვერ იკავებ „თოკის“ ხსენებისაგან?

არადა, რას წარმოიდგენდა, რომ მისი უმანკო განზრახვა და მონდომებული გარჯა აკაკის მახვილსიტყვაობათა შესაგროვებლად ასე ვაგლახად შემოუტრიალდებოდა? აკაკის უამისოდ არ გაეძღებოდა — უიუმოროდ, ორიოდ კაცთან იდგებოდა თუ დიდ თავყრილობაში მოხვდებოდა, ყოველთვის საოხუნჯოდ და საქილიკოდ მომართულიყო და დაუსრულებლად და დაუნანებლად აფრქვევდა ფრთიან სიტყვებსა თუ მოსწრებულ კალამბურებს და აცინებდა და ახარხარებდა ხალხს, რომელთაგან არავის აფიქრდებოდა, რომ ესეც თავისებური ლიტერატურულ-ფოლკლორული მონაპოვარი გახლდათ და მისი უკვალოდ გაქრობა არ ეგებოდა. თვითონ აკაკის არ ანალვლებდა? როგორც ჩანს, არც სხვებს. და იმ წუთას რომ ხალისობდნენ და ნაცნობ-მეგობრებსაც უყვებოდნენ, ეტყობა, ეგონათ, რომ სულ ასე გაგრძელდებოდა — არც ეს ხუმრობა-მახვილსიტყვაობა მოაკლდებოდათ და თვითონაც ყოველთვის ემასხოვრებოდათ.

მხოლოდ იონა მეუნარგია დაფაცურდებოდა.

ვერ ისედაც გაიმახვილებდა ყურს და გააფაცვიცებდა მზერას, რაკილა თანამედროვე მწერალთა ბიოგრაფიული ქრონიკების შედგენას იმთავითვე განიზრახავდა, და გულდასმით რომ აგროვებდა ცალკეულ ცნობებსა თუ ამბებს ბიოგრაფიულ თხზულებათა გმირებად შერჩეულ შემოქმედებზე და აკაკი წერეთელსაც ამ ციკლში მოინიშნავდა, სხვა საგულისხმო ცნობა-დეტალებთან ერთად მის ზოგიერთ იუმორისტულ გამონათქვამსაც ჩაინერდა, უფრო იმ კუთხით, აკაკი მას გენერლების ბიოგრაფოსს რომ შერქმევდა და შემთხვევას არ გაუმვებდა ხელიდან, კბილი რომ არ წაეკრა.

იონა სიცილით და ხალისით შეხვდებოდა მისთვის სათაყვანო პოეტის ყოველ ამგვარ „თავდასხმას“ და თან უბის წიგნაკშიც მიუჩენდა ადგილს: უეჭველად გამომადგებო.

თედო ვერ იკმარებდა ორიოდ ნიმუშის ჩანიშვნას და მთლად კრებულის შედგენას განიზრახავდა აკაკის მახვილსიტყვაობებისა. რაც სმენოდა, სმენოდა, და უკვე მიზანმიმართულადაც შეუდგებოდა შეგროვებას, რათა მერე სანანებელი არა ჰქონოდა არც მას და არც სხვას: ნეტა თავის დროზე გვეფიქრა ამ ნაკვეთების შეკრებაო. და აღარც შთამომავლობას დაემუნათებინა პოეტის თანამედროვეობა: ხალისით და სიცილით რომ იხსენებთ აკაკის მოსწრებულ სიტყვა-პასუხსა და მოხდენილ კალამბურებს, შემთხვევით შემონახული თითო-ოროლა ნიმუში გვეყოფა მისი ამ თავისებური იუმორისტული ნიჭის გასასიგრძეებლადო?!

მის ნაწერებში რომ მოჩქევდა იუმორი, ირონია, სატირა, ეს ნიშნავდა, რომ წერისას ძალდაუტანებლად და სრულყოფილად იჩენდა ამ უნარს, მაგრამ განა იმვითაობა ყოფილა, რომ ზეპირმეტყველებისას უხვად დაღვრილი იუმორის პატრონს ეს უნარი

წერისას აღარ გადასდევს, ანდა წერისას გამჟღავნებული იუმორისტული ტალანტი ზეპირმეტყველებისას მკრთალად ან სრულიადაც ვერ იგრძნობა?!. და ყოველთვის საგულისხმოა, როდესაც მწერალი ერთნაირი სილაღითა და ძალმოსილებით ამჟღავნებს ამ ნიჭს — წერისასაც და პირადი საუბრების დროსაც.

აკაკი წერეთელი ამგვარი ტალანტით დაჯილდოებულ ადამიანთა შორის გახლდათ და რატომ უნდა დაკარგულიყო ზეპირ ბრუნვაში დატრიალებული მისი ელვარე და ფრთიანი გამოთქმები?

თედო სახოკია ისედაც საამისოდ მომართულიყო — ყოფითი სინამდვილის თავისებურებანი და დაფარული სილამაზე აღმოეჩინა, თანდათანობით სურათებად ჩამოენაკვთა და ეს სურათები კი მანამდე გადაეხა ერთიმეორისათვის, ვიდრე ერთიანი პანორამის ზოგად იერს არ მოხაზავდა. ყველა დეტალი, ყველა წერილმანი მეტად მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა და ძირისძირობამდე ამიტომაც ჩასდევდა გარემოს შესწავლა-გააზრებას, და ამ ყოფითი რეალობის მომხიბლავ გირლანდად რომ აღიქვამდა აკაკი წერეთლის მიერ ასე დაუნანებლად დაფანტულ მოსწრებულ თქმებს, კიდევ ამიტომ მოჰკიდებდა ხელს იმ ანეკდოტთა თავმოყრას, რომელთა შუაგულშიც აკაკის მონუმენტური ფიგურა იდგა, და „აკაკის ნაკვესების“ სახელით რომ გამოსცემდა 1895 წელს, ასე წაანერდა: ნიგნი პირველიო.

ეს ნიშნავდა, რომ შესაგროვებელი კვლავაც უხვად რჩებოდა, ჯერ მარტო მეორე ნიგნი იყო თავმოსაყრელი, თორემ, ვინ იცის, მესამე და მეოთხე ნიგნებიც ამოსდგომოდნენ გვერდით იმ საჭაშნიკო ცდას, თედო კმაყოფილი რომ დარჩებოდა თავისი წამოწყებით და სულგანაბული მიაყურადებდა: აბა, რა გამოძახილს გამოიწვევს საზოგადოებაშიო.

უპირველესად, რა გასაკვირია, თვითონ აკაკის აზრით რომ დაინტერესებულიყო. უთუოდ დამიმადლებსო, — ფიქრობდა, ანკი სხვაგვარად რატომ უნდა მომხდარიყო, როდესაც გასაქრობად განწირული იუმორისტული ნიმუშები ასე ერთად შეკონილიყო, და ეს მცდელობა კიდევ უფრო გააღვივებდა სურვილს, საზოგადოებას უფრო ენერგიულად მოეჩხრიკა თავისი ცნობიერება და ამ იუმორისტული ნიჭის ახალ-ახალი ნიმუშები ამოეყარა სამზეოზე. ჩამწერი და პატრონი, ღვთის მადლით, გამოჩენილიყო, და მას ამ წამოწყების წარმატებით გაგრძელებას წინ რაღა დაუდგებოდა!..

მაგრამ განწყობილია კი ამ წამოწყების მიმართ კეთილად საზოგადოება?

კრებული ვერ მოახდენდა იმ შთაბეჭდილებას, რაც თედოს განზრახა — აკაკის მოსწრებულ სიტყვა-თქმას იხველა სახელი მოეხვეჭა, დაბეჭდილი სახით იმ სიმაღლეს ვერ გაუტოლდებოდა და მკითხველი იმედგაცრუებული დარჩებოდა: თუ მეტი თავი არ ჰქონდა შემდგენელს, რილასთვის დაშვრა, ან რა გამოსაცემი იყოო.

შეგროვებას რომ შეუდგებოდა, გაცხრილვას აღარ დაინწყებდა. რასაც აკაკის სახელით უამბობდნენ, პირდაპირ გადაჰქონდა ფურცლებზე, ესწრაფოდა, რაც შეიძლება მეტი და მეტი ნიმუში შეეკრიბა.

ყველა ერთნაირად მოსწრებული და მოხდენილი რომ არ იყო და აშკარად ატყობდა ამ უთანაბრობას? მათგან ზოგი თვითონ აკაკის ვერ გამოსვლიდა მახვილი, ზოგიც — არ არის გამორიცხული — სხვათა ნათქვამი მიეწერებოდა, მაგრამ თედოს სად ედევნა და ეხარისხებინა, ისე ანთებულებოდა ამ პროექტით, ოღონდაც ყური მოეკრა, აკაკისიაო, — თავის კოლექციას შემატებდა და... გაოგნდებოდა, ნირნამხდარი მკითხველის წინაშე რომ აღმოჩნდებოდა.

„კვალის“ ისე აღმოფთვებოდა, რომ არამცთუ კრიტიკულ სტატიას გამოაქვეყნებდა, სულაც ბრალდებულებით გაინაპირებდა თედო სახოკიას და აღარც იმის თქმას მოერიდებოდა: შემდგენელს აკაკის სახელით თავისი ნაკვესები შეუთხზავსო (1895, 15).

ცოტა ხანში იმავე გაზეთის ფურცლებზე, 7 მაისის ნომერში, თვითონ აკაკიც გამოეხმაურებოდა თავისი ნაკვესების კრებულს და, თედოს რომ ეიმედებოდა, ის მაინც დამიდგება გვერდით, დამიფასებს მისთვის თავგამოდებასო, აკაკი თავის იუმორისტულ ნიჭს... ახლა თედოზეც გამოსცდიდა და მასზე ახალისებდა მკითხველს.

შორიდან მოჰყვებოდა და მოლა ნასრედინს გაიხსენებდა, ენამჭევრ კაცს, ვისი ბევრი ნათქვამიც ანდაზებადაც დავარდნილიყო, მაგრამ ხალხს ეს რომ არ ეკმარებინა მისთვის, საუკუნეთა განმავლობაში ვისაც კი რამე ეთქვა, სუყველა ამ საცოდავი მოლასათვის მიეწერათ, ასე რომ, მისი სახელით ნიგნები კეცა-კეცა გამოსულიყო. რასაკვირველია, იმ ნიგნებში მესაედი და მეთათედიც აღარ იყო ნასრედინის ნათქვამი, მაგრამ ახლა ბევრიც რომ ეუარა, საიქიოს რაღას გააწყობდა, და იძულებით უნდა ეტვირთა საბრალო მოლას სხვათა სისულელე და უმარილო ოხუნჯობანი.

რაც იმ მოლა ნასრედინს სიკვდილის შემდეგ მოუვიდა, მე ის სიცოცხლეშივე მემართებო, — მწარე ირონიით დასძენდა აკაკი, რაკილა ისეთ რამებს იმეორებდნენ მის ნათქვამად და მის ნაკვესებს ეძახდნენ, რომლებიც თვითონ მას პირველად ესმოდა.

— ბევრი მათგანი ისეთი უმანური და უმნიშვნელო ნათქვამია, რომ გიკვირს და ფიქრობ: „თუ არ გონება ჩლუნგს, ვის უთქვამს ეს ვითომ „მოსწრებული“, და ან სხვები როგორ იმეორებენ!“

ზოგჯერ მართლაც აკაკის ნათქვამი რომ იყო გამეორებული? მაგრამ ისე დამტვრეულად კი, რომ აღარა გამოდიოდა რა. ამ გარემოების თავიდან ასაცილებლად აკაკის გადაეწყვიტა, ახლა თვითონვე ეკისრა შეკრება და ცალკე ნიგნად გამოცემა ნამდვილად მისი ნაკვესებისა, მარტო იმისთანების, რომელთაც მხოლოდ საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდათ და შეეხებოდნენ ასე თუ ისე ჩვენი ცხოვრების საგანს.

ხოლო რაც შეეხებოდა სხვათა ნათქვამსა და დასტამბულს „ვითომ აკაკის ნათქვამად“:

— ვთხოვ მკითხველს, ის ისევ მოლა-მასრადინს მიაწეროს და მე თავიდან ამაშოროს.

ვაი შენს თედოს!..

ეს რა შუაგულ ცეცხლში მოხვედრილიყო!

შენ კეთილი წამოწყება ეძახე და!..

არადა, ეს გამოცემა რომ არა, აკაკი ხომ არც არასოდეს განიზრახავდა თავისი ნაკვესების შეგროვებას?!

ჩანაფიქრი ჩანაფიქრადვე დარჩებოდა, რადგანაც გაირკვეოდა, რომ მოსწრებულ და მახვილგონივრულ სიტყვა-თქმათა შეკრება საკმაოდ ძნელი და უმადური საქმე ყოფილა, ის კი არა, დიდად უმადურიც, მითუმეტეს, რომ ფურცლებზე გადატანისას არცთუ იშვიათად იკარგებოდა ის პენი და ხიბლი, რაც ზეპირი მოყოლისას ასე გულიანად აცინებდა მსმენელს.

ესეცაა — არაერთი ნიმუში მართლაც აკაკისა თუ არ იყო, ხალხში მიეწერებოდა მას, მის ნათქვამად იმეორებდნენ და ასეთ მინერ-მიკუთვნებას ვერ გადარჩენოდა ვერავინ და მომავალშიც ამ მხრივ არაფერი შეიცვლებოდა. მოლა ნასრედინის ბედი განზოგადებულად აირეკლავდა ენამჭევრთა და იუმორისტული ნიჭით დაჯილდოებულთა გარდუვალ ხვედრს — დიდებული სიტყვა-თქმების გვერდით აუცილებლად რომ მოიყრინდა თავს სხვათა სისულელებიც და უმარილო ოხუნჯობანიც.

შემდგენელს თავისი ნაკვესები შეუთხზავსო, — „კვალის“ რედაქცია ჰაი-ჰარად რომ აბრალებდა, ცხადია, ასე არა ყოფილა და არც შეიძლება მომხდარიყო, რამდენადაც ვიცნობთ თედოს ალაღსა და კეთილშობილურ ბუნებას, და თუ აკაკისათვის მიკუთვნებული ნაკვესები შეუმონწმებლად და დაუზუსტებლად შეზიდა ნიგნის ქარგაში და უნებლიეთ გაანაწყენა მითვისაც სათაყვანო შემოქმედი, იმ მხრივ ხომ მაინც საგულისხმოა მთელი ეს მასალა — ნამდვილ ნიმუშებს რომ გამოვაკლებთ — თუ რა ეგონათ იმხანად აკაკის ნათქვამი.

როგორ, ნუთუ ხალხი ვერ განასხვავებდა უბილო და უმა-რილო ოხუნჯობას იუმორის ცინცხალ გამოვლინებათაგან? მაგრამ, მოგეხსენებათ, როდესაც კაცს მოსწრებული სიტყვი-სა და კლამბურების ოსტატის სახელი დაუფარდება, მისი სა-ხელის უბრალო ხსენებაც აცინებთ მსმენელთ და რაოდენ უმარილო ნაკვესიც უნდა მიეკუთვნოს, მაინც იცინიან.

და თუ თედო სახოკიას მიერ შედგენილი „აკაკის ნაკვესე-ბი“ მართოდენ პოეტის ელვარე ენამჭყერობას კი არ გვიდას-ტურებს, არამედ არაერთი სუსტი პასაჟითაც გაესებულა, იმ-ყამინდელი საზოგადოებრივი განწყობილების გააზრებისას მაინც წავგვადგება.

ხომ ყოველთვის ვაქცევთ ყურადღებას იმ აშკარა ჭორებ-საც, ამა თუ იმ ხელოვანისა თუ მოღვაწის ბიოგრაფიულ ქრო-ნიკას როდესაც ვადგენთ. მერე რა, რომ დაბეჯითებით მოგ-ვეხსენება: ნატყუარია და სამარცხვინო ცილისნამებო!.. სა-მაგიეროდ, მათი შესწავლით ცნაურდება, თუ რა მძიმე დღეში ჰყოლიათ ეს პიროვნება, როგორ სტკენდნენ გულს და ხან ეგებ ნონასწორობასაც აკარგვინებდნენ. ამიტომაც დასაფა-სებელია, ამ ჭორებს თუ შემოგვინახავენ, მითუმეტეს, თუკი შეგვიგროვებენ. თვითონ შემგროვებელი არ გამიჯნავს ტყუ-ილ-მართალს ჭორების კოლექციაში? ამას ჩვენ მივხედავთ, მთავარია, მასალა გვქონდეს ხელთ.

და თუმც საესებით გასაგებია აკაკი წერეთლის გულისწყ-რომა, აშკარად გადამეტებულია „კვალის“ ის სასტიკი კრიტი-კული გამოხმაურება, შემდგენელს გარჯა მთლიანად წყალში რომ ჩაუყარა.

ისე, „ვეფხისტყაოსანი“ ვერ გადარჩენილიყო „ხელის წამ-შეღებელითა“ თუ „გამაკეთილშობილებელთა“ გარეშე და აკაკის ნაკვესებს რაღა იხსნიდა თანაავტორთაგან?!

ეჰ, რაც მოლა ნასრედინს დამართოდა!..

და აკაკის გული რომ გაუსკდებოდა, ვაითუ მეც მთლად მის დღეში აღმოვჩნდე და აღარ დასრულდეს უბილო და უმა-რილო ხუმრობების მონერა ჩემთვისო, ამიტომაც დაფაცურ-დებოდა და შეეცდებოდა იმ კრიტიკული გამოხმაურებით აღეკვეთა ეს მისწრაფება — იმ პირველ წიგნს ასეთივე წიგნე-ბიც ამოსდგომოდა გვერდით.

თედო სახოკია რაღას გააგრძელებდა იმ წამოწყებას!

თუმც საძირკველს კი ჩაუყრიდა აკაკის ოხუნჯობათა შეკ-რებას და მოგვიანებით ლევან ასათიანის მიერ შედგენილი მცირე კრებული იმ ყბადაღებულ გამოცემას დაეფუძნებოდა — იმ იდეასაც და ცალკეულ ნიმუშებსაც, დანარჩენთაგან რომ გაასუფთავებდა ციკლს და ასე ჩამოინაკვეთებოდა აკაკი წერეთლის მონუმენტური ხასიათის ერთი მომხიბლავი და კო-ლორიტული შტრიხი.

ამ ნიმუშთაგან, რომელთა ნაკითხვისასაც ვხალისობთ და ვიცინით, ნეტა ყველა აკაკისა?

რაკილა მართლაც მახვილგონივრულია და მოხდენილი, განა არ შეიძლება ზოგიერთი უხილავი თანაავტორის ნახელა-ვი იყოს?

„ვეფხისტყაოსანი“ ვერ გადარჩენია ისეთ ჩანართ სტრო-ფებს, რუსთველურისაგან რომ არ გამოგვეჩვენა, და აკაკის ოხუნჯობანი რაღა უნდა ყოფილიყო ასეთი, შიგადაშიგ ბადა-ლი თანაავტორი რომ ვერ გამოსჩენოდა?!

თუმც ამას სადავოდ არავინ ხდის, რაკილა აკაკის ამით ჩრდილი არ ადგება.

თუმც განა უნდა გამოირიცხოს, რომ აკაკის სიტყვა-თქმა ყოველთვის მართლაც ვერ ყოფილიყო მარჯვე და ფრთიანი, მოსწრებული და ელვარე? როდესაც შენგან ყოველ ნუთს მო-ელიან რაღაც სასაცილოს, თითქოს მოვალე ხდები, რომ ეს მოლოდინი არ გააცრუო და ხან კიდევ დააძალო ხოლმე საკუ-თარ თავს ოხუნჯურის თქმა. დაძალებული კი, მოგეხსენებათ, ის აღარ არის და არც შეიძლება იყოს, და ამიტომაცაა, რომ თავისთავად შეერევა იუმორის დიდებულ გაბრწყინებას ნაძა-ლადევი ხუმრობანი, ის უმარილო ოხუნჯობანი, რომელთა

გახსენებაც დიდად არ გეჭაქნიება და მით უფრო აგემღვრე-ვა გული, თუკი დაბეჭდილს იხილავ, მაგრამ რას იზამ — რო-დესაც ენამახვილის სახელი გაგივარდება, უნდა მოელოდე, რომ მდარე ხუმრობანიც გაგივრცელდება, თორემ სხვათა ძა-ლადოხუნჯობანიც რომ მოგენერება, ესეც გარდუვალობაა და აგერ საბრალო მოლა ნასრედინსაც მწარედ ეწვნია საკუ-თარ თავზე, აკაკი წერეთელი თანაგრძნობითაც რომ შეჰყუ-რებდა მის აჩრდილს და შესწიოდა კიდევ: ასე მოულოდნელად და უცნაურად მეც შენს დღეში არ აღმოვჩნდით?!

ლევან ასათიანის მიერ შედგენილ ციკლში თედო სახოკიას ის უმადური პროექტიც და მასთან დაკავშირებული ხმაუ-რიც... ნაკვესად შევიდოდა და თედოს დაუსახელებლად, თით-ქოს აკაკის ხუმრობანი უცნობად დარჩენილ პიროვნებას მო-ეგროვებინა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ, რაკილა პოეტი ამ ნაკვესთა გადაკითხვისას ბევრს თავისად ვერა სცნობდა, ეს ფრთიანი ფრაზა დასცდებოდა:

— დალახვროს ეშმაკმა, ეს რამდენი აკაკი ყოფილა ქვეყა-ნაზე!..

აკაკისებური ელვარებით კი აღბეჭდილა, მაგრამ ეს მართ-ლაც რომ ეთქვა, ნუთუ იმ კრიტიკულ გამოხმაურებაში არ შე-იტანდა? ამას ხელიდან როგორ გაუშვებდა, მაგრამ რადგანაც იმ მცირე ჩანანერში არსად შეინიშნება დაჩვილება ამქვეყნად უამრავი აკაკის ყოფნით, უფრო მოსალოდნელია, რომ ეს ნაკ-ვესი სხვათა შეთხზული იყოს — ან ლევან ასათიანამდე, ანდა უშუალოდ მისი... და თავისებურად აირეკლავდა და დაწურავ-და იმ გასკანდალებულ ამბავს.

შეიქმნებოდა ათნლეულთა შემდგომ რეზო ჭეიშვილის იუმორისტულ ამბავთა და ანეკდოტთა ორიგინალური წიგნი „კურუ“ და გაიხსნებოდა აკაკი წერეთლის იმ ნუხილით, მოლა ნასრედინისა არ იყოს, იმ საბრალოსავით იძულებით უნდა ვიტვირთო სხვათა სისულელე და უმარილო ოხუნჯობანიო.

ჩემი ხელითაც დაინერებოდა ნაკვესთა ციკლი „სიბრძნე სი-ცილისა“ და... ისიც აკაკის ამ ყვედრებით უნდა დაწყებულიყო.

თუმცა, ცხადია, არ გამოგვრჩებოდა — ანკი როგორ შეიძ-ლება გამოგვრჩენოდა — თედო სახოკიას იმ წამოწყების მნიშვნელობა და ხშირადაც გვიფიქრია: ნეტა ასეთი თავგამო-დებული მოხალისე სხვათაც გვიმოსჩენოდათ, უშუორველად რომ ფანტავდნენ ფრთიან სიტყვა-ფრაზებსა და კაფია-ექსპ-რომტებსო. მდარე ნიმუშები შეერეოდა იუმორის ბაჯალლო გამონათებებს — უშუალოდ იმ ენაკვიმატი, ენამჭვერი კაცი-სა თუ სხვათა ნახელავი? რა — შედარებით ნაკლებირებული ნანარმოები არ ნაკვიკითხავს სახელოვან მწერალთა სახე-ლით, ანდა სულაც სუსტი? და განა ინტერპოლატორთა ენთუ-ზიაზმისაგან დაზღვეულია ვინმე?

დაკარგვასა და გაქრობას ადვილად არ უნდა ვეგუებოდეთ და არ უნდა გვეგონოს, რომ სულ ასე გაგრძელდება დაუსრუ-ლებლივ და ჩანიშნვას ყოველთვისაც მოვასწრებთ... ყოველთ-ვისაც, ყოველთვისაც...

აკაკის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის მო-ხაზვისას თუ გაუძლებდა ცთუნებას თედო და წამლადაც კი არ გაურევედა პოეტის მახვილსიტყვაობის რომელიმე ნიმუშს, იაკობ გოგებაშვილის კოლორიტული სახების ნარმოქმნისას არამცთუ გაიხსენებდა აკაკის იუმორისტულ გამოსხივებას, არამედ ესეის სულაც მისი ნაკვესით დააგვირგვინებდა.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად თედო სახოკია საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „დედა-ენის“ შემოქმედს ძალიან უყვარდა აკაკი წერეთელი, ვინც ასეთივე სიყვარულითა და პატივისცემით უხდიდა საქართველოს ამაგდარ პედაგოგს. და განა რა მოხდა, რომ, მიუხედავად ამ სიყვარულისა, კვიმატი ენის პატრონ მგოსანს ხანდახან უწყინარი მეგობრული შარყის მსგავსი ნაკვესი წამოსცდებოდა იაკობის მისამართით.

და აბა ეს მემუარისტული ჩანახატი ისე როგორ დაემთავ-რებინა, ერთი მათგანი რომ არ შეეთავაზებინა მკითხველი-სათვის.

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვა ჩვენთა მწერალთა ბიოგრაფიის იონა მეუნარგია რომ მეგობრობდა ჩვენებურ გენერლებს — გრიგოლ ორბელიანს, გრიგოლ დადიანსა და სხვათ — და მათთან სიარული და ურთიერთობა უყვარდა, ეს ყველასათვის თვალმისაცემი გახლდათ და, ერთხელ აკაკი იონას იაკობ გოგებაშვილთან გავლილს რომ დაინახავდა, თანამოსაუბრეს ჰკითხავდა მიაშიტი სახით:

— ნეტა როდის მიუღია იაკობს გენერლობა?

ის დიდად გაოცდებოდა:

— როგორ თუ გენერლობა?..

— როგორ და იონა მეუნარგიასთან დადიოდა.

სხვა შემთხვევაში თედო ბოლომდე გაუხსნიდა მკითხველს ამ არცთუ უწყინარი გადაკვრის ქვეტექსტს, რომლის ისარიც იაკობისკენ კი არა, იონა მეუნარგიასაკენ მიმართულიყო, მაგრამ იდუმალი ხმა უკარნახებდა, თავშეკავება გიჯობსო.

აკაკისათვის სამაგიეროს გადახდად ჩამოართმევდნენ.

არა მარტო გალაკტიონის თვალში მოჩანდნენ ის და აკაკი მტრებად, არამედ ბევრი სხვისაც — სამართლიანად თუ უსამართლოდ, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა... თორემ გენერლებთან მეგობრობა-ურთიერთობის გამო არ ასტეხოდა სახელოვანი მგოსანი იონას, არამედ იმ ბიოგრაფიული ქრონიკისათვის, გრიგოლ ორბელიანს რომ მიუძღვნოდა. ჯერ „სადღეგრძელოს“ შემოქმედის ასეთი ამალგა არ ეჭაშნიკებოდა და ამიტომაც ნაჰკრავდა და ნამოჰკრავდა კბილს; მეორეც ის, რომ გამუდმებით შეახსენებდა ბიოგრაფოსს, ცოტა აქეთ-იქითაც გაიხედ-გამოიხედ, იქნებ გენერლებზე არანაკლები შემოქმედნიც გვიგულისხმო შენი ბიოგრაფიული ქრონიკების ციკლით. ის კი ირწმუნებოდა, ეს ნამოწყება კვლავაც გაგრძელდებოდა, და აკაკი ნერეთელზედაც აგროვებდა შესაფერის მასალებს, მაგრამ ამას სული უსწრებდა: როდისღა, როდისღა!..

ამის გამო მოჰყვებოდა იაკობ გოგებაშვილი უნებლიეთ აკაკის ერთი ნაკვეთის შუაგულში.

არა, თედოს არ უღირდა ამ ყოველივეს გამოფარჩავება და თხრობის გახალისების იქით აღარ გადაუცდებოდა ფეხი.

თხრობის გასახალისებლად კი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტშიც ჩართავდა იმ ანეკდოტისებურ შეხუმრებას, ესის გმირს ნიკო ნიკოლაძესთან რომ მოსვლოდა, ანუ ზმების ტყორცნაში ტოლი არ დაედო მისთვის.

ზაფხულის პირზე ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, ორივე ტფილისიდან სააგარაკოდ გასასვლელად რომ ემზადებოდა, ილიას ეკითხა:

— საით აპირებ წასვლას?

იმას პასუხი რუსულად დაუბრუნებია, და თუ რატომ, ადვილი მისახვედრი შეიქნებოდა:

— Или Коджори или Боржоми?

და რომ უნდა ეცინა გულიანად თანამოსაუბრის წამხდარი სახის შემხედვარეს, რის წამხდარი, რა წამხდარი, როდესაც ასეთი პასუხი დაუბრუნდებოდა რუსულადვე და უჩვეულო სისწრაფით:

— Ни Коджори, ни Боржоми.

თედო ენამოსწრებულად მოიხსენიებს ილიას, რითაც აგრძნობინებდა მკითხველს, რომ ეს ზმა რაღაც შემთხვევითობით კი არ გამოსვლოდა, არამედ საერთოდაც სჩვეოდა მახვილი და ფრთიანი სიტყვა-გამოთქმები და, თუმც ამ მხრივ აკაკი უფრო განთქმულიყო, არც ამას აკლდა ამ იშვიათი უნარის გამჟღავნების შემთხვევები. ეგვა, იმასავით ესეც დაუხანებლად და უანგარიშოდ ფანტავდა ენამოსწრებულობის მარგალიტებს და აქა-იქდა თუ შემოგვრჩენია ის ელვარე ნიმუშები.

თედოს იქნებ კიდევ განეზრახა ამ ნიმუშთა შეგროვებაც, აკაკის ნაკვეთებს რომ მოათავებდა, მერე ილიას ნაკვეთებზე გადაერთვებოდა, მაგრამ... ის არაჯანსაღი აჟიოტაჟი ჩაუკლავდა საამისო სურვილს.

ლიტერატურულ პორტრეტში კი — ჰა, კიდევ ერთი ნიმუშიც გამოერია, თორემ მეტი უკვე თვალმისაცემი იქნებოდა.

ყოფილიყო, რა დაშავდებოდაო, აქედან კი დავეცემთ დასტურს, ის კი არა, რარიგ გვენანება, ილიას ფრთიანი გამოთქმები და მახვილი ფრაზები დავინყებაში რომ ჩანთქმულა, მაგრამ რასაც თავი ვერ მოება, ვერ მოება, და ეს ყველაზე ნაკლებადაა თედოს ბრალი.

ისე, თედო სახოკიას ასეთი კრებულის შედგენაში ხელი რომ არ შეშლოდა, ნეტა ილია ჭავჭავაძეს რა შთაბეჭდილება დარჩებოდა ნიგნის გაცნობისას? იმასაც ხომ არ დასცდებოდა ჩაკითხვისას: დალაზვროს ეშმაკმა, ეს რამდენი ილია ყოფილაო. და მასაც მოლა ნასრედიანის აჩრდილი ხომ არ წამოეტუზებოდა, რათა იმისათვის შეეჩივლა: შენსავით მეც უნდა ვზიდო სხვათა უკბილო და უმარილო ოხუნჯობანიო?! და თვითონვე ხომ არ მოინდომებდა თავისი ხუმრობების შეკრებას, რათა უკეთესი სურათი წარმოეჩინა თავისი იუმორისტული ნიჭისა, გაცხარებული კამათის დროს დიდად რომ შეველოდა, ვინრო წრეში იქნებოდა თუ ავანსცენაზე?.. თუ მოინდომებდა, კიდევ განახორციელებდა ამ ჩანაფიქრსაც, აკაკივით მალევე კი არ აუცრუვდებოდა გული, წამიერი შეცბუნება თუ გაგულიება გადაუვლიდა თუ არა. და გული გწყდება, რომ იმ აჟიოტაჟმა ასეთი კრებულები გამოგვაცალა ხელიდან: თედო სახოკიას მიერ შეკრებილი ილიას ნაკვეთები და თვითონ ილიას მიერ თავმოყრილი საკუთარი მოსწრებული სიტყვა-პასუხი.

ჰა, კიდევ ერთი ნიმუშიც გამოერიაო...

1903 წლის შემოდგომაზე ჩვენს ქვეყანას პარიზიდან ესტუმრებოდა ცნობილი მოგზაური და საქართველოს სხვადასხვა კუთხის აღმწერი ბარონ დე-ბაი. დავით სარაჯიშვილი ფრანგ სტუმარს სადილად დაპატიჟებდა თავის სახლში, ფრენილის ქუჩაზე (შემდგომ სულხან-საბა ორბელიანის სახელი რომ ეწოდებოდა და კიდევ შემდგომ — ივანე მაჩაბლისა). სადილად მიიწვევდა: ილია ჭავჭავაძეს, ალექსანდრე სარაჯიშვილს, პეტრე უმიკაშვილს, ფილიპე გოგიჩაიშვილსა და თედო სახოკიას.

მასპინძლის მეუღლე ეკატერინე ქალაქიდან იყო გასული, ასე რომ, სუფრას მარტო მამაკაცები უსხდებოდნენ. სადილი, რა გასაკვირია, დიდი სიმზიარულით თუ გამოირჩეოდა. საუბრობდნენ ქართულად და ფრანგულად.

პეტრე უმიკაშვილი ვიღაცას თუ ვიღაცებს უწიოდა: დამჩაგრეს, აქაოდა გულკეთილი ხარო, დაბლა ღობედ გამიხადესო.

ნათქვამი უფრო ნათელი რომ გაეხადა მსმენელთათვის, ანდაზასაც მოიშველიებდა:

— მტრედს თავის სიალალთ ნისკარტს მოსჭრიანო.

სულ დაავიწყდებოდა, რომ პატარა თავ-ტანთა შედარებით მეტად დისპროპორციული ცხვირი ჰქონდა და ეს ცხვირი ილია ჭავჭავაძეს ადრეც მეგობრული შარჟის საგნად გაეხადა. ახლაც ამისთანა შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა და პეტრე დაასრულებდა თუ არა სათქმელს, ილიას ასე უნდა ენუგეშებინა:

— ჩემო პეტრე, ფიქრი ნუ გაქვს, რაც უნდა ბევრი მოგაჭრან ცხვირი, სამყოფი მაინც დაგრჩება!..

ეს მოსწრებული სიტყვა საერთო სიცილს რომ გამოიწვევდა, ყველაზე მეტად თვით პეტრეს აცინებდა, სრულიად გულწრფელად და უწყინრად, თორემ თედოს მზერას არ გამოეპარებოდა მისი დაფარული განაწყენებაც. რაზე იცინითო? — კითხულობდა ბარონ დე-ბაი. ესენი პეტრეს ვერ გაიმეტებდნენ იმის თვალში, ამიტომაც რაღაცას შეთხზავდნენ სახელდახელოდ, მაგრამ ისე მარჯვე გამოუვიდოდათ, ფრანგ სტუმარსაც გულიანად აცინებდნენ.

ხოლო იმ ეპიზოდს რომ გაიხსენებდა, თუ როგორ ესტუმრა ილია ბერლინის 1903 წელს (ოლონდაც რომ დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ მანამდე დასავლეთი ევროპა არ უნახავსო, — საგანგებოდ დასძენდა), რათა შერყეული ჯანმრთელობისათვის მიეხედა, და გვამცნობდა, რომ ამ შორ გზაზე მას ახლდნენ რომანისტი ანტონ ფურცელაძე და ფშავ-ხევსურეთზე ეთნოგრაფიული წერილების ავტორი

და ქართველ სჯულმდებელთა მკვლევარი ნიკო ხიზანიშვილი. მთელი ის მონაკვეთი ნიკოს ირგვლივ უფრო გაიშლება და... აშკარა ნოველას დაემგვანებოდა, სიხალისითა და მხიარული იუმორით გამთბარს.

ეტყობა, ფიქრობდა, ვაითუ ცალკე აღარ მომიხერხდეს ნიკო ხიზანიშვილის ლიტერატურული პორტრეტის შექმნა და ბარემ ვისარგებლებ ილიასთან მისი მეგობრობით და აქვე მოვხაზავ მისი ხასიათის იმ თვისებას, სიცილს რომ იწვევდა გარშემო და ილიაც გამუდმებით ექილიკებოდა, თითქოს თვითონ დაზღვეული ყოფილიყოს ამ გატაცებისგანო.

ილიას ორივე თანამგზავრი მოუცდელი სტუმარი რომ იყო მისი ხუთშაბათობებისა, რომლებზედაც ზოგჯერ ორმოცდაათ კაცზე მეტიც მოიყრიდა ხოლმე თავს და იყო სჯა-ბაასი ქართულ ლიტერატურაზე, საქართველოს საზოგადო კითხვებსა თუ სწავლა-განათლების საქმეზე, ყოველივე კი ტრადიციული ვახშმით უნდა დასრულებულიყო, ვახშამზე გამოჩინებულ ფიგურად წარმოდგებოდა სწორედ ნიკო, როგორც ცნობილი ბევრისმჭამელი და არაჩვეულებრივი ტყეალობის მუცლის პატრონი.

მისი სმა-ჭამა ყველასათვის საარაკო იმიტომაც იქნებოდა, რომ ყოფილა შემთხვევები, რომ არა სჯერდებოდა ოფიციალურ ვახშამს და შეიპარებოდა ხოლმე მასპინძლის სამზარეულოში, იქ კი, დაინახავდა თუ არა დაბრუნულ გოჭს, პირი ნერწყვით გაეცებოდა, მიუჯდებოდა და მანამდე შეექცეოდა, ვიდრე ცარიელ ძვლებს არ დატოვებდა. მზარეულს გოჭის შემოტანა რომ დაუგვიანდებოდა, თვითონ ილია ჭავჭავაძე მიაკითხავდა სამზარეულოს და... შერჩებოდა დარცხვენილი ნიკო გოჭის ძვლებით ხელში.

იმ გარემოში სხვა რა მოჰყვებოდა ნიკოს საქციელს, თუ არა საერთო სიცილი.

ერთხელ თედოს ექნებოდა საქმე მასთან — პარასკევი დღე იყო და ამიტომაც გვიან ესტუმრებოდა, პირველ საათზე. ნიკოს მეუღლე სოფელში წასულიყო და ჩამოსვლა რომ დაუგვიანდებოდა, ორის ნახევარზელა შემოალებდა სახლის კარს. და ილია ჭავჭავაძისაგან წამოსული ნიკო (იქ უდმერთოდ რომ დანაყრდებოდა, რა მიხედვრა უნდა) მეუღლეს პირველად ამას ჰკითხავდა: — აბა, ლიზაჯან, რა ჩამოიტანე სოფლიდან?

და ის რომ მიუგებდა: ყველაფერიო, — ეს ზოგად პასუხს რას იმყოფინებდა და სათითაოდ ჩამოათვლევინებდა, რათა ჯერ საქმელ-სანოვანის სახელთა მოსმენით დამტკბარიყო და მერე — მათი შეხრამუნებით. ჭამის სხვა მოყვარული „შემწვარ გოჭს“ რომ გაიგონებდა, ეგებ ნეტარებაშიც გადავარდნილიყო, მაგრამ ნიკო?!..

- მეტი?
- შემწვარი ინდაური.
- ინდაური კარგია... მეტი?
- შემწვარი დედალი...
- მეტი?
- ერთი ხურჯინი თონის პური, შენ რომ გიყვარს...
- გოჭთან თონის პურს თუ რამე სჯობია!..

რა ექსპრესიით მიმდინარეობდა ცოლ-ქმრის სიტყვა-პასუხი, თედო სახოკიას თხრობაში ისეთი მოხდენილობით რომ გადაინაცვლებდა, თითქოს „კაცია-ადამიანის?!“ დაკარგული ფრაგმენტი ყოფილიყო, ილიას მიერ უსამართლოდ დაწუნებული და ამოგდებული სიუჟეტის მდინარებიდან მომდევნო პასაჟიანად, მადისაღმძვრელი სურათი რომ აღინერებოდა, თუ როგორ მისჯდომია მასპინძელი ჯერ გოჭს, თვალის დახამხამებაში რომ უნდა დაუბნელოს სიყმე... და გარეშე კაცი ვერაფრისდიდებით ვერ ირწმუნებდა, რომ ილიას ხუთშაბათობის ვახშამი ჰქონდა ნაჭამი — და ალბათ ერთი გოჭი საკუთრად!.. გოჭს მიაყოლებდა ინდაურს და ცალ ხურჯინ თონის პურს... მერე დედალსაც...

და სიამოვნებისაგან უნდა აღმოხდომოდა:

— თუ ჭამა ინატროს კაცმა, ასეთი ინატროს!.. ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა!

და ბერლინში პროფესორ ლეიდენს რომ ესტუმრებოდნენ, ექიმი ჯერ გასინჯავდა ილია ჭავჭავაძეს, ვისაც გული მეტად დალილი და უნუგეშო მდგომარეობაში აღმოაჩნდებოდა, და დიდი მოსვენება სჭირდებოდა. აბაზანებს რომ დაუნიშნავდა პროფესორი, ანტონ ფურცელაძესაც ასეთივე მკურნალობას გამოუწერდა. ნიკოს კი თვალს მოჰკრავდა თუ არა, თარჯიმანს გადაულაპარაკებდა: ამ კაცს ჭამა ჰყვარებია და გადაყოლილიც იქნება ამ საქმესო. და დასძენდა: მეცნიერულად ამ სნეულებას ბულიმიია ჰქვია, ხოლო მათებურად, მდაბიურად: გაუმაძღრობა ანუ ღორმუცელობაო.

უნებლიეთ „მგზავრის წერილების“ ის პასაჟი ხომ არ წამოგიტვიტივდათ, მთავარი გმირისა და რუსი ოფიცრის ბაასიდან, ის „მეცნიერულ“ გამოთქმებს რომ იყენებს და იქვე „მდაბიურად“ მოუთარგმნის?!.. და თედოსაც ამ სტრიქონების წერისას ალბათ ილიას ეს პირველი პროზაული ქმნილება ახსენდებოდა და თავისთვის ელიმებოდა.

ბერლინელებს რომ შეარქმევდნენ ამ სამეულს პროფესორ ლეიდენთან სტუმრობის გამო, თერგდალეულთა ანალოგიით მოხდებოდა, თუმცა ეგებ „ოდერდალეულები“ უფრო სჯობდა — მეტი სიხალისისა და იუმორისათვის, მაგრამ ამჯერად იმ გზასაც მივადევნოთ მზერა, ნიკო — განსხვავებით თანამგზავრთაგან, იქიდან პირდაპირ ტფილისში რომ დაბრუნდებოდნენ — მეუღლესთან ერთად პარიზს, შვეიცარიასა და ვენას რომ მოივლიდა, საქართველოში ფეხის შემოდგომისას კი ძველ მეგობარს, ექიმ სამსონ თოფურიას შეუვლიდა ქუთაისში, ძალიან რომ გაახარებდა თავისი სტუმრობით, მაგრამ ამასაც ათქმევინებდა: ღმერთი არ გაგინყრეს, შენებურმა ღორმუცელობამ არ გაგიტაცოს და ჩემს ხელში რაიმე არ მოგივიდესო.

პირველი დღე კი ჩაივლიდა მშვიდობიანად, მაგრამ სამსონსაც რა ექნა, უამრავი საქმე ეხვია და სტუმარს ყოველ წუთს თავზე ხომ არ დაადგებოდა, ეგაა, სადმე ვიზიტად წასვლისას ნიკოს უბარებდა: შენი ჭირიმე, არ დამლუპო, მეტი არა ჭამოო.

ითმენდა, ითმენდა ნიკო, მაგრამ განა როდემდე?! და თავისებურად რომ მიაძლებოდა, დაიწყებდა კრუსუნს და ჩანვებოდა... მეგობრის თხოვნა-ვედრება ერთხანს კი დააოკებდა, მაგრამ მერე კვლავ ნახსლევდა სული... სამსონი ძალიან დაფრთხებოდა, ხელში არ ჩამაკვდეს და სირცხვილი არა ვჭამოო!.. და ნიკო იძულებული შეიქნებოდა გამოსთხოვებოდა მასპინძელს და მას შემდეგ ქუთაისისაკენ აღარც გაჭაჭანებულიყო.

თითქოს ლუარსაბ თათქარიძე გამოგვცხადებოდეს, ისეთი რელიეფურობით წარმოდგება ნიკო ხიზანიშვილის პორტრეტი. მერე რა, რომ ეს პერსონაჟი არსადაა ნახსენები. განა რა ხსენება და მინიშნება უნდოდა, ისე ვერ წამოგვავიდებოდა?!.. და არაპირდაპირ ჭამით ილია ჭავჭავაძის გატაცებაც ილანდება სტრიქონსა და სტრიქონს შუა. მერე რა, რომ ასეთი ღორმუცელური არა, ანკი ნიკოს როგორ შეეტყუებოდა, მაგრამ ილიასადმი მიძღვნილ ესეიმი სავესებით ბუნებრივად თავსდება ნიკო-ლუარსაბის ცხოვრებისეული ეპიზოდები, ჩართულ ნოველას რომ მოგვავიწყებს.

თუმც სევდიანი დასასრული კი უნდა აღმოაჩნდეს ამ ნოველას.

ვიცინით, ვხალისობთ ნიკოს ბულიმი-გაუმაძღრობაზე და... უეცრად თედო სახოკიამ უნდა შეგვახსენოს, რომ ნიკო 1906 წელს, როგორც გამოძიებელი, პასუხისგებაში მიცემულ ხულიგანთა, ძმათა კასრაძეთა, მსხვერპლი შეიქნა.

ესეც ის აკორდი, რასაც თავისებურად უნდა განემსჭვალა მთელი ეს მონათხრობი, გულიან სიცილში შერეული ცრემლის კურცხალი და ერთბაშად გადახსნა ეპოქის ტრაგიზმისა, ილია ჭავჭავაძის გარდუვალი ხვედრით დაკირული და მომარავანდებული.

საგულისხმოა, რომ ბერლინურ თავგადასავალსა და ილიასა და ნიკო ნიკოლაძის ზმა-კალამბურულ გაპაექრებას უშუალოდ უნდა მოჰყვეს წინამურის ტრაგედიის გახსენება და სოხუმის საპატიმროს გამოხმაურება ამ შემადრწუნებელ ამ-

ბავზე — თედოს თაოსნობით პოლიტიკური ტუსალები სამ-
ძიმრის დეპეშას რომ გამოგზავნიდნენ „ისრის“ რედაქციაში,
სოციალ-დემოკრატები კი პარტიული მოსაზრებით განზე
გადგომას ამჯობინებდნენ.

ესეის კომპოზიციური სტრუქტურის ასე აგება ავტორის
ტალანტის კიდევ ერთი გაბრწყინება გახლდათ.

ვახტანგ ჭელიძე თედო სახოკიას ნოველური ჩანარების
სათვალსაზრისოდ სხვა ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრ-
ეტს მოიხმობდა — რაფიელ ერისთავზე, თხრობაში სასაცილო
ამბავი რომ უნდა შემოჭრილიყო სოფელი მღვდლისა, და ამ
შემთხვევაშიც დასასრული სევდიანი უნდა ჰქონოდა ნოველას.

რაფიელი მთელ თავის დღეებს სახელმწიფო სამსახურს
რომ შესწირავდა, მხოლოდ ერთ ხანას თავისი ცხოვრებისა,
1880-89 წლებს მოახმარდა ინტენსიურ შრომას სალიტერა-
ტურო ასპარეზზე, მაგრამ ეს მარტოდენ სულიერ კმაყოფი-
ლებას ანიჭებდა, ისევე, როგორც სხვა ლიტერატორებს, რად-
განაც მატერიალურ უზრუნველყოფასა თუ ნაწილობრივ მა-
ინც დაფიქსირებდა ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

და პური არსობისა საძებარი რომ გაუხდებოდა, 1888
წელს გაიცნობდა სემინარიელ სიკო გქელიძეებს, ერთხანს
„ივერიის“ რედაქციაშიც რომ თანამშრომლობდა, და შესწივ-
ლებდა თავის უმწიფო მატერიალურ ყოფას და დასძინდა, კა-
ხეთში, სოფელ ქისტაურში მშვენიერი ვენახები მაქვს და სა-
უცხოო ღვინოც მომდისო.

ის აღტაცდებოდა: ღვინის პატრონი როგორ შეიძლება ლა-
რიბად იხსენიებოდეს, ბრაღია, სირაჯებს ალაგობრივ ჩაუფ-
დოთ ხელთ ასეთი ნაღობი და მომგებიანი საქონელი. ჩამოატა-
ნინეთ ქალაქში, აქ დავიქირავთ სადმე დასამხარ ალაგას
სარდაფი, ორივე შიგ ჩავსხდეთ, ვყიდოთ ღვინო, მოვიგოთ
ფული და მტერს თვალი დაუფიქროთ, აღარც სამსახური გვი-
ნდა და აღარც უფროსიო.

და ხელდახელ რომ შეუდგენდა რაფიელს გეგმას მათი მომა-
ვალი ვაჭრობისა, ფულის მოგების პერსპექტივასაც გადაუშლი-
და: მაშინ თქვენი ნაწერების გამოცემის საშუალებაც გექნებაო.

და რაფიელი — ესეის ავტორი ასე რომ წარმოგივდიგენს მი-
სი პიროვნული ხასიათის უმთავრეს შტრიხებს: ალალი გულის
პატრონი, უემშაკო, ადამიანს ადვილად ენდობოდა, ეს წუთისო-
ფელი ისე მოჭამა, ერთი განაწყენებული კაციც არა ჰყოლიაო
— თანამოსაუბრის სიტყვებით გაბრუებული, სიხარულით ცას
დაენეოდა და გულწრფელ სინანულს მოჰყვებოდა: რატომ აქამ-
დე ვერ მივხვდი, ცხოვრება როგორ უნდა, აფსუს, რომ ვცდებო-
დი და ჩემი დღენი სახელმწიფო სამსახურს შევალეო.

ერთი ონორე დე ბალზაკს გაუმართლებდა, რაღაც-რაღაც
საქმეებს რომ მოეკიდებოდა, სამუდამოდ ავშენდებოო, სინამ-
დვილემი კი ფულსაც და ენერჯიასაც ამაოდ მიაფშენდა მის-
თვის სრულიად უცნობ და გაუაზრებელ წამოწყებებს, და მე-
ორე, რაფიელ ერისთავი აანწყობდა საქმეს — კომერსანტი
ეკონომისტი გახლდათ, თუ რა!.. მდიდარი წარმოსახვა და ოც-
ნებანი დაზარალებით თუ დაზარალებდა, თორემ ხეირს არა
სწევდა... თუმც თავიდან სულაც არ ეტყობოდა ამ წამოწყებას
მარცხიანი დასასრული — სარდაფს პუშკინის ქუჩაზე დაიქი-
რავებდნენ, ქალაქის ცენტრში, მოგვიანებით წითელი ჯვრის
სააფთიაქო მაღაზია სადაც გაიმართებოდა, და აი, ერთ მშვე-
ნიერ დღეს რაფიელი მოადგებოდა ამ სარდაფს თავანკარა
ღვინით სავსე კასრებითა და რუმბებიანი ურმებით.

ღვინოს რომ დააბინავებდნენ, ამხანაგები როლებს ასე გა-
ინანილებდნენ: სიკო გქელიძეილი დახლში დაჯდებოდა და
უხელმძღვანელებდა ფირმის საფინანსო ნაწილს, რაფიელი კი
იკისრებდა მუშტრის დახვედრას, სუფრის გაშლას, კერძების
მირთმევას, ხელადებით ღვინის ჩამოსხმას, მყალზე მწვადე-
ბის შეწვას, მუშტართან გახუმრებას, დროზე მოალერსებას,
მოსწრებული სიტყვებისა და შაირების თქმას.

ორიოდ შტრიხით რაოდენ სახიერად წარმოჩნდება სარდა-
ფის გარემოც და რაფიელ ერისთავის ადამიანური ბუნებაც;

ის კოლორიტული იერი, რამაც იგი საყვარელ პიროვნებად აქ-
ცია ხალხის თვალში, და ნიშანდობლივია, რომ პირველი იუბი-
ლე საქართველოში მას და სწორედ მას გადაუხადეს.

ქალაქს მსწრაფლ რომ მოედებოდა ხმა ამ ახალი სარდა-
ფის გახსნისა და მისი თავანკარა ღვინის ქებას სად აღარ გა-
ისმოდა, მუშტარი მიაწყდებოდა და რას მიაწყდებოდა, დარ-
ბაზში ტევა აღარ იქნებოდა.

თედო მკითხველს საგანგებოდ აუწყებს მუშტრის აღფრ-
თოვანება-მიზიდვის მთავარ მიზეზსა თუ მოტივს: სარდაფის
პატრონები ნისიად გაცემაზე უარს რომ არ ამბობდნენ. თუმც
იმ გარემოებასაც თავის მნიშვნელობას მიაჩვენებს, მუშტრის
ერთ ნაწილს თვით პოეტის ნახვა რომ იზიდავდა, მისი ხუმრო-
ბის გაგონება, და მადლიერნი და აღტაცებულნი რომ ბრუნ-
დებოდნენ, ქათინაურები არ ეზოგებოდათ რაფიელისადმი
საქმის ასე სამაგალითოდ დაყენებისათვის.

და აი, თხრობაში უნდა გამოჩნდეს რაფიელის კომპანიონის
ბიბა — სოფელ მეჯვრისხევის მღვდელი დავით გამრეკელი —
ისეთი ამოლტლი, სხვებს ერთი მტკავების სიმაღლიდან გად-
მოსცქეროდა, და სიმსხოც სიმაღლის შესაფერი ჰქონდა.

და ამის შემდეგ ისეთი მსუყე ფერებით უნდა დაიხატოს ამ
კაცის პორტრეტი, გროტესკული იერით გარგანტუასა და
პანტაგრუელს აღარც ჩამოუვარდება, მისი სახის გამომეტყ-
ველება განუწყვეტლივ ერთ რამეს რომ იძახის: მაჭამეთ და
მასვითო!.. და რაც უნდა ბევრი საქმელი ჩაუშვა მუცელში და
ბევრი სასმელი, სუფრიდან წამომდგარს მაინც ვაჟა-ფშავე-
ლას ის სტრიქონები უნდა ემეორებინა: დამისხი, დამალევიწე
ე ღვინო ოხერ-ტიალიო!..

და გრძნობ, რომ მისი გამოჩენა საბედისწეროდ უნდა გა-
დაექცეთ წარმატებულად დაწყებული საქმის თაოსნათ... და
ჰა, კიდევ უნდა აცნობოს ამ ბაყბაყდევის ნატეხსა და მეტსა-
ხელად ბუა-მღვდლად ცნობილს ქალაქიდან ამოსულმა
მღვდელმა: შენს დისწულს, სიკოს, ღვინის სარდაფი გაუღიაო.

და მალევე რომ მიაკითხავდა, ისეთ ცნობისწადილს გამოამ-
ყლავებდა: სარდაფი ნაკურთხია თუ არაო, — თითქოს სულ
ამის ჯვარი ჰქლავდა, სარდაფი უკურთხეული არ დარჩენილი-
ყო. ამიტომაც მღვდელი ოლარს გადაიკიდებდა და შეუდგებო-
და ამ წესის აღსრულებას, რასაც თქვენი მოწონებული სადილი
მოჰყვებოდა. ქართლური თხელი ღვინოები რაფიელის ვენახის
ღვინოსთან შედარებით მღვდელს ჭყაპად მოეჩვენებოდა და ისე
მიეძალებოდა, რაფიელი კასრებიდან ჩამოსხმასა და სავსე ხე-
ლადების სუფრაზე მიტანას ვერ აუვიდოდა. ტოლუმბაშობასაც
პოეტი ითავებდა, როგორც ისედაც განთქმული თამადა, სტუ-
მარი კი სარდაფშივე დაიძინებდა: აქაურობას ვერ მოვშორდე-
ბი, ამაზე უკეთეს ადგილას სადღა უნდა წამიყვანოთო!..

ფრანსუა რაბლესებური სინამდვილის ხატვა გრძელდება
და ასეც შეიკვრის ბუა-მღვდლის პორტრეტიც და თავგადასა-
ვლიც, უეკე უშუალოდ გადაჯაჭვული სარდაფის ბედთან, იმ
პირველი სტუმრობისას მეშვიდე დღესღა რომ ამოყვინთავდა
ღვინიდან და გაახსენდებოდა მეჯვრისხევი დატოვებული
სამწყსო და მასზე ზრუნვა.

თედო სახოკია მარჯვედ გამოურევს მწვავე ირონიას:
თითქოს ჭმუნვა რამ დააჩნდა ღვთის ხატებად შექმნილ სახე-
ზედაო...

და მასპინძლებს რომ დალოცავდა, ალუთქვამდა: არ დაგი-
ვინებთ, ამ ერთ თვეში გნახავთო...

სიტყვას ხომ არ გატეხდა!..

ცალკე ეს მღვდელი მოველინებოდათ უღმერთო მსმე-
ლად, ცალკე არც ნისიის მოყვარული მუშტრები დააკლებ-
დნენ ხელს და... კლება სულ უფრო რომ დაეტყობოდა კასრებსა
და რუმბებს, კომპანიონები გადაწყვეტდნენ, ეანგარიშათ მო-
გება... მოგება კი არა!.. ანგარიში წინწამხდართ დატოვებდა
— უიმედო ნისიების ჩაუთვლელად ვალიც კი ედებოდათ. ღვი-
ნის ახალი პარტიის ჩამოსატანად ხარჯი იყო საჭირო და ხარ-
ჯი კი სადღა უნდა ემოვნათ?!.. და ასე გათავდებოდა რაფიელ

ერისთავის „ვაჭრობა“ და თავს იმით ინუგეგმებდა: ქართველი კაცისათვის ვაჭრობა ღმერთს არ დაუნესებია, (ცდა არ დამიკლია, არაფერი მითაკილია, მუშტრისათვის ერთი სანყენიც არაფერი შემხვედრებია, პირიქით, სულ მიამებია... ბედი უნდა ყველაფერს, ბედი... ჩემს სიცოცხლეში რა აღარ მინახავს, ვაჭრობაღა მაკლდა და ისიც გამოვცადეო.

ამ სფეროში საკუთარ უუნარობას ისიც განაზოგადებდა და საერთოქართულ ხასიათად წარმოიდგენდა, თითქოს ელიზბარ ერისთავი, დავით სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, გიორგი ქართველიშვილი, აკაკი ხოშტარია თუ კიდევ სხვანი ქართველები არ იყვნენ და ღმერთს ამიტომაც დაენესებინა მათთვის კომერსანტობისა და ვაჭრობის უნარი.

ისე, ამ მარცხიან ვაჭრობაშიც რარიგ სახიერად იკვეთება რაფიელის ალალი და მიამიტი ბუნება, ვაჭრობა მუშტრებთან კეთილი და გულითადი მოპყრობა რომ ჰგონია და არ უფიქრდება, რომ ნისიასაც თავისი მიჯნა და საზღვარი უნდა დაედოს, თორემ წარუმატებლობა გარდუვალა, მით უმეტეს, ფრანსუა რაბლეს პერსონაჟი თუ შემოგიჩნდება, ვინც მთლად თუ არ გადანყვეტდა, დაჩქარებით კი დააჩქარებდა რაფიელის სარდაფის დაკეცვას.

სხვას იქნებ აქ მოეთავებინა ბუა-მღვდლის ამბავიც, მაგრამ თედოს ბელეტრისტული უნარი უკარნახებდა, რომ მხიარულ და კომიკურ თხრობას აუცილებლად უნდა შერეოდა სასულიერო პირის ტრაგიკული აღსასრულიც, როგორც თავისებური დასტური სიცილისა და ცრემლის მონაცვლეობისა წუთისოფელში. და ამასთან რაღაც ფარული კანონზომიერებაც, მისთვის ღვთის წყალობად ამოზრდილი სარდაფის დახურვასთან ერთად მისი ამქვეყნიური არსებობაც რომ უნდა დასრულებულიყო.

ერთხელ, ჩვეულებისამებრ ნასვამი რომ ბრუნდებოდა შინ, გამოსავლელი ჰქონდა ხევის წყალი მეჯუდა, ზაფხულობით თითქმის დამშრალი, ქათამსაც რომ შეუძლია შიგ გასვლა. მღვდელი ნაქცეულიყო და თავით წყალში ჩავარდნილიყო, სხეულს წყალი თურმე არც კი სწვდებოდა, მაგრამ ვიდრე მიუსწრებდნენ საშველად, მოძღვარი წყლით გაგუდული დახვდებოდათ.

და ერთბაშად სხვა თვალთა ზომავ მანამდელ ნაამბობსაც და შენს ადგილსა და არსებობასაც წუთისოფელში — სიხარულისა და დარდის, სიცილისა და სევდის მონაცვლეობის სამყაროში.

ხან რაღაც მოვლენა სულაც ტრაგიზმისა და კომიზმის ზღვარზეც რომ გაივლიდა და ბედად საბედისწერო ფინალი არ მოჰყვებოდა, მერე კი შეგეძლო გეცინა და გემხიარულა მის გახსენებაზე, მაგრამ თურმე რაოდენ სახიფათოც შეიძლება ყოფილიყო სინამდვილეში. არადა, ახლა ანეკდოტივითაც შეგეძლო მოგეყოლა, იუმორისტულ ნოველადაც და... ამისთანა შემთხვევას თედო სახოკია ორივე ხელით ჩაეჭიდა.

სხვას რომ წარმოეჩინა ნიკო ლომოურის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი, ბუნებრივად დაბატონდებოდა იმ პასაჟით, „ქაჯანას“ შემოქმედს კედელზე რომ გაეკრა მოზრდილ ჩარჩოში ჩასმული სურათი, ერთი მხრივ, ავსტრიელთა და, მეორე მხრივ, რომის პაპის მიერ დაპყრობილი იტალიის განმათავისუფლებელი ჯუზეპე გარიბალდისა, ვინც მეტად პოპულარული გახლდათ გორელ ხალხოსანთა შორისაც და ვისი ცხოვრებაც და სამსახურიც თავისი ერის წინაშე მისაბაძად და სახელმძღვანელოდ ჰქონდათ გორელებს და, მათ შორის, ცხადია, ნიკო ლომოურსაც.

მაგრამ თედოს გარიბალდის ხსენება ძალდაუტანებლად რომ წამოუტივტივებდა იმ ამბავს, გორში რომ დატრიალებულიყო 1882 წელს, აღარ დაგიდევდა ესეის ჟანრულ ჩარჩოებს და ფინალად სწორედ ამ ეპიზოდს მიუსადაგებდა, ლალი იუმორით აღსავსეს.

რაკილა გორელ ინტელიგენციას ეს სახელი სათაყვანოდ ჰქონდა, ჯუზეპე გარიბალდის გარდაცვალება გადაანყვეტივნებდათ, რაიმეთი აღენიშნათ თავიანთი თანაგრძნობა, მონაწილეობა მიეღოთ იტალიის საერთო გლოვაში და იტალიის

მთავრობას რომში სამძიმრის დეპეშას გაუგზავნიდნენ ასეთი ზოგადი ხელმოწერით: „გორის ინტელიგენცია“.

რუს მმართველთაგან მოსალოდნელ საფრთხეს წინასწარვე იგუშანებდნენ და საკუთარ ვინაობათა დაფარვას ამიტომაც ამჯობინებდნენ?

არა, სიალალთ უფრო მოუვიდოდათ — ხელმოწერა რაც უნდა ბევრი ყოფილიყო, მაინც შემოზღუდული იქნებოდა, ზოგადი აღნიშვნა კი წამკითხველთა წარმოსახვას კიდევ უფრო გაამძაფრებდა და სამძიმრის დეპეშასაც მეტ მნიშვნელობას შესძენდა, ამ ორი სიტყვის მიღმა ხალხის ერთსულოვნებას რომ აგრძნობინებდათ.

რომში სათანადოდაც შეაფასებდნენ შორიდან მოსული თანაგრძნობის სიტყვებს ამ ეროვნული გლოვის ჟამს და გორში სამადლობელი პასუხის გამოგზავნას დაადგენდნენ.

მაგრამ „გორი“ მათთვის სრულიად უცნობი რომ გამოდგებოდა?

რა ელონათ... რა ელონათ და... აილებდნენ და პირდაპირ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემოუთვლიდნენ მადლობას „გორის ინტელიგენციისათვის“ გადასაცემად. კი, როგორ არა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სულ მადლობის გადასაცემად გაირჯებოდა!.. მადლობას ვინ ჩივის, ფიცხელ განკარგულებას გასცემდა აღმოსაჩენად იმ კადნიერი „ინტელიგენციისა“, რომელმაც ამ სამინისტროს დაუკითხავად, უშუალოდ გაბედა დეპეშის გაგზავნა უცხოეთში და ისიც ისეთ საშუალებით დაკავშირებით, როგორიც გახლდათ ჯუზეპე გარიბალდი მაშინდელი რუსეთის თვალში!.. ბევრიც ეძებეს და თავგამოდებითაც ავტორები სამძიმრის დეპეშისა, მაგრამ ოფიციალურად ხელი ვერავის დაადეს და როგორღა დასჯიდნენ.

და რაკილა ყოველივე ასე კეთილად დასრულდებოდა, თედოს შეეძლო ღიმილით, სწორედ ამ მოხდენილ აკორდზე დემთავრებინა თხრობაც და ესეიც:

— ასე რომ, გარიბალდის გორელმა თაყვანისმცემლებმა შიში სჭამეს თავიანთი პატრიოტული გამოსვლისათვის.

ლიტერატურულ პორტრეტში ჩართული ნოველა რა სათქმელია, რაკილა ეს ჟანრი იგუებს და მარჯვლევაც იგუებს ასეთ ჩანართებს, გნებავთ დრამატიზმით და გნებავთ იუმორითა და კომიზმით განმსჭვალულს, ვახტანგ ჭელიძეს ის კიდევ უფრო აღაფრთოვანებდა, ეთნოგრაფიული ყაიდის თხზულებებშიც რომ შეეძლო თედო სახოკიას ცალკეულ ეპიზოდთა ჩასმა ნოველებივით და ზოგჯერ ეს ნოველები ძვირფასი თვლებივითაც გაიღვებდნენ.

აი, თუნდაც „მოგზაურობანი“...

თუმც ეს უკვე სხვა ქარგა და სხვა მოსათხრობია, ამჯერად ხომ იმ სიუჟეტური ძარღვის ირგვლივ ვტრიალებთ, თედო სახოკია აკაკის ნაკვეთების თავმოყრით სასიკეთო საქმის აღსასრულებლად რომ განწყობილიყო და არაჯანსაღი აჟიოტაჟი კი განზრახვას დასაწყისშივე ჩაუკლავდა. და კიდევ კარგი, იმ ანდაზის პერსონაჟივით არ დაემართებოდა: ფაფით შეშინებული დოს რომ უბერავდა. და თანამედროვეთა პორტრეტში გააბნევედა იუმორისტულ პასაჟებს, მწერლური ხელოვნებით სულაც ნოველებად რომ გამოჰკვეთდა.

არა, ის მაინც რატომ უნდა მომხდარიყო, რომ აკაკის სიცოცხლეშივე შეეგროვებინათ მისი მოსწრებული სიტყვათქმანი და მასთან შეუთანხმებლად გამოეცათ?

ნაკითხებინა მისთვის თედო სახოკიას, რა იქნებოდა?

ჯერ ვინც უნდა ყოფილიყო, და მერე თვით აკაკი წერეთლის მოსაზრებანი არ გაითვალისწინო მისი სახელით გამოცემულ ნიგნში?

რა სულსწრაფობა გამოიჩინა ამისთანა?

გაცნობოდა სასტამბოდ გამზადებულ მასალას აკაკი წერეთელი, რაღაცას ამოაკლებდა, რაღაცას ჩაამატებინებდა,

და საბოლოო რედაქციას წარუდგენდა შემდგენელს. კრებუ-
ლიც უფრო დაიხვეწებოდა და თედოც ასცდებოდა შარსა და
უსიამოვნებებს, სალიტერატურო ასპარეზზე ახალგამოსული
მაინცდამაინც სკანდალში რომ გაეხვეოდა და... სასამართლო
დავის შუაგულშიც აღმოჩნდებოდა.

რა სულსწრაფობა გამოეჩინა ამისთანაო...
თურმე... არც არავითარი.

ვიდრე აკაკის ოხუნჯობათა შეგროვებას შეუდგებოდა, ნი-
ნასწარვე ამცნობდა სახელოვან თანამოკალმეს, ასე და ასე
ვაპირებო.

ის მოუნონებდა და შეაგულიანებდა.

ესეც თავისებური ენერგიულობით დაუტრიალდებოდა ამ
საქმესაც და მალევე მოუყრიდა თავს საკმაო მასალას.

სტამბაში მიტანამდე ჯერ აკაკი წერეთელს აახლებდა გა-
საცნობად.

ის ყოველგვარი შენიშვნის გარეშე დაუბრუნებდა — არც
არავითარი წარწერა აღმოჩნდებოდა ფურცლებზე და არც
სიტყვიერად ეტყოდა რაიმე ამგვარს.

სტამბაში აინწყობდა ეს ორიგინალური წიგნი, პირველ
კორექტურასაც გულდასმით წაიკითხავდა თედო და მეორე-
საც, მაგრამ დასაბეჭდად გაშვების წინ მაინც არ იჩქარებდა
და კორექტურის ფურცლებს აკაკის წარუდგენდა: ეგებ ახლა
მაინც გაგინდეს რაიმე შენიშვნა, ანაწყობში ყველაფერი უფ-
რო თვალშისაცემიაო.

წამოსაღებად ეახლებოდა და... ანაწყობიც ყოველგვარი
შენიშვნის გარეშე დაუბრუნდებოდა.

მეტი შეთანხმება რაღა უნდა ყოფილიყო აკაკისთან.

მეტი რაღა ნებართვა უნდა მიეღო მისგან.

და დაიმედებული და გახარებული — თვით აკაკის მიერაა
მონონებულიო, — გულისფანცქალით დაელოდებოდა აკაკის
ოხუნჯობათა პირველი წიგნის გამოსვლას, ახალ მასალათა
შესაკრებად კვლავაც რომ დაფაცურებულყო.

„კვალის“ მწარე გამოხმარებებს ვინ ჩივის, კიდევ უფრო
მწარე, მწვავეც და შეურაცხყოფელიც აღმოჩნდებოდა „ივე-
რიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული კრიტიკული რეცენზია
ჩიორას ხელმოწერით.

რეცენზენტი არა მარტო გულისწყრომას აფრქვევდა,
პირდაპირ მიმართავდა აკაკი წერეთელს: მოხსენით თქვენს
სახელი თედო სახოკიას მიერ შეკრებილ ვითომდა თქვენს
ოხუნჯობებზეო.

თედო გიორგი ლასხიშვილთან რომ მეგობრობდა, იმისგან
გამოარკვევდა „ჩიორას“ ფსევდონიმს ამოფარებული ჟურნა-
ლისტის ვინაობას, არტემ ახნაზაროვი რომ აღმოჩნდებოდა.

„სად მიყელა!..“

არ გაუკვირდებოდა მისგან ასეთი გამოლაშქრება, რო-
გორც შურისძიება იმ საყვედურისათვის, თედოს გამო რომ
მიეღო იმას ილია ჭავჭავაძისაგან.

თედოს ამ რედაქციისათვის რომ წარედგინა ერთი ეთნოგ-
რაფიული ყაიდის ნარკვევი და არტემს უნდა შეეფასებინა მი-
სი ავ-კარგი და დაბეჭდვა-არდაბეჭდვა გადაეწყვიტა, იმას
დაჰკარგვოდა ეს ნარკვევი და პასუხის გასაგებად მისულ თე-
დოს საკმაოდ უკმეხად დახვედროდა, თითქოს თავისი ბრალი
კი არა ყოფილიყოს მასალის დაკარგვა, რომლის სხვა პირიც
თედოს არ მოეპოვებოდა, არამედ — ავტორისა. თედო იუკად-
რისებდა ასეთ დახვედრას, თან ნაწილის უკვალოდ გაქრობაც
გულს შეულონებდა, და წაეჩხუბებოდა „ივერიის“ თანამშრო-
მელს, ამ აყალმაყალს კი ილიაც შეიტყობდა და... როგორც მის
დიდ ბუნებას შეჰფეროდა, არამცთუ თავის თანამშრომელს
არ გამოექომაგებოდა, კარგადაც შეჯიჯავდა და მის მაგივ-
რად თვითონ მოებოდიშებოდა თედოს, თანაც დასძენდა:

— ყმანვილო, როგორმე აღადგინეთ ის სტატია და პირა-
დად მე მომიტანეთ, აუცილებლად დაგებეჭდავ!..

ბარემ ძალიან ესიამოვნებოდა ეს შეთავაზება, თანაც —
ვისგან, მაგრამ რა ექნა, რომ დაკარგულის აღდგენის ხალისს

ვერასოდეს გრძნობდა ხოლმე და ამის გამო არაერთ თხზულებ-
ას შელევია, ყველაზე ძალიან რაჭაში მოგზაურობის აღწერა
რომ ენანებოდა: ვერა და ვერ დავუდე გული მის აღდგენასო.

თედოს კი გაახარებდა ილია თავისი გამოქომაგებით, მაგ-
რამ არტემ ახნაზაროვს რომ გაანაწყენებდა? ის ილიას რას
შეჰბედავდა სამაგიეროს გადახდას, მაგრამ თედოს მიმართ
ბოლმას კი ჩაიხვევდა გულში და... აგერ საშუალებაც მიეცე-
მოდა, „ბრდღვირი ედინა“ მისთვის.

თედო სახოკიაც არ დაუთმობდა და სასამართლოში სარ-
ჩელს აღძრავდა „ივერიის“ რედაქციის წინააღმდეგ, ოღონდ
ფაქტობრივად ეს უნდა ყოფილიყო დავა არტემ ახნაზაროვთან.

— სარჩელი თავიდანვე მკვედრადმოხილი აღმოჩნდა, რად-
გან აკაკიმ ჩემთვის მოულოდნელი პოზიცია დაიკავა, — ჰყვე-
ბოდა თედო მოგვიანებით მეგობართა წრეში, დიდი ხვეწნით
რომ აალაპარაკებდნენ, — მე გაკვირვებული დავრჩი, როდე-
საც პატივცემულმა აკაკიმ განაცხადა, სახოკიას მიერ შეკრე-
ბილ ჩემს ოხუნჯობათა კრებულს წინასწარ გაცნობილი არ
ვიყავიო, და ეს მაშინ, როდესაც ხელნაწერმაც და კორექტუ-
რამაც მის ხელში გაიარა... საქმე, ცხადია, მოისპო...

— რა იყო აკაკის ამ უცნაური პოზიციის მიზეზი? — დაინ-
ტერესდებოდნენ მსმენელები.

და თედო:

— დღემდის ვერ ამიხსნია. ალბათ ჩემს, როგორც ახალ-
გაზრდა ლიტერატორის, ავტორიტეტს მაინც გაზეთ „ივერი-
ის“ ავტორიტეტი ამჯობინა.

ოღონდ ამასაც დასძენდა:

— მიუხედავად ასეთი გაუგებრობისა, ჩემსა და აკაკის შო-
რის ყოველთვის კარგი ოფიციალური ურთიერთობა სუფევდა
და არცერთ ჩვენგანს არასოდეს მოგვიგონებია ეს არასასია-
მოვნო ეპიზოდი.

კი მაგრამ, ილია ჭავჭავაძე როგორ დაყაბულდა არტემ ახ-
ნაზაროვის იმ უმართებულო რეცენზიის დაბეჭდვას?

თედოს თავიდან რაღაც უსიამოვნოდ რომ ჩასჩხვლეტდა
გულში, პუბლიკაციას რომ ჩაავლებდა თვალს, მერე ისე გაიხა-
რებდა, როდესაც შეიტყობდა, რომ იმხანად ილია ტფილისში
არ ყოფილიყო და არც ჩიორას რეცენზიისა სცოდნოდა რაიმე.
მაგრამ სასამართლო სხდომა რომ გაიმართებოდა და თე-
დო მოელოდა, ან რედაქციის მდივანი გამოცხადდებდა და ან
თვითონ სტატიის ავტორიო, მოსამართლე რედაქციის წარ-
მომადგენელს რომ გამოიძახებდა, დარბაზში... თვითონ ილია
ჭავჭავაძე შემოაბიჯებდა.

ვაი შენს თედოს!..

ესღა აკლდა სწორედ!..

უნებლიეთ მთლად ილიასთან დაპირისპირება გამოსვლო-
და, მისთვის სათაყვანო პიროვნებასთან, ასერიგად რომ ეამა-
ყებოდა, ილია ჭავჭავაძის თანამედროვე ვარ და ცოცხალს
შეეყურებო...

* * *

1893 წლის 18 აგვისტოს გაგზავნილ ბარათში დუტუ მეგ-
რელს „მოამბის“ გამოცემის მოახლოებას რომ აუწყებდა თე-
დო და თავსაც გამოიდებდა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთე-
ლი და ნიკო ნიკოლაძეც თანამშრომლებენ ჩვენთანო, —
დასძენდა, რომ ტფილისში ერთთვიანი ყოფნის შემდეგ საგუ-
რამიშო გაველო და ილიაც სწორედ სოფლად იმყოფებოდა.

პირველად მაშინ გაიცნობდა.

და მეგობარს ახარებდა: მშვენივრად მიმილოო.

ერთ დღეს დაჰყოფდა მასთან და... თავისუფლად ერთ
წუთსაც ვერა ნახავდა. სულ სტუმრებს უნდებოდა თურმე.

ქალებისა მთელი ლაშქარი დასტყდომოდა თავს, ზოგი ვი-
სი და ზოგიც ვისი.

დათა მიქელაძეც მაშინ ეწვეოდა.

და უკვირს თედოს: რა ვიცოდი და ილია ოჯახის კაციც ყო-
ფილაო.

გულდასმით დაათვალიერებდა მის ვეება და საუცხოო მა-
მულს, თუმცა გულს დააკლდებოდა, რომ რიგიანი მოვლა არ
ემჩნეოდა. ისე შეატყობდა, რომ, როდესაც ილია იქ იმყოფე-
ბოდა ხოლმე, რაც იყო და როგორც იყო, კიდეც ყურს უგდებ-
და, მაგრამ როდესაც ტფილისის შერჩებოდა, მაშინ კი... და თე-
დოს როგორ არ გაეზიარებინა გულისტკივილი მეგობრისათ-
ვის: ხომ იცი, ჩვენებური მოურავის ხელში რა ხეირი დაეყრე-
ბა მამულსა თუ სახლ-კარსო...

ილია დუტუ მეგვრელის ამბავსაც იკითხავდა:
— როგორ არის, სად არის?

და თედო გახარებული აუწყებდა: ეტყობა, ძალიან აინტე-
რესებს შენი ვინაობაო.

და კიდევ უფრო გახარებული ილიასთან ამ პირველი შეხ-
ვედრით:

— საზოგადოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე...
მის განსაკუთრებულ თვისებად მაინც რას გამოარჩევდა?
თავაზიანობასა და სტუმართმოყვარეობას (მიმღებიათ, —
თედო ამ სიტყვას ამჯობინებს).

და ასე ერთბაშად და მკვეთრად უნდა შესცვლოდა აზრი იმ
კაცზე, რომელიც მანამდე:

— რაღაც მიუკარებელ გველემაპად მყავდა წარმოდგენილი.
ბარე ბევრ მიამიტ ყმანვილიკაცს შეუქმნა ბანკობიადამ
ყოვლად მცდარი წარმოდგენა ილიაზე, და ყველას ხომ არა
ჰქონდა თედო სახოკიას ბედი, პირადადაც შეხვედროდა, ესა-
უბრა და... ის ყალბი შეხედულება დამსხვრეოდა.

თედოს მხოლოდ კი არ დაემსხვრეოდა, უღრმესი მონინე-
ბითაც შეეცვლებოდა, მერე სულაც თავყანისცემად რომ გა-
დაეზრდებოდა და ხატივით ინამებდა.

დარბაზში... თვითონ ილია ჭავჭავაძე შემოაბიჯებდაო...
და ახლა სასამართლო დავა მათ შორის უნდა გამართულიყო?!
თედო გაოცებით ხომ გაოცდებოდა ილიას დანახვისას, კი-
დეც შეკრთებოდა და გააცვივებდა და გააცხებებდა და აღარ
იციოდა, საით გაქცეულიყო.

„ნეტა არ შეიძლება, რომ გავექრე?!“

ილიას მზერას რას გამოეპარებოდა, თუ რა ცეცხლიც და
გენაც დატრიალებულიყო ერთბაშად ამ ახალგაზრდა კაცის
არსებაში და... გაუღიმებდა იმის დასტურად: ნურაფრისა გე-
შინია, აგერ არ ვარო?..

სასამართლოს დარბაზში ილიას ამ უეცარ გამოცხადებას
აღექსანდრე სიგუასაც უამბობდა ათწლეულთა შემდგომ და
იმ სამ მეგობარსაც, გიორგი შატბერაშვილს, ვახტანგ ჭელი-
ძესა და ოთარ ჩხეიძეს, აკაკისთან გადამხდარ თავგადასა-
ვალს კი აღექსანდრე მიქაბერიძის ოჯახში, ჩვეული სამშაბათ-
ობისას, მოჰყვებოდა დეტალური სიზუსტით, და ეს იმიტომ,
გივი ხვედელიძე რომ გამოიწვევდა სალაპარაკოდ.

ივანე თარხნიშვილზე ამზადებდა მონოგრაფიას და მასალე-
ბის შეგროვების პროცესში მოუხდებოდა „ივერიის“ 90-იანი წლე-
ბის კომპლექტების შესწავლა, და იქ რომ აღმოაჩენდა „ივერიისა“
და თედო სახოკიას სასამართლო დავის ისტორიას, გულდასმი-
თაც გაეცნობოდა და აგერ, ერთი სამშაბათობისას, მისთვის დი-
დად პატივსაცემ ამ პიროვნებას სთხოვდა იმ ამბის გახსენებას.

თედო ხალისით სულაც არ აჰყვებოდა ამ თხოვნას.

მაგრამ გივიც ჩააცვივებოდა და აღარც სხვები მოეშვე-
ბოდნენ, და იძულებულს გახდიდნენ, ნავლწაყრილი ნაკვერ-
ჩხლები გაემიშვლებინა.

ნამბობს კი აკაკისაგან ბრიუსელში მიღებული ბარათით
დააბოლოებდა, რათა ესეც დაერთო:

— ალბათ სურდა, ჩემს თვალში ხაზი გაესვა, რომ „ივერი-
ისთან“ ინციდენტს იგი არავითარ სერიოზულ მნიშვნელობას
არ ანიჭებდა.

წლები რომ ჩაიქროლებდა და თედოც გამოემშვიდობებო-
და ამ ნუთისოფელს, გივი ხვედელიძეს კვლავ და კვლავ აწუ-
ხებდა ეს უსიამოვნო ეპიზოდი და 1959 წელს, ბორჯომის სას-

ტუმროში იოსებ გრიშაშვილთან ერთად რომ მოუწევდა დას-
ვენება, რა გული გაუძლებდა, მისთვისაც არ ეკითხა „ივერი-
ის“ რედაქციასთან თედო სახოკიას ამ ინციდენტისა და მასში
აკაკი წერეთლის, ამ უდავოდ დიდბუნებოვანი ადამიანის, უც-
ნაური პოზიციის მიზეზთა თაობაზე.

გაიცინებდა იოსები:

— მე მგონია, ეს გაუგებრობა იმიტომ მოხდა, რომ აკაკიც
და თედო სახოკიაც ცალ-ცალკე ორივენი მართლები იყვნენ.

— ეს როგორ — ორივე მართლები?

— გიკვირს? ნუ გაიკვირვებ: იმხანად, როდესაც თედო სა-
ხოკიამ აკაკის ოხუნჯობანი შეკრიბა, ახალდაარსებულ „ცნო-
ბის ფურცელსა“ და „ივერიას“ შორის გამწვავებული ურთი-
ერთობა არსებობდა. მაშინ აკაკი „ივერიას“ იყო შემომწყრა-
ლი და, რაკილა ხშირად უხდებოდა ყოფნა „ცნობის ფურც-
ლის“ რედაქციაში, იქ ბევრ ცხარე ოხუნჯობასაც მიაყოლებ-
და ხოლმე „ივერიის“ მისამართით. თედო სახოკია იმჟამად
უფრო „ცნობის ფურცლის“ ორიენტაციისა იყო, თუნდაც იმი-
ტომ, რომ თითქმის ყველა მისი მეგობარი ჟურნალისტი სწო-
რედ ამ რედაქციაში გახლდათ თავმოყრილი.

— ეს ოხუნჯობანიც თედოს უმთავრესად სწორედ იმ მე-
გობარმა ჟურნალისტებმა ხომ არ მიანოდეს?

— სწორედ ასე მგონია. შესაძლებელია, თედომ, რომელიც ჯე-
რაც ახალგაზრდა ლიტერატორი გახლდათ, ბევრი მართლაც ისე-
თი ოხუნჯობაც შეიტანა თავის კრებულში, რომელიც თქმით ით-
ქმის, მაგრამ დაწერით არ დაწერებდა. ასეა თუ ისე, ამაში ბრალი
„ცნობის ფურცლის“ ჟურნალისტებსაც მიუძღვით, რომელთაც
ზედმეტი სიბეჯითე გამოიჩინეს რათა „ივერიისათვის“ ეკბინათ.

— თედო გვიამბობდა, რომ ოხუნჯობათა კრებულის ხელ-
ნაწერიც და შემდეგ კორექტურაც ნამდვილად ჩააბარა წასა-
კითხად აკაკის.

— ექვიც არ მეპარება, რომ ასე იქნებოდა. მართლაც ძნე-
ლი დასაჯერებელია, რომ ქართული პოეზიის ბუმბერაზის სი-
ცოცხლეში გამოეცათ მისი ოხუნჯობანი ავტორის უნებართ-
ვოდა და მასთან შეუთანხმებლად. თანაც ვინ — თედო სახო-
კია არ გააცნობდა წინასწარვე?!

— მამ სათავე რა უნდა იყოს მაშინ წარმომობილი ასეთი
გაუგებრობისა?

რა და, აკაკი არ იყო სტამბის კაცი და ამიტომაც არასოდეს
კითხულობდა თავის ნაწარმოებთა კორექტურას, რისი მონ-
მეც პირადადაც ვარ.

და ამასაც დასძენდა იოსებ გრიშაშვილი:

— ასევე გულწრფელად უნდა ვინამოთ აკაკის აღიარებაც,
რომ თედო სახოკიას მიერ შედგენილი მის ოხუნჯობათა კრე-
ბული მას წაკითხული არა ჰქონდა... სხვათა შორის, აკაკის ამ
თვისების გამო, კორექტურის კითხვა რომ არ უყვარდა, მხო-
ლოდ ახლახან გახდა შესაძლებელი ზოგიერთი ადგილის აღდ-
გენა მის ისეთ კაპიტალურ ნაწარმოებებშიც კი, როგორიცაა
„ნათელა“ და „თორნიკე ერისთავი“.

— ესეც მიზეზი იმ ბედუქულმართი ინციდენტისა?

— ესეც მიზეზი!..

მაშინ კი, იქ:

...არა, ახლა მე თვითონ უნდა ვიკისრო შეკრება და ცალკე
ნიგნად გამოცემა ნამდვილად ჩემი ნაკვესებისა, საზოგადო
მნიშვნელობა რომელთაც მოეპოვებათო, — პირობას დებდა
აკაკი წერეთელი.

ეჰ, ნეტა მაინც თედო სახოკიასათვის დაევალებინა!..

თავის მხრივ კი რედაქტორული ჩარევის ფარგლებს არ
გადასცდენოდა...

— შენ ჩემი მდგომარეობა უნდა იკითხოო, — შემოსჩიოდა და
თანაგრძნობას ეძიებდა აკაკისგან მოლა ნასრედინის აჩრდილი.



თამარ შაიშველაშვილის ლექსების გარეგნული მხარე, მონესრიგებული, რაფინირებული ფაქტურა, თავისთავად განგანყოფილი საიმისოდ, რომ მთავარი პოეტური ელემენტი მარტო ფორმალურ პარამონიაში კი არა, სხვაგვან, სხვა დეტალებშიც ეძებო.

არის სიტყვიერი ფორმა, არის გრამატიკული კავშირი, პოეტური სინტაქსი, ფონეტიკური სემანტიკური ფიგურები, რეფერენციის ფუნქცია და ა.შ., მაგრამ მაინც ძნელი დასადგენია, რა ქმნის მხატვრული ქსოვილის პოეტურობას, სად არის ის ნამდვილი და მოუხელთებელი რალაც, რაც ქმნის ამ მთლიანობას.

რა ინვესს პოეტური აზრის გამკვეთებას — ენობრივი აქტუალიზაცია თუ მარცვალთა შეფარდებები? საით მიყვავართ ინტენსივობასა და სიმეტრიას — მხატვრულ ეფექტამდე თუ სისტემის ჩაკეტვამდე?

ისიც გასარკვევია, სიტყვების პლასტიკასა და ფრაზების არქიტექტურაში ყველაფერი იდეალურად უნდა პასუხობდეს საერთო მოთხოვნებს, თუ არსებობს აშკარა აუცილებლობა, რომ სადღაც რალაც დაირღვეს, რალაც შეიცვალოს, რალაც გადასხვაფერდეს.

თამარ შაიშველაშვილი პოეტურ ტექსტებს ძირითადად ანტიინომიური სიტყვათშეთანხმებებით ქმნის. თუბა — ანტითუბა და მათ შორის არსებული დისტანციის ეფექტი: აქ რიტმიც იგულისხმება და ალემის თავისებურებაც. მაგალითად, ლექსი „მოდის და მითხარ...“ ბგერისა და აზრის კავშირი, პარალელიზმისა და ალიტერაციის შერწყმა სტილურ სიმწყობრეს გვთავაზობს: „მე სინანული დავლიე და სიმშვიდე ვიგრძენ, მე სიხარული დავცალე და დარდმა წამლეკა... ქარნაფერები ნისლებიდან მოგასმევ მზის რძეს, ქარნაფერები შემოდგომის ქარვებს ავრეკლავ... მე გაზაფხული დავლიე და ზამთარი ვნახე, თოვლუნაპირო სანაპიროს მშვენი ნაპირიდან...“

შეიძლება შორეული მისამართია, მაგრამ მაინც უნდა ითქვას — ჯერალდ შოპკინსი ამტკიცებდა, რომ პოეზიის ტექნიკური მხარე, მთელი მისი ტექნიკა პარალელიზმის პრინციპებამდე დადის. მისი აზრით, პოეზიის სტრუქტურა სხვა არაფერია, თუ არა მუდმივი პარალელიზმი, რომელსაც ყველაზე ხშირად ქმნის განმეორება, სინონიმია, ანტიონიმია, ლექსიკური მსგავსებანი, ფორმალური წყვილები, სიტყვათა თამაში და მისთანანი. თუმცა ეს მაინც ფორმას ეხება, შინაარსი კი სულ სხვაა, სხვა განზომილება.

თამარ შაიშველაშვილი

მოდის და მითხარ...

მე სინანული დავლიე და სიმშვიდე ვიგრძენ, მე სიხარული დავცალე და დარდმა წამლეკა... ქარნაფერები ნისლებიდან მოგასმევ მზის რძეს, ქარნაფერები შემოდგომის ქარვებს ავრეკლავ... მე გაზაფხული დავლიე და ზამთარი ვნახე, თოვლუნაპირო სანაპიროს მშვენი ნაპირიდან... და ახლაც ჩემი უმწეობა ცრემლივით მამხელს, და ახლა შენი ტკივილები სვეს დამიბინდავს... მე სიყვარული დავლიე და სიკვდილი დავრგე — მინდვრების ლამაზ სარეცელზე სული ვათიე... მოდი და მითხარ, რომ სიცოცხლე უხდებათ ვარდებს, რომ მწიფე ხორბლის სურნელი აქვთ ლექსის სათიბებს...

* * *

ავანთე წვიმის სანთლები და შენს ნატვრაში გავეთენდი!

საფარა

მიუსაფარი მე ვარ საფარა, სიყვარულის და ლექსის ამარა... ლურჯი მინდვრები წვიმამ დანამა, მზესაფირონი გადააფარა... თორობის ფოთლები ქარმა მაფარა, სევდა - ლაღებად შემომაფარა... ენდროს ფერებმა შენთან მატარა, ასკილის ვარდი ამიკამარა... ცაშიც ვიყავი და კვლავ სად არა, ვკრიფე სევდა და ცრემლის ცაკაბა... იქაც შენ გნახე, ღრუბელთ ნაფერი ვნება - ალერსმა ჩამომალამა... ზეცით სახული

მარგალიტები დრომ გულში ველარ დამისამარა... მიუსაფარი მე ვარ საფარა, სიყვარულის და ლექსის კამარა...

ეპო ყივჩაღის პაემანისა

ეს არის ჩემი ველ-მინდვრები, ცრემლო, სული (სულ) სატარებო, მუხრანს ყივჩაღად გერინდები, ღრუბლებს გიკოცნი, სანატრელო... ღამეს გითენებ, მზე ინურვის თავთუხის ხნულზე, ცა ნათელო... სისხლი სიყვარულს შეწირული ახლა ლაჟვარდში დანათელობს..

* * *

ამიყვავილდა მონატრება ოთახში, გულში... ახლა მე შენი თითებიდან ამოვიდვარ ენძელებივით, თოვლის მძივებს ვაბრწყინებ შენთვის!

* * *

მე გელოდები, სიყვარულო, სადაფისფერი ცრემლის ნათელში, შენი ვარ, თბილი სიჩუმიდან კვლავ ვიბადები ევას ვარდი - აყვავებული... მე მინიერი სამოთხე ვარ, სევდა-ტკივილი მზის წალკოტისა, გარინდება თეთრ ღამეებში მოშრილვანგელოზების, — რომ დაგეძებენ გვირილების ამონათებით და მინდვრების თბილი ვედრებით... სადაც სხეული სულია და სული სხეული... სადაც კვლავ და კვლავ ვმშობიარობთ და ვიბადებით, ვიბადებით ქარიშხლიან სიმარტოვიდან... სად მონატრების ტირილია, ნატვრა-ტირილი და სისხლისფერი თავთავები ათრთოლდებიან... მე მინიერი სამოთხე ვარ, სევდა-ტკივილი მზის წალკოტისა... მე გელოდები, სიყვარულო, ყაყაჩოსფერი ცრემლის ნათელში...

* * *

მარიამობის შინდის ხე ვარ,
მსხმოიარე,
სურნელმდინარე...
სურვილდინებით
მოგიბინადრე
ცრემლზე, ფოთლებზე,
სულის მტევნებზე...
ვინ მომენატროს ახლა
შენს მეტი?
მზის კვირტები
გავხსენი,
მეტრფის...

სიყვარული

ახლა სიყვარულს ვეკუთვნი,
ჩამოვისვენებ მზესთან...
იებით ცამოხატულ
სამყაროსთვალა სევდა...
ახლა გვირილებს ვეკუთვნი,
ცრემლით მოვქარგე კაბა...
მოდით, მომტაცე სიცოცხლე
თრობა-თენების ზღაპრად...

* * *

ახლა თვალები შემოდგომის სანახებია,
ახლა ვენახში მზის კაკლები დამარხვინა
გულით ნაფერი პაპაჩემის კაკლის ხეები
ზეცის ნათელში დაბრძენებულ-განახლებინა...
ახლა მზის ტევრში ნაბიჯები დამათვლევინა,
ქარისნამღერი სიყვარულის სულსათევიდან
შენი თასიდან დაბანგული ახლა ვთვრები და
ვარ მსხმოიარე შემოდგომის თბილი თვლემიდან...
ახლა სულეთში ის ხელადა დამაცლევინა,
ზესაიდუმლო ყვავილების ყანა-მკელისა...
სად დაბინდების გარიჟრაჟით ბაგენაფერი
როს უხილავი სახილველით დავიფარები...
სად ერთი ცრემლი სამყარო დაუსაბამო
და სამყარო სიყვარული ცაუსამანო...
ახლა თვალები გაზაფხულის სანახებია,
ახლა ღიღინით იქ ვაზები გამასხლევინა,
რომ მოვირთველო უხსოვარი ტრფობა-ვნებებიდან
მკერდს აკიდობაკინძული მონატრებიდან...

* * *

მითხარ, სილურჯე ნისლის
სად არის?
ცრემლის მთვარეა
ჩემი ქალაქი...
მე უშენობის ტკივილს
ვმაღავდი
და შენს სიყვარულს
შემოვალამდი...
ამ მონატრებას
ველარ ველევი,
ცრემლის ხელაა
ჩემი მზეველი!

* * *

ქართველნო, ხართ სადმე თუ არა?

ცრემლივით თბილია მტკვარი,
ქართველი აქ სადმე არი?
სახეში მენლება ქარი –
უცხო მელოდიის ქნარი...
არაბი, ჩინელი, ზანგი...
ქართველი არა ჩანს მგზავრი!
დავკარგე სიცოცხლის აზრი
დავეძებ მომავლის გზავნილს...
სიცოცხლე სიკვდილის დარი,
ცრემლივით თბილია მტკვარი.

* * *

მოვედი შენთან,
შენს სიზმარში
შემოგეპარე და
მზის ვარდებად
სიყვარულის სასწაული –
მონატრება ჩამოგიკრიფე!

* * *

ახლა ვარ შენი სიზმრის ნანილი,
მოვდივარ შენი თბილი მდელოდან,
და მზის ბარათებს ცაში დანერილს
ქარი ჩურჩულით მოიმღეროდა...
ეძინა ქალაქს — ცრემლის ანგელოზს,
ეძინა ტკივილს ხილვებად ნარღვევს
და მტკვარს — სიცოცხლის მარად დინებას
თრიმლის ფოთოლი — მიჰქონდა ღამე...

* * *

წვიმაში შენი ვარ უშენოდ,
უშენოდ ვსველდები მარტივით...
მინდა, სულს სიზმრები ვუშენო,
უშენოდ რა ვუყო
ამ ტკივილს...
მზეს ვეძებ — თბილსა და უშაროს,
ფიქრები გავფანტე მარტივი,
და გულის ბუდეში ბუდეშურს —
სიყვარულს ვიფარავ
ბარტყივით...

ფიტარეთზე იყვავილებს

ისევ სძინავს საქართველოს
ბაზალეთის ფსკერზე,
დილამ როგორ გაათენოს
მწარეკლიან გზებზე...
როგორ ვიგრძნო გაზაფხული
ჩამონისლულ სულში
უსამშობლოდ დაზაფრული
დამძიმებულ სუნთქვის?
სად ვიპოვო სიყვარული
უნუგემო ბედის?
ფიტარეთზე იყვავილებს
ნეკერჩხლების ცეცხლი...

* * *
მარტო ვარ, ახლა
გახლეჩილი
გულის მარცვლები —
ბრონეულები
მითევინ ღამეს...

* * *
ჩამოიფოთლა
სიზმარივით
ეს დღეც ნოემბრის —
ნუშისთვალეობა სიყვარული
მოდლიანის...

* * *
მალიმალ დარდი მეხვევა
სამშობლო კვდება მზიანი
გამყვება ნატვრა ცრემლხელა,
და ცრემლი შავნალვლიანი...
მალიმალ სისხლი მიშრება,
სამყარო რჩება იარად...
სიკვდილმა თვალეგშიერამ
ცრემლის წამნამზე იარა...

წმინდაო წინო...

და ვეგლოვდით სიობლესა ჩუნესა...

წმინდაო წინო, მენატრები,
სულს მითბობს შენი მაყვლოვანი...
ღრუბლებში ლოცვად მზედ მალღდეები,
ზუერი სევდით ვართ ყოველი...
წმინდაო წინო... მენაღვლები,
ველარ ვძლებ უკვე აქ, გოდებით,
ზეცისკენ თრობის ალუბლებით
დაფენილ ბილიკს ზღვად მოყვებები...
წმინდაო წინო, ამ ვედრებით
განახვნი კარი შუქმთოველი,
და ჯვარი ვაზის ვით ზე-ველი
გვიბოძე მადლით გულს მყნობელი...

...
ხოლო წმიდა? იგი ყოვლა-დე
ნათელსა შინა არს... რად გლოვანი?

ლოცვაში მშვიდი ხარ ყვავილი,
მზე... წმინდა წინო. მაყვლოვანი...

* * *
მერე რა, რომ მაისია...
თოვლი მოდის, —
ჩემს თითებზე, საწოლზე და
ბილიკებზე...
თოვლი მოდის,
როგორც ტრფობის სონეტები,
თოვლი ტირის,
დაისივით მწე
და უცხო...
მერე რა, რომ
გაზაფხულის სიმწვანეა,

გაზაფხული საედემო
ფარჩას იცვლის...
მოიხედე...
მაისია თეთრი ნისლი!
მაისია პოეტების
მზე და სისხლი!

* * *
ყაყაჩოს კაბა მაცვია
გულზე მკიდია ლოდები,
წავალ და სამოთხის კართან
წყაროზე დაგელოდები!

* * *
ჯოხის ხმა უკვე
რახანია
ალარ მესმის და...
შენს ქვაფენილზე
დავდივარ და...
ხელის ცეცებით
მარტოდ მავალ
უსინათლო
სამშობლოს ვეძებ...

**ვარ თრიმლისფერი
ქვეყნის ნაწილი**

წამომენევა ლექსი თეთნულდი,
შენით ვხარობ და შენით ვმზიანობ
ჩვენ რახანია გეტყვივა ერთურთი
სიყვარულის და სევდისხმიანო...
მომენატრები თოვლო, ნაჭრელავ...
შენი ლალ-სხივნი ველარ დავთვალე...
ვარ თრიმლისფერი ქვეყნის ნაწილი—
ორი არაგვის ლურჯი სათავე...

* * *
ახლა სიზმრების დროა
და ოცნებების ქროლვის...
ჩაგინათდება სულში
ბრონეულების თოვლი...
ახლა ვედრების დროა
და ქარის გზებზე მოვლის...
დაგელოდები ცრემლო,
ბრონეულების თოვლში!

* * *
შენ ჩემო სულო
გაზაფხული შემომახვიე,
წვიმს და სიცოცხლე
იყვავილებს
ახლა მარჯნებად...
მწველი სიმორე სიყვარულის
ისე მახელებს,
რომ ივლისის მზე ბადაგივით
ამომაჭრდება...
ჩემი გულია აზარფეშა —

სისხლი ზაფხულის
ვსვამ უშენობას უშენობის
თბილი უპიდან...
და სიჩუმეში ბედისწერა
ფეთქავს ხახულის
ვით ჩემი ცრემლი
ჩამომდნარი
ხელისგულიდან...

ღეიფას

შენ ცა არჩიე,
ტკივილს აჯობე,
ტანჯვის ლანდებით გაქრა
გზა შავიც.
გაფრინდი და
გადაიმშვიდე...
შენს ნაფერებ

ბაღჩაში კი
მზის სასწაული
მწიფს შინდი, როგორც
ლეთისმშობელი დედის
თავშალი...

ეს სიყვარულზე მეტია

ეს სიყვარულზე მეტია,
ეს სამყაროზე მეტია...
რაც სულში ვერ ჩაეტია,
რაც ცრემლში ვერ ჩაეტია...
სიზმარ-ცხადები გეტყვიან,
ჩემი თვალები გეტყვიან,
რომლებიც ნისლებს ელტვიან...
რომლებიც ვნებით გეტყვიან...
სიკვდილ-სიცოცხლის ბოგირზე
ვმზებო და გზები მერთვიან...

დოდო ქუმბურიძე

ვკითხულობ ვაჟას

ღრუბლები მხარდამხარ
მისდევენ ზეფირის ლაჟვარდს,
მდინარე დიდდება თანდათან,
ვკითხულობ ვაჟას.
ელვა და მეხია და არა სტრიქონი მისი,
ვის-ვის და აკაკის
ლექსზე რომ პასუხად ისვრის,
თითქოს საყვედური
თავად უფლისაგან ისმის....
ტკივილი სულისა,
ასე მშობლიური
შემიტევს რაჟამს,
მსუსხავი სტრიქონით
ნელ-ნელა მოჟონავს სისხლი,
ღრუბლები მხარდამხარ
მისდევენ ზეფირის ლაჟვარდს,
ყველასგან ვისვენებ,
ვისხენებ,
ვკითხულობ ვაჟას....

გამოიცვალა ქვეყანა

*გამოიცვალა ქვეყანა, ჩარხი უკუღმა ტრიალებს,
ბრიყვი და უსწავლელები თავში უდგვიან ქკვიანებს,
გაჰქრეს ეს ჟამი ბარემლა, ნეტავი რას იგვიანებს.*

აკაკი

გამოიცვალა ქვეყანა, უცვლელი დარჩა ეს სენი,
ბოროტებს ახლაც უკმევენ, მართლებისთვის ვერ იცლიან,
ჩამოგვაშორეს ცხოვრებას ეკლებიანი მესრებით,
წრიალებს ლანდი წინაპრის —
რომ გაჰყვა ინკვიზიციას.
ბრიყვი და უსწავლელები კვლავ იძლევიან ბრძანებას,
ჭკვიანებს ახლაც ჯაბნიან, რასაც იქმანან, იციან,
ჩვენ ვერ ვიცვლებით, ისინი
დროს ეწყობიან ცვალებადს,
აზრებს, ფიქრებს და ტანსაცმელს ერთი სისწრაფით იცვლიან.
სულ აღარ მიკვირს, სწრაფად და უმადურად რომ ვბერდები,

კვლავ სიყვარულს რომ ვეძებ და
მკლავს სიძულვილის სიცივე,
ყური დამიგდე, ძვირფასო, აქ ხომ ცოტახნით ვჩერდებით,
მუდმივ სამყოფში რომ მივალთ, ამ ყველაფერზე ვიცინებთ...

ფილოსოფიური პარადიგმა

ნ ე ი მ ა მ ა თ ი ა ნ ე ლ ი მ ა ლ ი ა

ლავას მოუსინჯავს კრატერს,
არ ელევა საქმე ჰერმესს,
რუსთაველმა და სოკრატემ
ცაზე უცებ გაიელვეს.
ველარ ჭედავს ბრმა ჰეფესტო
მერმისს ჩვენთვის, ვჭმუნავთ მერმედ,
ჩვენი მტრებიც მრავლდებიან,
გვაგებებენ მზერას ელმებს,
გადავურჩით მეშვიდე ჟამს,
რას გვიმზადებს ჟამი მერვე?!

გუჯის ციხე

ცხენის და კაცის კვალი ნაშლილია,
მდინარე ბუჯის პირს ციხე დგას ნაომარი,
ვგრძნობ, მის კედლებთან ჩემს გულსაც კავშირი აქვს,
უეცრად აძგერების და ბევრი სხვა უნარით.
ზევითკენ მიინევს, ბინდდება როცა ხევში
და ქართლის მეფეს ლანდავს მოსახვევში.

* * *
საბრძანებელი უფლისა გამობრწყინდა,
მინა სანთლად იქცა და ცად აინვერა,
სამოთხის ვაშლიდან ერთიც არ მოწყვიტა,
ევამ ჩაიარა და პირჯვარი დაინვერა.
ყველა ყველაფერთან დაზავებულია,
ადამი დგას და ცრემლი მოსდენია,
სიკეთე სიმშვიდეში განზავებულია,
რომ ვერ ისვენებენ, მარტო ცოდვებია.
„უნდა განიდარცვოს ყველა და ყოველი
ცოდვათა ჯადოსგან“ — სივრცეს მოდებია
ანგელოზთა დასის
ხმა მიუნვდომელი,
კითხულობს ტოროლა: — დრო, დრო როდემდეა?!

სასელი

არაფერს არ ჰქვია სახელი:
კატები არიან ლომები,
ლომები მსუქანი კატები,
ოდესღაც კაცობის მდომელნი.
ბელურა ჩიტები — მელები,
მგლები — თავგები და ვირთხები,
ახალი ამბები — ძველები,
პასუხები — იგივე კითხვები.
სრული სიჩუმეა ძახილი,
ძახილი — გულგრილობა როლების,
არაფერს არა აქვს სახელი
და აღარ არიან ლომები...

გაზაფხული, მალაკი

ის-ის იყო დავინახე, მოფრინავდა პეპლის გუნდი,
ის-ის იყო იამ თავი
ბუჩქის ძირას ამონვერა,
ჩემი კერა აგუზგუზდა,
მოვრჩი, კი არ გავნადგურდი,
ავად ვიყავ და უფალმა
სამთხეში გამომწერა...

* * *

აფრილდა თვალთან თავსაფარი ნისლის,
გავლებული ქარში,
დაიკარგა შხამი მონღოლური ისრის,
გასროლილი მაშრიყს.
ჩემი გულის ციხე, ერთხელ აღებული,
გავამაგრე ისე, ტყვიებს იქით ისვრის,
დავარღვიე ზავი შენთან დადებული,
შევიჩახე ფიცი, მიცემული სხვისთვის...

* * *

ზღვა ცისფერია და მდორეა,
ცა ზღვისფერია და წყნარია,
ჰორიზონტი არც ისე შორია,
უფლის სიყვარული მყარია,
მამა შიო საუბრობს უფალზე:
უფლის სახლს ერთადერთი კარი აქვს:
კარი სიყვარულის ღია,
ეს გზა სიყვარულის კვალია...

* * *

ზეცა მოცურდება მქრალი მინერალის,
ფრთეთა ქერუბიმთა ქვეშე მჯდომარე ხარ,
„გიხილე რაი შენ, იორდანედ მიმავალი“,
უფალო ჩემო, მიუნვდომარე ხარ.
ვარსკვლავებს ღამენი გულზე დაიცლიან,
შენი ყველა შვილი სუსტი ბარტყი არის,
რა ტკივა ამ ქვეყანას, სხვებმა რა იციან,
უფალო, შენ გესმის ყველას სატკივარი...

* * *

ცამ დარდი გამიზიარა,
ნისლი დამყარა ცრემლად,
გადამაქცია მონყენილ,
ყვავილდაცვინილ ტყემლად;



მდინარე ადიდებული
გადმომატარა გულზე,
სიზმრებად გადამაფარა
ღამეზე, უდაბურზე...

* * *

ხავსი ამოჰყოლია ციხის კედლებს,
ათასწლოვან ჭადრებსა და მუხებს,
ამუქებს საღამო იმ სიმკვეთრეს,
რაითაც დღე გვხიბლავდა, სალუქი,
ჟამის ნაკვალევი გვაშინებს,
გვაფრთხილებს: სიკვდილი მოდისო,
თან მანძილს მინამდე ამცირებს,
სიკვდილის სიხლოვე არ უკვირს,
ცხოვრება სულ ერთი ლუკმაა,
ვინ დაკმაყოფილდება ამ ლუკმით...

* * *

ქარის ჩადრები მოიხვიეს ჭალას ჭადრებმა,
როდის ჩადგება! — აბუზღუნდა ბებია ქარში,
ზამთრის ზვინები დაიზნიქენ, ჩრდილი ადგება
იმერეთის მთებს, ვენახების ბოლოში ვაშლებს.
ამჩნევს ბებია, — ყველაფერი როგორ კნინდება,
ხე რომ ხე არის, სხვანაირად რომ იკვირტება,
კი არ ჰკვირდება, ელის ისევე, რაც ენატრება,
ხელს მკიდებს, — ქარი ნაგაქცევსო,
თან მაკვირდება.

ჭალის სიმღერას ვუსმენთ ჩუმად, გავყურებთ საყდარს,
ციდან დაშვებულ სხივით მთის წვერს რომ ეკიდება...

* * *

როგორ არია ქარმა
ხეთა ტოტები მზეში,
როგორ ჩაადნო ქარვა
თბილი ნისლების რძეში.
აცლის მდინარეს ნაკადს,
შხეფებად ისვრის ხევში,
უცებ გახურავს ამ კარს,
ხურდებს გადაყრის ტყეში.
ხეებზე ფურცლებს აკრავს,
გაბრაზებული ხელს შლის.
ამბავს მოიტანს ცისას,

წყნარ საღამოებს შემოღის.
ცაში წაიღებს ჩვენსას
ამბებს შურის და გესლის,
თავის მოტანილს თესავს,
თავის ნათქვამი ესმის,
ვერ გარჩერდება ვერსად,
ვერ ეგუება წესრიგს.

* * *

აგერ ნიბლია ბუდეს აშენებს,
ძელქვის ფოთლებში თივით ფართხუნობს,
სწრაფად დარბიან ნაკადულებიც,
მთებიც ფიქრობენ — გაიზაფხულონ.
თავბრუდამხვევად ფრენენ პეპლები,
ამ მინდვრების და ტყეთა ერთგულნი,
ისე გაბრწყინდა მთელი ქვეყანა:
ანგელოზებს სურთ დაისადგურონ...

* * *

ვერაგინ ვერ შემოგწვდება ოქროსფერო სამებაო,
უფლის სხივი, შეუცნობი, შენს გუმბათებს ფერავს ნაზად,
ამაოა სხვა ყოველი: ლხინი, სევდა, ნამებაო,
ვერაფერი შეედრება შენს შუქსა და აიაზმას.

* * *

ხან წვიმს, ხან მზეა, ხანაც ქარი ტყეებში ბრაზობს,
მაისის ღამე მოსირმულა ახალი მთვარით,
ნისლო, ქულებად დანყობილო ქათქათა ცაზე,
ნუ მეფარები, დამანახე უფალი თვალით...

* * *

მუსიკა უკრავს შთაგონებით, ოლონდ იქ, სადღაც,
გარეთ კი არა, ჩემი სულის შინაგან გარსში,
ჩემს მარტობას ვალტორნებით უდებენ ალექმას
მუსიკის ხმები და ღამეში ყვავილი ვაშლის.

* * *

ჩემი იდეა — ეს ამ მინის სიყვარულია,
მაგრამ ეს რომ ვთქვა, ამ სიყვარულს წყალი წაიღებს,
რადგან სიყვარულს უცნაური ზნე და სული აქვს:
მაშინვე ჰქრება, თუკი ერთი ვინმეც გაიგებს...

ბაბრატის ტაძარი

აქ, ძველ მუზეუმთან, ქალაქ აიაში,
აიეტის ოქროსფერ ცხენების პირისპირ,
რეკს ძველი საათი, ჩიტი ხტის გალიაში
და წითელ კაბის გულზე მესაბება თაგალი, —
ღამაზი გვირისტი...
ზევიდან ბაგრატი — მუდამ საჭოროა,
დაჰყურებს ამაყად ძირს ფასისს,
ვიღაც ამბობს: აღდგენილს შერჩა რა წონაო!...
ის კი თავს ადრინდელზე მეტადაც იფასებს.
ძველებურად აიას განაგებს,
ხეობას მდინარისას ამაყად გადაჰყურებს,
არავის წინაშე არც პასუხს არ აგებს,
არც ქებას იკარებს, არც იღებს გადაკრულებს.

გამონვდილ ხელზე ყველა დაგვატია,
ო, რა შორიდან და რა შორს მოდის!..
ეს ჩვენი დიდებული ბაგრატია, —
ტაძარი—სიმბოლო ერთიან სამშობლოსი...

სოჭოები

ამ ლექსს ვწერ ისევ ხოჭოებზე,
ზაფხულის მოუსვენარ ხოჭოებზე,
წითლებზე, შავებზე, ჭრელებზე,
ყანის მჭამელებზე და არა მცველებზე,
რომ იკბინებიან დღისით და ღამითაც,
მომთაბარებენ ამ მთებსა და ველებზე,
ასე ჯიუტად რომ ჩემულობენ
ამ მინას და ტყეებს,
რჩეულობენ ადამიანებზეც კი,
და არა მარტო მწერებზე...

**ვიტორიო სელას
ბამოფანა სვანეთში**

მეცხრამეტის ბოლოს
ის იღებდა სვანეთს,
მწვერვალებს და სერებს,
ენგურს, კლდეებს სალებს,
კაცებს — მთების მცველებს,
თავსაფრიან ქალებს
და ნაღვლიან ფერებს,
განფენილებს ველად... —
შორი იტალიის შვილი —
ვიტორიო სელა.
პეიზაჟი შავ-თეთრი, მთები ელვიანი,
ამაყი და ქველი — დადემქელიანი,
შვილიშვილი მისი, ქალი დარდინი,
ცხადისა და სიზმრის — კოშკი მარგაინის.
მეცხრამეტის ბოლოს მესტია და უშგული,
გაყოფილი ორად ქარაფებზე — ურჩხული...
მთებიდან გუგუნით მოვარდნილი „ლილე“ და
სათიბებში თივის თავდახრილი ცელვა...
პირქუშ სახეებში მზეს ანაწილებდა
— ვიტორიო სელა...

* * *

ერევნის ალებას ზეიმობდა ტფილისი,
პასკევიჩის მიერ სპარსელთა დამარცხებას,
დღევანდელ თავისუფლებას არქმევდა ერევნელის მოედანს,
პასკევიჩ-ერევანსკის საპატივცემულოდ —
შაითან-ბაზარში მღეროდა კინტო...
ამ რიტორიკაში ერია შხამიც
და სიტყვა „ერევნელი“
დაპყრობაზე ამაოდ მიაწინებდა,
საქართველო თავისუფლების მოედნისკენ მოდიოდა...

* * *

გულში ცეცხლი მინთია, ჩემო სასიყვარულოვ —
ჩემი სიტყვის მალამოვ, ჩემო ლოცვავე, მალულო,
მშობლიურო ველებო, ფესვებო და ძირებო,
კავკასიის მწვერვალნო, ყინვეგამოცდილებო...
გულში ცეცხლი ჩამინთო თქვენმა შემონათებამ —
საქართველოს ტყეებო, ხელებგამონვდილებო...

თუ ჯილდო კარგი მწერლობის ერთ ნიშანთაგანი მაინც არის, ფრანგ პროზაიკოს პატრიკ მოდიანოს თავი დიდი ხანია კარგ მწერლად უნდა მიიჩნია: ჯერ კიდევ 1972 წელს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის გრანპრი მიეღო, 1978-ში — გონკურების პრემია, 2010-ში — დელ დუკას პრემია, 2012 წელს კი — ავსტრიის სახელმწიფო პრემია — ევროპულ ლიტერატურაში შეტანილი წვლილისათვის... არადა, 2014 წელს, ლუქსემბურგის ბალთან მოსიერზე მის ქალიშვილს მობილური ტელეფონით რომ არ ეცნობებინა, ნობელის პრემია მოგანიჭესო, შესაძლოა, ეს ამბავი მისთვის იმგვარადვე უცნობად დარჩენილიყო, როგორც — მისი სახელი და სამწერლო რეპუტაცია საფრანგეთს მიღმა მოფუთფუთე მსოფლიოსათვის. ფაქტი ფაქტად რჩება: შვედეთის აკადემიამ მსოფლიო ლიტერატორთა შორის 2014 წელს პატრიკ მოდიანო გამოარჩია.

პატრიკ მოდიანო


ნობელის ლაქცია

(2014 წლის 7 დეკემბერი)

უბრალოდ მინდა გითხრათ იმის თაობაზე, თუ რა ბედნიერი ვარ აქ, თქვენ გვერდით ყოფნით, და როგორ ამაღელვებ იმ პატივმა, რომ ნობელის პრემია ლიტერატურაში მე მომანიჭეთ. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ამხელა აუდიტორიის წინაშე უნდა წარმოვთქვა სიტყვა, და ეს ერთგვარად მაშინებს კიდევ. სიტყვა ლიტერატორისთვის, შესაძლოა, მარტივ და ბუნებრივ რამედ ჩაითვალოს, მაგრამ მწერალს — ჩემ შემთხვევაში, რომანისტს — ერთგვარი უხერხული დამოკიდებულება აქვს მასთან. თუ სასკოლო გაკვეთილებს გავიხსენებთ და ზეპირსა და დანერგულ სიტყვას შორის განსხვავებას წარმოვიდგინებ, მიგხვდებით, რომ მწერალი დაჯილდოებულია ნიჭით, წერილობით ამტკიცოს რამე და არა — ზეპირად. ის ჩუმად ყოფნასაა მიჩვეული, და თუ ვითარების შესწავლას მოინდომებს, უმად ხალხს უნდა შეერიოს. ის უსმენს საუბარს, მაგრამ თვითონ უხილავად ყოფნას ამჯობინებს, და თუ მაინც გამოჩნდება, მხოლოდ იმიტომ, რომ მის ირგვლივ მყოფ ადამიანთა შესახებ აზრის დასადასტურებლად რამდენიმე მორიდებული კითხვა დასვას. მუდამ ორჭოფობს, რადგან სიტყვების წამლასაა მიჩვეული. თავისი აზრის რამდენჯერმე გადაწერამ მისი სტილი, შესაძლოა, მართლაც უზაღო გახადოს. მაგრამ როცა მწერალი სიტყვას წარმოთქვამს, თავისი საორჭოფო მოსაზრებების გასწორების საშუალება აღარ გააჩნია. მე იმ თაობას მივეკუთვნები, რომელშიც ბავშვები მხოლოდ ნებართვის მიცემის შემდეგ ლაპარაკობენ, თუ რამდენიმე იშვიათ გამოწვევის არ ჩავთვლით. ეს ხსნის იმ მდგომარეობას, როგორ ერთულება ზოგიერთ ჩვენგანს საუბარი — ზოგჯერ ვმერყეობთ, ზოგჯერ კი ძალზე ვჩქარობთ, რადგან ველით, რომ უეცრად გაგვანყვებინებენ. შესაძლოა, ბევრ სხვასავით, ამიტომაც გამიჩნდა წერის სურვილი სწორედ მაშინ, როცა ბავშვობას ვემშვიდობებოდი: მაშინ გვიმედებათ, რომ თქვენს ნაწერს უფროსები ნაიკითხვენ ანუ მოგისმენენ ისე, რომ არ შეგანყვებინონ, და შეიგრძნობენ იმას, რაც თავში გიტრიალებთ.

ამ ჯილდოს ჩემთვის გადმოცემა დაუფერებლად მეჩვენება და უსაშველოდ მაინტერესებს, მე რატომ შემარჩიეთ.

იმ დღეს, როცა ეს ამბავი გახმაურდა, მიგხვდი, რამდენად არასწორი წარმოდგენა აქვს მწერალს საკუთარ ნაწერზე და რამდენად მეტი იცის მასზე მკითხველმა. მწერალი საკუთარი ნაწარმოების მკითხველი ვერასოდეს გახდება, თუ არად ჩავთვლით სინტაქსურ შეცდომათა, გამეორებათა ან ზედმეტ აზრადგან ხელნაწერის განსხივას. მწერალს მხოლოდარ მიკერძოებული და უწესრიგი წარმოდგენა აქვს საკუთარ ნიგნზე იმ მხატვარივით, რომელიც ქერზე ფრესკის ხატვისას ხარაჩოზე განოლილა, დეტალებს ამუშავებს და ისე მიახლოება ნამუშევარს, მისი ერთიანად აღქმა აღარ ძალუძს. წერა ის



უცნაური საქმიანობაა, რომელიც განმარტობას მოითხოვს. დამთრგუნველია წუთები, როცა რომანის პირველ რამდენიმე გვერდს წერთ. ყოველდღე გეჩვენებათ, რომ არასწორ გზას ადგახართ. უკან დაბრუნებასა და სხვა ბილიკის არჩევაზე გეფიქრებათ. მნიშვნელოვანია, არ აპყვეთ ამ ფიქრს და წერა განაგრძოთ. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, მანქანას მიაქროლებდეთ ღამით, ზამთარში, მოყინულ გზაზე, როცა ირგვლივ არაფერი ჩანს. ვერაფერს იზამთ, უკან ვეღარ დაბრუნდებით, წინ უნდა იაროთ, რადგან გრძნობთ, რომ ყველაფერი გამოსწორდება, როცა გზა გამოკეთდება და ნისლი გაიფანტება. როცა ნიგნი მთავრდება, ისეთი განცდა გეუფლებათ, თითქოს საფრთხისთვის თავი დაგვეღწიოთ, თავისუფლების ჰაერი ჩაგუსუნთქოთ, იმ მოსწავლეებივით, მეორე დღეს საზაფხულო არდადეგები რომ ეწყებათ. ხალხის გაქრობათ, აგზნებულან და მასწავლებელს აღარ იმჩნევენ. უფრო შორსაც წავალ და გეტყვით, რომ უკანასკნელი აზრაცების წერისას ნიგნი იმ აფორიაქებულ მტერს ასახიერებს, თქვენგან თავდაღწევას რომ ღამობს. და, ჰა, ის გტოვებთ — მხოლოდ ბოლო სიტყვის დაწერის დროსღა გაძლევთ. დაბოლოს — ნიგნს თქვენ უკვე აღარ სჭირდებით და გვიწყნებთ. ამიერიდან ის საკუთარ თავს მკითხველის მეშვეობით შეიცნობს. ამ დროს ისე ცარიელდებით, გეჩვენებათ, რომ უარგყვეს. განხილულობის განცდაც გეუფლებათ, რადგან თქვენი და ნიგნის ურთიერთკავშირი ასე ნაჩქარევად დაირღვა. დაუკმაყოფილებლობა და ის გრძნობა, რომ რაღაცის დასრულება ვერ მოახერხეთ, შემდეგი ნიგნის დაწერისკენ გიბიძგებთ, რათა დარღვეული ბალანსი აღადგინოთ — არადა, ეს არასოდეს ხდება. წლები გადის, ნიგნი ნიგნს მოსდევს და მკითხველი ლაპარაკობს ამა თუ იმ მწერლის „თხზულებათა კრებულზე“. თქვენთვის კი ეს მხოლოდ შეუჩერებელი წინსვლა იყო.

ამგვარად, მკითხველმა ნიგნზე მართლაც იმაზე მეტი იცის, ვიდრე — საკუთრივ მისმა ავტორმა. რომანისა და მკითხველის ურთიერთდამოკიდებულება ერთგვარად წააგავს ფოტოს გამყდარების პროცესს ციფრული ტექნოლოგიების გამოგონებამდე. ფოტოგამოსახულება ბნელ ოთახში წელნელა ვლინდება. დაახლოებით იგივე რამ ხდება რომანის კითხვისას. მაგრამ ავტორსა და მკითხველს შორის ამგ-

ვარი ჰარმონიის მისაღწევად მნიშვნელოვანია, კი არ გადალალო ეს უკანასკნელი — დაახლოებით ისე, მომღერალს ხმა რომ დაეღლება — არამედ შეუმჩნეველად მიუახლოვდე, მასში ნაბიჯ-ნაბიჯ შესაღწევად საკმარისი სივრცე დაუტოვო ნიგნს. ეს აკაპუნტურის ხელოვნებას ჰგავს: ნემსი ზუსტად გილას ერჭობა და ნერვულ სისტემას ამშვიდებს.

მნამს, რომ მუსიკაშიც არსებობს რომანისტიკა და მკითხველის ინტიმური და ურთიერთაღმგებელი დამოკიდებულების ეკვივალენტი. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ წერა ძალზე ნააგავს მუსიკას, ოღონდ ეს უკანასკნელი უფრო წმინდაა და შეურყეველი; ყოველთვის მშურდა მუსიკოსების, რომელთა ხელოვნება, ჩემი აზრით, წერას აღემატება. ასევე ვფიქრობ პოეტებზე, რომლებიც მუსიკასთან მწერლებზე ახლოს დგანან. ლექსების წერა ბავშვობაში დავიწყე, და სადღაც ამოკითხული შენიშვნა, რომ „მწერალი ყოფილი ცუდი პოეტია“, აკორდით აუღერდა ჩემთვის. მუსიკასთან დაკავშირებით ვიტყვი: მწერალს ხშირად უჭირს, დაარწმუნოს ხალხი, რომ მის ნიგნებში ლანდშაფტებისა და ქუჩების გამეორება სხვადასხვა მუსიკალურ კომპოზიციაში ერთი და იმავე მელოდიური ფრაგმენტის გამოყენებამ ასწავლა. რაც მუსიკაში ნებადართულია, ლიტერატურაში არასრულყოფილებად ითვლება. მაშინ ნანობს მწერალი, რომ მუსიკოსი არ არის და მოპონის ნოქტიურნები არ შეუქმნია.

მწერლის გაუცნობიერებლობა და საკუთარი ნაწარმოებისგან დისტანცირება იმ ფენომენმა განაპირობა, რომელიც, სხვებთან ერთად, მეც შემინიშნავს: ყოველი ახალი ნიგნი შლის უკანასკნელს, და ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, აღარც კი მასსოვს, მანამდე თუ რამე დამინერია. ვფიქრობდი, რომ ნიგნებს ერთმანეთისგან დაცალკევებულად ვწერდი. ეს იყო თანმიმდევრული წყება დავიწყებისა, მაგრამ ხშირად იგივე სახეები, იგივე სახელები, იგივე ადგილები იგივე ფრაზები გადადიოდა ნიგნიდან ნიგნში, როგორც შაბლონი გადააქვთ ხოლმე ქსოვილზე ნახევრად მძინარეთ. ან — მეოცნებეთ. მწერალი ხშირად მთვარეულსა ჰგავს, ისეა შთანთქმული იმით, რაც უნდა აღწეროს. ამიტომაცაა სანერვიულო, როცა ეს ზღვარგადასული არსება ქუჩას ჭრის ხოლმე. ნურც მთვარეულის ზემინეწვით სიზუსტეს დავიწყებთ: ის სახურავზე ადის, მაგრამ არასოდეს უცდება ფეხი.

ფრაზა, რომელიც ჩემთვის ნობელის პრემიის მონიჭების შესახებ განცხადებაში ეწერა და გულში ჩამრჩა, მეორე მსოფლიო ომის აღუზიანა: „მან ოკუპაციისდროინდელი ცხოვრება აღწერა“.

ყველა მათსავით, ვინც 1945 წელს დაიბადა, მე ომის პირმო ვიყავი. უფრო ზუსტად, რადგან ეს პარიზში მოხდა, ჩემს დაბადებას ოკუპირებულ პარიზს უნდა ვუმაძღლოდე. იმდროინდელი პარიზის მცხოვრებთ, სურდათ უსწრაფესად დაევიწყებინათ ეს. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც დეტალურად ახსოვდათ ყველაფერი: გაუჩნდათ ილუზია, რომ მათი ყოველდღიური ცხოვრება არც არაფრით განსხვავდებოდა ნორმალური დროის ყოფითობისაგან. ცოცხლად დარჩენილებს ეს რატომღაც ცუდ სიზმრად მიაჩნდათ და ამის გამო სინდისი ჰქენჯნიდათ. მოგვიანებით, როცა მათი შვილები იმ პერიოდსა და მაშინდელ პარიზზე ეკითხებოდნენ, პასუხს თავს არიდებდნენ ან დუმდნენ, თითქოს სურდათ, თავიანთი მესსიერებიდან წაეშალათ ის ბნელი წლები და რაღაც დაემაღლათ ჩვენთვის. მშობლების დუმილმა გვაიძულა, თვითონ წარმოგვედინა ყოველივე, თითქმის მაშინ გვეცხოვროს.

ოკუპირებული პარიზი უცნაური ადგილი გახლდათ. ერთი შეხედვით, ცხოვრება „ადრინდელივით“ მიედინებოდა — თეატრები, კინოები, საკონცერტო დარბაზები და რესტორნები მუშაობდა. რადიოდან სიმღერების ხმა ისმოდა. კინობსა და თეატრებში იმაზე მეტი ხალხი დადიოდა, ვიდრე —

ომამდელ პერიოდში: აქ, ამ თავშესაფარში ადამიანები თითქოს იმიტომ იკრიბებოდნენ, ერთმანეთი გაემხნეებინათ.

თუმცა ზოგი უცნაური დეტალი მიუთითებს, რომ ეს პარიზი სულაც არ ჰგავდა ადრინდელ პარიზს: მანქანათა ნაკლებობამ ქალაქში დუმილი ჩამოაგდო — დუმილი, რომელმაც გაგვაგონა ხეთა შრიალი, ცხენის ფლოქვების თქარათქური, ბრბოს დრტვინვა და ნაბიჯების ხმა... მდუმარე და ჩაბნელებული ქუჩებით, ზამთრობით ხუთი საათიდან, როცა მცირე დაკვესებაც კი იკრძალებოდა, პარიზი თავის თავს აღარ ჰგავდა — ეს იყო „უთვალო“ ქალაქი, როგორც ეძახდნენ მას ნაცისტო ოკუპანტები. უფროსები და ბავშვები შეიძლებოდა უკვავლოდაც გამქრალიყვნენ. თვით მეგობრებიც კი არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, გულწრფელ საუბარს ვეღარ გაიგონებდი ჰაერში დატრიალებული საფრთხის სურნელის გამო. იმ ცუდი სიზმრის მსგავს პარიზში შეეძლოთ, ნებისმიერი გაესამართლებინათ ან მეტროს სადგურის შესასვლელთან შეკრებილთაგან „აეყვანათ“. გახშირდა მათი შემთხვევითი შეხვედრები, რომელთა გზა მშვიდობიანობის ჟამს, ალბათ, არასოდეს გადაიკვეთებოდა. კომენდანტის საათის გამო ჩამონოლილ წყვდიადში ისეთი მყიფე სასიყვარულო ურთიერთობები იშვა, როცა შემდეგ შეხვედრათი დარწმუნებული არავინ იყო. მოგვიანებით, ამ უსასკო და უფერულ შეხვედრათა შედეგად ბავშვები იბადებოდნენ. აი, ამიტომ ვამსგავსებდი ოკუპაციისდროინდელ პარიზს პირველყოფილ ბინდს. უიმი-სოდ ვერც მე გავჩნდებოდი. ის პარიზი მუდმივად თან მდევს. ჩემი ნიგნებიც ხანდახან იძირება მის მკრთალ ნათელში.

ამიტომაცაა, რომ მწერალი სამუდამოდ იტვიფრება თავისი დაბადების თარიღითა და დროით, თუნდაც თვითონ არასოდეს ჩართულიყოს პოლიტიკურ მოძრაობაში, თუნდაც განდეგილივით, როგორც ამბობენ, „სპილოს ძვლის კოშკში“ გამოკეტილიყოს. მისი ლექსები იმ ხანას ასახავს, რომელშიც ცხოვრობს, და სხვა დროს ვერაფრით დაინერებოდა.

ამის თვალსაჩინო მაგალითია დიდი ირლანდიელი პოეტის, იეიტის ერთი ლექსი, რომელიც ყოველთვის შემძრავს ხოლმე: „ქულეს ველური გედები“. ქულეს პარკში იეიტის ტბაში მცურავ რამდენიმე გედს აკვირდება:

ეს მეცხრამეტე შემოდგომა იყო, როდესაც პირველად ვნახე და მათი თვლა დავიწყე მაშინ, მაგრამ სანამ მე ჩემს ანგარიშს დავასრულებდი, ყველა მათგანი უცაბედად აიჭრა ცაში, რკალებად გაშლა მათი მსურდა, ამეცხო ქებით, როცა თავზემთ გავიგონე ტლაშუნი ფრთების. ახლა ისინი ტბის მტკნარ წყალში დასრიალებენ — მათი სინაზე ჯადოსნურად მომჩვენება, როს ლელქაშებზე ბუდეებსაც აიშენებენ, მაგრამ რაღა ამ ტბის ეშხი, ამ წყლის მშვენება, თუ მათი ცქერა კაცის მზერას არ აქცევს მწველად, თუკი ერთხელაც გაფრენილი დამხვდება ყველა?

გედები ხშირად ჩნდებიან მე-19 საუკუნის პოეზიაში — ბოდლერთან, მალარმესთან... მაგრამ იეიტის ეს ლექსი შეუძლებელია მე-19 საუკუნეში შექმნილიყო, მას ახასიათებს ის სპეციფიკური რიტმი და სევდა, რომელიც მე-20 საუკუნისთვისაა და იმ წლისთვისაა ნიშანდობლივი, როცა დაინერა.

შესაძლოა მე-20 საუკუნის მწერალიც დაატყვევოს იმ დრომ და მე-19 საუკუნის რომანისტიკების — ბალზაკის, დიკენსის, ტოლსტოის — კითხვამ გარკვეული ნოსტალგია მოჰგვაროს. მაშინ დრო დღევანდელთან შედარებით ნელა გადიოდა და ეს სიმდორე აკმაყოფილება მწერალთა მოთხოვნილებას, რადგან საშუალებას აძლევდა მათ, მოეკრიბათ ძალა და ყურადღება. შემდეგ დრო აჩქარდა და უნესრიგოდ მიინეეს წინ —

ამით აიხსნება განსხვავება წარსულის მზარდ ლიტერატურულ პროცესებს, მათ ტაძრულ არქიტექტონიკასა და დღევანდელ დანაწევრებულ და ფრაგმენტულ თხზულებებს შორის. ამ თვალსაზრისით, ჩემი თაობა გარდამავალია, და ძალიან მინტერესებს, შემდეგი თაობები, დაბადებულნი ინტერნეტთან, მობილურ ტელეფონებთან, იმეილებსა და თუითთან ერთად, ლიტერატურის მეშვეობით როგორ გამოხატავენ ამ სამყაროს: აქ ყველა მუდმივად „ჩართულია“ და „სოციალურ ქსელს“ ინტიმურობისა და იდუმალების ის ნაწილი შთაუნთქავს, რომელიც კვლავ ჩვენი სამფლობელო იყო უკანასკნელ ხანაში — პიროვნებას იდუმალება ანიჭებდა სიღრმეს და ეს, შესაძლოა, რომანის მთავარ თემადაც ქცეულიყო. თუმცა ლიტერატურის მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ და მჯერა, რომ მწერლობა მომავალშიც, სხვა თაობებით, თანმიმდევრული იქნება, როგორც ეს ჰომეროსის დროიდან ხდებოდა... ამასთან, მწერალი ყოველთვის ახერხებს გამოხატოს რაღაც, რაც დროის მიღმა, მაშინაც კი, თუ თვითონ, სხვა ხელოვნებით, ისე მჭიდროდ უკავშირდება თავის ეპოქას, რომ არ ძალუძს მისგან გაქცევა და მის მიერ ჩასუნთქული ჰაერი იმ დროის სულია. რასინისა და შექსპირის ნაწარმოებებში ნაკლებმნიშვნელოვანია, პერსონაჟებს იმდროინდელი კოსტიუმები აცვიათ, თუ რეჟისორს სურს, ისინი ჯინსებსა და ტყავის ქურთუკებში გამოვლინონ იხილოს. ეს უმნიშვნელო დეტალებია. ტოლსტოის კითხვისას, ან კარენინა საუკუნენახევრის შემდეგაც ისე ახლობელია ჩვენთვის, გვაინყვება, რომ მას 1870 წლის დროინდელი კაბები მოსავს. არიან ისეთი მწერლებიც, მაგალითად, ედგარ ალან პო, მელვილი ან სტენდალი, ვისიც მათი გარდაცვალებიდან ორი ასწლეულის შემდეგ უკეთ ესმით, ვიდრე — მათ თანამედროვეებს. ბოლოს და ბოლოს, რამდენად ძალუძს მწერალს თავისი დროის პირმოვლად დარჩენა? ის რჩება ცხოვრების კიდზე, სადაც იმიტომ აღმოჩნდა, რომ აღენერა იგი, რადგან როცა მოქმედება გიტაცებს, შენი წარმოდგენა არაფრის მაქნისია. თუმცა ეს მცირე მანძილი არ ზღუდავს მწერლის უნარს, საკუთარ პერსონაჟებსა და იმ ადამიანებს გაუფიქვდეს, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში შთააგონებდნენ. ფილოზოფი ამბობდა, მადამ ბოვარი თვითონ ვარო. ტოლსტოიმაც, რომელმაც დაინახა, რუსეთის სარკინიგზო სადგურზე ერთ ღამით ქალი როგორ ჩაუვარდა მატარებელს, თავი მას გაუიგივა. იდენტიფიკაციის უნარმა ისე იმძლავრა, ტოლსტოი შეერწყა მის მიერვე აღწერილ ცასა და პეიზაჟებს, რომელთაც ის იმდენად შთანთქმეს, ანა კარენინას წამწამთა ფახულსაც კი ამჩნევდა. ეს ნარცისიზმის საპირისპირო ვითარებაა, რადგან ერთდროულად თავსაც გავიწყებს და უდიდეს კონცენტრაციასაც ინვესტ, უმცირესი დეტალიც რომ არ გამოგარჩეს. გარკვეულად, განმარტოებაც საჭიროა. ეს საკუთარ თავში ჩაკეტვას არ ნიშნავს. მარტოობა საშუალებას გაძლევს, ყურადღება გაამძაფრო და ნათელი გონება შეინარჩუნო გარესამყაროზე დაკვირვებისას, რომელიც, შესაძლოა, შემდეგ რომანში გადაიტანო.

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ პოეტებსა და პროზაიკოსებს ძალუძთ, იდუმალი რამ ამცნონ ყოველდღიური ცხოვრებით გადაღლილ პიროვნებას და საგნებს, რომლებიც ჯიუტად ბანალურები არიან. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მწერალი დიდი ხნის განმავლობაში ყურადღებით, ლამის ჰიპნოტურად, აკვირდებოდა მათ. მწერლის მზერის შედეგად, ყოველდღიური ცხოვრება აღარ არის იდუმალებით მოსილი და წყვილია მოკიკიკოვანი სინათლედ გარდაისახება: ერთი შეხედვით, ამას ვერც ფიქრობდი, რადგან ძალზე ღრმად ჩამალულიყო. პროზაიკოსის, პოეტისა და კიდევ — მხატვრის როლი ისაა, ნათელი მოჭვინოს იდუმალებასა და მჭუჭტავ შუქს, რომელიც ნებისმიერი პიროვნების უღრმეს ნიაღში ღვივის. ჩემი შორეული ნათესავი, მხატვარი ამედეო მოდილიანი მასხენდება. მის უაღრესად ამაღლებულ ტილოებზე გამოსახული მოდელები

უცნობი ხალხია: ბავშვები, კახპები, მოახლეები, ფერმერები, შვირდები... ხატვის მისეული მანერა დიდ ტოსკანურ ტრადიციას — ბოტიჩელისა და ალორძინებისდროინდელ სიენელ მხატვრებს მოგაგონებდათ. ისიც ანიჭებდა მათ — უფრო სწორად, ავლენდა — უბრალო გარეგნობის მიღმა მიმალულ ყველა მშვენიერებასა და ღირსებას. მწერალმაც ამ მიმართულებით უნდა იაროს. მრუდე რეალობას დაშორებული მისი წარმოსახვა ფსკერს უნდა ჩანვდეს, უნდა გამოავლინოს თავისთავადი სინამდვილე, გამოიყენოს ინფრანთელი და ულტრაინფერი გარეგნობის მიღმა არსებულის გამოსაძლიერებლად.

თითქმის მწამს, რომ კარგი მწერალი ერთგვარი ნათელმხილველი ან უფრო მეტიც — ნინასწარმეტყველია. ის სეისმოგრაფიცაა, რომელიც გრძნობს თითქმის შეუმჩნეველ რყევებს.

ყოველთვის ვყოყმანობ, ვიდრე ჩემი სათაყვანო მწერლის ბიოგრაფიას ნავიკითხავდე. ბიოგრაფები ხანდახან მცირე დეტალებს, უნდო თვითმხილველთა მოწმობას, გამოუცნობ თუ განმხიბლავ დამახასიათებელ თვისებებს ჩააფრინებდნენ — ეს იმ ზუსტუნს ჰგავს, რადიოგადაცემას რომ დაჰყვება ხოლმე და ვერც მუსიკას გაარჩევ, ვერც — ხმას. მწერლის გაგება მხოლოდ მისი წიგნების კითხვით შეიძლება. სწორედ მაშინ ჩანს იგი, სწორედ მაშინ გვეჩუქრულება და მისი ხმაც მკაფიოდ გვესმის. თუმცა მწერლის ბიოგრაფიის კითხვისას, შესაძლოა, შემთხვევით გადააწყდეთ ბავშვობისდროინდელ ისეთ მნიშვნელოვან ამბავს, რომელმაც ჩათესა მისი მომავალი თხზულების მარცვალი და რომელსაც ის ყოველთვის ვერ აცნობიერებს. ეს ამბავი სხვადასხვაგვარად იჩენს ხოლმე თავს და მის წიგნებსაც თან სდევს. ალფრედ ჰიჩკოკი მახსენდება, რომელიც მწერალი — არა, მაგრამ ის კი იყო, ვის ფილმებსაც ახასიათებს რომანისებრი სიძლიერე და მონოლითურობა. ხუთი წლისას მამამ სთხოვა, წერილი წაელო მეგობარი პოლიციელისთვის. ბიჭუნამ წერილი ადრესატს გადასცა, მან კი იგი იმ საკანში ჩაკეტა, რომელსაც ღამით დაკავებული დამნაშავეებისთვის იყენებდნენ. შეძრწუნებულმა ბავშვმა ერთი საათი გაატარა იქ, ვიდრე პოლიციელმა არ გაათავისუფლა და უთხრა: „ახლა კი იცი, რა მოცილია, როცა ცუდად იქცევი“. ეს პოლიციელი, ბავშვის აღზრდაზე თავის მეტად უცნაურ იდეებთან ერთად, უნდა იდგეს იმ დაძაბული და საშიში ატმოსფეროს მიღმა, რომელსაც ალფრედ ჰიჩკოკის ყველა ფილმში ნახავთ. არ გადაგლით საკუთარი ამბებით, მაგრამ ვფიქრობ, რომ ზოგი ეპიზოდი ჩემი ბავშვობიდან მოგვიანებით ჩემივე წიგნების საფუძვლად იქცა.

მე ყოველთვის შორს ვიყავი ჩემი მშობლებისაგან, რომლებიც ჩემთვის უცნობ მეგობრებთან, ამგვარადვე უცნობ სახლებში მტოვებდნენ. ამავე დროს, ბავშვს არაფერი აოცებს და თვით ყველაზე უცნაური ვითარებაც საგნებით ზუნებრივად ეჩვენება. მოგვიანებით, როცა ჩემი ბავშვობა ენიგმურად მომჩვენა, ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი შემეტყო იმ ადამიანებზე, რომლებთანაც ჩემი მშობლები მტოვებდნენ, და იმ უცნობ ადგილებზე. მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა, როგორც — ყველა იმ ადამიანის, ისე ყველა იმ ადგილისა და სახლის მიკვლევა, მთელი ტოპოგრაფიული გულმოდგინეობის მიუხედავად. ამ სწრაფვამ, ამომეტყო ენიგმა და ფარდა ამეხადა იდუმალებისათვის, ნაყოფი ვერ გამოიღო, თუმცა წერის სურვილი კი ჩამინერგა, თითქოს წერასა და წარმოსახვას შეძლებოდა, ბოლომდე მიმეყვანა დანყებულნი საქმე. იდუმალებაზე საუბრისას მესხიერებაში ამომიტივტივდება მე-19 საუკუნის ერთი ფრანგული რომანის სათაური — „პარიზის საიდუმლოებანი“. ეს ქალაქი — პარიზი — უკავშირდება ჩემი ბავშვობის პირველ შთაბეჭდილებებს, რომლებიც ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, იმ დროიდან მუდმივად ვიკვლევ პარიზის საიდუმლოებებს.

ისე მოხდა, ცხრა თუ ათი წლისა მარტო ვსეირნობდი და თუმცა გზის აბნევა მაშინებდა, უფრო და უფრო შორს შევ-

ყვე სენას მარჯვენა ნაპირზე გაშენებულ უცხო უბნებს. ჯერ კიდევ დღე იყო, რაც მამხნევებდა. უკვე მოზრდილი, ვცდილობდი, შიში დამეძლია და ღამით იმაზე უფრო შორს წავსულიყავი, ვიდრე ამის საშუალებას მეტრო იძლეოდა. აი, ასე შეიძლება ქალაქის უკეთეს გაცნობა: ჩემთვის სათაყვანო იმ მწერლებს ვბაძავდი, მოყოლებული მე-19 საუკუნიდან, რომელთა თხზულებათა ფონი და ერთ-ერთი მთავარი თემა ქალაქი იყო — პარიზი, ლონდონი, სანკტ-პეტერბურგი თუ სტოკჰოლმი... თავისი ნოველით — „კაცი ბრბოდან“ — ედგარ ალან პომ პირველმა შეძრა ჩემი ადამიანური არსება: კაფეს სარკმლიდან იგი აკვირდება ქვეითთა დაუსრულებელ რიგებს. ერთ უჩვეულო გარეგნობის ბერიკაცს გამოარჩევს და ღამის წყვილიადში უკან მიჰყვება ლონდონის ამა თუ იმ კუთხისაკენ, რათა შეძლებისდაგვარად მეტი შეიტყოს მასზე. მაგრამ უცნობი კაცი მხოლოდლა „ბრბოს ნაწილია“ და მისი მიყოლა უსარგებლოა, რადგან ის ყოველთვის უცნობად დარჩება და მასზე რამის გაგებას ვერასოდეს შეძლებ. მას ინდივიდუალური არსებობა არ გააჩნია, ის უბრალო ნაწილია გამველეთა იმ მასისა, მუჯღუგუნებით რომ მიიკვლევს გზას დაუსრულებელ წყებებად და ქუჩებს ერწყმის.

ასევე მახსენდება ჭაბუკი პოეტის, ტომას დე კუინის თავგადასავალი, რომელიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში დაამახსოვრდა. ლონდონში, ოქსფორდის ქუჩაზე მშობიან-ტულ უამრავ ადამიანს შორის, გაიცნო ერთი გოგონა — ქალაქისათვის ნიშანდობლივ შემთხვევით ნაცნობობათა კიდევ ერთი ნაყოფი. პოეტმა რამდენიმე დღე გაატარა ქალიშვილთან ერთად. შემდეგ შეთანხმდნენ, რომ ერთი კვირის თავზე, ყოველ საღამოს გოგონა იმავე ადგილას — გრეთ ტირფილდის ქუჩის კუთხეში დაელოდებოდა. მაგრამ მათ აღარასოდეს უნახავთ ერთმანეთი: „ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, უთუოდ მაშინვე უნდა დაგვეწყო ერთმანეთის ძებნა ლონდონის უზარმაზარ ლაბირინთებში; შესაძლოა, სულაც ერთი ნაბიჯი გვაშორებდა — მიჯნა, რომელიც ლონდონის ქუჩებზე ფართო არ არის, მაგრამ სამარადისო განშორებას მოასწავებს“.

წლების გასვლის შემდეგ, ქალაქის ნებისმიერი უბანი თუ ქუჩა იქ დაბადებულთა და მცხოვრებთა მოგონებად, შეხვედრად, სევდად და ბედნიერ წუთებად გარდაიქმნება. ეს ქუჩა მოგონებათა წყებას აღვიძებს და, ქალაქის ტოპოგრაფიის გათვალისწინებით, მთელ ცხოვრებად გარდაისახება, მესხიერებას ისე ეფინება, თითქოს პალიმფსესტზე აღბეჭდილი წარწერა ან ქუჩებსა თუ მეტროში პიკის საათს მოყოლილი ათასობით უცნობი ადამიანის სიცოცხლე გაგემიფროთ.

ჭაბუკობისას, რათა წერა გამადვილებოდა, ამიტომაც ვეძებდი ხოლმე ძველ პარიზულ სატელეფონო ცნობარებს, განსაკუთრებით კი მათ, რომლებშიც სახელს ვკვირდით ქუჩისა და სახლის ნომერი ეწერა. წიგნის ფურცლებისას მეგონა, ქალაქის რენტგენის სურათს ვაკვირდებოდი — ატლანტიდასავით ჩაძირული ქალაქისა — და დროის სურნელს ვისუნთქავდი. დროს ამ ათასობით უცნობისგან მხოლოდ სახელი, მისამართი და ტელეფონის ნომერიღა დაეტოვებინა. ხანდახან სახელიც ქრება. იყო რაღაც თავზარდამცემი ამ ძველი წიგნის ფურცლებზე ხეტილსა და ფიქრში, რომ ახლა იმ ნომერზე დარეკავდი და არავინ გიპასუხებდა. მოგვიანებით ნაკითხვებზე ოსიბ მანდელშტამის გამაოგნებელი სტრიქონები:

**დავბრუნდი. მშობელ ქალაქს თითქოს
 ცრემლით ვღებავდე,
 ნაცნობს — დაბერილ გლანდებამდე და ძარღვებამდე.
 ო, პეტერბურგო, რა ვქნა, სიკვდილს ჯერ არ მოველი —
 ისევ გაქვს ჩემი ტელეფონის ძველი ნომერი,
 ო, პეტერბურგო, მისამართიც მახსოვს ისევე,
 ყველას დავივლი — გარდაცვლილთა ხმას გავიხსენებ.**

ამიტომაც მგონია, რომ პირველი წიგნის დაწერის სურვილი იმ ძველი პარიზული სატელეფონო წიგნის თვალთვლებისას გამიჩნდა: ფანქრით ვხაზავდი ზოგი უცნობის სახელს, მისამართსა და ტელეფონის ნომერს და ათასობით აბონენტთან ერთ-ერთის გარეგნობას წარმოვიდგენდი.

დიდ ქალაქში, შესაძლოა, ადამიანი დაიკარგოს, გაუჩინარდეს, ზოგმა — ვინაობაც შეიცვალოს და ახალი ცხოვრება დაიწყო. შენ კი, თითქოს დანაშაულის კვალს ეძებდე, რამდენი დრო უნდა დახარჯო, რომ თითო-ოროლა მისამართით შეიარაღებული, უცხო გარემოში გაერკვე! ამიტომ ყოველთვის აღმაფრთოვანებდა, როცა ძიებისას ამ მცირე ცნობას ნავაწყდებოდი — „უკანასკნელი მისამართი“.

გაუჩინარების, იდენტობისა და დროის სრბოლის თემა ქალაქის ტოპოგრაფიას ეწვნის. მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, ამიტომაც ცხოვრობდნენ მწერლები ქალაქში. მათგან გამორჩეულნი კი თავიანთ ქალაქებს უკავშირდებოდნენ: ბალზაკი და პარიზი, დიკენსი და ლონდონი, დოსტოევსკი და სანკტ-პეტერბურგი, ტოკიო და ნაგაი კაფუ, სტოკჰოლმი და იალმარ სოდერბერგი. მე იმ თაობას მივუკუთვნები, რომელმაც ამ მწერლების გავლენა განიცადა და რომელსაც სურდა, სანაცვლოდ აღმოეჩინა ის, რასაც ბოდლერი „ძველ დედაქალაქთა ნაოჭებს“ უწოდებდა. რა თქმა უნდა, ორმოცდაათი წლის წინანდელი — იმდროინდელი ქალაქები, როცა ჩემი თაობის ახალგაზრდებს თავიანთი ქალაქის აღმოჩენა აოცებდათ, შეიცვალა. ამერიკული და, როგორც ამბობენ, მესამე სამყაროს ქალაქები მეგაპოლისებად იქცა და შემამფოთებელ მასშტაბებს მიაღწია. მათ მკვიდრთა საცხოვრისი ურთიერთგანსხვავებულია და ჰაერშიც სოციალური მტრობის სუნი ტრიალებს. მივარდნილ ადგილთა რიცხვი იზრდება და სულ უფრო შესამჩნევია ხდება. მეოცე საუკუნემდე მწერლები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ქალაქის მეტნაკლებად „რომანტიკულ“ სახებას და არცთუ ძლიერ განსხვავდებოდნენ დიკენსისა თუ ბოდლერისაგან. ამიტომაც მაინტერესებს, მომავლის მწერლობა როგორ ასახავს თავის თხზულებებში ამ გიგანტურ ურბანულ კონცენტრაციას. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩემს წიგნებში შენიშნეთ „მესხიერების ხელოვნება, რომლის მეშვეობითაც მან აღბეჭდა მრავალი შეუმჩნეველი ადამიანის ბედისწერა“. მაგრამ ეს კომპლიმენტი მე ნაკლებად მეკუთვნის. ეს მესხიერების ნიშან-თვისებაა, რომელიც ცდილობს, წარსულის ყველა ნაკუნი, უცხო და უცნობ არსებათა მიერ მიწაზე აღბეჭდილი ყველა ნაკვალევი შეაგროვოს. და ესეც ჩემი დაბადების წელს — 1945-ს — უკავშირდება. ამ თარიღმა, როცა ქალაქები დაინგრა და მთელი მოსახლეობა აღიგავა პირისაგან მიწისა, სხვა ჩემი თანატოლებივით, უფრო მგრძობიარედ აღმაქმევინა ხსოვნისა და დავიწყების თემა. სამწუხაროდ, არა მგონია, რომ წარსულის ნაშთთა დამახსოვრება შესაძლებელი იყო იმაზე ძალუმად და გულწრფელად, ვიდრე ეს მარსელ პრუსტმა მოახერხა. მის მიერ აღწერილი მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოება ახლაც ცოცხალია. პრუსტის მესხიერება „ცოცხალ სურათებად“ აქცევს წარსულის ყველა დეტალს.

ახლა ვფიქრობ, რომ მესხიერება უფრო ნაკლებ დარწმუნებულთა საკუთარ თავში აწმუნებასა თუ დავიწყებასთან შერკინებისას. ეს დონე, დავიწყების ასეთი მოძალევა, რომელიც ყველაფერს რიდეს აფარებს, იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მხოლოდ წარსულის ფრაგმენტთა, უნესრიგო ნაკვალევთა, გამსხლტარ და თითქმის ხელმეუფლებ ადამიანურ ბედისწერათა შეგროვება ძალგვიძის. და მაინც, მწერლის მონოდებაა, დავიწყების ამ ვებას სუფთა ფურცელთან პირისპირ დარჩენისას რამდენიმე ფერგასული სიტყვა ისევ გაამკვეთროს, თითქოს ჩაძირულ აისბერგს ოკეანის ზედაპირზე ამოეყვინოს.

**ინგლისურიდან თარგმნა
 გია ჯოხაძე**

რუსუდან ნიშნიანიძე

იქ — ამერიკაში

ამერიკამ მაინც სამი ყაიდის ქართველი იცოდა: იოსებ სტალინი, პრენს ალექს მდივანი (და მისი და-ძმები) და ჯორჯ პაპაშვილი...

სამი სრულიად განსხვავებული ყაიდის ქართველი...

სამივე ფრიად ცნობილი და პოპულარული...

ერთი უცხოელი გეოგრაფიული სივრცით დაინტერესდა: ნეტავ რამდენად შორს იყო დაცილებული საქართველოში ჯორჯ პაპაშვილის დაბადების ადგილიდან — დუშეთიდან, მისთვის ცნობილი მეორე ქართველის, XX საუკუნის ისტორიის ერთ-ერთი „მოკარნახის,“ სტალინის მშობლიური ქალაქი გორი?! ერთმანეთისაგან ძალიან შორს არც დაბადების თარიღები იყო... რა ექნა, ცხრა მთას იქით ამ ორი ქართველის გვარი ჰქონდა გაგონილი და საერთო სახელი ერთი — საქართველო.

სტალინი — ასე იცნობდა მთელი მსოფლიო; თუმცა იოსებ ჯულაშვილიც იცოდა. უზარმაზარი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის ლიდერი. II მსოფლიო ომამდეც, მთელი ომის განმავლობაში და უკვე გამარჯვების შემდეგ, მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახდა. შეერთებულ შტატებში, როგორც ვთქვი, ჯორჯ პაპაშვილთან დაკავშირებით მას არაერთხელ მოიხსენიებდნენ, ძირითადად მაინც წარმომავლობასთან კონტექსტში. იმის მისანიშნებლად, რომ ისინი ერთი ქვეყნიდან იყვნენ, ორივეს სამშობლო საქართველო იყო: თანაც ჯორჯიც ჩიბუხს ეწეოდა, ორივეს — მკვეთრი გარეგნობა და გარეგნული ნიშნებიც: სიმაღლე, ფერი... თითქოს ერთნაირი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ასეც „ხედავდნენ.“ ინერებოდა კიდევ.

რამდენიმე მაგალითი:

„**ორმოცი წლის წინ, რუსეთის საქართველოს ერთ სოფელში, კობიანთკარში, რომელიც სტალინის დაბადების ადგილიდან არცთუ შორსაა, ერთი კაცი, ჯორჯ პაპაშვილი დაიბადა,**“ — „აბლიშერს უიკლი,“ „მხიარული და გულისამაჩუყებელი ისტორიები რუსი ემიგრანტისა, რომელიც გაამერიკელების გზაზე იმყოფება.“

წერილს აქვს „შესაბამისი“ ქვეთავი: „**რა საოცარი ქვეყანაა!**“ საოცარია, აბა, რა: ერთი ქართველი — მსოფლიო პოლიტიკაში, მეორე ქართველი — გულღია და ხალასი ამერიკელი მწერალი.

„რით შეიძლება, ადეკვატურად აიხსნას დამოკიდებულება თა თართო განსხვავებულობა, რომლითაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ემიგრანტები ღებულობენ შეერთებულ შტატებს? ზოგიერთის შნოიანობა, რასაც ყველაზე შემაცბუნებელ გარემოში ავლენენ, ძალიან მკვეთრად განსხვავდება სხვათა შიშისაგან. საინტერესო იქნებოდა იმის ცოდნა, თუ რა იყო ამ განსხვავებათა თავდაპირველი მიზეზი — ეროვნული ან ინდივიდუალური თავისებურებები თუ სიმკაცრის ხარისხი, რომელშიც ისინი აღიზარდნენ, ან კიდევ პოლიტიკური და აგრო-ინდუსტრიული პირობები, რომლებსაც ისინი გამოექცნენ. **ნიგნში, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ჯორჯ პაპაშვილი, რომლის წარმოშობის ადგილი და განთქმული გარეგნობა იოსებ სტალინის მსგავსია, ათასგვარად მოქმედებს,** მაგრამ მისი არცერთი მოქმედება არაა გან-



პირობებული შიშით ან სიფრთხილით ამ მისთვის უცნაურ, „მტრულ“ და იდუმალ ამერიკულ გარემოში,“ — „რედაქტორის არჩევანი. ჩაუხშობელი კეთილი სულები.“

„**გიორგი პაპაშვილი ცნობილი ქართველია; ეს უნდა აღინიშნოს, რადგან ის ატარებს გარკვეულ მსგავსებას სახელოვან იოსებ სტალინთან, რომელიც რუსეთის იმავე პროვინციიდან არის წარმოშობით. გიორგი, რომელსაც დიქტატორობის ამბიცია არა აქვს, ამერიკაში ჩამოვიდა და როგორც კი ნაპირზე ჩამოდგა ფეხი, ის გამჭრიახმა ვაჭარმა გააბრიყვა, გაუცვალა რა თავისი თეთრი ნაჭრის ქუდი გიორგის კარაკულის ქუდში,**“ — „ნიუსი,“ დეტროიტი, მიჩიგანი, 1944 წელი, დღის ნიგნები. კლაიდ ბეი „ემიგრანტის სიცილის სამყარო.“

.....
გივი კობახიძე ვაშინგტონ-ტომპარკში დაწერილ წერილში იხსენებდა 30-იანი წლების ამერიკაში გამოქვეყნებულ ალბომს: „100 ყველაზე გახმაურებული მოვლენა.“ ამ ასიდან ერთ-ერთი თურმე პრენს მდივანის ისტორია ყოფილა. სანამ მასზე დაიწყებდეს საუბარს, წერილის ავტორი სან-ფრანცისკოში მცხოვრები ქართველი თავადიშვილის — სვიმონ დადიანის თავსგადამხდარ ერთ შემთხვევას გაიხსენებს და იმას უამბობს მკითხველს. დავაზუსტებ, სვიმონ დადიანი ცნობილი ქართველი ემიგრანტის, ნიკოლოზ (კოკი) დადიანის ვაჟი გახლდათ (მეორე ქორწინებიდან).

ერთხელ სვიმონ დადიანი თავის უფროს ამერიკელ მეგობარს წვეულებაზე მიუპატიჟებია. მაღალი საზოგადოება შეკრებილიყო. და როცა სხვებთან ერთად ის ერთ-ერთ პიროვნებას წარუდგინეს როგორც ქართველი თავადი, იმას ხმამაღლა, დაცინვით და დაურიდებლად უთქვამს:

„ — ააა, ქართველი, თავადი?! „პრენს მდივანი“ ჰა! „იოლი ფულის თავადი!“ „პრენს მდივანი!“... ეს ყმანვილი ქართველი თავადი ყოფილა,“ — მიმართა შეკრებილთ.

„ — „პრენს მდივანის“ ლანდსმანი („country“) და თანაც რალაც უშნოდ იღრიჯებოდაო,“ — დაწერს გივი კობახიძე.

საკმაოდ უხერხული სიტუაცია შექმნილა. ერთხანს ყველა დუმდა. თითოეული იქ მყოფი მიხვდა, რასაც გულისხმობდა ამერიკელი, მაგრამ სვიმონ დადიანი არ დაიბნა, არ გაემიჯნა სხვა ქართველს, არ შერცხვა, უარი არ უთქვამს არც მასზე, არც მის საქციელზე და, რაც მთავარია, არც საკუთარ წარმომავლობაზე. არადა, ამ მოულოდნელობისაგან ბევრს აებნეოდა თავგზა. ნუ დავგავიწყდება, რომ ამ დროისათვის სვიმონი მხოლოდ 15-16 წლისაა. ამბავი კი ასე გაგრძელდება:

„ — დიად, მე ვარ ქართველი, „პრენს მდივანის“ თანამემამულე... თქვენ ვინ ხართ?

— მე?! — დამცინავი გაკვირვებით უთქვამს მას, — მე ვარ ამერიკელი!

* ნიგნიდან: „უცნობი ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი“

— აჰა, აჰა! თქვენ ხართ ამერიკელი?! ალ კაპონე!!! ალ კაპონე!!! ალ კაპონე!!! — შესძახა სვიმონმა და გადახედა საზოგადოებას, თანაც თითი მიუშვირა ავჯია სტუმარს და განაგრძო: ეს ჯენტლმენი ამერიკელია, ალ კაპონეს country-man... იოლი ფულის განგსტერი!”

აი, მაშინ კი არეულა მონასტერი... ამერიკელი სტუმარი ცუდად აღზრდილი ქართველისგან ბოდიშის მოხდას ითხოვდა... გაუგებრობა ისევ სვიმონ დადიანის ხმაძალა დასმულ შეკითხვას გაუფანტავს:

„— რატომ არ შევეკითხებით საკუთარ თავს: რატომ ცდილობენ მილიონერი ამერიკელი ქალბატონები იოლი „პრინციპობის“ ტიტულის მოპოვებას?”

კითხვამ ბევრს გაუჩინა აზრის გამოთქმის სურვილი და... ბოლოს ყველა დაეთანხმა ყმანვილ თავადს...

და მაინც, ვინ იყვნენ ეს მდივნები?

ამ ოჯახზე ძალიან ბევრს წერდა როგორც ევროპული, ისე ამერიკული პრესა, ბეჭდავდა „მყვირალა“ სათაურებით: სიმპათიით და ირონიითაც...


ამ ოჯახის თითოეული წევრი „იმსახურებდა“ საზოგადოების და ყურნალისტების გამორჩეულ ყურადღებას. ბევრ რამეზე წერდნენ, მაგრამ ძირითადი მაინც მათი პირადი ცხოვრება იყო. აუხსნელი, იმავდროულად, არანაკლებ გასაცარი, თანაც შეკითხვებით სავსე:

- 1) როგორ ხიბლავდნენ ამდენ ადამიანს?
- 2) საიდან იწვევდნენ ამხელა ნდობას?
- 3) რატომ უყვარდა ამდენ სწორედ რომ გამორჩეულ პიროვნებას?
- 4) წინა ისტორიაში განცდილი მარცხის მიუხედავად, რომელიც პრესის მეშვეობით ლამის ყველამ ზეპირად იცოდა, მომავალი შეყვარებული როგორი თავდავინყებით გადაეშვებოდა სიყვარულის მორევში?
- 5) განმორების, გაცხარების, დაუსრულებელი ტკივილის მიუხედავად, ყველა რატომ იყო მაინც ბედნიერი „იმ“ სიყვარულში?
- 6) რატომ იხსენებდნენ როგორც „შეუძლებლად დაუვინყარს?”
- 7) და ბოლოს და ბოლოს, რაიმე „საიდუმლო“ ხომ არ ჰქონდათ?

არადა, რასაკვირველია, ამ ოჯახის თითოეულ წევრს თავისი გამორჩეული კეთილშობილება, მომხიბვლელობა, განათლება და ხიბლი ჰქონდა, მაგრამ პარალელურად გაჩნდა ფრაზაც: მექორწილე მდივნები.

ქორწილები — მდიდრული, ულამაზესი და გემოვნებიანი მაღალი საზოგადოებით, ანუ გამორჩეული სტუმრებით, უამრავი ულამაზესი ყვავილით, გულში გამკრთალი გაოცებით, დაკვირვებული თვალთ, ბევრი სიცილითა და მხიარულებით სავსე. ხმაურიანი, დოვლათიანი **ქორწინებანი და გან-ქორწინებანი** ამერიკელ მულტიმილიონერთა ქალიშვილებსა და ჰოლივუდელ საყოველთაოდ აღიარებულ კინოვარკვლავებთან... და რაც მთავარია, ხშირად...

ცოტა რამ ოჯახის ისტორიიდან:
დედა — ელისაბედი, **მამა** — ზაქარია მდივანი, გენერალი; **შვილები** — სამი ვაჟი, ორი ქალიშვილი; **ნოდება** — პრინცი; **წარმომავლობა, ქვეყანა** — უძველესი და შორეული საქართველო...



გიორგი (გიორგი) პაპაშვილი

ქორნიკის პირველ სვეტებში — მთავარი ადგილი; **თავგადასავლები** — ულამაზესი ქალებით, ჰოლივუდის ვარსკვლავებით, ან უმდიდრეს მაგნატთა ნიჭიერი მემკვიდრეებით...

პრესის აქცენტები — სიძე-პატარძლის გარეგნობა, ყვავილების ჯიშები და რაოდენობა, საჩუქრები, მაქმანთა ფერი და მოხატულობა.

ძირითადი დადებითი ეპითეტები — სასიამოვნო გარეგნობის, მეტიც, ლამაზები, მომხიბვლელნი, გონებამახვილნი, კარგი მოსაუბრენი და, იმავდროულად, საუკეთესო მსმენელები.

ძირითადი უარყოფითი ეპითეტები — მექორწილე მდივნები, საერთაშორისო ალფონსები, იოლი ფულის მეტრფენი.

თუმცა ვიდრე ამ საქორწილო ისტორიებს თუნდაც ძალიან ფრაგმენტულად გავისხენებთ, ერთი რამ ხაზგასმით უნდა ვთქვათ: ოჯახის სამი წევრის მოულოდნელი, კატასტროფის გამო გამოწვეული გარდაცვალების ფაქტები (სხვადასხვა დროსა და ვითარებაში) საკმარისი იყო, რომ არა მხოლოდ პრესაში და ბეჭდილიყო სრულიად განსხვავებული შეფასების სტატიები, არამედ მათვე სიტბოსა და გულდაწყვეტილ საჯარო გამოხატვით, საზოგადოებისთვის „დიდი დანაკლისის“ შესახებაც ეცნობებინათ. არადა, ადრე გამოქვეყნებულ წერილებში ეს მაინცდამაინც არ იგრძნობოდა. იმავე (მძიმე) დღეებში დაისტამბა იმ ადამიანების განცხადებებიც, რომელთაც, ვთქვათ ასეც, სიცოცხლეში რთული ურთიერთობა ჰქონდათ გარდაცვლილთან, ახლა მათი განუმეორებელი ბუნების შესახებ იხსენებდნენ სხვადასხვა ისტორიას.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ გენერალი ზაქარია მდივანი მეუღლესა და ხუთ შვილთან ერთად ჯერ კონსტანტინოპოლში ჩავიდა, შემდეგ პარიზში დასახლდნენ. უკვე 20-

იანი წლების ბოლოს ოჯახი შეერთებულ შტატებში გადავიდა... შვილები — სერგი, დავითი, ალექსი, ნინო და რუსუდანი.

ყველაზე პოპულარული მაინც ალექს მდივანი იყო, თუმცა ქორწინებებით მას არც დანარჩენი და-ძმა ჩამორჩებოდა.

„ალექსი მდივანი სრულიადაც არ იყო სააუგო პიროვნება, იყო კეთილი, გულისხმიერი და კარგი ქართველი,“ — წერდა გივი კობახიძე. აქვე დავიმონმებ ერთ ამონარიდს რუსუდან დაუშვილის წერილიდან:

ალექსი „ეხმარებოდა არა მარტო მოხუც, ავადმყოფ მამას და გაჭირვებულ ახლობლებს, არამედ ცდილობდა თავისი სიმდიდრისთვის საზოგადოებრივი დანიშნულება მიეცა — დახმარებას უწევდა საქართველოს საელჩოს პარიზში, ქართულ ორგანიზაციებს; საქართველოს საკითხის გამო ხშირად აწყობდა შეხვედრებს დეპუტატებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, თავისი ხარჯით აცემევდა და გზავნიდა დელეგაციებს იმ კონგრესებზე, სადაც იდგა „საქართველოს საკითხი.“ თვითონაც მიდიოდა, როცა ამის საჭიროება ჩნდებოდა...
1933 წლის გაზაფხულზე საფრანგეთმა ცნო საბჭოთა კავშირი. პარიზში გაუქმდა საქართველოს მთავრობის ლეგაცია. სანაცვლოდ, შეიქმნა „ლტოლვილთა ოფისი.“ მის ხელმძღვანელს, სოსიპატრე ასათიანს მოადგილედ ალექსი დაუნიშნეს”, და კიდევ, ამის პარალელურად არაერთი საქველმოქმედო საქმე ევროპის გარეთ...

მეტი რაღა შეიძლება გაეკეთებინა? — გაიფიქრებს ვინმე. როგორც ხედავთ, ალექსი მდივანის პოპულარობის ერთი „დიდი მიზეზი“ მისი ფართო საზოგადოებრივი საქმიანობაა. და მაინც, ამერიკელებისთვის საინტერესო — პირადი!

არ ვიცი, ზუსტად როგორ მოხდა, მაგრამ ცნობილი და ემიგრაციის საქმეებში უდავოდ ჩახედული კაცის — გივი კობახიძისავე — ცნობით, სწორედ ალექსიმ „ჯერ თავი „გაიპრინცა“ და მერე... შეუვლდა, რათა ისიც „გაეპრინცებინა.“ თუმცა შეუვლდებაზე ოდნავ მოგვიანებით.

პრინცი — სამეფო სახლის შთამომავლის მდგომარეობა, რომელიც უკვე სხვა „ხიზლს“ სძენს ამ ტიტულის მქონეს. ასეთი ხუმრობაც გავრცელებულა, თითქოს ზაქარია მდივანს ეთქვას, თავადობა შეილება გადმომცეს და არა პირიქითო.

ჩანართის სახით: ჯორჯ პაპაშვილზე დაწერილ წერილებში არაერთგან შეხვედებით ფრაზას, რომ მწერალი ყოველთვის (ინტერვიუებში, შეხვედრებზე...) თანაც ხაზგასმით, აღნიშნავს, რომ ის ქართველია, მაგრამ თავადი არ არის, არამედ უბრალო გლეხი. თავის ბესტსელერშიც შემთხვევას „ხელიდან არ გაუშვებს“ და... ეგებ ოდნავ ქილიკითაც დაწერს;

ფრაგმენტი:

მისის კლივენდონი გიორგის გაიცნობს:

„ — თქვენ უცხოელი ხართ? რუსი?

— არა, მადამ, მე ქართველი ვარ!

— ჰო. მაშინ თავადი იქნებით. მგონი, ყველანი თავადები ხართ.

— არა, მადამ, მე გლეხი ვარ!

— გეტყობათ, ძალიან თავმდაბალი ხართ. სხვები ყველანი თავადობას იჩემებენ.“

გარდა იმისა, რომ ალექსი განათლებული, კარგი გარეგნობის და, როგორც ვთქვი, კეთილშობილებითა და ზოგადად, სიყვარულით სავსე კაცი იყო, მდიდარ ამერიკელ ქალბატონებს წოდების „ცდუნებაც“ ძალიან იზიდავდა. დასტურ, როგორი იდუმალებით სავსეა: ისტორიული სამშობლოდან უსასტიკესი ბოლშევიკური რევოლუციის გამო „გამოქცეული“ არისტოკრატები, რომელთა განათლებაში, მანერებასა და თავდაჭერაში წამითაც არ შეგეპარებოდათ ეჭვი. მეტიც, მათთან დაახლოებას უამრავი ადამიანი ცდილობდა... კემბრიჯის კურსდამთავრებული, „ნიუ-იორკ-ბანკის“ ფრანგული ფილიალის მოხელე, კარგად მღეროდა, ცეკვავდა, პოლოს თამაშობდა... **პრინცი ალექს მდივანი.**

პირველი ქორწინება, რომელმაც დიდი გამოძახილი გამოიწვია იყო ალექსი მდივანის შეუღლება ბენედიქტის მადნატის 21 წლის ქალიშვილთან ლუიზა ასტორ ვან ალენთან, რომელიც, სამწუხაროდ, მაინცადამაინც დიდხანს არ გაგრძელებულა და „გადაიჩრდილა“ მეორე — უმდიდრეს ამერიკელ ვულვორტების შთამომავალ ბარბარა ჰიუტონთან **ქორწილით.** როგორც ამბობენ, იმხანად მსოფლიოში ის ყველაზე მდიდარი ქალბატონი გახლდათ. ამ ქორწილმა კი ნამდვილად აახმაურა მთელი შეერთებული შტატები. ჯვრისწერა პარიზში შედგა და იმხანად ევროპული და ამერიკული პრესისათვის ეს პირველ გვერდებზე გაშუქებული მასალა იყო: ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში შესრულებული რიტუალი, პომპეზურად მორთული გარემო, საგანგებოდ გამოწყობილი ადამიანები — სტუმრებს რომ ხვდებოდნენ და მონვეულთა შორის, რასაკვირველია, საქართველოს მთავრობის წევრებიც იყვნენ... ცოლ-ქმარი სიამოვნებით პოზირებდა ფოტოაპარატების წინ. ამას მოჰყვა საოცარი მოგზაურობანი და უმდიდრესი სახეიმი შეხვედრები, არაჩვეულებრივი დღეები და... დაცელება. 1935 წელს გაზეთებში პირველმა „ყვითელმა სტატი-

ებმა“ გაჟონეს. ისევე ბარბარა (რომელსაც მერე, უკვე მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე ასეთ სახელსაც გამოუძენიან: „სერიული პატარძალი“) პრესასთან განაცხადებს, რომ „ყველაზე ღირსეულ მამაკაცს“ ეყრება.

1935 წელს ალექს მდივანმა, ზოგიერთი ცნობით, თავის ახლო მეგობართან, სალვადორ დალისა და მეგობარ ქალბატონთან ერთად დას, რუსუდანს ესპანეთში (პალამოში) ჩააკითხა. დას და სიძეს სტუმრობდა. იქედან წამოსული მოულოდნელად ავტოკატასტროფაში (რაღაც უცნაურად, სწორედ ბარბარას ნაჩუქარი „როლს-როისით“) დაიღუპა; საზოგადოება მომხდარს ბარბარა ჰიუტონთან გაყრის მძიმე პროცედურის გამო მის სტრესულ მდგომარეობას აბრალებდა... უკვე ასაკში, ბარბარა დიდი სიყვარულითა და გულდაწყვეტით იგონებდა „კეთილი გულის, მაღალი სულის, ალერსიან და მზრუნველ,“ ყველასაგან გამორჩეულ ალექს მდივანს.



ალექს მდივანი და ბარბარა ჰიუტონი

სერგი (სერუ) მდივანმა მუხჯი კინოს მსოფლიო ვარსკვლავი პოლა ნეგრი შეერთო. უნიჭიერესი ქალბატონი, რომლის შესრულებულ კინოროლებსა და ცხოვრებაზეც პრესა უამრავს წერდა. მის სახელთან უკვე განუყრელად იხსენიებოდა რუდოლფ ვალენტინო, ჩარლი ჩაპლინი და გაუთავებელი კინონიჭიტიები; ჩარლი ჩაპლინი მაინც მინდა გამორჩეულად გამოეყო; კინოს გენიოსი, რომელიც ალტაცებული იყო პოლა ნეგრით და, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის საგულდაგულოდ მაღავედა თავისი პირადი ცხოვრების დეტალებს, მომავალი ქორწინების შესახებ — პოლასთან, მაინც გამოაცხადა. ქორწილი დიდი ურთიერთობის მიუხედავად, არ შედგა, ქალის განხაურებული რომანის — რუდოლფ ვალენტინოსთან — გამო. რუდოლფის მოულოდნელი გარდაცვალება ნეგრამ ძლივს გადაიტანა. გამოიგლოვა და ერთი წლის შემდეგ სერუ მდივანის ცოლი გახდა. მათმა ქორწილმა ისევე აახმაურა ამერიკული საზოგადოება, როგორც დაცილებამ. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ გაყრის მიზეზი ქალის გაკოტრება გახდა.

1929 წელს სერუი მეორედ დაქორწინდა. მისი მეუღლე ცნობილი საოპერო მომღერალი მერი მაკკომაკი იყო. ისიც საყოველთაოდ აღიარებული ვარსკვლავი, მდიდარი და ნიჭიერი. მერისთან განშორებას ისე არ გაუოგნებია ამერიკული საზოგადოება, როგორც ახალმა ამბავმა გააკვირვა.

ალექსი უკვე რამდენიმე თვის გარდაცვლილი იყო, როცა მისი უფროსი ძმა — სერუი ხელახლა დაქორწინდა და ცო-

ლად თავისი ყოფილი რძალი, ალექსის ნაცოლარი — ლუიზა ვან ასტორი შეერთო ცოლად.

ქორწინებიდან ერთ თვეში გარდაიცვალა — 1936 წელს; ნეკროლოგში წერდნენ, რომ 15 მარტს, კვირას 33 წლის პრინცი სერჟ მდივანი ქართველებსა და ტეხასელებს შორის გამართულ მატჩში მონაწილეობდა. მისი ახალშერთული ცოლი და იმისი დედა ტრიბუნებიდან ადევნებდნენ თამაშს თვალს. მეოთხე ეტაპზე სერჟი გაბედული მოძრაობით გადავიდა ხაზის გასწვრივ და მოულოდნელად მისი პონი შეეჯახა ერთ-ერთი მოთამაშის (სმიტის) პონს. ორივე მონაწილე ძირს ჩამოვარდა. სამწუხაროდ, მდივანი ცხოველის ფეხებთან მოექცა, მას პონის ფლოტკები მოხვდა თავში. სერჟ მდივანი თავში სისხლჩაქცევით იქვე გარდაიცვალა.

რაკილა ძმები ჰოლივუდის მაღალ საზოგადოებაში ტრიალებდნენ, პრინც დავით მდივანის პირველი მეუღლე ასევე, მუნჯი კინოს ვარსკვლავი, ცნობილი მოცეკვავე მეი მიურეი გახდა, მაგრამ მათი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდებოდა. როგორც ძმების შემთხვევებში ხდებოდა, მეიც ხნიერი გახლდათ ქმარზე. მათი სასამართლო პროცესი უსაშველოდ გაგრძელდა — ბავშვის გამო. ბევრიც დაინერა. წერენ, რომ დავითმა გააკოტრა ეს მდიდარი და ცნობილი ქალი. არადა, იმასაც ყვებიან, თითქოს წლების შემდეგ, მოხუცთა თავშესაფარში მყოფი, ხშირად იმეორებდა თურმე:


„ — მე მეი მიურეი ვარ, პრინცესა მდივანი.“

1944 წელს დავითმა მეორედ იქორწინა, მისი ცოლი „სინკლერ ოილის“ პრეზიდენტის ქალიშვილი, ვირჯინია სინკლერი გახდა. დავით მდივანმა ნავთობის ბიზნესში სერიოზული ადგილი დაიკავა.

მათი და, პრინცესა ნინო მდივანი სტენფორდის პროფესორსა და ადვოკატს, ჩარლზ ჰუბერის გაჰყვა ცოლად.

1936 წელს მეორედ იქორწინა და ცნობილი მწერლის (თუმცა-ლა ის უკვე გარდაცვლილი გახლდათ 1930 წელს) სახელგანთქმული არტურ კონან დოილის ვაჟის, დენის ცოლი გახდა; მეუღლის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მესამედ დაეკავშირდა — ანტონი ჰარვუდზე, დენისის მდივანზე.

თვითონაც ნიჭიერი მოქანდაკე პრინცესა რუსუდან მდივანი იმხანად სახელგანთქმული ესპანელი მხატვარ-მონუმენტალისტის ხოსე მარია სერტის ჯერ მონაფე გახდა, შემდეგ მეორე ცოლი (პირველ მეუღლესთან მისი გაშორების შემდეგ). მის პროფესიულ ოსტატობასა და ნამუშევრებზე ბევრი არაფრის თქმა შესაძლებელი, მაგრამ ერთი ნამუშევრის შესახებ მაინც აღვნიშნოთ — ქართველი მწერლის, ნიკოლო მინიშვილის ბიუსტი. საფრანგეთში მყოფ ნიკოლოს შეხვდა და ნამუშევარიც შეიქმნა; როგორ გაჩნდა იდეა, რამდენ ხანში გაკეთდა, რამ განაპირობა ეს გადაწყვეტილება... ახლა უკვე ძნელია, შეუძლებელიც კი, ამის გარკვევა. დარჩა მხოლოდ ნამუშევრის ფოტო; ვფიქრობ, საინტერესო ნამუშევარია (ეს ფოტო მწერლის ვაჟის, ბ-ნ ილამაზ მინიშვილის ოჯახში ინახება). ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცით, ისაა, რომ ნიკოლო მინიშვილს ამ ოჯახთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. მწერლის „ქართული ქრონიკების“ ერთ-ერთ კრებულს „ეპოპეია“ ჰქვია. ესაა დოკუმენტური პროზის ნიმუში. თვითონაც დოკუმენტური სიზუს-



ნიკოლო მინიშვილის ბიუსტი (მოქანდაკე რუსუდან მდივანი)

ტით შეეცდება მღელვარე ეპოქის ასახვას; აქ ლიტერატურული ასოციაციით დაბადებული პერსონაჟები არ მოქმედებენ, არამედ რეალურად არსებული პიროვნებები.

„მე მინდა შევიყვანო ჩემი მკითხველი უსიუფეტო ნიგნში: მინდა თვითონ ვიარო მასთან ერთად: ადამიანიდან ადამიანამდე, ვატარო ის ჩვენი დროის შემთხვევულებათა წრეში და ვანახო მას ნაცნობი სახეები...“ ამ საინტერესო ნიგნში არაერთი უჩვეულო პორტრეტი დახატული...

1922 წელი. გერმანული საბარგო გემი „Marmara“. ბოლო შეხვედრა პოეტებთან — ტიცინ ტაბიძესა და გიორგი ლეონიძესთან. სანდრო ცირეკიძესთან შორეული გამოთხოვება. ბათუმი. „უკანასკნელი პურ-მარლი“ გრიგოლ ლალიძესა და ვანო ყიფიანთან. „სურათის სავალდებულო გადაღება და ეტლი პორტისაკენ.“ ერთი ეპიზოდი: თვითონაც გაკვირვებული რომ გაიხსენებს, როგორ გამოიწვია მისმა პიროვნებამ განსაკუთრებული ყურადღება. მოკავშირეთა სამხედრო საკონტროლო ზოლზე პასპორტებს ინგლისელი, ფრანგი, ბერძენი, იტალიელი ოფიცრები ამოწმებდნენ. ფრანგმა პასპორტი გამოართვა და რუსულ ენაზე ის შეკითხვა დაუსვა, რომელიც ძალიან აინტერესებდა:

„ — ბოლშევიკი ხართ?
— არა, პოეტი ვარ.
— პოეტი?
— დიახ.
— როგორ გამოგიშვეს ბოლშევიკებმა, ისინი არა ბოლშევიკებს არ უშვებენ.
— როგორც ხედავთ, გამომიშვეს.“
ოფიცრისათვის სტამბოლში მისი ჩამოსვლის მიზანი და ნაცნობების ის წრე იყო გასარკვევი, რომელიც ნებართვის მიღებას განსაზღვრავდა.

„ — ვის იცნობთ სტამბოლში?
— ქართველებს ყველას ვიცნობ. კერძოთ, მივდივარ ლენერალ მდივანთან.“

„ — როგორც ხედავთ, გამომიშვეს.“
ოფიცრისათვის სტამბოლში მისი ჩამოსვლის მიზანი და ნაცნობების ის წრე იყო გასარკვევი, რომელიც ნებართვის მიღებას განსაზღვრავდა.

„ — ვის იცნობთ სტამბოლში?
— ქართველებს ყველას ვიცნობ. კერძოთ, მივდივარ ლენერალ მდივანთან.“

„ — ვის იცნობთ სტამბოლში?
— ქართველებს ყველას ვიცნობ. კერძოთ, მივდივარ ლენერალ მდივანთან.“

საუბარში ინგლისელი ოფიცერი ჩაერთო, მაგრამ ისეთი რამ თქვა, თავზარი რომ დასცა ნიკოლო მინიშვილს:

„ლენერალ მდივანს მეც კარგად ვიცნობ... ისინი ოტელ „Roma“-ში სცხოვრობდნენ. ერთი კვირის წინეთ ნავიდნენ პარიზში.“

„ნავიდნენ?“ არადა, ლამის მის იმედზე ჩამოვიდა. 1918 თუ 1919 წელს გაიცნო, ზუსტად ვერც კი იხსენებს, მაგრამ ის აგონდება: „ბევრი საინტერესო საუბარი.“ ნაცნობ მისამართზე წასვლა მაინც გადაწყვიტა. დიახ, გენერალ ზაქარია მდივანზე ვლასპარაკობთ, ოჯახის უფროსზე... და კარი გაიღო. სწორედ გენერალმა გაუღო, თანაც შეძახილით:

„ — ქაჯან, შენა ხარ!“

ნიკოლო იყო. ის ნიკოლო, რომელიც ახლა უკვე სანერ მაგიდას რომ მიუჯდება, ძალიან შეეცდება, დეტალურად გაიხსენოს განცდილი:

„დიახ, ეს მე ვიყავი, ძველი ნაცნობი ტფილისიდან. ეხლა მოხეტიალე უსახლკარო პოეტი, რომელმაც მივალნიე აქამდის მისი, ლენერალ მდივანის იმედით, მაგრამ... ეს „მაგრამ“ იმაში მდგომარეობდა, რომ ჯერჯერობით სანუგეშო რამ ჩემი მეცენატის შესახებ ვერაფერი გავიგე. გავიგე მხოლოდ ის, რომ ცოლ-შვილი პარიზში გააგზავნა, რომ თვითონ ჩარჩენილა სტამბოლში და მასაც ძალზე მიეჩქარება საფრანგეთისაკენ.“

დასხდნენ. საუბარი თავისთავად აენყო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ორივენი გულახდილნი იყვნენ. გულწრფელია ზაქარია მდივანი. და ნიკოლოც მოიგონებს:

„ყველაფერს მეუბნება და ჩვენი საუბარი ისეთია, თითქოს ნაბლის ბუქვით დაფენილ გზაზე მიდიოდეს ფეხშიშველი კაცი. მწარეა ასეთ გზაზე სიარული, მაგრამ როცა სხვა გზა არაა — ასეთი გზით მიდიხარ, თუნდაც ფეხშიშველი.“

ზაქარია მდივანს მთელი თვის განმავლობაში წერილის მინერაც ვერ მოეხერხებინა ცოლ-შვილთან. და მაინც, როგორი იყო „პრინციების მამა“? ვრცელ ამონარიდს მოვიტან:

„ის იყო მალაღობი, ევროპიულად გამოწყობილი ახოვანი კაცი, რომელსაც კიდევ არ ხრიდა ნელში სამოცი წელიწადი და ის მწუხარება, რომელიც ავსებდა ამ ჟამად მის გულს და მის ოთახს ამ სასტუმროში. ის იდგა ჩემ წინ სწორი, ცისფერი თვალებით, თეთრ თმინი... და ჰგავდა ინგლისელ დეპუტატს — კონსერვატორთა პარტიიდან. სწევდა პაპიროსს პაპიროსზე და განაგრძობდა:

— გესმის, ქაჯან, რას ნიშნავს ეს, გესმის? მე ვიყავი იმპერატორის ახლობელი კაცი, „სვიტის“ ლენერალი. მე ვიყავი ცნობილი ნიჟეგოროდის პოლკის უფროსი; ვიყავი შეძლებული კაცი; მიყვარდა ცოლ-შვილი და არავინ არ მძულდა...

ესლა არაფერიც აღარა ვარ. ცოლ-შვილი ჩემი უცხო მხარესაა გადავარდნილი და მე ჩაგირავებული ვარ ამ ცხვირ-მოუხოცელი ბერძენის ხელში, რომლის ვალი ბორკილივით მიჭერს ამ სასტუმროში...

გესმის, რას ნიშნავს ეს?!“

მკითხველსაც ესმის და არა მხოლოდ ზაქარია მდივანის თანამოსაუბრეს; ქართველ მწერალს, რომელიც გულდამძიმებული დატოვებს იქაურობას და სიბნელეს შეერევა. თუმცა მანამდე უხმოდ დაემშვიდობება ნაცნობს, რომელიც თავის თბილ და „რბილ ხელს“ გამოუწვდის დასამშვიდობებლად და გაღიმებული მაინც ეტყვის:

„— შეგეშინდა? რა უყოთ. ასეთია ცხოვრება. ზოგი ჩვენი ბრალია. ზოგიც კიდევ სხვისი. შენ რა გიჭირს — თავის მეტი დასაკარგი არაფერი გაქვს. შემოიარე ხვალ, უთუოდ შემოიარე და ვიფიქროთ რამე მაგ ოხერ თავზედაც. იქნებ, რამე მოვიფიქროთ. ნუ მოიწყენ...“

ისე მოხდება, რომ მდივანი უფრო ადრე გაემგზავრება საფრანგეთში; ნიკოლო მას და მის ოჯახს მოგვიანებით შეხვდება. რუსუდანიც მუშაობას შეუდგება და ის ბიუსტიც გაკეთდება... შემდეგ თითოეულის ცხოვრება როგორ გაგრძელდება, მკითხველმა უკვე იცის.

ძმების მოულოდნელი სიკვდილი რუსუდანისთვის უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდა.

„რომ დავამტკიცო, რამდენად მიყვარდა, საკმარისია, უბრალოდ ვთქვა, რომ რუსუდანი წყლის ორი წვეთით შგავდა „ლა ჰაიეს“ მუზეუმში დაცულ ვერმეერის ნორჩი ქალიშვილის პორტრეტს,“ — უთქვამს სალვადორ დალის (რუსუდან დაუშვილი, „თბილისელები“, №10, 2010). მისივე ცნობით, „ძმების სიკვდილით შეძრული, ჭლეით დაავადებული ქალი მიზიამ და კოკო შანელმა შვეიცარიაში წაიყვანეს სამკურნალოდ...“

32 წლის რუსუდან მდივანი 1938 წელს გარდაიცვალა.

მდივანების ოჯახზე საუბარი კოკი დადიანის ვაჟის, სვიმონის ინციდენტით დაიწყო. ემიგრაციაზე ვსაუბრობ და იმ ფაქტსაც გავიხსენებ, თავად ნიკოლოზ (კოკი) დადიანის დაკრძალვაზე რომ მოხდა. თუმცა მანამდე ერთი ლექსიდან ფრაგმენტი მინდა წარმოგიდგინოთ:

**როცა მოკვდები, ჩამაცვი ჩოხა,
წამიკარ თავი თეთრ ყაბალახით;
ჩემ სამარეზე გაშალე ნოხად
მინდვრის ყვავილნი მწვანე ბალახით.**

ესაა ანდერძის ტიპური ნიმუში ყველა დეტალის გათვალისწინებით. სიმონ ბერეჟიანის ამ ლექსს ჰქვია „უკვდავება“, რომელიც 30-იან წლებში დაიბეჭდა ემიგრაციაში გამოცემულ გაზეთში „თეთრი გიორგი“, ხოლო მოგვიანებით მის კრებულშიაც („ლექსები“, პარიზი, 1982) შევიდა. პოეტურ ტექსტში წინასწარ განჭვრეტილია არა მხოლოდ გარეგნული იერი, არამედ ზოგადად, გარემოც. ლექსის პერსონაჟი ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი „უბრუნდება“ მშობელ მხარეს. წესის აგებას ზურნითა და ღვინით ითხოვს. იმ ღვინით, ქართულ ვენახში რომ დაიწურა, ერთ ხელადად ჩამოისხა. ანდერძი ამით არ მთავრდება: რა გააკეთონ — უკვე ითქვა, როგორ არ უნდა მოიქცნენ — ამასაც თვითონ განსაზღვრავს: ჭირისუფალი არ უნდა, ცოცხლად დარჩენილებმა გლოვაში პასიური მონაწილის მოვალეობა უნდა იტვირთონ. ეს უპირველესად „ტირილს“ ეხება; ამ კონკრეტულ შემთხვევაში უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა — დაუტირებლობა.

**ნუ დამაბკურებთ ცხელსა ცრემლებსა,
ნუ შეანუხებ, ქალო, ქვითინით
კოხტა გორაკებს, ლამაზ ველებსა.**

არც შავი ტანსაცმლის ჩაცმისა საჭირო და აღარც საფლავზე სიარული:

**შავს ნუ ჩაიცვამ, თმას ნუ გაიშლი,
ნულარ დაიმტკრევ სიმწრით ხელებსა.
ბნელსა ორმომში დამტოვე მარტოდ,
ნუ მოაკითხავ ჩემს სამარესა.**

ეს ნაკლებად ჰგავს გლოვას. იქ, სადაც არც ცრემლია, არც ვაება, არც ძაძა და არც საფლავზე სიარული, ალბათ, არც სიკვდილი არსებობს! ეგებ ამიტომაც დაარქვა სიმონ ბერეჟიანმა ამ ლექსს „უკვდავება.“

ნიკოლოზ (კოკი) დადიანის დაკრძალვაზე გამოსათხოვარ სიტყვაში სწორედ **სიმონ ბერეჟიანს უთქვამს:**

„საქართველო გაიმარჯვებს, აღსდგება მკვდრეთით, ვით ქრისტე ჯვარცმული და მშობლიურ მიწას დაუბრუნდება ყველა, ვისაც ბედმა არგუნა უცხო მიწაში განსვენება. მომავალი საქართველო მიიღებს მათ ტანჯულ ნეშთს დიდის ზემით.“

ეს — რაც თქვა.
მოქმედებით კი — გამოთხოვების ჟამს ქილა ამოიღო მისი ჩოხის საგულედან; ქართლოსელთათვის სამახსოვრო ნივთად. ეს ჩუმი და დაფარული ქმედება არ ყოფილა. ხმა-მალლა, სიტყვიერადაც გააცხადა ნამოქმედარი და საქციელიც იქვე განმარტა:

„ბატონო კოკი, როცა გეთხოვებოდით, გავკადნიერდი და ქილა ამოვიღე შენს საგულედან...“

ქილის დანიშნულება ორგვარია, ეს შენ ამიხსენი: ქართული ჩოხის დამამშვენებელი და ომში გამოსადეგი აირალი, კაჟის თოფის წამლის სარწყავი. დღევანდელ არა-რაინდულ ხანაში, შენი ქილა თოფის წამლის სარწყავად არ გამოგვადგება, მაგრამ დაგვრჩება მოსაგონებლად იმ ქართველისა, რომელმაც ქართულად: ლამაზად და რაინდულად განვლო ნუთისოფელი („ქართლოსი“, №19, 1939, პარიზი).

და მაინც, როგორია ნუთისოფლის ეს „ქართულად გავლა?“ ლამაზად და რაინდულად, სიმონ ბერეჟიანმა თქვა, ჩვენი მხრიდანაც არაერთი სიტყვა ამოტივტივდება მესხიერებაში და ეს სიტყვები — თითოეული მათგანი კონკრეტულ ადამიანებსა და მათი ცხოვრების წესთან გაიგივდება... და თანაც, რამდენი გავგახსენდება?!

ნინო დეკანოიძე

ლამპრით განათებული მრავალფეროვნება

(განხილვა ოთარ ჩხეიძის წიგნისა „პოლიტიკური აქცენტები“)

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ იმავე „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების“ თაოსნობით მორიგი ლიტერატურული თავყრილობა გაიმართა კვლავ ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში.

ქართული პროზის კლასიკოსის, ოთარ ჩხეიძის პუბლიცისტური ესეებისა და წერილების კრებული „პოლიტიკური აქცენტები“ იქნა წარდგენილი და განხილული ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე. სულ ახლახან გამოცემულ ამ წიგნზე, მის თავისებურებაზე, მკითხველისადმი სწორედ ამნაირად შეთავაზების მიზანშეწონილობაზე როსტომ ჩხეიძემ ისაუბრა შესავალ სიტყვაში. მან ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე გაახმაურა, არა მხოლოდ თავისი, არამედ ცნობილ ლიტერატორთა აზრი, რომ ოთარ ჩხეიძე მაღალმხატვრული და ნაყოფიერი შემოქმედებით ორი კლასიკოსის ხაზის ღირსეული გამგრძელებელია...

ამჯერადაც მხოლოდ ფრაგმენტულად გთავაზობთ მის საყურადღებო გამოსვლას. რასაკვირველია, მომდევნო ორატორებიც ამავე წესისამებრ იქნებიან მოშველიებულნი...

როსტომ ჩხეიძემ, კერძოდ, აღნიშნა:

— ოთარ ჩხეიძის უამრავი წერილი ქართულ პერიოდიკაში გახლდათ მიმოხეული. ყოველივეს მოძიებას, ქრონოლოგიურად თუ თემატურ-ჟანრობრივად დალაგებას ჩინებულად გაართვა თავი ახალგაზრდა ლიტერატორმა, სოხუმის უნივერსიტეტის დოქტორანტმა **თამარ ყალიჩავამ**. აღმოჩნდა, რომ ამ მრავალი პუბლიკაციიდან ცალკე გამოიყოფოდა პოლიტიკური ესეები და აღარც გავურით ისინი ლიტერატურულ წერილებში, სავარაუდოდ ორ ტომსაც რომ დაისაჭიროებს. სხვათა შორის, პოლიტიკურ თემაზე მწერალს დიალოგებიც აქვს, ოღონდ, ჩვენი ჩანაფიქრით, დიალოგები ლიტერატურული თუ პოლიტიკური ხასიათისა, ცალკე წიგნად უნდა გამოიცეს, როგორც თავისებური ჟანრი... ყველაფერი, რაც ამ კრებულში გამოთქვა ოთარ ჩხეიძემ, გამოხატა თავის რომანებშიც. მაგრამ, მოგეხსენებათ, პუბლიცისტიკას თავისი მნიშვნელობა აქვს. ძალიან მკვეთრი, მობილური ჟანრია. ის, რაც რომანის მხატვრულ ქსოვილშია ჩაწნული, აქ უფრო ცხადად და ბევრისთვის ხელმისაწვდომადაა თქმული. ასე რომ, ეს პოლიტიკური წერილები ერთგვარი კომენტარებია და თავისებურად ავსებს მის რომანებს... საერთოდ, ოთარ ჩხეიძისთვის ნიშანდობლივია დოკუმენტური ფონი და არა ჟურნალიზმი, რის ნასახსაც მის პროზაში ვერ ამოიკითხავთ — დასძინა სიტყვით გამომსვლელობა და იქვე დასვარიტორიკული კითხვა: — თავისთავად რა არის დღეს ეს წიგნი? — თავისებური გაგრძელება **ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის** პუბლიცისტიკისა; ისევე, როგორც თავისი მხატვრული პროზითაც ოთარ ჩხეიძე მათ ხაზს აგრძელებს.

სიტყვით გამომსვლელობა მიუთითა აგრეთვე, რომ — „პოლიტიკური აქცენტები“ აღწერს არა მხოლოდ იმ ეპოქას, როცა იწერებოდა ანუ 90-იან წლებსა და ახალი საუკუნის დამდეგს, არამედ ჩვენს დღევანდლობასაც. რადგან ბევრი რამაა ლოგიკურადაც და ინტუიტიურადაც წინასწარ დანახული... და რასაკვირველია, წიგნში, სადაც წარსული და დღევანდლობა ხელისგულზე ჩანს, ამოიკითხება და განიჭვრიტება მომავალიც.

შემდეგ მოხსენებისთვის **თემურ ქორიძეს** დაეთმო ასპარეზი. მის გამოსვლას გულწრფელი ემოცია, მართალი აღფრთოვანება და პასუხისმგებლობა თავიდანვე დაეძო საფანელად:

— დილემის წინაშე ვდგავართ, ბატონებო. ზღვა მასალაა სასაუბროდ. ეს პუბლიცისტური წერილები არის ნაკვერცხლები, გადმოცვნილი „მატიანე ქართლისაიდან“...

აღიარებული ლიტერატორის ეს მოხსენებაც გახლდათ ზომიერად შეზავებული ლიტერატურული თუ ისტორიული პარალელებით, ცხოვრებისეული ეპიზოდებით. მოსასმენადაც, ცხადია, მრავალმხრივ იყო საგულისყურო.

ყოველ შემთხვევაში, ღონისძიების თაოსანმა შეუქო რა გამოსვლა, დასასრულ შეასახელა კიდევ, რომ ამ ქრონიკული ჩანაწერების მცირე მონოგრაფიად შეკვრას ბევრიც აღარაფერი დაჭირდება და თემურ ქორიძემ მისი შესაფერისი გამოკვლევა აღარც უნდა გადადოს...

ახლა კი მომხსენებლის მიერ ქება-შესახელებამდე თქმული „პოლიტიკურ აქცენტებსა“ და მის ავტორზე; აგრეთვე გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის ჰეროიკული თუ ტრაგიკული სურათები, მისი თვალთ დანახული და გაცოცხლებული:

— როსტომ ჩხეიძემ — მამამისის — ოთარ ჩხეიძის — მწერლურ ბიოგრაფიას თავის დროზე ღრმად სიმბოლური და, ამასთანავე, მკაფიოდ ისტორიული შინაარსით აღბეჭდილი ეპითეტი მიუსადაგა. მეოცე საუკუნის მებრძოლი პატრიოტიზმი მან განუყოფლად დაუკავშირა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას და ამ ეპოქის ყველა მემბოხეს „აგვისტოს შვილი“ უწოდა.

„აგვისტოს შვილობა“ დაუმორჩილებლობაა, შეურიგებლობაა, ბრძოლა და თავისუფლებაა. ამ თვალსაზრისით ოთარ ჩხეიძე გამოუსწორებელი „აგვისტოელი“ იყო. აგვისტოს მარცხიდან დიდი ხნის შემდეგაც, ის ბოლომდე „აგვისტოს შვილად“ დარჩა და ამ ზნეობრივი მრწამსისთვის არასოდეს უღალატია. ზვიად გამსახურდია ამიტომაც მიიჩნევდა მის ღვანლს ჭეშმარიტი მამულიშვილობის ნიმუშად და მაგალითად.

ოთარ ჩხეიძის მდიდარი პუბლიცისტიკა მძაფრი ეროვნული სულისკვეთებით არის გამსჭვალული. გასაკვირი არ არის, რომ მწერალი, ვინც შთამომავლობას „მატიანე ქართლისა“ დაუტოვა, განსაკუთრებული ინტერესით აკვირდებოდა და ანალიზებდა თანამედროვეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებსაც სახავდა.

„ფილოსოფოსები ამბობენ „ყველაფერი იცვლება, ყველაფერი მიმდინარეობს“, მაგრამ უცვლელია ბედისწერა ერისა, როგორცა სწანს ჩვენი ერისა. აქამდე უცვლელია ადამიანი. დაწერილმა ისტორიამ მხოლოდ ეს იცის: უცვლელია ადამიანისა... ადამიანი უცვლელია. ისტორია ადამიანისაა, ისტორია უცვლელია“... ასეთ მსოფლმხედველობრივ საფუძველზეა აგებული ოთარ ჩხეიძის ისტორიის ფილოსოფია. პოლიტიკური პროცესების განვითარებაშიც, იგი, უპირველეს ყოვლისა, ამ ურყევი ლოგიკის სიცოცხლისუნარიანობას ჭვრეტს და ასეთი უნივერსალური დასკვნის ფორმულირებად მიდის: „ყოველი ტრაგიკული მოვლენა ჩვენს ისტორიაში საქართველოს გარეთა მზადდებოდა და სათანადო ნიადაგს ეძებდა საქართველოშივე. დევნილი თუ უკმაყოფილონი მტრულ სახელმწიფოებში ჰპოვებდნენ თავშესაფარს... მოლაღატენი ღალატითვე ილუპებოდნენ“.

ოთარ ჩხეიძე განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა ქართული სახელმწიფოს პრობლემატიკას. მას ჩინე-

ბულად ახსოვდა ჩვენი ისტორიის სასტიკი გაკვეთილები და კარგად იცოდა, თუ რა ტრაგიკული შედეგები მოსდევდა სახელმწიფოებრიობის რყევას და მორღვევას. „მე საქართველოს მოქალაქე ვარ — ეს არის ერთადერთი და შესაძლოა უძვირფასესი მონაპოვარი დღევანდელი საქართველოსი, ყველაზე საფრთხილო, ყველაზე სათუთი, ყველაზე სავალალო, ყველაზე მეტად საზრუნავი მონაპოვარი“. ეს ოთარ ჩხეიძის სულისკვეთებაა, მისი მამულიშვილური იმედი და სასოებაა. ამ სულისკვეთებით არის ნასაზრდოები კონსტიტუციური მონარქიის იდეალიც, რომელზედაც მწერალი ჯერ კიდევ 1990 წელს ამყარებდა იმედებს და რომლის პრაქტიკულ რეალიზებას მამინ ჩვენთვის მრავალი საბედისწერო ქარიშხლის არიდება შეეძლო. ალბათ, სწორედ მოსალოდნელი რყევების გამო წინასწარმეტყველური გაფრთხილება იყო ოთარ ჩხეიძის მიერ საქართველოს ეროვნულ ორგანიზმში ფესვგადგმული მტრობის და ურთიერთდაუნდობლობის თაობაზე გამოთქმული არაერთი ჭკუისასანავლებელი შეგონებაც.

„პოლიტიკური აქცენტები“ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ვერ მოთავსდება, რადგან ოთარ ჩხეიძის მკვეთრი ხმა დღესაც მრავალ სატკივარს შეახსენებს წინააღმდეგობებით აღსავსე ჩვენს საქართველოს.

საუბრისას, თემურ ქორიძემ აუდიტორიის წინაშე გაცხადებული სიმართლისათვის დროდადრო დაიმონმა დარბაზში მსხდომი ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრები: ისტორიკოსი მანანა გაბაშვილი, მწერალი გურამ პეტრიაშვილი, ჟურნალისტი ვახტანგ ბახტაძე... იმ წლებს შთაბეჭდილებათაგან ერთ-ერთს აქვე გთავაზობთ:

— როსტომი ჰყვება თავის წიგნში „თუ საწუთრომან დამამხოს“ და არ შემძლია მეც არ გავიხსენო, როგორც თვითმხილველმა: 1989 წლის გვიანი შემოდგომაა. მწვავა 9 აპრილის სუსხი... აღარ არის მერაბ კოსტავა... გორში თეატრის წინ დიდი მიტინგია. ზვიად გამსახურდიას ბევრი შეკითხვა დაუსვეს. ცხადია, აინტერესებდათ, თუ რას ფიქრობდა იგი სტალინზე. რახან მუდამ ბუნებრივად და სალად აფასებდა ყველაფერს, ალლოიანად დაიმონმა უპირველესად ჩერჩილის, რუზველტის, ჰარიმანის თვალსაზრისი და გაახმაურა კიდევაც პასუხად: ისინი აქებდნენ და ადიდებდნენ სტალინსო. მან მართლაც მთელ კაცობრიობას გაუწია სამსახური, თუმცა ჩვენ განსხვავებული აზრი გვაქვსო... — ესეც მიადევნა თურმე ხმადაბლა, რაც თავმომწონე ცნობისმოყვარეთა ყურს აღარ მისწვდენია. გულს არ სცხებია, იქვე მდგომ კოკა განერელიას ლიდერის „რბილად“ ნათქვამი და ომახიანად შეუძახია მასპინძლებისათვის:

— გორელებო, სტალინი რომ გიყვართ, რას ჰგავს ეს და არ გეპატიებათო. მეგრული ვარ და „ჩქიმ ლავრენტი ბერიას“ რომ ამბობენ მეგრელები, იმათაც არ ვპატიებო...

მერე ბერია ხომ მოუთხრია, მიუყოლებია ზედ სტალინიც... აზვავებული ხალხის შემხედვარეს, ზვიად გამსახურდიას მხლებლებისთვის გადაულაპარაკებია:

— მიხედეთ მაგას, სანამ აქვე არ ჩაუქოლავთო.

იმავე მიტინგზე გამოუხატავს მომავალ პრეზიდენტს თანამედროვე პროზის ოსტატისადმი პატივისცემა; და სათანადო შეკითხვაზე რახან თავი დაუიმედებია სასურველ მდგომარეობაში, მართალი ემოციით პასუხიც აღარ დაუხანებია:

— ჩვენ სად ვიყავით, როდესაც ოთარ ჩხეიძე მარტოდმარტო ებრძოდა იმპერიასო...

საზოგადოებრივ ბედნიერი და ღრმა სიამაყით იდგაო, რადგან იგრძნეს, ზვიად გამსახურდიას მათ საამებლად არ მოუხსენებია კეთილი დამოკიდებულებით მწერალიო — დასძინა თემურ ქორიძემ და იმ შთამბეჭქდავ დღეს არანაკლებ დაუვიწყარი საღამოც რომ მისდევნებია, აღარც გამოტოვა:

სტუმარ-მასპინძელნი სწვევიან ატენის სიონს და გვიანობამდე შერჩენილან ტრაპეზს ტაძრის ეზოში. გულწრფელი დამორცხვებისა და მოწინების მიუხედავად, ზვიად გამსახურდიას უარი არ გასვლია სასულიერო პირთა წინაშე... — ეს იყო ნამდვილი სერობა — განავრცობს თემურ ქორიძე — დროდადრო თითქოს ვარსკვლავების ილუმინალი შიშინიც ჩაგვესმოდა. იქ იყო საუბარი ღმერთზე, კარგ ადამიანებზე, გულითადი საუბარი გაიბა ლიტერატურაზეც... საქართველოს ბრწყინვალეების სინათლეში ყოფნაზე.



თემურ ქორიძე

და კიდევ ერთხელ გაიმეორა ის აზრი ოთარ ჩხეიძეზე: ჩვენ ჯერ სად ვიყავითო...

ბევრი რამ ჩამოვწერე, მაგრამ აღარ მინდა გადაგვალთო. ერთს კი ვისურვებდი, შევხედოთ ჩვენს მომავალს ყოველგვარი ფუყე ოპტიმიზმის გარეშე, მცირეოდენი მაინც რომ შევმატოთ ჩვენს ქართველობას, შეგვადლებინოს ღმერთმა.

„პოლიტიკური აქცენტების“ შესახებ თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა მსმენელს მანანა გაბაშვილმა: დაახასიათა რა ზოგადად წიგნის მნიშვნელობა სადღეისოდ, მიუთითა, რომ რთული და აქტუალური პრობლემები ცხელ კვალზევე მწერალმა ჩვეული პატიოსნებითა და გაბედულებით წამოსწია; თანაც ისეთ დროს, როცა მეტად სახიფათო იყო სიმართლის თქმა:

— სირთულე ამ წიგნისა იმაში მდგომარეობს, რომ ურთიერთგამომრიცხავი ეპოქებია გაანალიზებული. კერძოდ, საბჭოთა, დამოუკიდებელი საქართველოსი და შემდგომი პერიოდი.

აქტუალურია ეს წიგნი იმიტომაც, რომ ის მექანიზმი, რომელიც 1992 წელს ჩაირთო, არავის გაუჩერებია, გრძელდება დღესაც და ეს არის საქართველოს ტრაგედიის მთავარი მიზეზი.

საინტერესოა ეს წიგნი იმ მხრივაც, რომ აქ არის XX საუკუნის ინტელიგენციის ისტორია. და ამას დიდი და არსებითი მნიშვნელობა აქვს, რათა დავინახოთ, როგორ მოვიდა 1992 წლის ტრაგედიამდე ქართული საზოგადოება. „პოლიტიკური აქცენტები“ ზუსტად ამაზეა; ამ თვალსაზრისითაა ყოველი ნიუანსი განხილული. წარმოჩენილია ინტელიგენციის ორი ფრთა. რასაკვირველია, ორივე მხარეს იყვნენ ნიჭიერი ადამიანები, რომლებმაც თავისი სიტყვა თქვეს მეცნიერებისა და ხელოვნების წინაშე. მაგრამ მათი ბედი იყო განსხვავებული. ამიტომაც დაუპირისპირდნენ ეს ჯგუფები ერთმანეთს: ერთნი, დასაკარგი რომ არაფერი ჰქონდათ, და მეორენი — პრივილეგიებით ბავშვებოვით განებივრებულნი. დღევანდელი მძულვარებაც სწორედ იქიდან იღებს სათავეს.

დემოკრატიას ოთარ ჩხეიძე ჯანსაღად და სწორად აფა- სებს. აგრეთვე საუბრობს ძალიან მნიშვნელოვან საკითხებ- ზე, როგორცაა — სიცრუე და სიმართლე. სწორედ მათი აღ- რევის გამოა, რომ ვერ ვნახულობთ გამოსავალს... სამწუხა- როდ, დღესაც ისევე რთულია სიმართლის თქმა, როგორც ადრე იყო...

სიტყვით გამომსვლელმა მოიხმო რა ციტატები განსახილ- ველი წიგნიდან, ჩვეული პასუხისმგებლობით განავრცო და განაცხადა სათქმელი: — ამ წიგნში დასმული საკითხები ძა- ლიან სერიოზული განსჯის საგანი უნდა გახდეს და არა მხო- ლოდ დღევანდელი დღით ამოიწუროს, თავისი მსვლელობა უნდა მიეცეს. ამ თვალსაზრისით ეს იქნება არაჩვეულებრივი იარაღი, რომელიც შეგვაძლებინებს სამშვიდობოზე გასვლას და იმ ქვეყნის აშენებას, ოთარ ჩხეიძეს რომ უნდოდა.

მასშტაბური საკითხების მოსასმენად განაწყო აუდიტო- რია **ნიკოლოზ სანებლიძე**:

— განსხვავებულ ასპექტებზე გავამახვილებ ყურადღე- ბას. უპირველესად მოგახსენებთ, რომ ამ წიგნში არის ქარ- თული კონსერვატიზმის საფუძვლები და არამარტო ეს. უფ- რო მნიშვნელოვანია, რომ ბატონი ოთარი ახერხებს ზოგადი ცოდნა მიუყენოს კონკრეტულ ვითარებას.

ჯერ კიდევ კანტი ამბობდა, რომ კონკრეტულიდან ზოგა- დის დანახვა ძალიან იოლია, ხოლო ზოგადი რომ კონკრე- ტულ ვითარებას, კონკრეტულ საქმიანობას მიუყენო და ზუსტად გაიგო მისი აზრი, ძალიან რთულია.

გამომსვლელმა მეტად მოხდენილად მიიჩნია და ცხადია, მოიწონა წიგნის სახელწოდება. „აქცენტების“ ვარიაციები და ქვეტექსტები მახვილგონივრულად გაშიფრა და ამოიკითხა; საოცრებად მიიჩნია ის წერილები, 1991-92 წლების ვითარებას რომ ასახავს; კრებულის შინაარსიდან გამომდინარე, ისაუბრა სახელმწიფოთა მმართველობის ფორმებზეც; ამა თუ იმ ქვეყ- ნის მაგალითზე დაახასიათა თითოეულის თვისება და თავისე- ბურება. ვრცლად ისაუბრა იმპერიალისტურ დესპოტიზმზე.

ნიკოლოზ სანებლიძემ პუბლიცისტური წიგნის ავტორის მხატვრული პროზა შეძლებისდაგვარად მიმოიხილა. ოთარ ჩხეიძის რომანებს მან უნოდა დიდი ეპიკა.

რუსთველის, ვაჟას ღვიძლ შვილად ოთარ ჩხეიძის აღიარება მნიშვნელოვან ლიტერატურულ ფაქტად მიიჩნია და სა- კუთარ მიგნებადაც.

რახან წიგნის სახელწოდებაზე ნიკოლოზ სანებლიძემ ფრიად გამოსატა მონონება, როსტომ ჩხეიძემ განმარტება- სავით დაურთო მისი გამოსვლის ბოლოს:

— წიგნის მომზადებაში მონაწილეობდა თვითონაც ჩინე- ბული პუბლიცისტი **იოსებ ჭუმბურიძე**. კრებულის ბოლო- სიტყვაობაც მისია და სავარაუდო ვარიანტებს რომ ვარჩევ- დით, ეს მოხდენილი სათაური მან შემოგვთავაზაო.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაზე საუბრისას, სიზმრისეულ სასიამოვნო გარემოში იგულვა თავი **გურამ პეტრიაშვილმა**. „პოლიტიკური აქცენტების“ მიმოხილვისას კი აღნიშნა:

— დიდი ხანი არ არის, რაც ეს წიგნი მაქვს და გულწრფე- ლად და ხმამაღლა განვაცხადებ, ძალიან ნაყოფიერად გავა- ტარე დრო მისი კითხვისას.

მან დასძინა აგრეთვე, რამხელა გამბედაობა, სიმამაცე იყო საჭირო მოვლენების ცხელ კვალზევე ასეთი მძაფრი წე- რილები დადებულები. თანაც იმ დროს, როცა ქვეყანაში სი- სასტიკე მძვინვარებდა და სულ უმნიშვნელო ეჭვის მომიზე- ზებითაც უდანაშაულო ადამიანებს სასტიკი წამებით ხდიდ- ნენ სულს, სწორედ ასეთ ჟამს, უკუნეთს მწერალი ანათებდა ლამპრით, მაგრამ არა უკანმიდევნებულთა... გურამ პეტ- რიაშვილმა დიდი გულისტკივლით, ემოციური სიმძაფრით ილაპარაკა უჩინარ გმირებზე — **ვასტანგ ნოდისა** და **ანა- ტოლი ლავილაშვილი** — ქართველთა ხელით რომ აღმოჩნდ- ნენ განირუღნი.

გამომსვლელის ვრცელ, ასოციაციურ, მკვახე თუ უკომპ- რომისო გამოსვლიდან მაინც შეირჩა მისი გამონათქვამები ოთარ ჩხეიძის ახალ წიგნზე:

— რატომ მიყვარს „პოლიტიკური აქცენტები“? ამ ჟანრის გამო ავტორი არ არის ვალდებული, მხატვრული ოსტატო- ბით დაგვახვიოს თავბრუ. მაგრამ სხვა გზა არა აქვს. ის ყველგან ქმნის სილამაზეს. აქაც ისევე ლამაზად წერს, რო- გორც „ბორიაცში“, რომელიც, ჩემდა სამარცხვინოდ, ერთი წელია რაც წავიკითხე და მიმანია, თუ გმირების პლეადა უნ- და დაიხატოს, იმათ შორის უცილობლად უნდა იყოს ლეკო თათაშელიც.

...არადა აკრიტიკებდნენ, რატომ გაქვს ასეთი სტილიო. ბიჭოს, ასეთი დაიბადა; ამნაირად მოაზროვნე დაიბადა და იქ არის ყველაზე კარგი... მე რომ ქართველი მკითხველი ვარ, ჩემი სიტკბოება და ჩემი სიამე არის მის შემოქმედებაში.

ჩვეული ექსპრესიულობით გამოიჩინა **მიხეილ ანთაძის** გამოსვლა.

— ოთარ ჩხეიძის წიგნი „პოლიტიკური აქცენტები“ ამ შე- სანიშნავი ბელეტრისტის პუბლიცისტური წერილების კრებუ- ლი გახლავთ. განხილვაში მონაწილეობა მიწოდდა და ინტერე- სით ჩაუჯექი მის კითხვას, თუმცა დრომდე მხოლოდ ნახევარ- ი მოვასწარი — წერილები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას მმართველობას და მისი ხელისუფლების დამხობას ეხმაურე- ბა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს რაც ამ სტატიებ- ში წერია, მე მეთქვას. ჩემდა საამოდ და საამაყოდ აღმოვაჩინე, რომ 91-92 წლების მოვლენებთან დაკავშირებით ზუსტად ისე- თივე აზრები მქონია, როგორც ბატონ ოთარ ჩხეიძეს, მეც ისეთივე ანტიკომუნისტი, ანტისოცდეკი ვყოფილვარ, რუსუ- ლი იმპერიალიზმის ისეთივე დაუძინებელი მტერი.

სტატიები მწერლის დამახასიათებელი ექსპანსიური სტი- ლითაა დაწერილი, უხვსიტყვა ნინადადლები რომ მოედინე- ბიან მდინარესავით, მაგრამ შიგადაშიგ მოკლე, აფორიზმი- ვით ტევადი ფრაზა შემოგეგებებათ, სხარტულასავით დასა- მახსოვრებელი და მახვილი.

„ეს ჩემი წერილი ჩემი ფიქრია, ჭკუის სწავლებად ნურავინ ჩამითვლის.“

„მარტო სააკაძე რადა ღირს — სააკაძეობად ითქმის ჩვე- ნი ისტორია.“

„დავითის მტრობით მტრად ნუ ვექცევით საქართველოს.“

„სილამაზე ნაირფეროვნება გახლავთ, ერთფეროვნება სილამაზე არ ყოფილა და რაღაა სიცოცხლე, ლამაზიც თუ აღარ იქნება?!“

„კატონობენ და კატონობენ. ვაი ჩვენს მოსწრებას.“

„ეს არის მრენველობა, ეს გადაარჩენს საქართველოს?“

ეს და სხვა ამგვარი მოქნეული ფრაზები ხშირია ამ წერი- ლებში, გნებავთ ანდაზებად რომ გამოდგებიან, გნებავთ მაქ- სიმებად და გნებავთ სლოგანებად.

მხატვრული სახეებიც მწერლურად გამოკვეთილია ხოლ- მე, ამ შემთხვევაში მწერლურ-პუბლიცისტური. თუნდაც კა- ტონი, ან ბაბუშერას აეროპორტის სახელობის გაეროს რე- ზოლუციათა მუზეუმი...

მთავარი სხვაა. მთავარი ის ვილაცა ოხერია, ის ცუდი, ბო- როტი ადამიანია, საკუთარ ინტერესს ქვეყნისაზე წინ რომ აყენებს, ამათი სიმრავლეა, ისტორიის გადამწყვეტ მომენ- ტებში რომ შეიკვრებიან და თუნდაც უმრავლესობაში არ აღ- მოჩნდნენ, მაინც რომ დაგვამარცხებენ და დაგვთრგუნავენ დროებით. თუ უმრავლესობაში აღმოჩნდებიან და მით უარე- სი ჩვენთვის. არ ვიცი, რა ვუნოდოთ ამათ. კატონები, სააკა- ძეები, პუტჩისტები, რუსეთუმეები, კომუნისტები... ნიკო- ლოზ სანებლიძემ, ამ წიგნის განხილვისას სათაურის ორბო- რთვებას მიაქცია ყურადღება — აქცენტი მხოლოდ აზრის ხაზგასმას და მახვილის დასმას არ ნიშნავსო, აქცენტი ისი- ცაა, კაცი რომ ერთ ენაზე ლაპარაკობს და მეორეზე უქცევ-

სო. თუნდაც სუფთა ქართულით მეტყველებდნენ, მაინც უხვად იყვნენ ჩვენს ისტორიაში სარკინოზულ აქცენტები, მონოლოურ-თურქულ-სპარსულ აქცენტები. ორას წელზე მეტია, რუსულ აქცენტთანაა სიუხვეა. დღესაც ეგენი არიან, თუ არიან.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საქართველო ერთ ადგილას გაყინულა თუ გაჭედილა ისტორიის გზაზე და ადგილიდან ფეხი ვერ მოუცვლია — რაც 1801 წელს ხდებოდა, 1921 წელსაც ის მოხდა, 1991-92-შიაც და აჰა, ასე მოვედით დღემდე. მწერლის მწერლობაც ისაა, მარტო წუთიერზე კი არ წერდეს, არამედ წლებისა და ათწლეულების მერეც ფეთქავდეს მისი ნაწერი. თუნდაც პოლიტიკური პუბლიცისტიკა იყოს, მაინც. აგერ იხილეთ:

„სახელმწიფო ილუპებოდა... ერის დამოუკიდებლობა ილუპებოდა და აქამდის ველარ მიაღვენებდნენ ჭკუა-გონებასა დავითის მტრობით გახელეწილი ადამიანები.“

„...ყველას გარშემო რო შემოეკრიბა, ვის თუ რამდენი, და ყველა თავისას რო გაიძახოდა, უფრო პირადულს რო გაიძახოდა, ვიდრე საქვეყნოსა, ანთუ ქვეყნიურის გარეგნობაში პირადულს რო გამოსჭვიოდა.“

„...საით მისწრაფოდა წინააღმდეგობით დაშლილი ქვეყანა, რა უნდოდა, რა გზას ირჩევდა: თუ დამოუკიდებლობა მოენდომებინა, წინააღმდეგობა რილასი იყო?!“

„კმარა გააღვივონ მდაბალი ვენებანი, დაჰყარონ ხმები გამაღვივებელი, პიროვნებანი გადაჰკიდონ ერთიმეორესა, აუშვან შური, პატივმოყვარეობა, აუშვან სისუსტენი უამრავნი ადამიანური... და შურისძიებით აანთონ ყველანი, ერთიმეორის შურისძიებითა. ესაა უებრო იარაღი იმპერიისა, საპირისპირო საშუალება რომ არ არსებობს, თუ ჭკუა არ გვეყო.“

„განა გულის ამრევი არ არის ამაჩუყებელი სიტყვები ქართული ენის მიმართ, რუსული ენის სამყარო რომ ვერ დაგითმიათ, მორჩილება რო ვერ დაგითმიათ?!“

„...ქრისტიანობა და ბოლშევიკობა როგორც რო მოგიგვარებიათ: ჯვრები ჩამოგიკიდიათ კისერზედა.“

„უცხოურ წარწერებს შეუნუხებია და მოსთქვამს. ქართულ ტკივილს შეუნუხებიაო, გეგონება. ასედაც გამოიღებს თავსა. გამოიღებს. მაინც ვერა ჰფარავს უმთავრეს ტკივილს თავისასა: „სარეკლამო საცნობარო წარწერებიდან სრულიად განიღვენა რუსული...“ რუსული, რუსული, მისტირის, მისტირანი და გვაშინებენ ინგლისურითა.“

„...ნუ დაიფხვლებით, ნუ დაიძინებთ, ნუ დაგეგრიხებთ კუნთები სახისაი, ისედაც ძნელი საცნობი გახდით. რაც უნდა იყოს, ნითელი ჭირით თავს ვერ ავიშვებთ მონობისაგანა.“

„დიდია რუსეთი, უსაშინლეს გამანადგურებელ იარაღზე უდევს ხელი რუსეთსა, ატომზე უდევს, განა თუ რა არის გასაკვირი მაგისი ჭკუისაგანა?! საჭირო შემთხვევაში გამოვიყენებთ, აღიარებს პუტინი. საჭირო შემთხვევასაც თვითონ განსაზღვრავს. რუსობა დაუშლის თუ თანამდებობაი?!. ელოდე ბუმერანგსა, ელოდე. უყარე კაკალი. და ისევ მოლაპარაკების გზითაო. ელაპარაკეთ აფხაზებსა, თქვენ თვითონ მორიგდით, ჩვენ თანახმანი ვართ თქვენი მორიგებისაო. აფხაზებსაო?!“

„რუსი არ გავა სოხუმიდანა, ცხინვალიდანაც არ გავა, ელაპარაკეთ რამდენიც გენებოს, ანუ შავი ზღვიდან არ გავა და ქართლის შუაგული შავი

ზღვის დაცვაც არის და გაპობილი საქართველოც ეს არის, გახლეჩილი ამიერკავკასიაცა.“

ვინ დამაჯერებს, რომ ყოველივე ეს დღევანდელი დღის შესახებ არაა დაწერილი, არამედ ათი და ოცი წლის წინათ?

ან ვინ გამოიცნობს, ეს სიტყვები ჩვენს ანმყოს ეხება, 1801 წელს, 1921-სა თუ 1992-ს?

დღეს დაწერილს ჰგავს ზემოთმოყვანილი.

აბა დღეს როგორ დაწერდო? როგორ და ილია ჭავჭავაძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ოთარ ჩხეიძის პუბლიცისტიკას რომ კითხულობ, ხშირად დღეს დაწერილიაო, ფიქრობ, ან კიდევ მეტიც, შენი დაწერილი გგონია.

ეგეთი რამაა მწერლის უკვდავება.

თემურ ნადარეშივილი კვლავ ნაცადი ხერხით ამჯობინა სიტყვით გამოსვლა ანუ წრეზე სვლა საკუთარი ბილიკებით...

— უამრავი აზრი აფეთქდა ამ შეხვედრისას და, რასაკვირველია, ბევრი რამ გამახსენდა. ზვიადისდროინდელმა მოვლენებმა მთელი სიცხადით გაიღვავა თვალნი. ბ-ნი თემურის, გურამის, ქ-ნი მანანას სიტყვაში წარმოჩნდა ყოველივე განსაკუთრებით და ის წლები გამახსენდა, „ნითელი“ ტყვიები რომ დაფრინავდნენ მთაწმინდაზე, ჩემი სახლის საზურავზეც და, მიუხედავად მძიმე ჟამისა, მშობლიური კედლები არ მიმიტოვებია...

მერე კი თითოეული სიტყვით გამომსვლელის გამონათქვამები, თავის უბის წიგნაკში ამორჩევით ჩანისწული, გულმოდგინედ განავრცო, გააანალიზა, ინტელექტუალური ნიაღვრებით მოაგვირისცა და ხელმეორედ ამოამზეურა.


უდიდესი მოწინებით, კდემითა და სიყვარულით იყო გამორჩეული **ლია წერეთლის** სიტყვა. გასაკვირი არც გახლდათ, რომ მას მოვალად აღმოაჩნდა მოსაგონარი ძვირფას პედაგოგზე — უნივერსიტეტიდან მოყოლებული ვიდრე სადისერტაციოდ აირჩევიდა ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას და მერეც არაერთი საყურადღებო სტატია თუ ნარკვევი მიუძღვნა.

გაიხსენა რა 90-იანი წლები, გულითადი საუბრები ოთარ ჩხეიძესა და ზვიად გამსახურდიასთან, მთრთოლვარედ გამოხატა მადლიერება:

— მე პირადად აღმოვჩნდი ორი დიდი ადამიანის შუა. ძალიან პატარა, გულუბრყვილო მიმოვდიოდი მათ შორის. ვისმენდი ამ ორი სპეტაკი ადამიანის რჩევა-დარიგებას... დიახ, ორი მოძღვარი მყავდა. ეს ორი პიროვნება დღეს განსაკუთრებული სიყვარულით ახსენეს, რასაც სრული გულწრფელობით ვუერთადებო. მათ **XX** საუკუნის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ განსაზღვრეს და ამას თაობებიც დააფასებენ უცილობლად...

თავისი გულწრფელი ხმა შეაგება იმდღევანდელ ღონისძიებას **ნოდარ მგალობლიშვილმა**. მან ისაუბრა ოთარ ჩხეიძის, როგორც ღირსეული მწერლის მისაზე ერის წინაშე. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას დროინდელ პოლიტიკურ მოვლენებზე ამ გადასახედიდან მის დაკვირვება-ნააზრებს, უნდა ითქვას, რომ ოქროს შუაღედს მიაგნო.

ამჯერად არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს, არის თუ არა ყველაფრის მკურნალი დრო... მითუმეტეს, როცა წიგნი-გაფრთხილება „პოლიტიკური აქცენტები“ მაინც იმ მოუშუშებელ იარაღზეა, პირი რომ ვერანაირად შეიკრა და ასევე ატყვია დღესაც მშობლიურ მიწას.



სამშაბათს, 24 თებერვალს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დარბაზში ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით გაიმართება განხილვა

თემურ გაბუნიას მონოგრაფიისა

„**ჯარომ სალინჯერი — ნამდვილი ბრძოლა**“

მომხსენებელი **როსტომ ჩხეიძე**

დასაწყისი 14 საათზე კოსტავას 5

ნოდარ გურაბანიძე სამყარო თეატრალის თვალთ აღიხსნა მოტაცება

არ მაგონდება სცენის არცერთი დიდი ოსტატი მსოფლიო მასშტაბით, ვისაც ოთხი გენიალური რეჟისორი ჰყოლოდეს ოდესმე მასწავლებლად. ერთი ასეთი გამონაკლისი იყო ალისა კოონენი. თავისი საუკეთესო როლები მან შექმნა კ. სტანისლავსკის, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, კ. მარჯანიშვილის და ა. ტაიროვის ხელმძღვანელობით. ოთხივე ამ რეჟისორს თავის აღმზრდელებად მიიჩნევდა. დედამისმა, წარმოშობით პოლონელმა, მუსიკის სამყაროს აზიარა ბავშვობიდანვე. არცაა გასაკვირი, ეს ქალბატონი შესანიშნავი პიანისტი, იშვიათი სილამაზის ხმის მფლობელი, ნიკოლაი რუბინშტეინის მოსწავლე იყო. მამა — ბელგიელი, რომელსაც რატომღაც სძაგდა ბელგიელები და ალისას შთააგონებდა: იცოდე, შენ ბელგიელი კი არა, ფლამანდიელი ხარო. გეორგ სევერინ კოონენი რომანტიკოსი ავანტიურისტი იყო, წარმოუდგენელი ფანტაზიებით შეპყრობილი. მისმა ნიჭმა სრულად იფეთქა პიროტექნიკაში და ბრწყინვალე ფოიერვერკებს მართავდა რუსეთის დიდი ქალაქების პარკებში. შვილებს კი განსაცვიფრებელ ამბებს უამბობდა თავისი სახელოვანი, მითიური ფლამანდიელი წინაპრების შესახებ, რომელთაგან ერთი კეთილშობილი მეკობრე ყოფილა, რომელიც თავს ესხმოდა მდიდარ ვაჭართა გემებს, იტაცებდა ძვირფასეულობებს, ბენჯელს, ოქროს და მეთევზეთა დასახლების ღარიბ-ღატაკებს ურიგებდა. ამ მეკობრეს ჰქონია საკუთარი გერბიც, რომელზედაც გამოსახული ყოფიდა ლომი, რომელსაც კბილებით საჩუქრებით სავსე კალათა უჭირავს...

ამქვეყნად რა გამოლევს ფანტასტიკურ დამთხვევებს. დიდი ხნის შემდეგ, როდესაც მოსკოვის „კამერული თეატრი“ (რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიც მისი მეუღლე, ა. ტაიროვი იყო) გასტროლებზე იმყოფებოდა ევროპის ქვეყნებში, უკვე სახელგანთქმულ ალისა კოონენს ბრიუსელში ყვავილების თავიგული მთართვეს სპექტაკლის შემდეგ, აბრეშუმის ბაფთაზე გამოსახული იყო შავი ბელგიური ლომი, რამაც მამამისის წინაპარი კეთილი მეკობრე „კრისიან ლომგული“ გაახსენა. ეს ისტორია ძალზე პოპულარული იყო თეატრალურ წრეებში, რასაც ხელს უწყობდა თვით ალისა კოონენის მიერ იუმორით შეფერილი და ახალ-ახალი შეთხზული დეტალებით გამდიდრებული თხრობა, სხვადასხვა შინაურულ თუ სადღესასწაულო წვეულებებზე. ბოლოსდაბოლოს, ვფიქრობ, თვით ალისა კოონენმაც ირწმუნა ამ ისტორიის ჭეშმარიტება. ცხადია, მიხეილ ბულგაკოვის ყურადღების მიღმა არ დარჩებოდა ასერიგად ეგზოტიკური და, ამავე დროს, პიკანტური ამბავი, მითუმეტეს, რომ იგი უკვე შინაურ კაცად იყო მიღებული თეატრალურ სამყაროში, სადაც აღიარეს კიდევც შეუდარებელ მიხრობელად. მიკვირს, რომ ამ სახელგანთქმული მეკობრის ისტორია არ მოხვდა მის „თეატრალურ რომანში“, სადაც არტისტული სამყარო ასე კომიკურად არის წარმოდგენილი თავისი ფანტაზიებით, ინტრიგებით, ისტერიკებით, „მხატვრული სიცრუით“, კულისებში გაფურჩქნული ჭორაობით, ჩაშლილი რეპეტიციებით და სცენის იდუმალი მიმზიდველობით თუ სახელდახლოდ შეთხზული ისტორიებით. მ. ბულგაკოვის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურათმცოდნეობით გამოკვლევებში არსად შეხვდებოდა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ სწორედ ალისას ეს

მითიური მეკობრე სადმე გაკრთა მის მოთხრობებსა თუ რომანებში. მე კი მგონია, რომ „ოსტატსა და მარგარიტას“ ერთ-ერთ ეპიზოდში (“ეს მოხდა გრიბოედოვში”), როცა უკვე შეშლილი პოეტი ივან ბეზროდნი შემოიჭრება რესტორან „გრიბოედოვში“ და იქ ერთ ვაი-უშველებელს ატეხს, ამ საყოველთაო არეულობაში გაიღვებს ალისას მამაცი ფლიბუსტიერის სახე. „შუალამისას ამ ჯოჯოხეთს ჩვენება მოევიღნა. ვერანდაზე გამოვიდა შავთვალწარბა, სატევერივით ნამაზული წვერით დამშვენებული, ფრაკით შემოსილი ლამაზი კაცი და მეფური მზერა მოავლო თავის სამფლობელოს. მისტიკოსები ამბობენ, რომ იყო დრო, როცა ლამაზ კაცს ფრაკი კი არ ეცვა, ნელზე ტყავის ფართო ქამარი ჰქონდა შემორტყმული, საიდანაც რევოლვერის ტარები ამოსჩროდა, ყორნისფერ თმაზე მენამული აბრეშუმი ნაეკრა და მისი წინამძღოლობით კარაიბის ზღვაში დაცურავდა ორანძიანი ხომალდი. ხომალდზე ფრიალებდა სამარესავით შავი დროშა და ამ დროშაზე თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები იყო გამოსახული.

ო, არა, არა! ცრუობენ მაცდუნებელი მისტიკოსები. ქვეყნად არ არის არავითარი კარაიბის ზღვა და ამ ზღვაზე არ დაცურავენ თავზეხელაღებული ფლიბუსტიერები, უკან არ მისდევთ კორვეტი, ტალღებს არ ეფინება ზარბაზნის კვამლი. არ არის არაფერი და არც არასდროს ყოფილა!” (თარგმანი გივი კიკილაშვილისა).

მოკლედ რომ ვთქვა, ალისას მშობლებისაგან გამოყვა სილამაზე და მოქნილი სხეული, დედისგან მუსიკალობა და რიტმის გრძნობა, მამისგან — რომანტიკული და რომანული (კ. სტანისლავსკი საყვედურობდა, შენ გამოგფიტა უსასრულო ტრფობამო) თავგადასავლებსაკენ, ფანტაზიებისა და ავანტიურებისაკენ მიდრეკილება. სწორედ ამ უკანასკნელით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მან მიატოვა მამის ყველაზე დიდი და ევროპაში სახელმწიფო მსოკოვის სამხატვრო თეატრი, ანუ მიატოვა თავისი გენიალური აღმზრდელი კ. სტანისლავსკი (ალისამ მოსკოვის სამხატვრო თეატრის სკოლა დაამთავრა) და გაიტყა მოსკოვის ჯერ არარსებულ „თავისუფალ თეატრში“ ანუ კოტე მარჯანიშვილთან, რომელიც, თავის მხრივ, ასევე გამოიტყა სამხატვრო თეატრიდან, რათა, მილიონერ სუხოლოვსკის შემწევობით, შეექმნა თავისი თეატრი.

ახალგაზრდა ა. კოონენს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, სამხატვრო თეატრის პრემიერი ქალის, ო. კნიპერჩეხოვას, მემკვიდრედ სახავდნენ, მასზე ზრუნავდნენ ამ თეატრის დამაარსებლები, განებივრებული იყო დასის წევრების სიყვარულით, თეატრში მისვლისთანავე შესანიშნავი როლები მისცეს, უკვე იგემა თავბრუდამხვევი წარმატების სიტკბო, ის კი, გატაცებული კ. მარჯანიშვილის იდეებით, აღტაცებული ამ რეჟისორის გენიით (მან კ. მარჯანიშვილის მიერ სამხატვრო თეატრში დადგმული ჰ. იბსენის „პერ გიუნტში“ მთავარი როლი, ანტიტრა, ითამაშა) თავისივე ხელით ანგაგვს ასე დიდებულად დაწყებულ კარიერას და, პირდაპირი გავებით, ცარიელ ადგილზე იწყებს ახალ შემოქმედებით ცხოვრებას.


ყველაფერი კი ასე დაიწყო... ზაფხულის არდადეგების დღეებში, ა. კოონენი მცირე თეატრის მსახიობებთან ერთად (“ამხანაგობა”) მალახოვკის თეატრის გასტროლებში იღებდა მონაწილეობას (რამაც შემდგომ სასტიკად განარისხა კ. სტანისლავსკი) და წარმატებას მიაღწია. ერთ-ერთ სპექტაკლზე იგი რატომღაც ძალიან მოდუნებული, მოსალოდნელი კატასტროფის შიშით გათანგული მივიდა თეატრში. „როცა სცენაზე გამოვივი, მოულოდნელმა კაშკაშა სინათლემ თვალი მომიჭრა. უშაღვე ვიცვალე მხარი. რა არის ეს? კიდევ ერთი შემთხვევა? პირველი რიგის სავარძლიდან შემომცქეროდა კოტე მარჯანიშვილის სიკეთით სავსე, ალერსიანი თვალები... ცოტა ადრე გავიცანი იგი სამხატვრო თეატრში და რატომღაც უშაღვე განვისმჭვალე მისადმი ნდობით... ახლა კი, როგორც კი დაინახე, ვიგრძენი, რომ ყინულივით გამითანგველი სიცოცხლე, რომელიც ასერიგად მხოჭავდა, ნელ-ნელა ჩაცხრა. რამდენიმე წუთში თავს მოვერიე და მტკიცედ ჩავერთე სპექტაკლის ანსამბლში“.

საქეტაკლის შემდეგ საზეიმო ვახშამი... ხოლო როცა მსახიობები დაიშალნენ, მარჯანიშვილი და ალისა დიდხანს სეირნობდნენ მალახოვკის შემოგარენში. „მარჯანიშვილი ისეთი გულლია და კეთილი ადამიანი იყო (ა. კოონენის მოგონებათა ნიგვში „ცხოვრების ფურცლები“ მოთავსებულია იმხანად (1912) გადაღებული კოტეს ფოტოსურათი, საიდანაც არაჩვეულებრივად მომხიბლავი და შთაგონებით სავსე მამაკაცი შემოგვცქერის), რომ უმალ განგანყობდა გულლია საუბრისათვის — იგონებს ა.კოონენი და დასძენს — მე მას გავანდე ჩემი განცდები, ჩემი ოცნებები და მისწრაფებანი. რა მადლობელი ვარ მისი, რომ მაშინ, იმ ღამეს, ჩემი გულლია აღსარების შემდეგ, ჭკუის სწავლება კი არ დამიწყო, არამედ, პირიქით, გამამხნევა და მხარი დამიჭირა (ისეთი გამოცდილი დონ უჟანი, ულამაზესი ქალების გულთამბყრობელი და თეატრალურ ნრეებში აღიარებული დაუცხრომელი მეტრფე, როგორც კ.მარჯანიშვილი იყო, ვნებიან და ტემპერამენტთან ქალს, რასაკვირველია, „ჭკუის სწავლებას“ არ დაუწყებდა. ვინც ამ რეჟისორის ცხოვრებას იცნობს, მიხვდებიან, თუ რას ვგულისხმობ).

„რისკი და გამბედაობა — მიიხრა მან — აუცილებელია შემოქმედებისათვის. შემოქმედი არავის ფრთას არ უნდა შეეხებოდეს, მას არ სჭირდება ვინმეს მეურვეობა. იმავე ღამეს გამანდო თავისი განზრახვა მოსკოვში ახალი თეატრის შექმნის თაობაზე. კ.მარჯანიშვილთან საუბარმა ფრთები შემასხა. ახლა უკვე თავი ვიგრძენი იმ ადამიანად, რომელიც მზადაა ბრძოლისათვის და რომელსაც მტკიცედ სჯერა თავისი სიმართლე“.

მოსკოვის სამხატვრო თეატრში სამი როლიდან (ანიტრა „პიერ გიუნტი“, ლიზა „ეკატერინე ივანოვნაში“ და ანჟელა „ექვთი ავადმყოფი“). ყველაზე წარმატები ჩემთვის იყო ანიტრას როლი. კვლავ მაინტერესებდა შეხვედრა კ. მარჯანიშვილთან სამუშაო პროცესში... მიყვარდა ეს როლი და სიამოვნებით ვთამაშობდი. ამ როლმა დიდი წარმატება მომიტანა, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ადვილად დაეძლიე იგი“. ამ როლს მოჰყვა ანჟელიკა მოლიერის „ექვთი ავადმყოფიდან“. ეს იყო პერიოდი, როცა ე.ნ. „სტანისლავსკის სისტემა“ ხორცს ისხამდა და სცენის დიდი რეფორმატორი ძირითად თეორიულ საფუძვლებს აშუშავებდა. კ.სტანისლავსკიმ გაანამა მსახიობები და თავიც გაიანამა რეპეტიციებზე. არაფერი გამომადიოდა არც მას (თამაშობდა მთავარ გმირს — ორგონს) და არც მსახიობებს. ერთთვისანი რეპეტიციების შემდეგ მსახიობებს შესძულდათ თავიანთი როლები და რეპეტიციები. ანჟელიკას, ამ უბრალო, მხიარული, გონებაშეხილი და შეყვარებული გოგონას როლი — დაუძლეველი აღმოჩნდა ა.კოონენისათვის. მაშინ გადანწყობა საბოლოოდ თეატრიდან წასვლა და თავი მოივადმყოფა, რათა ეს როლი სხვისთვის გადაეცათ, მაგრამ იმდენი ინერვიულა, ისე განამდა, როგორ გავუმხილო ეს სტანისლავსკის, რომ მართლა ავად გახდა. მწოლიარეს შინ (რასაკვირველია) ეწვია კ. მარჯანიშვილი, რომელმაც „პიერ გიუნტის“ პრემიერის შემდეგ თეატრი დასტოვა. მოვიდა მხიარული, ალგზნებული და გატაცებით დაინყო საუბარი „თავისუფალ თეატრზე“. წასვლისას კი უთხრა: „თუ ისურვებ, ალისა, შენი ძალები სცადო ჩემს თეატრში, ჩემთვის ეს დიდი სიხარული იქნება“.

მაღე ისევე ეწვია, კვლავ გაუმეორა: „ჩემი თეატრის კარი ყოველთვის ღიაა თქვენთვის, ისევე როგორც ჩემი რეჟისორული გული“. მესამეჯერ რომ მოვიდა, ისე ელაპარაკებოდა, თითქოს, ალისა უკვე „თავისუფალი თეატრის“ მსახიობი იყო. დანვრილებით გააცნო შემოქმედებითი გეგმები. ორი დღის შემდეგ დაურეკა: „მე ხელთა მაქვს მნიცლერის „პიერეტას საბურველის“, სამაქტიანი პანტომიმის, პარტიტურა, დონანის ლეთაებრივი მუსიკით, შესანიშნავი ტრაგიკული როლით. მოსკოვში თქვენს გარდა ვერავინ შეძლებს მის თამაშს“. ამის შემდეგ თვალშეუვლები სისწრაფით განვითარდა მოვლენები — ალისამ ხელი მოაწერა კონტრაქტს, მაგრამ შიშისაგან თავგზა აებნა. კ.მარჯანიშვილისგან გამოგზავნილმა უზარმაზარმა თაიგულმა და ბარათმა — „ალისა, ყველაფერი კარგად იქნება. ნუ ლელავ. В добрый час!“ — მხნობა შემატა და გაეშურა თეატრისაკენ.



...უხმოდ დაუდო კონტრაქტი მაგიდაზე ვლ.ნემიროვიჩს. ნაიკითხა და ეს უთხრა — „სრულ ჭკუაზე თუ იყავი?“ კიო, მიუგო — „მარჯანიშვილიც სრულ ჭკუაზე იყო?“

შემდეგ დიდხანს, თუმცა ამაოდ, არწმუნებდა ნემიროვიჩი, არ გადაედგა ეს საბედისწერო ნაბიჯი. ისიც უთხრა, მარჯანიშვილს ჩვენ მოველაპარაკებთ და კონტრაქტს გავაუქმებინებო. კ.სტანისლავსკის თავზარი დაეცა, მისი მეუღლის, მ.ლილინას, თქმით, ატირდა კიდეც.

ქართველი მკითხველისათვის უფრო გასაგები რომ იყოს მთელი ამ ისტორიის სიმძაფრე, ერთ ასეთ მაგალითს მოვიყვან, ეს იგივეა, რომ, ვთქვათ, სახმეტელს მარჯანიშვილის თეატრიდან ვერიკო ანჯაფარიძე გადაებირებინა რუსთაველის თეატრში...

“თავისუფალ თეატრში“ პირველად მისული ალისა გაოგნებული იყურებოდა აქეთ-იქით: სცენის მუშები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ელექტრიკოსები სადღაც ყვირილით გარბოდნენ, დურგლები ფიცრებს ალაგებდნენ, მღებავები კიბეებს მართავდნენ, სპექტაკლ „სოროჩინცის ბაზრობის“ (ნ.გოგოლის მიხედვით) მონაწილე ხარები ბლაოდნენ, სცენიდან ორკესტრის არეული ხმები ისმოდა, დამლაგებელ ქალს ორივე ხელში ეჭირა სათაგური, შიგ გაბმული ვეება ვირთხებით, ირგვლივ იდგა საღებავის, ხარების შარდისა და ოფლის სუნი (ამას რომ ვნერ, მაგონდება რამაზ ჩხიკვაძის სიტყვები, რომლითაც მომართა „სარდაფი რუსთაველზე“ ნათამაშები ა.სტრინდბერგის „სიკვდილის ცეკვის“ შემდეგ, როცა მისალოცად ვწვნიე, ერთი ბენი საპირფარეოში: „ხედავთ ნოდარ! სად ვიყავი და სად ვარ?“ ამ დროს რამაზი რუსთაველის თეატრიდან უკვე წამოსული იყო). უმალ აღსდგა ალისას წარმოსახვაში სამხატვრო თეატრის იდეალური ატმოსფერო, ინტელიგენტური გარემო, სისუფთავე, სიჩუმე, თავშეკავებული მღელვარება გენერალური რეპეტიციების წინ. კოტე მარჯანიშვილის სიტყვებმა ხომ სულ მოულო ბოლო: „გაიცანი ალისა, ეს ალექსანდრე იაკოვლევიჩ ტაიროვიჩი! მე მას მივანდე „პიერეტას საბურველის“ დადგმა“. ალისას გაახსენდა ვ.კაჩალოვის სიტყვები — „მარჯანიშვილი ცოტა თავქარიანი კაცი“.

სინამდვილეში ვ.კაჩალოვი, სამხატვრო თეატრის შეუდარებელი და შეუცვლელი პროტაგონისტი დიდი ხნის მანძილზე ძალზე მაღალი აზრის იყო კ.მარჯანიშვილზე და დიდადაც ემადლიერებოდა. სწორედ კოტემ მოამზადებინა ივანე კარამაზოვის ურთულესი ფსიქოლოგიური როლი ვლ.ნემიროვიჩ-დანჩენკოს ნოვატორულ და სახელგანთქმულ საქეტაკლში „ძმები კარამაზოვები“ (საქეტაკლი ორ საღამოს გრძელდებოდა). „სცენების დიდი უმრავლესობა, ყველაზე ძნელი ფსიქოლოგიურობის მხრივ, ჩემი გასაკეთებელი შეიქნა“ იგონებდა კ.მარჯანიშვილი. ეს ყველაზე „ძნელი სცენები“ იყო: „ივანე კარამაზოვის საუბარი

სმერდიაკოვთან”, „ივანე კარამაზოვის საუბარი ემპაკთან“. ამ ორი დიდი ხელოვანის ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა კნუტ ჰამსუნის პიესის „ცხოვრების ბრწყინებში“ დადგამაზე მუშაობისას. „ჭეშმარიტად რომ „ცხოვრების ბრწყინებში“ იყო ჩემი პირველი ქართული სპექტაკლი“ (კ. მარჯანიშვილი). ძნელად იმორჩილებდა მსახიობებს, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ ფსიქოლოგიური თეატრის სიმართლეს მეტყველებასა და მოქმედებაში. ქართველი რეჟისორი კი მოითხოვდა ელაპარაკათ მკვეთრად, მოქმედად, ლამაზად, გამომეტყველი ჟესტით. „მხოლოდ ერთმა, ვ.ი.კაჩალოვმა, უცებ შეიცვალა ბასტის (პიესის მთავარი გმირი. ნ.გ.) მთელი ეგზოტიკა. ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მოძრაობა, ისე აღსავსე იყო შინაგანი ძალით, რომ მეტს ვერ ვინატრებდი“ (კ. მარჯანიშვილი). რაც შეეხება კ. მარჯანიშვილის თავქარიანობას, ეს გენიალური შემოქმედების „თავქარიანობა“ იყო, რაც მშვენივრად მოეხსენებოდა კაჩალოვს, მაგრამ ისე ძლიერად უნდოდა, რომ ალისა კოონენი სამხატვრო თეატრში დარჩენილიყო, ყველა ხერხს მიმართავდა.

ახლა მოვუსმინოთ თვით ალისას: „ამ მოულოდნელმა სიახლემ თავზარი დამცა. ამისთვის წამოვედი სამხატვრო თეატრიდან, სტანისლავსკიდან, რომ ამ უცნობ, სრულიად ახალგაზრდა რეჟისორთან მემუშავა?! არა სჯობდა სულაც პროვინციაში წავსულიყავი!“ კ. მარჯანიშვილმა თითქოს ამოიკითხა მისი მწარე ფიქრები: „ნუ ბრაზობ, ალისა და ნუ ლეღავ! დამიჯერე! შენ თავს საიმედო ხელებს ვანდობ!“ უთხრა ეს და ისევ სცენაზე აიჭრა. მიატოვა გაოგნებული ქალი, რათა საღამოს შინ სწვეოდ ვახშმად. „ახლა მიაბზე, რატომ აიბურძგენ რეპეტიციაზე? რა ეჭვიანობის სცენა გამიმართე? ნუთუ ფიქრობ, რომ მე შემედლო შენი თავი ჩამებარებინა რეჟისორისთვის, რომელშიაც მე აბსოლუტურად არ ვიქნებოდი დარწმუნებული?! ბედმა გაგიღიმა, რომ ტაიროვთან მუშაობა მოგიწევს. იგი ყველანაირად საინტერესო რეჟისორია. ენდე ჩემს გამოცდილებას და ალლოს. აი, ნახავ, მალე ყველა ტაიროვზე ალაპარაკდება... არ უნდოდა ამ პანტომიმის დადგმა, მაგრამ როცა ვუთხარი, რომ მთავარ როლს შენ ითამაშებდი, უეცრად აენთო“.

მართალია ა. ტაიროვი ძალიან ახალგაზრდა იყო და ბიჭივით გამოიყურებოდა, მაგრამ მას უკვე განვლილი ჰქონდა დიდი გზა ხელოვნებაში, მყავდა ცოლ-შვილი. განსაკუთრებული წარმატებით დადგა ა. ჩეხოვის „ძია ვანია“ პ. ჩაიკოვსკის მუსიკაზე, რიგაში განახორციელა „ჰამლეტი“, სახელგანთქმული რუსი ტრაგიკოსი მსახიობის, მამონტ დალსკის მონაწილეობით, გრაფინია პანინას „სახალხო სახლში“ მის რეჟისორობით წარმოდგენილმა „გაბრიელ შილინგის გაქცევამ“ ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია არამარტო პეტერბურგის, არამედ მთელი რუსეთის თეატრალურ წრეებში. კომისარჟევსკაიას თეატრიდან კი იმიტომ წამოვიდა, რომ არ გაიზიარა ვს. მეიერხოლდის რეჟისორული იდეები.

ალისა კოონენი ენდო კ. მარჯანიშვილის გამოცდილებას და ალლოს. დრომ დაადასტურა, რომ კოტეს მართლაც გენიალური ინტუიცია ჰქონდა (გავისხენოთ თუნდაც უშანგი ჩხეიძისა და გიორგი შავგულიძის მაგალითები).

“თავისუფალი თეატრის” დახურვის შემდეგ ტაიროვმა შექმნა „კამერული თეატრი“, რომელმაც მალე საყოველთაო აღიარება მოიპოვა, ხოლო ალისა კოონენის კარიერა ბრწყინვალედ წარიმართა – იგი თავის დროს ერთ-ერთი გამორჩეული ტრაგიკოსი მსახიობი გახდა (სხვათაშორის „კამერული თეატრის“) დასი პირველხანებში მთლიანად შედგებოდა სპექტაკლ „პიერეტას საბურველში“ მონაწილეთაგან ანუ კ. მარჯანიშვილის მიერ მონაწილე მსახიობებისაგან. აქვე დავძენ, რომ „თავისუფალი თეატრის“ ნანგრევებზე სამი თეატრი აღმოცენდა: „კამერული თეატრი“, „კოორმის თეატრი“ და „დეუან-ტორცოვის ანტრეპრიზა“).

P.S. 1934 წელს ი. სტალინმა ვს. მეიერხოლდის თეატრში ნახა ა. დიუშას „ქალი კამელიებით“. მას არ მოეწონა სპექტაკლი და თქვა საბედისწერო ფრაზა: „ესეც და კამერული თეატრიც ორივე ფორმალისტურ-დეკადენტურია“. მალე ორივე ეს თეატრი დახურეს. დახურვის წინ, „პიერეტას საბურველის“ უკანასკნელი

წარმოდგენის შემდეგ, ა. კოონენის სამსახიობო საპირფარეოში შევიდნენ კ. მარჯანიშვილი და ა. ტაიროვი. მსახიობი ქალი ცხარე ცრემლებით ტროდა. იგი ეთხოვებოდა თავის როლს, რომლის შესრულებამაც ესოდენ დიდი სახელი და აღიარება მოუტანა მას. მაშინ კოტემ მოულოდნელად აიღო ალისას ხელი და შეუერთა ა. ტაიროვის ხელს: „ბედმა არ ინება, რომ შენი რეჟისორი გავმხდარიყავი, მაგრამ რას ვიზამთ, მე თქვენი ნათლია ვიქნები“.

ალისა კოონენი: „მართლაც, მარჯანიშვილი, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ჩვენი და „კამერული თეატრის“ მეგობრად დარჩა. ჩვენთან ერთად განიცდიდა ყველა განსაცდელსა თუ წარუმატებლობას და ყველა ჩვენი სიხარული მისი სიხარული იყო“.

P.S.S. რუსული თეატრის ისტორიის რა საბედისწერო კვანძი შეიკრა: ერთმა დიდმა ქართველმა, კ. მარჯანიშვილმა, განუზომელი წვლილი შეიტანა „კამერული თეატრის“ აღმოცენებაში, ხოლო მეორე დიდმა ქართველმა, იოსებ სტალინმა, ერთი ფრაზით დააქცია იგი.

სანაპრი განსჯი

კ. სტანისლავსკი სცენური ეტიუდების შეთხზვის დიდი ოსტატი იყო, მათი მეშვეობით ამუშავებდა ე.წ. „ფიზიკურ მოქმედებათა მეთოდს“, რომლის საფუძველზეც უნდა წარმოქმნილიყო სცენაზე სიტყვის წარმოთქმის აუცილებლობა. ჩვენში ამ „მეთოდს“ განსაკუთრებული წარმატებით იყენებდა მიხეილ თუმანიშვილი (სპექტაკლი „ფილოსოფიის დოქტორი“ მთლიანად ეტიუდებზე ააგო).

ერთხელ კ. სტანისლავსკიმ მსახიობებს შესთავაზა ასეთი ეტიუდი-ამოცანა, თემაზე — „ინვის თქვენი ბანკი“. მცირე ხნის შემდეგ მსახიობები დაფაცურდნენ, ზოგს თეატრის მეხანძრეთა აღჭურვილობიდან მოჰქონდა წყლით სავსე სათლები, ზოგი უზარმაზარ შლანგს მოათრევდა, ერთი დიდ კიბეს მოაჩანჩალებდა, მეორე თმას იგლეჯდა, მესამე ხელებს იცემდა თავში, მეოთხე — ისტერიულად იმტრევედა ხელის თითებს... — „სადექ!“ მოულოდნელად გაისმა სტანისლავსკის მტექარე ხმა, შემდეგ მიუბრუნდა თეატრის პრემიერს ვ. კაჩალოვს, რომელიც მშვიდად იჯდა რბილ სავარძელში, ფეხი ფეხზე გადადებული და თვალს ადევნებდა სცენაზე დატრიალებულ ალიაქოტს. „ვასილ ივანიჩ! თქვენ რატომ არ მონაწილეობთ?“ გენიალურმა მსახიობმა წყნარად მიუგო „მე ვმონაწილეობ! ჩემი ფული სხვა ბანკში ინახება!“ მართალი იყო სტანისლავსკი, როცა ამბობდა, ჩემი „სისტემა“ გენიალურ მსახიობებს არ სჭირდებათ!

იური ბრიგოროვიჩმა ზარები დაარისხა

თავის დროზე ჩემზე უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა ქორეოგრაფ იური გრიგოროვიჩისა და სცენოგრაფ სოლომონ (სოლიკო) ვირსალაძის ბალეტმა ს. პროკოფიევის „ივანე მრისხანემ“, რომლის პრემიერაც გაიმართა 1975 წელს, მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე. ეს საბალეტო სპექტაკლი, რომელიც ე.წ. „დრამბალეტის“ შედეგადაა მიჩნეული, იმიტაც იყო მნიშვნელოვანი, რომ აქ ქორეოგრაფისა და მხატვრის უნიკალურ თანაშემოქმედებასთან გვექონდა საქმე. ს. ვირსალაძე თავისი დიადი შემოქმედების ბოლო პერიოდში თითქმის მთლიანად გადაერთო საბალეტო ჟანრში და სცენოგრაფიისა და კოსტიუმების უბრწყინვალესი ნიმუშები შექმნა, განსაკუთრებით ი. გრიგოროვიჩის სპექტაკლში, მაგრამ „ივანე მრისხანეში“ იგი მოგვევლინა ახალი სახით, როგორც სპექტაკლის სწორედ ქორეოგრაფიული დრამატურგიის სრულყოფილი ავტორი. ბალეტის ყველაზე ემოციურ და კულმინაციურ ეპიზოდებში მისი დეკორაციები, კოსტიუმები თუ საგნები იძენდნენ ახალ ფუნქციას – ისინი რალაც შმაგი, თავბრუდამხვევი გახელებით „აქცევდებოდნენ“ და ტრაგიკულ სიმძაფრეს არათუ მატებდნენ ქორეოგრაფიას, არამედ პირველ პლანზე გამოდიოდნენ სცენოგრაფის მიერ სულჩადგმულნი. დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა ტაძრის სვეტების ქანაობა უზარმაზარი ზარების რეკვის ფონზე. ამის შესახებ

დანვრისებრით მაქვს მსჯელობა ესეიში, რომელიც უწინააღმდეგარ „ჩვენი მწერლობის“ (18.09.2009) ფურცლებზე გამოქვეყნდა.

გამოხდა ხანი და იური გრიგორივიჩმა 2012 წელს, ანუ 37 წლის შემდეგ, აღადგინა ეს სპექტაკლი. იგი არა მხოლოდ დიდი ქორეოგრაფი, დიდ თეატრში მთელი ეპოქის შემქმნელი, მსოფლიოს მრავალ სახელგანთქმულ სცენაზე საბალეტო სპექტაკლების ავტორი იყო, არამედ ღრმად მოაზროვნე შემოქმედიც, თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი და კარგად ხედავდა და განიცდიდა ბოლო წლებში რუსეთში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს — უმაგალითო სისასტიკეს ჩეჩნებისა და საერთოდ, ჩრდილო კავკასიელების, მის აგრესიას ყოფილი „ძმური რესპუბლიკების“ მიმართ, ოლიგარქთა თავაშვებულობას, ქაოსს, ნეოფაშისტთა (ე.წ. „სკინჰედები“) აღზევებას... ერთ ინტერვიუში ი.გრიგორივიჩმა თქვა, მთელი ამ ხნის მანძილზე სულს მიფორიაქებდა სერგეი პროკოფიევის ტრაგიკული მუსიკაო. ალბათ, ამან განაპირობა მისი მობრუნება (მონვეული ქორეოგრაფის რანგში) დიდ თეატრში, საიდანაც იგი ერთხელ უკვე სამარცხვინოდ გამოუშვეს (ამის შესახებ ვ.გავესკის დანერული აქვს წიგნი „ანტრეპტი“), რათა აღედგინა თავისი დიდი სპექტაკლი. მაგრამ ი.გრიგორივიჩმა არა მხოლოდ აღადგინა ეს სპექტაკლი, რასაც მისგან მოითხოვდნენ თეატრის ხელმძღვანელები, არამედ შთაბერა მას ახალი სული, გაამძაფრა არამარტო ივანე მრისხანეს პიროვნული ტრაგედია, არამედ ტრაგიზმი რუსული ყოფისა, რომელიც ტრანსის მარწუხებში სულს ძლივს ითქვამდა. ახლა მეფე ივანეს ტრაგედია ვითარდებოდა მის მიერ შექმნილი „ოპრიჩნიკების“ (ანუ ჩვენებურად „ზონდერების“) გამხეცებულ ქმედებათა ფონზე. ეს სცენა, რასაკვირველია, იყო სპექტაკლი, მაგრამ ახლა გაცილებით გამძაფრებულია, განსაკუთრებით შთამბეჭდავი კორდებალეტის ყოვლისნამლეკავი სტიქიურობა ყაზანის ანუ უცხო ქალაქის (თათართა) ალების სცენაში, რომელიც ძალიან გამჭვირვალე ასოციაციებს იწვევს და „უცხო“ ქალაქის — გროზნოს — აპოკალიფსს მოგვაგონებს. განათების პარტიტურაც შეცვლილია — ახლა ის მიმქრალია. უამრავი სანთლის ალი შემამფოთებლად ციმციმებს და ხატებსა თუ ფრესკებზე გამოსახული წმინდანთა სახეები წამდაუნუმ იცვლიან იერს, მოცუვავენი განასახიერებენ ქრისტიანული ფრესკებიდან გადმოსულ წმინდანებს. „სკომპოზიციები“ წარმოადგენენ „სიკვდილის“ ორგანისტულ სცენას. მეფე ივანე „გამომვლელი ნერვა“, იგი ზღვარდაუდებელ სასონარკვეთას მისცემია საკუთარ ბოროტებათა შეცნობის შემდეგ. ცხოვრების ყოველ ახალ, მოსალოდნელ საშინელებათა გამო კი მნათენი გამაგებით რეკავენ უზარმაზარ ზარებს...

სამწუხაროდ, ამ საგანგაშო ზარების ხმა ვერ მისწვდა იმას, ვისაც ჯერ არს...

დიდ ხელოვანთ მომავლის ნათელჭვრეტის უნარი აქვთ — იური გრიგორივიჩმა იწინასწარმეტყველა დიდი გენოციდი ჩრდილოეთ კავკასიაში და ანექსია უკრაინაში. რ.სტურუამ — აპოკალიფსი საქართველოში (შექსპირის „მეფე ლირი“. პრემიერა 27.04.1987).

აქსოზიციის ზევიდან ქვევით

ერთი ჩემი განათლებული და ხელოვნებაში კარგად ჩახედული მეგობარი აღტაცებული მიზიარებდა თავის პარიზულ შთაბეჭდილებებს. „ორსეს მუზეუმში თუ იყავი“, ვკითხე. არაო! „მე პარიზული ცხოვრების სურათები უფრო მიტაცებენ, რაც შეეხება ორსეს მუზეუმს, იქ ექსპონირებულ სურათებს კომპიუტერში ვნახავ, როცა მომესურვებო“.

ამან ერთი ეპიზოდი გამახსენა ჩემი მოგზაურობიდან. ვენეციაში დაეუახლოვდი ერთ იტალიელ სლავისტ პროფესორს. ერთხელ, დოჟების სასახლიდან გამოსული, სან მარკოს მოედანზე შეხვდით. „დაანებე თავი ამ ტინტორეტოებს და ვერონეზებს — მითხრა მან — იარე ვენეციის ქუჩებში და დატკბი მათი მშვენიერებითაო“ (მაშინ ჯერ არ არსებობდა ინტერნეტი). მე

არ ვემიჯნები ასეთ შთაგონებებს, თვითონ მაგარი ფეხით მოსიარულე ვიყავი ახალგაზრდობაში და ახლაც არა მიშავს, რასაც რუსთაველის თეატრის მსახიობებიც დამიდასტურებენ, მაგრამ კომპიუტერში ნანახი ფერწერული შედეგები, ანდა ბრწყინვალედ გამოცემული ალბომები (თუნდაც ეს იყოს სახელგანთქმული „სკირას“ გამოცემა) ახლოსაც ვერ მივლენ უშუალოდ აღქმისაგან აღძრულ განცდებსა და შთაბეჭდილებებთან. მე მიყვარს მუზეუმში გამეფებული ატმოსფერო, მიზიდავს კარგად გააზრებული ექსპოზიცია (მაგ. ლუვრის მუზეუმში, ლეონარდო და ვინჩის შედეგის, „მონა ლიზა“, გვერდით ჰკიდია მისივე მეორე შედეგის „მადონა მლიმიში“, რომელთა ერთობლიობა დარბაზში უჩვეულო აურას ქმნის. ხოლო მადრიდის პრადოში „გოიას დარბაზში“ თავზარდამცემია მხატვრის სამყარო თავისი მთლიანობით, მისი ენითუთქმელი ძალის მშვენიერებით და სულიერებით. ჯერ მსოფლიოში არ შექმნილა ბეჭდვის ისეთი ტექნიკა, რომელსაც შეეძლება „გოიას სულის“ გადმოცემა...

მუზეუმში ყოფნისას მთავარია მიაღწიო „საჯარო მარტობას“ (კ.სტანისლავსკის ტერმინით რომ ვთქვა) ანუ მარტო დარჩე სურათთან, მიუხედავად იმისა, რომ შენს ირგვლივ მრავალი დამთვალეირებული ტრიალებს. ეს კი ცოტა არ იყოს ძნელი მისაღწევია და ადამიანისაგან სრულ კონცენტრაციას მოითხოვს. მაგრამ არის ისეთი ტიპის მუზეუმები, სადაც გიადვილდება სურათთან „მარტო დარჩენა“. მაგალითად, ორსეს მუზეუმში (პარიზი) დეგას ფერწერულ ტილოებს ცალკე დარბაზი ეთმობა, სადაც შექმნილია განათების საგანგებო პარტიტურები მხატვრის საყვარელ ფერთა იმპულსით. აქ დეგას შედეგები კედელზე კი არ ჰკიდია, არამედ მოთავსებულია საგანგებოდ დახრილ ვიტრაჟებში, რომელიც ასევე განათებულია იმგვარად, რომ მხატვრის იმპრესიონისტული პავლიტრამთელი მშვენიერებით აღვიქვამთ. მუზეუმში შესულს ისეთი გრძობა გეუფლება თითქოს მთელ დარბაზში შენ ხარ და ნახატი.

მაგრამ მსოფლიოში არის მუზეუმი, რომლის არქიტექტურულ-სივრცული გადაწყვეტა გიადვილდება სურათთან „მარტოდ“ დარჩენას. ეს არის XX საუკუნის გენიალური არქიტექტორის ფრენკ ლოიდ რაიტის პროექტით აგებული გუგენჰაიმის მუზეუმი ნიუ იორკში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუზეუმის პროექტი რუსი მხატვრის ვასილი კანდინსკის ერთი აბსტრაქტული ტილოს შთაგონებითაა შექმნილი...

მილიონერ სოლომონ რობერტ გუგენჰაიმს თავისი მეუღლის, ირენ როტმილდის, ბანკირთა სახელგანთქმული ოჯახიშვილის, შთაგონებით უყვარდა მხატვრობა და მხატვრები. სწორედ ამ ქალმა გაუღვიძა სიყვარული ხელოვნებისა და კოლექციონერობისადმი. კანდინსკის აბსტრაქტული სურათების მიხედვით მუზეუმის აგების იდეა კი ეკუთვნოდა ავსტრიელ ბარონესას, მხატვარ-ავანგარდისტს ჰილა რებეის („გონივრული ქვეის“ მიხედვით, ეს ქალბატონი სოლომონის საყვარელი იყო).

მართლაც, ვასილი კანდინსკის „რამდენიმე წრე“, „მალა“, „დომინანტური მრუდი“, „კომპოზიცია IX“, „წრის ირგვლივ“, „კომპოზიცია X“, სადაც განხორციელებულია მისი ნოვატორული კონცეფცია „ფერწერაში ფერის რიტმული გამოყენებისა“, შეიძლება გამხდარიყო იმპულსი რაიტისათვის. მუზეუმი წარმოადგენს სპირალივით დახვეულ გადმობრუნებულ პირამიდიულ კოშკს, ხოლო ინტერიერი მიაგავს ნიჟარას, რომლის ცენტრშიცაა შემინული შიდა ეზო.

თავდაპირველად სოლომონ გუგენჰაიმმა გატაცებული იყო ძველი ოსტატების ნამუშევრებით. 1926 წლიდან, სწორედ ბარონესა ჰილა ფონ რებეის ზეგავლენით, დაინტერესდა თანამედროვე ხელოვნებით. ჯერ ევროპული აბსტრაქციონიზმით, მერე ე.წ. „უსაგნო ხელოვნებით“. ამ ქალმავე გააცნო სოლომონს არქიტექტორი რაიტი და აბსტრაქციონისტი ვ.კანდინსკი (საბოლოოდ, ამ მხატვრისაგან 150 ნამუშევარი შეიძინა). კოლექციონერობის ვნებით აღვსილმა, უკვე მილიარდერმა გუგენჰაიმმა ბიზნესს საერთოდ დაანება თავი. 1930 წელს მან პირველად გამოფინა თავისი კოლექცია ნიუ იორკის სასტუმრო „პლაზას“ საკუთარ აპარტამენტში. სწორედ ამ სასტუმროში ვცხოვრობდით

1968წ. გიგა ლორთქიფანიძე, რობერტ სტურუა და მე. და, რაც მთავარია, თავის დროზე ამ „პლაზაში“ ცხოვრობდა ჯორჯ ბალანჩინი თავისი საბალეტო დასის მოცეკვავეებთან ერთად. სასტუმროს პირველ და მეორე სართულზე ისეთი ვრცელი დარბაზებია, რომ ისინი თავისუფლად დაიტყვენ დიდ ექსპოზიციას და მრავალ ათეულ მოცეკვავესაც.

1943 წელს ჰილამ დაარწმუნა გუგენჰაიმი, რომ მისი კოლექციისათვის აუცილებელი იყო მუდმივი საექსპოზიციო დარბაზის აგება. რაიტმა მიიღო გუგენჰაიმის დაკვეთა და შექმნა შენობა-შედეგრი, მაღალი ხელოვნების ეს განუმეორებელი ნიმუში. 1949 წელს გუგენჰაიმი გარდაიცვალა. ათი წლის შემდეგ, 1959 წელს კი გაიხსნა მუზეუმი, რომელიც თანამედროვე მხატვრობის აუნერულ სიმდიდრეს ფლობს.

ამ მუზეუმში პირველად მოვხვდი 1968 წელს, რასაკვირველია, განცვიფრებული დავრჩი მუზეუმის როგორც გარეგნული არქიტექტურული ფორმით, ასევე ინტერიერით. ეს მუზეუმი სამართლიანადაა მიჩნეული რაიტის შემოქმედების აპოთეოზად. აქ მან შეძლო განეხორციელებინა თავისი არქიტექტურული იდეები, რომელთა მიხედვითაც შენობის ფორმა — ყოველ ცალკეულ შემთხვევაში — უნდა გამოდინარეობდეს თავისი სპეციფიკური დანიშნულებისა და გარემოს უნიკალური პირობებისაგან, სადაც ის უნდა აშენდეს და სადაც უნდა იარსებოს.

განსაკუთრებული ოსტატობით აქ რაიტის „არქიტექტურული სივრცის განუწყვეტლობის“ იდეამ ჰპოვა ადეკვატური გამოხატულება. დიდ ეფექტს ინვესტ სურათების ექსპოზიციას. რაიტის კონცეფციის თანახმად, ექსპოზიციას დამთავალიერებელი „ზემოდან ქვემოთ“ უნდა გაეცნოს. ამიტომ ლიფტით უნდა ავიდეს ბოლო სართულზე და ფეხით ნელ-ნელა დაემგვას ცენტრალური სპირალური პანდუსით. ასეც მოვიქეცი, დაინყე დათვალაიერება ზევიდან და უმაღლვე დაინყო საოცრება. სურათები ეკიდა დახრილ კედელზე და სრული შთაბეჭდილება იქმნებოდა იმისა, თითქოს მხატვრის მოღებრზე დამაგრებულ სურათს ვუყურებდი. და აი, მაშინ ბუნებრივად დამეფუფა ნახატთან განმარტოების სრულიად ბუნებრივი გრძნობა.

მომდევნო წლებში გრზის ვენევი გუგენჰაიმის მუზეუმს, მაგრამ, სამუხაროდ, ის პირველი შეგრძნებანი აღარ აღმძვრია სულ მარტივი მიზეზის გამო — ახლა ექსპოზიციის გაცნობა იწყება „ქვემოდან ზემოთ“ და დაიკარგა აღქმის ის ეფექტი, რამაც ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ მუზეუმმა დაკარგა ადრინდელი განუმეორებლობა. კურატორებმა გაზარდეს მისი საექსპოზიციო სივრცე. აქ ახლა ხელოვნების ნიმუშთა გამოფენას დროდადრო ენაცვლება საყოფაცხოვრებო საგნების, ბავშვთა სათამაშოების, თოჯინების, ველოსიპედებისა და ავტომობილების პირვანდელ მოდელთა გამოფენები, სხვადასხვა შოუ და სალამო. თუმცა ეს რა გასაკვირია, როცა იქვე, მოპირდაპირე მხარეს, დიადი „მეტროპოლიტენ მუზეუმის“ დარბაზებში, ამ რამდენიმე წლის წინათ, გაიმართა გამოფენა „პარნები: ქაოსიდან კულტურამდე“, სადაც ძირითადი ექსპონატები იყო პარნების ჭუჭყიანი, დაფლეთილი ჯინისის შარვლები (დღეს რომ ქართველ თინეიჯერებს ახალ მოდად მიაჩნიათ) და სხვა ძონძები.

P.S. ფრენკ ლოიდ რაიტის არქიტექტურული იდეების კვალი შეიძლება დავინახოთ თბილისში, ავჭალაში, აგებულ გარაჟში და რუსთაველის პროსპექტზე — უნივერსალის შენობის ფასადზე („სახლი უფანჯროდ“), აგრეთვე ყოფილი პრეზიდენტის საოცნებო სინგაპურში. აეროპორტის თვალუნვდენელ ინტერიერში დიდი სიმაღლიდან ხელოვნურ კლდეზე გადმოვარდნილი ჩანჩქერი აშკარად მოგვაკონებს მილიონერ კაუფმანის (მთელ მსოფლიოში მოფენილი უნივერსალური მაღაზიების ქსელის მფლობელის) ქალაქგარეთ აგებულ სააგარაკო სახლს, რომლის ინტერიერშიც შენარჩუნებულია ბუნებრივ კლდეზე დაშვებულ ჩანჩქერთა მშვენიერება.

„ვეფხვი“ კლემანსო და როდენი

გუანახუატოს (მექსიკა)საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი სხვა ამგვარი ტიპის ფესტივალისაგან იმითაა გამოჩეული, რომ თემატურად აქ ძალზე ფართოდაა წარმოდგენილი ხელოვნების ყველა დარგი (ფერწერა, პლასტიკა, მუსიკა, გრაფიკა, ბუნებრივი, საკუთრივი თეატრი, ქორეოგრაფია, კინემატოგრაფია, ტელევიზია, ლიტერატურა, ფოლკლორი). რუსთაველის თეატრთან ერთად ორგზის (1975 და 1982) ვიყავი ამ ფესტივალზე („სერვანტინო V“ და „სერვანტინო X“).

„სერვანტინო V“-ის გამოყენებითი ხელოვნების პირველ პროგრამაში ცენტრალური ადგილი ეჭირა სერვანტესის „დონ კიხოტის“ დასურათების (გრაფიკა, ფერადი ილუსტრაციები, ფრონტისპირები, სუპერები, ფორზაცები, შმულცტიტულები, დეკორატიული ელემენტები) ისტორიას თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე. ეს დიდი გამოფენა გამართული იყო მექსიკის ძველ დედაქალაქებში, გუანახუატოში, უძველესი უნივერსიტეტის დიდ, ნათელ საგამოფენო დარბაზებში.

„სერვანტინო X“-ზე კი სახვითი ხელოვნება წარმოდგენილი იყო ოგიუსტ როდენის პლასტიკური ნამუშევრებით, დაწყებული მისი სახელოვანი, მონუმენტური „მოაზროვნისა“, დამთავრებული პანკინტელა, მინიატურული ნაქრნებით და გრაფიკული ჩანახატებითა თუ ფერწერული ეტიუდებით. ამ გამოფენას ეკავა მესიკოს ერთ-ერთი, არქიტექტურული სიდიადით გამორჩეული სასახლის — „ბელას არტესი“ — მთელი ხუთსართულიანი შენობა, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული „ნატიფი ხელოვნების“ ცენტრად ამერიკის კონტინენტზე. ამ ფესტივალთა „პატრონებს“, როგორც წესი, ქვეყნის „პირველი ლედა“ ხოლმე. მას შემდეგ, რაც მთლიანად ამ ფესტივალის პრეზიდენტი გახდა მექსიკის პრეზიდენტი, პორტილოს მუელე, კარმენ რომანო დე ლოპეს პორტილიო (მექსიკის კინოს, რადიოსა და ტელევიზიის მინისტრი), მისი მასშტაბები უსაზღვროდ გაიზარდა, ხოლო „სერვანტინომ“ ქეშმარიტად საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა. ფესტივალისადმი მიძღვნილ დიდფორმატიან, 217-გვერდიან „მემორია 1982“-ში განსაკუთრებით იყო აღნიშნული, რომ „ბელას არტესში“ „მთელი როდენია“ წარმოდგენილი. მართლაც, კარმენ პორტილიოს ძალისხმევით შესაძლებელი გახდა მსოფლიოს ყველა დიდი მუზეუმიდან როდენის ნამუშევრების თავმოყრა ერთ სასახლეში. მაგრამ გამოვხდა ხანი და დავრწმუნდი, რომ მესიკოს „ბელას არტესში“ „მთელი როდენი“ არ ყოფილა წარმოდგენილი. პარიზში ყოფნისას ვენევი პაბლო პიკასოს სახლ-მუზეუმს (ამის შესახებ „ჩვენ მწერლობაში“ (24.10.2008) გამოვაქვეყნე ესეი) და მაშინ გამიჩნდა სურვილი მენახა როდენის სახლ-მუზეუმიც, მიუთმეტეს, რომ ამ დიდ ხელოვნათან კარგა ხანს მუშაობდა პირველი ქართველი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, რომელმაც დაგვიტოვა მშვენიერი მოგონება „ერთი წელი როდენთან“.

მცირე ისტორიული ნიაღვრეა უნდა შევთავაზოთ მკითხველს: ოგიუსტ როდენის დიდი მეგობრობა აკავშირებდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ჟორჟ კლემანსოსთან, რომელიც ორგზის იყო მთავრობის მეთაური (1906-09; 1917-20) და მრავალგზის მინისტრი. მათ მეგობრობას საინტერესო ინტრიგებით და ფათურაკებით ავსებდა და აღამაზებდა უამრავი სატრფიალო თავგადასავალი. ტრფობის დაუცხრომელი ძალის გამო კლემანსოს ფრანგებმა „ვეფხვიც“ კი შეარქვეს. მაგრამ არანაკლები ვეფხვი იყო როდენიც, რომლის ხელშიც უამრავმა ქალმა გაიარა. ამამი ადვილად დავრწმუნდებით თუ თვალს გადავავლებთ მის მემუარებს „ჩემი აღსარება“, სადაც ნაწყდეებით ასეთ სტრიქონებს: „არაფერი ისე არ მალეუვებს ამქვეყნად, როგორც შიშველი ქალის სხეული“ (აქ როდენი, ალბათ, შემოქმედებით მღელვარებას და ექსტაზსაც გულისხმობს). ქალის სხეულს იგი ადარებდა იმეზითი ხელოვნებით შექმნილ მშვილდს, რომელსაც ღვთაებრივმა ამურმა უხილავი ისარი მოარგო... და აი, როდენმა თავისი განუყრელი მეგობრის და გულის მესაიდუმლისათვის ოცდათორმეტი ეროტიკული სურათი შექმნა. მისი მენატურები იყვნენ: ბალერინები, მსახიობები, მსუბუქი ყოფაცქევის ქალები, გრიზეტკები... უძლიერესი ქარიზმატული ძალის მხატვარი (საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სამოცი წლის როდენმა ოცი წლის მოცეკვავეს, უმშვე-

წიგნი აისეღორა დანკანს, თავგზა აუზნია, მაგრამ ქალმა „იყოჩაღ“ და არ მინებდა ვნებას, რასაც მთელი ცხოვრება ნანობდა) ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აღებინებდა მისი „შემოქმედებითი აღმადგენისათვის“ ესოდენ საჭირო პოზებს.

ასე შექმნა ეს ოცდათორმეტი სურათი, რამაც ალაფრთოვანა „ვეფხვი“ კლემანსო და რამაც კიდევ უფრო განამტკიცა მათი მეგობრობა, მაგრამ, ვაი რომ ამ მეგობარს დიდი დღე აღარ ეწერა. მათ შორის პირველი ბზარი მამინ გაჩნდა, როდესაც კლემანსომ დაიწუნა როდენის ქანდაკება „ბალზაკი“. არცერთ ქანდაკებაზე არ უმუშავია როდენს ისეთი თავდადებით, გატაცებით და ხანგრძლივად, როგორც ამ, გვიან აღიარებულ, შედეგზე (“ბელას ინტენსი” ერთი დიდი დარბაზი ეჭირა ამ ქანდაკების ურიცხვ ვარიანტს). ეს მეგობრობა კი საბოლოოდ დაირღვა, როცა როდენმა კლემანსოს პორტრეტის ოცი ვარიანტი შექმნა და ოცივე დაუწუნა „ვეფხვმა“.

რატომ ვთქვი, რომ მეხიკოში წარმოდგენილი „მთელი როდენი“ სრული არ იყო? იმიტომ, რომ აქ არ ყოფილა როდენის ეს ოცდათორმეტი სურათი და ვერც იქნებოდა, რადგან „კლემანსოს მუზეუმის“ საფუძვლადგულად გასაიდუმლოებული ფონდები გაიხსნა გასული საუკუნის 80-იან წლების ბოლოს და, ბუნებრივია, ისინი „სერვანტინო 82“-ის გამოფენაზე ვერ მოხვედებოდნენ, სამაგიეროდ, აღმოჩნდნენ როდენის სახლ-მუზეუმში.

P.S. ახლახან ამოვიკითხე ერთ ინგლისურ გამოცემაში, რომ „კლემანსოს მუზეუმმა“ დაიბრუნა ეს სურათები იმ საბაბით, რომ ამ მუზეუმს სწორედ ეროტიკული სურათების მოყვარულთაგან შემოსული თანხა ინახავდა.

როს... როს... როსტრ... როსტროპოვიჩი

ლონდონში, რუსთაველის თეატრის გასტროლებსას, გია ყანჩელის და რობერტ სტურუას წყალობით, გაცივანი გენიალური ვიოლონჩლისტი სვიატოსლავ როსტროპოვიჩი, რომელიც იმ დროს კარნეგი ჰოლში მართავდა კონცერტებს. ეს დიდი მუსიკოს-შემსრულებელი და დირიჟორი არაჩვეულებრივად უშუალო და თავისუფალი ადამიანი აღმოჩნდა, ძალზე გონებაშავილი და კეთილგანწყობილი. იუმორის დიდი გრძნობით დაჯილდოებული, თავს გადახდილი კურორტული ამბების შეუდარებელი მთხრობელი. დიდი თეატრის სახელგანთქმულ მომღერალთან გალინა ვიშნევსკაისთან, ხელის მოწერის ცერემონიას ძალზე ხალისიან ფერებში წარმოსახავდა, კომიზმს აძლიერებდა სვიატოსლავისთვის დამახასიათებელი მანერა მეტყველებისა (ენას საგრძნობლად უკიდებდა და ჩქარა ლაპარაკობდა). „მამაჩი“ როგორც კი შევედითო – ჰყვებოდა იგი, რეგისტრატურაში ქალმა უმაღლეს იცნო გალინა, სახე გაბრწყინებული, ბედნიერი სახით მიეჭრა: „მომეცით, საყვარელო, თქვენი პასპორტი. მამასადამე, ვნერო: გალინა პავლოვან ვიშნევსკაია!“ როსტროპოვიჩისთვის არც შეუხედავს ისე, მშრალად მიმართა გალინას მომავალ მეუღლეს – ახლა, თქვენი პასპორტი. გადამალა, დაიწყო კითხვა: „როს... როს... როსტროპო... ღმერთო ჩემო, ეს რა სამინელი გვარი გაქვთ, ამხანაგო, ეს რა გვარი გქონიათ? ახლა გეძლევათ გვარის გამოცვლის შესაძლებლობა. ცხადია, ვნერო ვიშნევსკის! რა მშვენიერი იქნება, არა? სვიატოსლავ ვიშნევსკი!“ ს.როსტროპოვიჩი: „კი, მართალი ხართ, მაგრამ, იცით რა, ძალიან მივეჩვიე ჩემს გვარს, გმადლობთ!“

მე კი, ჩემი მხრივ, დავსძენ, რომ ვიშნევსკი გალინას პირველი ქმრის, გენერალ ვიშნევსკის გვარია! ცხადია, სიტუაციის კომიზმს მარტო ის კი არა აძლიერებდა, რომ „მამაჩი“ მომსახურე ქალმა ვერ იცნო ესოდენ სახელმძღვანელო მუსიკოსი, არამედ ეს პიკანტური დეტალიც.

P.S. ს. როსტროპოვიჩი ძველი ესტამპებისა და გრაფიკების დიდი მოყვარული გახლდათ. ხელოვნების ძვირფასი ნიმუშებისა და ანტიკვარიატის იშვიათი კოლექცია დატოვა. ლონდონში შესვენებისას, სწორედ მან მიასწავლა რ.სტურუას ის მალაზია, სადაც XVII საუკუნის საქართველოს რუკა იყიდებოდა: თქვენთვის საგანგებოდ გადავანახებინო. რობერტმა შეიძინა ეს რუკა, რომელსაც მთელი მისი ჰონორარი დასჭირდა. ამ ფაქტს პატარა ეტიუდი მივუძღვენი ჩემს წიგნში „სამყარო თეატრალის თვალთ“ (1998წ.)

ნოიმიერი და ბალანჩინი

ჰამბურგის საბალეტო დასის სახელგანთქმული ქორეოგრაფი, ნოიმიერი, რომელმაც მალერის ყველა (ათი) სიმფონია დადგა (გარდა მერვესი), ამბობს: ჩემს ბალეტებში ხორცს ისხამს ყველა ის გრძნობა, რომლებიც ჩემში იბადებოდა უშუალოდ მუსიკის მოსმენისასო. ამით იგი ხაზს უსვამს თავისი ქორეოგრაფიის პრინციპულ განსხვავებას ბალანჩინისაგან, რომელიც მუსიკას ხედავდა ვიზუალურად, ანუ ხედავდა მას პლასტიკურ სახეებში. ეს წარმოშობით ამერიკელი, თანამედროვე ქორეოგრაფიის ცოცხალი კლასიკოსი, ბრწყინვალედ ერუდირებული შემოქმედი იმასაც ამბობს: იმპულსებს კლასიკურ ლიტერატურადან ვიღებო.

„ჩემი შთაგონების წყაროა — სიტყვა. მუსიკის შერჩევა, მოცეკვავეთა პლასტიკას, კოსტუმების, დეკორაციების, განათების „შეთხზვა“ იწყება მას შემდეგ, როცა ლიტერატურული ტექსტი გამოიტაცებს“.

მის შედეგებს შორის მოიხსენიებენ ბალეტებს „საგა მეფე ართურზე“, „ოდისეა“ (ჰომეროსის მიხედვით), შექსპირის „როგორც გენებოთ“ და „ზაფხულის ღამის სიზმარი“, ჰიბსენის „პიერ გიუნტი“, თ.მანის „სიკვდილი ვენეციაში“, „ონგინი“ (ა.პუშკინის რომან-პოემის მიხედვით), დიუმას „ქალი კამელიებით“ (შოპენის მუსიკაზე. 2014წ. აპრილში დაიდგა მოსკოვის დიდ თეატრშიც).

სხვათაშორის, ბალეტის ფაბულა საინტერესოდ გამოიყურება: არმანი და მარგარიტა ერთმანეთს პირველად ხედებიან ვარიეტეში, სადაც ამ დროს წარმოადგენენ მანონ ლესკოს და დე გრიეს რომანის ისტორიას, აბაჟ პრევოს მიხედვით. აქედან იწყება ორი შეყვარებული წყვილის სასიყვარულო ისტორიის პერიპეტიათა პარალელური ჩვენება, სარკისებრი პრინციპით.

თუ კლასიკური ნაწარმოებები ნოიმიერს გამზადებულ სიუჟეტს აწვდის (რომელსაც თავისებურად ამუშავებს), სხვა შემთხვევაში, „უსიუჟეტო“ სიმფონიების მუსიკა მას გადაწყევას სიუჟეტურ პლანში, რომელსაც ხშირად თვითვე თხზავს.

მალერის მეათე სიმფონიისათვის კი საფუძვლად აიღო კომპოზიტორის ცხოვრების ერთი, დრამატული მოტივი. მალერს ჰყავდა ულამაზესი მეუღლე, კომპოზიტორი ალმა შანდლერი. ასაკმობალებული მალერი მაინცდამაინც დიდი ყურადღებით არ გამოირჩეოდა ამ ახალგაზრდა მზეთუნახავისადმი, რის გამოც განაწყენებულმა ქალმა, იხსენის ნორასავით, დაჰკრა ფეხი და გაიქცა მასავით ახალგაზრდა და ლამაზი არქიტექტორ ვალტერ გროპიუსთან (არქიტექტორული სკოლის „ბაუჰაუზის“ ერთ-ერთ დამაარსებელთა). მალერმა, თავისი ნოსტალგიისა თუ სულიერი კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით, ყოფილი მეუღლე-კომპოზიტორის ერთ-ერთი სიმღერა გამოიყენა იმპულსად მეათე სიმფონიის შექმნისას. აქედანაც ნათლად ჩანს თუ რა პრინციპული განსხვავებაა ნოიმიერსა და ბალანჩინს შორის. პირველი მაინც სიუჟეტის ბალეტისაკენ იხრება (თუმც მისი ქორეოგრაფია სულ სხვა პოლუსზეა, ვიდრე კლასიკური, რეალისტური, ე.წ. „დრამაბალეტი“), მეორის ქორეოგრაფია კი მთლიანად ეფუძნებოდა მუსიკას, რომელსაც იგი სხეულის ყველა უჯრედით გრძნობდა და მუსიკის განსაცვიფრებელი სილამაზის პლასტიკურ ანალოგებს ქმნიდა.

P.S. 2014 წლის ნოემბერში მოსკოვის კ.ს.სტანისლავსკისა და ვ.ი.ნემიროვიჩი-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში გაიმართა ჯონ ნოიმიერის ბალეტის „სტიპანის“ პრემიერა (კომპ. ლ.აუერბახი), პუშკინის „ვეგენი ონგინის“ მიხედვით.

ეს რომანი-პოემა აღარც გახსნარა ქორეოგრაფთა შთაგონების წყაროდ. აღსანიშნავია ჯონ კრევოს თვალისმოჭრელად მდიდარი სპექტაკლი და ბორის ეიფმანის უკიდურესად რადიკალური ვერსია, რომელიც ვითარდება 1991 წელს მოსკოვში მომხდარი „პუტჩის“ ფონზე. აქ ლენსკი პოეტი კი არ არის, არამედ როკ-მომღერალია, რომელიც იღუპება ქუჩაში გამართულ დანებით ჩხუბში, ხოლო თავადი გრემინი გადაქცეულია კრიმინალურ ავტორიტეტად. მართალია, ნოიმიერის სპექტაკლშიც ლენსკი პოეტი კი არა, კომპოზიტორია, მაგრამ ქორეოგრაფი რომან-პო-

ემის ბოლომდე ერთგული, „ტიტანა“ კი იმიტომ დავარქვიო, რომ „პუშკინისეული ისტორიის განვითარებას მხოლოდ და მხოლოდ ამ მთავარ გმირში ვხედავ მოქმედება დამოკიდებულა ამ ქალის ქცევებზე“.

სხვათაშორის, შევნიშნავ ჩემი მხრივ, რომ ფ.დოსტოევსკის ტიტანა მიაჩნდა მთავარ გმირად. ისიც ვთქვამთ ბარემ, რომ სპექტაკლში ტიტანის პარტიას ცეკვავს ენითუთქმელი სილამაზის დიანა ვიშნიოვა — „იმპერიული მასშტაბისა და მეტალიტეტის ბალერინა“. ბოლოს კითხვით, ჯონ ნოიმაიერის სიტყვებს მოვუხმობ, რათა უფრო ცხადი გახდეს განსხვავება მასა და ჯორჯ ბალანჩინის შორის: „მე ბალეტზე მუშაობას ვინცებ იმ გრძნობებით, თითქმის ინსტინქტური რეაქციებით, როცა ტექსტის რამდენიმე ფრაგმენტისგან ტყვექმნილი, გამუდმებით მათზე ვფიქრობ და ჩემს წარმოსახვაში გმირები ცოცხალ ადამიანებად გადაიქცევიან. მხოლოდ ამის შემდეგ ვსწავლობ საჭირო მასალას, ვაკეთებ შენიშვნებს, ვუსმენ მუსიკას, ვკითხულობ, ვფიქრობ“.

„შავი პიერო“ დაბრუნება

მას შემდეგ, რაც ა.ვერტინსკიმ ზურგი აქცია საბჭოთა რუსეთს და ევროპას მიაშურა, არათუ მისი პოპულარული სიმღერები, არამედ მისი სახელის ხსენებაც აიკრძალა, მან კი დიდი წარმატებით დაიწყო თავისი კარიერა საფრანგეთში „ბელოგვარდიული“ სიმღერებით და რომანსებით. ესტრადაზე ორიგინალური ჩაცმულობის გამო „შავი პიერო“ უწოდეს. და მსოფლიოს სახელმძოვნილ ესტრადებზე დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდნენ. სსრკ-ში მისი დაბრუნების ისტორია მოცულია ბურუსით და აღსავსეა მითებით. როგორც ახლა ირკვევა, მის დაბრუნებაში გადამწყვეტი როლი შეუსრულებია სტალინს. სწორედ მაშინ, როცა მთელ ქვეყანაში მიჰვიწვარებდა ტერორი, სტალინი თურმე ჩუმჩუმად, თავის აგარაკზე, დასვენების ჟამს, უსმენდა ვერტინსკის რომანსებს, ძალზე მოსწონდა მისი „არიეტა“ და განსაკუთრებით „ლურჯ და შორეულ ოკეანეში“. გენერალსიმუსს მიაწერენ ფრაზას: „Дадим артисту Вертинскому спокойно дожить на Родине“.

გაზეთ „Культура“-ს (№39, 2014) ცნობით, მხოლოდ სოჭის აგარაკზე „საბჭოთა ლიდერის კოლექციაში სამი ათასი გრამფირფიტა ინახებოდა. მოსმენის შემდეგ, იგი, ჩვეულებრივსამებრ, პირდაპირ ეტიკეტზე აწერდა თავის შეფასებებს“.

ის ამბავი, რომ თვითფრინავიდან ჩამოსულმა ვერტინსკიმ დაიჩოქა და მშობლიურ მიწას აკოცა, ამასობაში კი ორი ჩემოდანი ანაპნეს — უფრო ლეგენდის სფეროს განეკუთვნება.

P.S. 1951 წელს ა.ვერტინსკიმ მიიღო სტალინური პრემია საკონცერტო მოღვაწეობისათვის.

ა. ვერტინსკის ორი ულამაზესი ასული, რომლებიც ქართველი მეუღლისაგან, ლილია ნორღვაგასაგან ჰყავდა, რუსული სცენისა და ეკრანის შესანიშნავი მსახიობები არიან. ქართველ მაყურებელს უეჭველად ემახსოვრება ანასტასია ვერტინსკაია, რომელიც გ.დანელიას ფილმში, „არ დაიდარდო“, თამაშობდა (უდიდესი პოპულარობა მოუტანა მთავარი როლების შესრულებამ ფილმებში: „ალისფერი იალქნები“, „ადამიანი-ამფიბია“, „ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინა“ და სხვ. ანასტასიას პირველ შვილს, რეჟისორ ნიკიტა მიხალკოვისაგან, სტეპან მიხალკოვს, მოსკოვში გახსნილი აქვს დიდი რესტორანი. ანასტასიას ინიციატივით აქ ორი „ხაზია“: ქართული და რუსული).

ლიანგონი

ა.გერცენი ამბობდა: „მთელი რუსეთი მოიცვა პატრიოტიზმის სიფილისმა“-ო. ბრწყინვალე „Былое и думы“-ს ავტორის ეს ფრაზა დღევანდელი რუსეთის დიაგნოზად შეიძლება მივიჩნიოთ. არ იქნება საღ აზრს მოკლებული თუ აღორძინებული „დერჟავის“ ხელისუფალნი ცხოვრებაში განახორციელებენ მითიური და ლეგენდარული ცრუმეტყველის, კოზმა პრუტკოვის პროექტს — Проект о введении единомыслия в России! (“პროექტი რუსეთში ერთაზროვნების შემოღების შესახებ”).

რაჭველი ასრულებს ბათუმოვნის სიმფონიას

როცა ნიკა რაჭველის „დირიჟორობით“ მოვისმინე ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია — ჩვენი სიმფონიური ორკესტრის „შესრულებით“, თბილისში, პარლამენტის შენობის წინ, ღია სივრცეში: ანუ, როცა, ნაცების წარმატებული რაჭველი დირიჟორი ხელებს „სიაფანდზე“ იქნევდა ჰაერში და ფონორაგამით კი სრულდებოდა ბეთჰოვენის სიმფონია ჰერბერტ კარაიანის დირიჟორობით (ვენის სიმფონიური ორკესტრი), მაშინვე გამახსენდა ცნობილი დირიჟორის გენადი როჟდენსტვენსკის ფრაზა: „დირიჟორობა — ბარაქიანი ნიადაგია თალღოთობისთვის“ („Дирижирование – благодатная почва для мошенничества“). თუ ვინმე ჩათვლის, რომ დიდი მუსიკალური კულტურის დირიჟორი (შვილი ასევე ცნობილია დირიჟორის, ნიკოლაი ანსიმოვისა, ვისი დირიჟორობითაც შესრულდა — პირველად სსრკ-ში — ბრიტენის მუსიკა — „ოთხი საზღვაო ინტერლუდია“ ოპერიდან „პიტერ გრეიმე“) ძალზე აჭარბებს, მას ვურჩევ ნაკითხოს ნორმან ლებრეტის წიგნი „Маэстро-миф“, სადაც ბევრი სახელოვანი დირიჟორის „მოშენიჩესტვოს“ გაეცნობა. არ გამოვრიცხავ, რომ ეს წიგნი ნაკითხული ჰქონდეს განათლებულ ახალგაზრდა მუსიკოსს, ნიკა რაჭველს, და თუ ნაკითხული აქვს, თავის მართლებასაც ადვილად შესძლებს. აქვე დავსძენ, რომ პირველმა მე დაგებეჭდე მის შემოქმედებაზე ანალიტიკური წერილი ჟურნალ „ხელოვნების“ რედაქტორობისას.

კაპაბლანკა აქვას ლენინს

მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში რაულ კაპაბლანკა ხუმრობდა ჭადრაკით ლენინის გატაცების გამო: „ლენინს შეეძლო მსოფლიო ჩემპიონი გამხდარიყო ჭადრაკში, იმ შემთხვევაში, თუ ფიგურები „წითლები“ და „თეთრები“ იქნებოდნენ“.

ფსკარი მალა

თავის დროზე რეჟისორმა გ.ქავთარაძემ „ამოაყირავა“ მ.გორკის ცნობილი პიესა „ფსკერზე“. ამ სპექტაკლში მოქმედება ვითარდებოდა არა ფსკერზე, არამედ „მალა“, თითქმის არისტოკრატიულ სალონში, მოქმედი პირები ჩვეულებრივი „ბოსიაკები“ ან „ბომჟები“ კი არ იყვნენ, არამედ ინტელიგენტი რუსები. ჩემი აზრით, ამ „გაუცხოებით“ უფრო გამძაფრდა და უფრო თანამედროვე ჟღერადობა შეიძინა ადამიანის პრობლემამ თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში. ლიტველი რეჟისორი ოსკარას კორმუნოვასი უფრო შორს წავიდა: მან სახარების თემის შეტანა სცადა ამ პიესის მიხედვით დადგმულ (2011წ.) სპექტაკლში და „ფსკერის ბოსიაკები“ ზუსტად ისე განალაგა, სახით მაყურებლისაკენ, როგორც ეს არის „სანტა-მარია დე ლა გრაცის“ ფრესკაზე (ლეონარდოს „საიდუმლო სერობა“). ოცდაჩვიდმეტი წლის წინათ დადგმულ რ.სტურუას „ყვარყვარეში“ ამ ფრესკის კომპოზიცია (შუაში, ქრისტეს ნაცვლად, რ. ჩიკვაძის ყვარყვარე — ანტიქრისტე, ირვკლივ — მისი „მონაფეები“) ზედმიწევნით ზუსტად და ბუნებრივად იყო ჩასმული სპექტაკლის აზრობრივ და მხატვრულ ქსოვილში, თანაც, სტილისტურად აბსოლუტურად გამართლებული. კორმუნოვასთან კი იგი მორიგი „პოსტმოდერნისტული ხულიგნობა“ მგონია, მითუმეტეს, რომ სპექტაკლის პერსონაჟები უბრუნდებიან მ.გორკის „ფსკერს“ და უღმერთოდ ლოთობენ (სპექტაკლის ერთ-ერთი პერსონაჟი, აქტიორი, რომელმაც, პიესის მიხედვით, უკვე მოიკლა თავი, „ცოცხლდება“ და ჰამლეტის მონოლოგების კითხვას იწყებს).

მაია ჯალიაშვილი

სიცოცხლე სიტყვის განზომილებაში

რა არის მხატვრული ლიტერატურის საიდუმლო? როგორ იქმნება ის ენერგია, რომელმაც შეიძლება მკითხველი გარდაქმნას და სხვა ადამიანად აქციოს, სიცოცხლის ძალა მიანიჭოს, რწმენა ჩაუწეროს, იმედით აღავსოს, ან პირიქით, დათრგუნოს, შეაშინოს, უიმედობით აღავსოს, ერთი სიტყვით, გამოიწვიოს მისი სულიერი ტრანსფორმაცია. სიტყვაშია დაფარული ის მუხტი, რომელიც პერსონაჟთა ტანჯვის, ტკივილის თანაგანცდით მკითხველის კათარზის იწვევს.

ამის გამოცნობა, გამოკვლევა, ახსნა ლიტერატურისმცოდნეთა მთავარი საქმეა. თანამედროვე სალიტერატურო სივრცეში კი გამორჩეულად მოჩანს მანანა კვაჭანტირაძე, ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქტორი, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი, არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, შესანიშნავი ალღოს მქონე ლიტერატორი, დახვეწილი გემოვნების მკითხველი, რომელიც სხვებსაც შეუძლებს ლიტერატურის თავბრუდამხვევ ლაბირინთებში და მწერალთა ოსტატობის საიდუმლოს აზიარებს.

მრავალფეროვანია მისი ახალი ნიგნი „ვექტორები“, რომელშიც თავმოყრილია 2006-13 წლებში სამეცნიერო-ლიტერატურულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული სტატიები, წერილები და ინტერვიუები, ასევე თარგმანი დისკუსიისა „ფილოსოფია და ლიტერატურა“ ჟაკ დერიდას მონაწილეობით.

სარჩევს ერთი თვალის გადავლება გვარწმუნებს ავტორის ფართო ერუდიციასა და ინტერესთა მრავალმხრივობაში. ნიგნის პირველ ნაწილში „თეორია, მეთოდოლოგია“ ლიტერატურისმცოდნეობის თანამედროვე მეთოდოლოგიები სიღრმისეულად არის წარმოჩენილი და გაანალიზებული. წერილში „ენის სემიოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიისათვის“ ავტორი ნიშანთა სისტემების მრავალფეროვნებასა და ფუნქციებს ანალიზებს. იგი განიხილავს სემიოლოგიის (რომელთანაც უპირატესად ფრანგული სტრუქტურალიზმისა და პოსტრუქტურალიზმის თეორიები დაკავშირებული) და სემიოტიკის (რომელიც ინგლისურ-ამერიკული სამეცნიერო სკოლების გამოკვლევებსა და ფორმალურ ლოგიკასთან ასოცირდება) პრობლემებს, მეცნიერებაში არსებულ ალტერნატიულ პოზიციებს, წარმოაჩენს სოსიურის, ჟენეტის, პირსის, გადაშენების, ბარტის და სხვა ცნობილ მკვლევართა თვალსაზრისებს, და მკითხველს, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს, არაჩვეულებრივ მეგზურობას უწევს ნიშანთა მოდელირების ლაბირინთულ სისტემებში გასარკვევად.

ავტორის აზრით, „როცა სიტყვამ, ღვთიური ნების ნიშანმა, რომელიც „პირველთაგანვე იყო“ — განაღო, გააპო ყოფიერება ორად — აღსანიშნად და აღმნიშვნელად, მანვე იმავე ნაშს გააჩინა განხეთქილების აღმკვეთი სტრუქტურაც — მნიშვნელობა. სამყაროს დასახელება ჯერაც არ ნიშნავდა იმას, რომ ადამიანმა იგი შეიმეცნა, მაგრამ უთუოდ ნიშნავდა ამ გზის დასაწყისს. ნაგულისხმევი სახით სიტყვაში ყოფიერების პარა-



დოქსული მთლიანობა, მთელი სისავსე, ოპოზიციის ორივე საზღვარი აირეკლა, ანუ ისიც, რაც სინათლეშია და ისიც, რაც სიბნელეში ძევს და მხოლოდ ხანდახან იხილება ნათელში“.

წერილში „ჩარლ პირსი და თანამედროვე სემიოტიკის პრობლემები“ წარმოჩენილია პირსის ღვაწლი სემიოტიკის შექმნის საქმეში. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი ნიშანთა სისტემების, კომუნიკაციური აქტების მექანიზმებისა და პროცესების შესწავლას არაერთ სფეროში — ხელოვნებიდან დაწყებული ბიოლოგიით დამთავრებული. ავტორი გამოწველივით აანალიზებს პირსის მეთოდოლოგიის არსს, მის გნოსეოლოგიურ და მეტაფიზიკურ ასპექტებს.

მეცნიერი პირსის თეორიის ფონზე სვამს ლოგიკურ კითხვას: რისი ნიშანია ლიტერატურა? ამ მრავალმნიშვნელოვან კითხვას ავტორი შესანიშნავი მსჯელობით უპასუხებს, რომელიც მკითხველს ინტერპრეტაციითა ფართო სპექტრის გაცნობის, მიმოხილვისა და ანალიზის შესაძლებლობას აძლევს.

წერილში „გამეორება, როგორც ცოდნა და დედა“ განხილულია ორი მნიშვნელოვანი საკითხი: 1. ზღაპრის განმეორებადი სტრუქტურების კულტუროლოგიური და აქსიოლოგიური ასპექტები; 2. მნიშვნელობის როლი გამეორების სტრუქტურაში.

ავტორი აანალიზებს გამეორების სხვადასხვა ასპექტს. მისი მახვილგონივრული დაკვირვებით, „ერთი და იგივე აზრის უცვ-

ლელად გამეორება ისევე შეუძლებელია, როგორც ერთსა და იმევე მდინარეში ორჯერ შესვლა. გა-მეორე-ბა მეორედ შესვლას კი არ ნიშნავს, არამედ ხელ-ახალ შესვლას. სიტყვის მრავალჯერადი გამეორების შემთხვევაშიც კი, მასში მუდმივად რჩება მნიშვნელობის უცვლელი ელემენტი, კონსტანტა, რომელიც ერთი კონოტაციის სახით მაინც წარჩუნდება აზრის ცვალებადობის ყველა შემთხვევაში. ესაა მნიშვნელობის „მუდმივა“, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, ვიცნოთ ნიშანი, დავადგინოთ, შე-ვიცნოთ მნიშვნელობის ფილოგენეზისი“. წერილში გამეორება წარმოჩენილია, როგორც არა პასიური, არამედ აქტიური შემოქმედებითი აქტი. თვალსაზრისთვით არაერთი მაგალითია მოყვანილი და გაანალიზებული, მათ შორის, ზღაპრის ერთი ასეთი ფიგურა : „ბევრი იარა თუ ცოტა იარა“ ან „იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა“ „სივრცეში გადაადგილება აქ მხოლოდ დროში მოძრაობის განსახიერებაა. ამხვევე მეტყველებს ზღაპრის ფინალიც: როცა გმირი მზის სამფლობელოდან მიღებული პასუხებით უკან ბრუნდება, შეკითხვის ყველა დამსმელი მკვდარია და პასუხებიც აღარავის სჭირდება“.

ავტორს ზღაპრის კულტუროლოგიური და აქსეოლოგიურ მნიშვნელობად ის მიაჩნია, რომ იგი იმეორებს მარადიულ გამეორებას, მარადიული სწრაფვისა და შეცდომის, იმედგაცრუებისა და გამარჯვების ამბავს, რაც მთავარია, იგი „იყო“-თა და „არა იყო რა“-თა მარადიულ ერთი-ანობას იმეორებს.

წერილში არა მხოლოდ ზღაპრის, არამედ კლასიკური ლიტერატურის მაგალითებიცაა განხილული. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი სტროფის : „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა... ანალიზი. ავტორის დასკვნით: „სიკვდილის დამმლელ ძალას, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ყოველივეს გადასწორება, ერთსა და იმავეში ათქვეფა, საკუთარი სახის ნაშლა, ქაოსი — რუსთველი უპირისპირებს ადამიანის ნებისა და პოეტური სიტყვის განუწყვეტელ შემხვედრ მოძრაობას, სიკვდილის შიშის აღკვეთას ზნეობრივი არჩევანის საშუალებით, სამყაროს ეთიკური ნესრიგის იდეის ქვეყნარტებას“.

წერილში „ლიტერატურა, ლიტერატურის ისტორია და „ახალი ისტორიზმი“ ავტორი მსჯელობს არა მხოლოდ მსოფლიო ლიტერატურის, არამედ უპირველესად ქართული ლიტერატურის კლასიფიკაციისა და კვლევის მეთოდებზე.

მისი აზრით, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიამ, სასურველია, მოიცვას კვლევები სამი მიმართულებით: 1. ლიტერატურული ცხოვრების ქრონიკა; 2. ლიტერატურული ფორმების განვითარება-ცვალებადობა იდეათა და პრობლემათა განვითარების ფონზე; 3. პერსონალიები.

წერილში მოყვანილია კონკრეტული თეორიული და მეთოდოლოგიური სტრატეგიები, რომელთა მიხედვითაც უნდა დაინეროს ლიტერატურის ისტორია.

პარადოქსისა და ნონსენსის საინტერესო ურთიერთმიმართებაა წარმოდგენილი წერილში „პარადოქსი და ნონსენსი, როგორც სტრუქტურის თამაში“. ბესიკ ხარანაულის, ოთარ ჭილაძის, ზურაბ ქარუმიძის შემოქმედებიდან მაგალითების მოხმობით გაანალიზებულია, როგორც პარადოქსის, ასევე ნონსენსის მხატვრული ფუნქციები. ავტორის აზრით, „ორივე „სალი აზრის“ სემანტიკურ ალტერნატივას წარმოადგენს, მაგრამ განსხვავებული პრინციპითა და ხარისხით: თუკი პარადოქსი მოქმედებს გამო-სხვა-ვების რეჟიმში, ნონსენსი იმთავითვე „სხვა“ სალი აზრის მიმართ... მისთვის არასტაბილურობა ყოფიერების, არსებობის პირობაა და, შესაბამისად, იგი მხოლოდ სტრუქტურის ორგანიზაციის მოძრავ, თამაშებრივ ფორმაში განთავსდება“. აზრის თვალსაჩინოებისათვის გაანალიზებულია ბესიკ ხარანაულის „მკვდრების სიმღერა“.

ნიგნის მეორე ნაწილში მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის უმთავრესი კონცეპტებია გაანალიზებული. ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანზე“ არსებულ წერილებს შორის უდავოდ გამოჩნულია მანანა კვაჭანტირაძის წერილი „მერანი“. სივრცის სემანტიკა“. ავტორი მერანზე ამხედრებულ მგზავრს გაიაზრებს კომპოზიტურ სახედ, ერთგვარ კენჭავრად, ისევე, როგორც „ორერთიანია ლექსის სემანტიკური და მეტრულ-რიტმული სტრუქტურა“. ავტორი ლექსში ორი ტიპის ნარატივს გამოყოფს: დიალოგს მერანთან და დიალოგს საკუთარ თავთან. მისი აზრით, არსებით ოპოზიციურ ლერქს ქმნის წინააღმდეგობა სურვილსა და რეალობას შორის, რაც ლექსის მხატვრულ პირობითობაში გარდაისახება დაპირისპირებად უგზო-უკვლო სივრცესა და ცხენ-კაცს შორის. ამ აზრით, „მერანი“, მთელი თავისი კონოტაციური ველით, მხატვრული პერსონიფიკირებაა ადამიანური ლტოლვისა, გაჭრას გზა უცნობი და მდუმარე ყოფიერებისაკენ და აგრძობინოს მას ადამიანის — „ალუფსებელი საწყაულის“ — სიდიადე და მშვენიერება, მის სურვილთა და ზრახვათა მასშტაბები.

„ვინ არის პეტრე?“ ამგვარადაა დასათაურებული წერილი, რომელშიც ავტორი ნიშნისა და კონცეპტის ურთიერთმიმართებას იკვლევს ილია ჭავჭავაძის მოთხრობის, „სარჩობელაზედ“, მიხედვით. ავტორი აანალიზებს სხვადასხვა სემიოტურ სივრცეს, სიმბოლოებს, სახარებისეულ ალუზიებს და მკითხველს მოთხრობის უხილავი სიღრმეების გააზრებას სთავაზობს. მისი დაკვირვებით, „პეტრეს სიკეთე ბიჭს კი შესძრავს, მაგრამ იმდენი ძალა არ აღმოაჩნდება, რომ ცოდვაზე ხელი ააღებინოს, ანუ ცოდვას დაუპირისპირდეს. სიკეთის ფონზე ამონებებს ილია კაცობის კონცეპტსაც. პეტრეს შეკითხვა — „მე რა შუაში ვარო“ — თითქოს კაცისა და კაცობის ჭეშმარიტი მნიშვნელობის პრობლემას პასუხობს. პეტრე მართლაც შუაშია — არც აქეთ, არც იქით. არც სიკეთის ფასი იცის ზუსტად და არც ცოდვისა. მოთხრობის ორივე ეპიზოდი — „ლოჭინის ხევიც“ და „მახათას მთაც“ ზუსტად ამაზე მეტყველებს.“

ვაჟა-ფშაველასა და რადიარდ კიპლინგის, დაახლოებით ერთი და იმავე ისტორიული ეპოქის ორი დიდი წარმომადგენლის, მხატვრულ სამყაროთა მსგავსება-განსხვავების ასპექტ-

ბია წარმოჩენილი წერილში: „ადამიანის კონცეპტი ვაჟა-ფშაველასა და რადიარდ კიპლინგის პოეტურ შემოქმედებაში“. ავტორის აზრით, თუ ქართველი პოეტი ეგზისტენციურ კითხვებზე პასუხებს ღმერთსა და ბუნებაში დაეძებს, ინგლისელი მწერლისთვის პასუხები ბრიტანეთის სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური სისტემების კონტექსტშია მოსაძიებელი.

„კიპლინგის მორალური ცნობიერება უფრო სტოიციზმისა და რაციონალიზმის სინთეზს ეფუძნება, ვაჟა — სახარებისეული პრინციპების მიმდევარია“. როგორც ცნობილია, კიპლინგის შემოქმედებაში რადიკალურად დაისვა აღმოსავლეთ-დასავლეთის პრობლემა („ბალადა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე“). ავტორის აზრით, პიროვნების მეტამორფოზა სწორედ ამ ოპოზიციის გადალახვის ფონზე მიმდინარეობს. ბალადის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე ავტორი წარმოაჩენს, რომ ბრიტანელი იმიტომ კი არ ხდება შემწყნარებელი, რომ მოყვრად ღებულობს ავღანელს, არამედ იმიტომ, რომ ავღანელი საკუთარ შვილს უგზავნის დედოფალს სამსახურში. აქ უფრო მოთვინიერებაზეა საუბარი და არა ჭეშმარიტ აღიარებაზე... ალუდა კი მთლიანად იცვლება მუცალთან ინციდენტის შემდეგ... ზვიადაურიც ცვლის ქისტების ცნობიერებას, თუმცა მომენტალურად, მაგრამ მაინც აღწევს მასის ადამიანურ განცდათა სიღრმეში და იქ სიბრალულესა და სინაწულს აღმოაცნენებს.

ამგვარი შედარებითი ანალიზი უფრო ცხადად წარმოჩენს ჩვენთვის შედარებით უცნობ მწერალს-კიპლინგს და განსხვავებული რაკურსით — კარგად ცნობილ ვაჟა-ფშაველას. ეს ყოველივე კი ხელს უწყობს ქართული მწერლობის გააზრებას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

ვაჟა-ფშაველას მხატვრული სამყაროს ანალიზს ეძღვნება წერილი „შეხვედრის კონცეპტი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“. შეხვედრა, როგორც „მეტაფიზიკური აქტი“, მართლაც, უმთავრესია მის პოემებში („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთურ და აფშინა“). ამგვარად, ავტორი სრულიად ახალი უთხით აანალიზებს პოემების დაცნობ დეტალებს და უცნობ უმნიშვნელოვანეს ნიუანსებს გამოკვეთს. საგულისხმოა დაკვირვება: „ჭეგელისგან განსხვავებით, რომლის აზრითაც, შემთხვევა ამახინჯებს სამყაროს მონესრიგებულ სურათს, ვაჟასთან იგი ყოფიერების ერთიანი სტრუქტურის ნაწილია და წარმოადგენს სიცოცხლის მასტიმულირებელ ინტენციას, მისი განვითარების აუცილებელ პირობას ყველა დონეზე: ბიოლოგიურიდან სოციალურამდე, ვიტალურიდან — ეთიკურამდე“.

ნიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მეოცე საუკუნის ლიტერატურის ანალიზს. ამ თვალსაზრისით, გამოჩნულია წერილი „ტრიქსტერი, როგორც ანტიგმირი“, რომელშიც მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ საინტერესო ასპექტებია განხილული. ავტორ სვამს აქტუალურ კითხვას: მაინც როგორ გამოიყურებოდა ტრიქსტერი/გმირის ოპოზიცია მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში და რას ეუბნება ის დღეს თანამედროვე მკითხველს, როგორია ტრიქსტერი გლობალურ კონტექსტში, ტრავესტულ დროში, ანუ XX—XXI საუკუნეთა მიჯნაზე? კითხვას მოჰყვება ვრცელი და საინტერესო განსჯა, რომელიც მკითხველს, ლიტერატურის სპეციალისტსაც და მოყვარულსაც, პერსონაჟის რთულ შინაგან სამყაროში ამოგზაურებს და მწერლის ოსტატობასაც თვალნათლივ დაანახვებს. ავტორი პერსონაჟის სახეს ტრადიციული თუ მწერლისეული კონცეპტების კონტექსტში განიხილავს. მისი აზრით, „ყველაფერი, რაც რომანშია, ტრავესტირებას, ანუ კარნავალურ გადაცემას, სახის შეცვლას, ნიღბის აფარების პრინციპს ემორჩილება“.

მანანა კვაჭანტირაძე ოთარ ჭილაძის შემოქმედების გამოჩნეული მკვლევარია, მას არაერთი წერილი აქვს ამ მწერ-

ლის შესახებ. ამჯერადაც მრავალმხრივ საყურადღებოა მისი წერილები, რომლებიც მწერლის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებს მიეძღვნა. ერთ წერილს სათაურად მწერლის ნათქვამი აქვს: „ძალიან მაინტერესებს, როგორ გამოიყურება თქვენს თვალში ჩემი სამყარო“. მასში ექსპრესიულად, ემოციურად წარმოჩენილია ოთარ ჭილაძის მხატვრული სამყაროს უმთავრესი აქცენტები. ამ ფონზე კი ზუსტად და ცხადად შეფასებულია თანამედროვე ლიტერატურა: „რა პატარა და უმნიშვნელოა თანამედროვე მწერლობის მთელი განამანია ამ რომანების სერიოზულობის ფონზე, მთელი ეს ავადმყოფური გულახდილობები, ფსიქოლოგიზმები, „სექსიზმები“ და ცინიზმი. რაც ყველაზე აუხსნელია, ცინიზმი — ადამიანის დაცარიელებული, ტრაგიკულად დანგრეული სულის მიმართ“. „მისი ენის წყალობით წარსული და ხსოვნა რაღაცნაირ რეალურ განზომილებას იძენს“.

„აველუმის“ მრავალპლასტიან მხატვრულ სამყაროს აანალიზებს ავტორი წერილში „ტრავმული ხსოვნა პოსტსაბჭოთა ქართულ წარატივში“. მისი აზრით, „ტოტალიტარიზმი, როგორც იდეოლოგია, ანუ სიყვარულის, თავისუფლების, პიროვნული მეს რეალიზაციის აღმკვეთი სისტემა, მიმართულია აგრესიის გატოტალურობისაკენ. ნგრევის ვირუსი აღწევს პერმეტულ სტრუქტურებშიც. ჭილაძე ყოველდღიურობის კონტექსტში კითხვობს ერის მუდმივ ისტორიულ დრამას: საბჭოთა იმპერიის, მეტიც, სამყაროს რღვევის სურათები აველუმის „სიყვარულის იმპერიის“ ნგრევაში ირეკლება. ამ კონტექსტში ერთვება ოჯახის, სიყვარულის, თაობათაშორის ურთიერთობების, ანუ საზოგადოების უმაღლეს და უძირითადეს ფასეულობთა ნგრევის მტანჯველი განცდაც“.

გურამ დორაძის მოთხრობის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, სრულიად ახალი კუთხით ანალიზია წარმოჩენილი წერილში: „იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწაულია“. საგულისხმოა ავტორისეული მსჯელობა: „კითხვა — „გიჟია თუ რა?“ — ილიას კითხვაა, გურამ დორაძის მოთხრობის დამატებით, სხვა კონტექსტში, სხვა დროს და ვითარებაში, „დალაგებულია“ მარადიული კითხვა „შერეკილების“ მიმართ. იმათ მიმართ, ვისი წარმოსახვაც ისეთ რეალურ კონტურებს იძენს, რომ შეუძლია ნაშალოს ზღვარი არსებულსა და არარსებულს შორის, ადგილები შეუცვალოს მათ; ვისაც შეუძლია „თეთრ მტრედს სდიოს ოკეანეში“, და ვინც წიგნით ხელში „ათასწარი სიკვდილით კვდება“.

ინტერტექსტუალობის ფსიქო-სოციალურ ასპექტებია წარმოჩენილი წერილში „ორი ძმის“ კონცეფტი, რომელშიც ავტორი ანალიზებს ორ ცნობილ მოთხრობას: ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ და გურამ გეგემიძის „შურისძიება“. ავტორის აზრით, „გურამ გეგემიძე აგრძელებს ილიას მძიმე საუბარს იმათზე, ვინც ვერ იცნეს, გარიყეს და გულგრილობით დაღუპეს, თუმცა იქვე, მოთხრობაშივე ეძებს გამოსავალს და პოულობს კიდევ. ილიას ხედვის რაკურსი ხაზგასმით სოციალურია, გეგემიძისა — ფსიქოლოგიური. ორივე ეს რაკურსი ერთმანეთს მორალურ-ზნეობრივ სიბრტყეზე გადაკვეთს“.

„პიროვნების დაბადება“ — ამგვარადაა დასათაურებული წერილი, რომელშიც ჯემალ ქარჩხაძის „იგის“ სემიოტიკური რეცეფციაა წარმოჩენილი. ავტორი ანალიზებს იგის პიროვნების დაბადების, მეს გაცნობიერების ურთულეს ეტაპებს. მისი აზრით, მწერალი გაათამაშებს „იგიში“, როგორც ნაცვალ-სახელში ჩადებულ ორმაგ პოტენციურ მნიშვნელობას: ერთი მხრივ, ადამიანის მტკივნეულ, შეუპოვარ მოძრაობას ზოგადი „იგი“-დან საკუთარი „მე“-საკენ, „აბსოლუტური მოტივირებისაკენ, მთავარ ნიშანსვეტებს და ანთროპოლოგიურ აქტებს ამ გზაზე, რაც, თავის მხრივ, მისი სოციალიზაციის ნიშნებად იქცევა. მეორე მხრივ, ამ მოძრაობაში იბადება ჰარმონია, გადაადგილებიან საგნები, სახეს

იცვლიან მოვლენები. მოკლედ, ერთი კაცის წყალობით სამყაროში ჩნდება გარემომცველი რეალობის მიმართ ღირებულებითი დამოკიდებულება, სივრცის ორგანიზაციის, მისი ეთიკურად და ესთეტიკურად მოწესრიგების პირველი სტიქიური ნიშნები. ამ განვითარების კვალდაკვალ საკუთარი სახელი „იგი“ სიმბოლიზდება და ზოგადი ადამიანის ნაცვალსახელად იქცევა“.

ლია სტურუას პროზაული ნაწარმოების, „თხამ შეჭამა ვენახი“, მრავალასპექტიანი ანალიზია წარმოჩენილი წერილში „შეგრძნებების რომანი“. ავტორისთვის პოეტური პროზის ეს ნიმუში უცნაური ტექსტია — „მრავალმნიშვნელოვნებით დატვირთული ნიშანთა ზადე, ქსოვილი“, რომელიც „მოითხოვს არა უბრალოდ წაკითხვას, ანუ გაგებასა და ამიკითხვას, კონტექსტის გათვალისწინებას, დროითი ჰორიზონტების დაკავშირებას, კითხვის გარკვეულ სემიოტიკურ ჩვევებს, ერთი სიტყვით, საერთო მოედანს ავტორისა და მკითხველის თანაშემოქმედებისათვის“.

ავტორი, როგორც გამოცდილი მკითხველი, ბუნებრივად ალღოსა და ტექსტის გაგების თანამედროვე სტრატეგიების ღრმა მცოდნე, მკითხველს უადვილებს ლია სტურუას მრავალპლასტიანი პოეტურ სამყაროში შეღწევა: „ლია სტურუას მეტაფორა მოულოდნელია, კამკამა, ზეიმური კი აზრის გამომსახველობითი სიციხადია და ფერადოვნებით, უცნაურობით, უჩვეულო ასოციაციური ბმებით. „ფორთოხლების კოცონის“ და „სახრით ნაცემი ურმულის“ სემანტიკური „თავხედობა“, შესაძლოა, დისონანსური ბგერაც იყოს ამ „არსაიდან არსაით მიმავალი გზისათვის“, ამ დახშული რეალობისთვის, რომლის კარიბჭესაც ერთგულად იცავს ყველა, ვისაც აღარც ცისკენ გახედვა შეუძლია და აღარც „ხსოვნაში დაპატარავებული სამშობლოს“ ბედი აწუხებს“.

ნიგნის ბოლო განყოფილებაში „ინტერვიუ, თარგმანი“ მკითხველი გაეცნობა რამდენიმე საგულისხმო ინტერვიუს მანანა კვაჭანტირაძესთან. ამ ინტერვიუებში თანამედროვე სალიტერატურო პროცესის სიღრმისეული ანალიზია, გამოკვეთილია ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები. ინტერვიუში, სახელწოდებით; „ნეტავ, ღმერთმა თავისი ძალა მამცეს, რომ დედამინა ავიყვანო და ხელისგულზე დავისვა“ გოდერძი ჩოხელის შემოქმედების თავისებურებებია წარმოჩენილი. ეს ინტერვიუები ავტორის პორტრეტსაც ხატავენ, ადამიანისას, რომელიც, მეტაფორულად თუ ვიტყვით, ლიტერატურით სუნთქავს და თავისი შესანიშნავი წერილებით პასუხს სცემს კითხვებზე: „რას ემყარება მკითხველისა და ტექსტის ურთიერთობა? რას შეიცავს მხატვრული ენა ისეთს, რაც ასე განასხვავებს მას სასაუბროსგან? როგორ იქსოვება ის რთული და უცნაური ფაქტურა, რასაც მხატვრული ლიტერატურა ჰქვია და რომელიც ამხელს ემოციურ შემოქმედებას ახდენს ჩვენზე. როგორ ახერხებს ენა „შესაძლო ცხოვრების“ ილუზიის შექმნას, რომელსაც ჩვენ ისევე ვეხებით, განვიცდით და განვსჯით, როგორც რეალობას?“

ლიტერატურისა და ფილოსოფიის სპეციალისტებისთვის კი უმნიშვნელოვანესი მასალაა მანანა კვაჭანტირაძის თარგმანი „ფილოსოფია და ლიტერატურა“ — შენიშვნებითა და კომენტარებით. ეს არის საუბარი, რომელშიც მონაწილეობენ ცნობილი მეცნიერები: ჟაკ დერიდა, ნატალია ავტონომოვა, ვალერია პოდოროვა და მიხეილ რიკლინი.

ამ პატარა გამოხმაურებას მანანა კვაჭანტირაძის სიტყვებით დავასრულებთ (მთელი წერილიც რომ მისი წიგნიდან მოხმობილი ციტატებით შექმნილი მოზაიკაა): „ის ამოფრქვევები“, რომლებსაც დიდ ლიტერატურაში ვხვდებით, მხოლოდ დიდი ენერჯიების გაცვლით ხერხდება. ამ ენერჯიების გამოწვევა კი მხოლოდ სიცოცხლის შემქმნელ რაღაც ძალას შეუძლია, რომელსაც სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა სიყვარულს“.

დალილა ბედიანიძე

ჰოეზია პროზაში

(ოლესია თავაძის მინიატურები)

კარგა ხანია, დადგა ოცდამეერთე საუკუნე. „დადგა“ რბილად ნათქვამია: იგი შემოიჭრა, მან იფეთქა, ყირაზე დააყენა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება და ლიტერატურულ ცხოვრებასაც მძაფრად შეეხო. არაერთი ახალი სახელი ამოცვივდა ჩვენს მწერლობაში, არაერთმა სიახლემ იჩინა თავი. და ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია, ამ საუკუნის ბოლომდე ჯერ მრავალი ათეული წელიწადია და, ვინ იცის, ვინ მოიგებს მართონს, ვინ მიალენვს ფინიშს ისე, რომ არ დაეცეს და არ ჩაიკარგოს სახელთა მღელვარე ზღვაში!

წინა პლანზე წამოვიდა ახალი თემატიკა — სექსი, ნარკოტიკები, ტერაქტები, სხვადასხვა სახის მკვლელობა, ყოველდღიური ქალაქური ცხოვრება, მოგზაურობა და ნაირნაირი თავგადასავლები. ამ ყოველივეს ცენტრში კი დგას რიგითი პატარა ადამიანი, რომელიც მრავალი მწერლის ინტერესის საგანი გახდა და მრავალმხრივაც აისახა ახალ ლიტერატურაში.

ახალი სახელები ვახსენებ და ამ ახალი სახელებიდან გვინდა ერთ-ერთზე — ოლესია თავაძეზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება, რომლის დებიუტიც ქართულ მწერლობაში წარმატებით შედგა მინიატურებისა და ნოველების წიგნით „სევდიანი ჩანანერები“ (2010 წელს გამოსცა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ და ნომინირებული იყო „საბას“ ლიტერატურულ პრემიაზე), მას კი მოჰყვა ასევე მოკლე მოთხრობების წიგნი „კაკლის ქარები“ („ჩვენი მწერლობა“, 2013).

ოლესია თავაძე ასაკით არ მიეკუთვნება ახალგაზრდა მწერლებს, იგი შუახნისაა, მაგრამ შემოქმედებითი გზის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდაა. აქვს საკუთარი ხელწერილი, საკუთარი მხატვრული სახეები, დაკვირვებანი მარტოსულ ადამიანთა ცხოვრებაზე და მისი მოთხრობები მრავალი ღირსებით გამოირჩევა. ჩვენი მშფოთვარე ცხოვრების მიუხედავად, მან შეძლო შეენარჩუნებინა სულიერი სიმშვიდე, ჭეშმარიტი ფასეულობანი, სიკეთის ძიების ძალა და, ვკითხულობთ რა მის მოთხრობებს, თავს ისე ვგრძნობთ, როგორც ღელვისგან სამოთხის მსგავს კუნძულზე გარიყული დადლილი მოგზაური.

ოლესია თავაძეს აქვს საკუთარი ლამაზი სამყარო, საიდანაც არასოდეს გამოდის და საით გულთბილად გვეპატიჟება. ჩვენი საუკუნის დამახასიათებელი ზემოხსენებული ნიშანთვისებანი მას თითქოს არც შეხებია, არამედ რალაც მარადიული, უსასრულო გამოსჭვივის მისი სამყაროდან. „სევდიანი ჩანანერების“ წინათქვამში, რომელიც ამ წიგნის რედაქტორს როსტომ ჩხეიძეს ეკუთვნის, ნათქვამია: „ამ წიგნში, ერთი შეხედვით, ყველაფერი უბრალო და გასაგებია, ძალზე უშუალოდ და ხატოვნად არის გადმოცემული დაკვირვებანი ბუნებასა და ადამიანებზე, მაგრამ არის ამ უბრალოებაში რალაც ისეთი, რასაც ჩვეულებრივობის მიღმა მივყავართ და არჩვეულებრივს, უცნაურს, გამოუთქმელს გვაზიარებს.“

ავტორი თითქოს სინამდვილის ნამსხვრევებს აგროვებს და ცდილობს შეაკონსინოს, აღადგინოს, გაამთლიანოს სამყაროს დარღვეული ჰარმონია.

ჩვენს წინაშეა ორიგინალური თხრობა, რომლის მსგავსი შესაძლოა არცთუ ხშირი იყოს ქართულ ლიტერატურაში — ამ სიტყვებს წიგნში შეტანილი პირველივე მოთხრობა ამართლებს, მოთხრობა, რომელიც ერთი შეხედვით თავისუფალ ლექსს ჰგავს და იმდენად პოეტურია, მხოლოდ და მხოლოდ

ლირიკულ პროზას თუ მივაკუთვნებთ. ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი და სათაურად აქვს „ჩემი სახლის სტუმრები და ბინადრები“:

„ჩემს ერთი ბენო სახლში რომ შემოიხედოთ, გეგონებათ მარტო ვცხოვრობთ — ჩემი ორი ძალი და მე. მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. რა მარტო ცხოვრებაა, თუ ღამე სხვენზე თავგების ხრავუნი არ გაძინებს, დილით კოდალას კაკუნი, დღისით ჩექმაში ხვლიკი გიძვრება, ეზოში ბაყაყები ყიყინებენ, გომბეშოები ბანს აძლევენ, ზღარბები დაბუჯურობენ, თავზე სინდრაფალების ოჯახი „გადაგიფრენს“, თივის ზვინში ანკარა მიჩუმებულა, მინაში თხუნელაა და მახრა, ჭის კედლებზე და ბალახში ლოკოკინები და მუხლუხოები დალოდავენ, აივნის ჭერზე ბზიკების სკაა, სახურავის ქვეშ მერცხლის ბუდეა, ხის ბოძებში ჭიები დაღრიჭინებენ, სახლში ჭრიჭინა დაჭრიჭინებს, მაგიდაზე ჭიანჭველები დაცოცავენ, ობობას ქსელში ქინქლები თრთიან, ჭიამაიები და პუპლები დაფარფატებენ. ხილი რო ხილია, იმასაც მოწყვეტ და იქაც ჭია-მატლი დაგხვდება. ეს ყველაფერი ეზოდან გაუსვლელად. და ეზოდან თუ გახვედი, ხომ მთელი ქვეყანა შენია!“

ახლაც იტყვი, რომ ჩემს სახლში მარტო ვცხოვრობ?!“

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამ პროზაული სტრიქონების მიღმა დიდი პოეტური სული და თვალთახედვანა ჩაბუდეებულია და, ამავე დროს, იგრძნობა, თუ როგორ უყვარს მათ ავტორს სამშობლო, რომელიც იგივე ჩვენი სახლია და ჩვენ ამ სახლის — წუთისოფლის — სტუმრები ვართ სხვადასხვა სულიერთან ერთად. სიტბო, სინატიფე, გამომსახველობითი სიმდიდრე ახლავს ზემოხსენებულ სტრიქონებს. ეს — სოფლად, მაგრამ არანაკლები ფილოსოფიური სიღრმითა და მხატვრის თვალთ არის დანახული ჩვენი ქალაქური ცხოვრების განუყრელი სტუმარი — მათხოვარიც მოთხრობაში „Coin“. „Coin“ ინგლისურად ხურდას ნიშნავს და ამ მოთხრობაში სწორედ მის შესახებაა ლაპარაკი. მოთხრობა მოკლეა და მთლიანად მოგიყვანთ, რადგან დაწერილია ერთი ამოსუნთქვით, როგორც მეტაფორა და არ განიყოფება:

„ტაძარს ავტობუსები მოადგა, უცხოელმა ტურისტებმა დერეფნად მჯდარ მათხოვრებს შუაში ჩაუარეს. აქა-იქ სხვადასხვა ხმაზე ხურდა ფული ანკრიალდა. ყველამ მალული ანგარიშით ფული ჯიბეში გადაანაცვლა. უცვებ კაცის სიცილი გაისმა, ორივე ფეხით უფეხო, ხის დაბალ ხელნაკეთ ურიკაზე სალდათის ბალთებიანი ქამრებით მიბმული იჯდა და გულღვიძლიდან ამოსული, ბავშვური სიცილით იცინოდა. ხელში ხურდა — „კოინი“ ეკავა. თვალს არ აცილებდა, თვალს არ უჯერებდა — ჩემი მეგობარი ლოგინზეა მიჯაჭვული (სინარული ვერ დამალა და უმისამართოდ წამოიძახა), ვერ დგება, ვერ გამოდის. ადრე ერთად ვისხედით. გაუხარდება, თქვენ არ იცით, რას გაიხარებს, ამას რომ მივუტან. ნუმიზმატია, ბევრი დაუგროვდა. ეს კი მადაგასკარისაა. ეგეთი არა აქვს. რო იცოდეთ, რას გაიხარებს!“

მისნაირი ბედნიერი ადამიანი ქვეყანაზე იმ წუთში არ იქნებოდა“.

როგორი კოლორიტული, როგორი ეროვნული და თანამედროვეა ოლესია თავაძის ამ წიგნში შეტანილი მოთხრობები! მაგალითისთვის დავასახელებდით: „კნუტები“, „მშობარა ძაღლები“, „ქვეწარმავალი“... ისინი ყურადღებას იქცევენ ლაკონიურობით, ღრმა აზროვნებით, ცხოვრების ცოდნით. მთელი წიგნი კალეიდოსკოპს ჰგავს, სადაც ქართველთა ცხოვრების საზეიმო თუ სამწუხარო მომენტებია აღწერილი. ავიღოთ თუნდაც ერთი მოთხრობა, რომელიც სულ რამდენიმე სტრიქონისგან შედგება „ნანადირევი დათვი“, სადაც ცხოველთა სამყაროსადმი უსაზღვრო სიყვარულია გამოხატული და ეს მოთხრობა თავისი ტკივილით „შვლის ნუკრის ნაამბობს“ ეხმიანება:

„კაცები ნადირობაზე საუბრობდნენ. — მე კი — არა, არა ვნადირობ! ვერა, ვერ ვნადირობ! გამიტყდა, მაგრა გამიტყდა! დათვზე ვიყავით წასულები, კვალს დავადექით და მე შემრჩა — თოფი შეყენებული მქონდა, ხელი ჩახმახზე მედო, დავუმიზნე... იმანაც დამინახა... და თვალეზე თათი აიფარა!!!

— არა, არა, იმის მერე თოფი ხელში არ ამიღია.“

„სევდიან ჩანანერებს“ (2010) განაგრძობს მოთხრობების შემდეგი ნიგნი „კაკლის ქარები“, რომლის რედაქტორიც აღნიშნავს: „გარეგნულად მშვიდი, ცხადია, თორემ შინაგანად უაღრესად მღელვარე და აფორიაქებულია მინიატურათა ეს ორიგინალური ნაკადი, ერთ რკალს აგერ მეორეც რომ მალევე მოჰყვა „კაკლის ქარების“ სახელწოდებით, უშუალოდ რომ აგრძელებს პირველს და თან საკუთარ კომპოზიციურ ჩარჩოსაც ქმნის, მკრთალს, მაგრამ მაინც შესამჩნევსა და აუცილებელს, რათა მინიატურები არ დაღვდეს და ერთი მტკიცე ხელი წარმართავდეს მათ მოზაიკურ განლაგებას“.

ჩაგულრმავდეთ ნიგნის დასაწყისშივე მოთავსებულ ერთ მინიატურას „ბადიში“, რომელიც ქართული ენისადმი, წინაპრებისადმი უდიდესი სიყვარულითაა გაჟღერებული და რომელსაც თავმოყვარე ქართველის გარდა ვერავინ დანერდა. რამდენ საფიქრალს და ეროვნულ ტკივილს აღძრავს ეს პანია მოთხრობა:

„შეიძლება სიტყვამ ასე აგრიოს?


სულხან-საბას გადამლი და — ბადიში! საიდანღაც, ყრუდ მივიწყებულიდან, დარბაისელი ქართველი კაცის სოფლად ნათქვამი მოგების — ბადიში.

ფესვები აგრევა, საბედისწერო ქართველობა ყელს მოგებჯინება, ძირძველ, ონტოლოგიურ ქართველობას გაგრძნობინებს. ბადიშია აღარ გახსოვს, ბადიში კი მოსახდელი გაქვს იმ ორთან, გვერდიგვერდ რომ წვანან, გაბზარულ მარმარილოზე გამქრალ მათ სახელებთან. საბადიში გაქვს ბევრთან, ბადიშებთანაც მოგექებნება...

ბალიშზე, სად, თუ არა ბალიშზე, გამოგიტირებია საბოდიშო, მიგიტოვებია საფიქრალი გათენებული ღამისა. ბადეში, ცდუნების ბადეში ვართ მოქცეულნი, ბადიშობასა და ბადიშებს შორის. და სანამ ბაგეში სუნთქვა გვიღბინს, სანამ ქართული სიტყვა გვატკბობს, გვაქართველებს — მადლობა ქართულს!“

მკითხველი შენიშნავდა, თუ რა პოეტურია ამ მინიატურის ენაც და რა ოსტატურად არის გამოყენებული სიტყვათა თამაში: ბადიში — ბოდიში — ბალიში — ბადეში. აქ ერთგვარ გარითმვასთანაც შეიძლება გვეკონდეს საქმე, რაც ფრაზებს მუსიკალურობას ანიჭებს.

ოლესია თავაძე პროფესიონალი მხატვარია — ფერმწერი, გრაფიკოსი და ნიგნის ილუსტრატორი. ნიგნთან მას არა მხოლოდ ილუსტრატორობა აკავშირებს — მწერლობა მის მეორე პროფესიად იქცა. ამ ყოველივეს შედეგად ჩვენ მივიღეთ მხატვრის თვალით დანახული ქართული სამყარო, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ნაირნაირი სურათები. მწერალმა კარგად შეძლო დაეჭირა ეპოქის მაჯისცემა, ქალაქის თუ სოფლის ყოფის მომენტები, რიგით ადამიანთა პორტრეტები... გარდა ადამიანებისა, ოლესია თავაძე ოსტატურად ხატავს ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს და სამყაროს, რომელსაც მისთვის ნაცნობი და საყვარელი ნივთები ქმნიან („ჩინური ფაიფური“, „ვერცხლის კოვზი“, „თოჯინა“, „მანწინის ქილები“ და სხვა). აი, რა ლაკონურად და ამასთან ამომწურავად გვიხატავს იგი ჩიტის გალობას მინიატურაში „გაზაფხული“:



„სახლში პატარა ჩიტი შემოფრინდა, მოლბერტის ტიხარზე ჩამოჯდა, ოპტიმისტურად მიიხედ-მოიხედა, თავი ასწია, ციცქნა ნისკარტი დაალო და შთაგონებით იგალობა. მერე ისევ მხიარულად შეფართხალდა და გაფრინდა.

გარეთ ჩიტების გადაძახილი და გუნდად ურიაშული იდგა.

ჩემს ციდა სტუმარს ველარასდროს ვნახავ“...

არანაკლები ოსტატობით აღწერს ოლესია თავაძე ბუნების სურათებს („კაკლის ქარები“, „ექვსი კაკალი“, „ბადი“, „ია“, „მუცო“ და სხვა). მის ყოველ სიტყვაში სითბო და სიყვარული იგრძნობა და უნებლიედ ხოგაის მინდია გვაგონდება, რომელიც განუშორებლად იყო შერწყმული ბუნებასთან. ამ თვალსაზრისით მეტად წარმატებული და საინტერესოა მოთხრობა „ია“, რომელშიც პოეტური სუნთქვა იგრძნობა და ერთი ქართული სიმღერა ამოიცნობა) „იაო, ჩემო იაო, შენი რა წამილიაო“ ... გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას ლექსიც „იას უთხარით, ტურფასა“): „იავ, იავ, ჩემო

იავ, სოფლად მივიწყებული სახლის ზღურბლზე კრძალვით ამოზრდილო, დეკემბრის მზით მოტყუებულო, ხავსის ნოხით გამთბარო. იავ, ჩემო იავ, კონად შეკრულო მორცხვო თაიგულო, ქალაქში ქუჩის სანაგვეში ჩადგებულო, ასფალტზე დაყრილი ნაგვით შემორკალულო ჩემო იავ, cyclamen colchicum, მარტო კოლხეთში, მარტო ჩვენი მინა-წყლით დაკბილულ-ფოთლებიანი. შენს საძებნელად, შენს სანახავად, ენდემურო კავკასიელო, შენთვის ჩამოსულ რამდენ ბოტანიკოსს აკვირვებ, ჩვენთვის კი როგორ ამოოდ ჩქარობ და იშლები“.

რიგი მოთხრობები ამ ნიგნში ღრმა ფსიქოლოგიზმით არის აღბეჭდილი („შიში“, „სიცხე“, „ტკივილი“, „მარტოობა“ და სხვა). მწერალი არა მხოლოდ ადამიანთა სულიერი შეჭირვების მომენტებს ასახავს, არამედ ცხოველთა და მცენარეთა სამყაროსიც:

„ქონების სადარაჯოზე, გადაულახავი ღობით შემოვლებულში, ძალღი ყმუოდა. ადამიანის მოშინაურებულს, ადამიანისგან მიტოვებულს, ადამიანი ენატრებოდა“...

ან კიდევ ამაზე უფრო მოკლე ჩანახატი „სამწუხაროდ“: „...ჩემი სოფლის მიდამოებში შველი უნახავთ“...

მეტად ღრმა და ტევადია მინიატურა „ფოთოლი“, როგორც ლიტერატურული, ასევე მხატვრული თუ ფილოსოფიური თვალსაზრისითაც. ეს თემა არ არის ახალი, ახლებურია მისი ოლესია თავაძისეული გადაწყვეტა:

„კომპის ხეს ეულად შემოვლია ფოთოლი შერჩენოდა, შიშველ ტოტზე წარინჯისფრად ანათებდა და ნიავის ყოველ წამობერვაზე შიშით თრთოდა, ცოტაც და ნოხად ქცეულ თავისიანებს ნელი ფარფაცით შეუერთდება.

რა ამჯობინა, ნეტავ? — ტვირთი უკანასკნელი მოჰიკანისა თუ ფეხებქვეშ ყველასთან ერთად შრიალი?“

ამ მოთხრობას მჭიდროდ უკავშირდება ასევე მომხიბვლელი შემდგომი მოთხრობაც სათაურით „ყვირთელი ხე“, რომელიც ღრმა პოეტური შთაგონებით არის შექმნილი.

ოლესია თავაძის მოთხრობები დაწერილია ძარღვიანი ქართული ენით, მხატვრულ სიტყვა-თქმათა და ანდაზების გამოყენებით. ისინი უაღრესად კოლორიტულია (თუნდაც „ქართული გენი“ და „ჩვენ“ — ამ ნიგნის ბოლო მინიატურები გავიხსენოთ). იმედია, მწერალი კიდევ ბევრჯერ გაახარებს თავის მკითხველს ახალ-ახალი ნაწარმოებებით. წარმატებებს ვუსურვებთ მას და მადლობას ვუხდით მშვენიერი ნიგნებისათვის.

ლეილა მესხი

ფიქრის კრილოსანი

პლასტუნკა

სულ მალე, იმავე ეშხით და იმავე განწყობით, პლასტუნკაში გამგზავრება გადავწყვიტეთ. ესეც ახალგაზრდა მწერლების დაჩემება იყო. გესურდა ჩავსულიყავით და სოჭის დასახლებებში ჩვენი თანამემამულეები გვენახა. ოდესღაც ჩასახლებული ქართველები. რომლებსაც ქართული ენა შემოენახათ და ჩვენი სტუმრობა ენადათ. საკმაო მანძილი გვექონდა გასავლელი. ყვითელი „იკარუსით“ ვიმგზავრეთ. ჩვენთან ერთად ქუთაისში მოღვაწე მხატვრები, არქიტექტორები და ოპერის მომღერლები წამოვიდნენ.

დილაადრიან გავედით ქალაქიდან. გვინდოდა გასულ საუკუნეში ჩასახლებულ და იქ ჩარჩენილ ქართველებს ვწვოდით. მათი მონახულება ბალახგადავლილ ბლიკზე ხელახლა გავლას ჰგავდა. საღამო ხანს ჩავედით. ბნელოდა. კავკასიის ჩრდილოეთი მხარე იყო. სოფელს მთების რკალი ერტყა. მოსახლეები უმეტესად რაჭიდან გადმოსულები იყვნენ, აქაურობას თავშეფარებული ქართველები. ფრუიძეები, გელოვანები, მაისურაძეები. ცნობილი ფეხბურთელი სლავა მეტრეველიც პლასტუნკელი იყო. საშუალო სკოლაში ბავშვებს ქართულ ენას ასწავლიდნენ. სკოლის დირექტორი გვიმასპინძლებდა, იგი დაგვაბინავებდა...

ყოველივე ეს მისვლამდე ვიცოდით... მთებში ჩაკარგულ სოფელს მივუახლოვდით. წყალუხვი მდინარეები, ლეღეები, ციცაბო ფერდობები. ირგვლივ სიჩუმე იყო. ნელ-ნელა ვუახლოვდებით. სოფელიც გამოჩნდა. კოპნიად ჩამორიგებული ოდა-სახლები, მანდარინის ბაღები, ხეხილი. ნახნავ-ნათესი. ქართველი კაცის დაულალავი მარჯვენა ეტყობა ყველაფერს. თუმცა არავინ გვინვეს, არც გვეპატიუება. არადა, შორი გზიდან მოსულები, დაღლილ-დაქანცულები ვართ, მოსვენება გვწადია. ხეირიანად ვერ გავარკვეით სად მივიდეთ, ვისთან გავათიოთ ღამე. სკოლის დირექტორს ოჯახში მივაკითხეთ. სოჭში აღმოჩნდა გამგზავრებული. დიასახლისს შინ არ შევუწვევივართ.

სოფელთან ახლოს, ტყის პირას შევაჩერეთ მანქანა. გადმოვიშალეთ. ცოტა გავიარეთ, მუხლი გავშალეთ. უცებ! სიბნელის თუ სინათლის გადაკვეთაზე, დამრეც ფერდობზე, შემის გუდურათი ვიღაც მოაბიჯებს. მჩატედ, მსუბუქად, ახალგაზრდა ჩანს. ჩვენ ვერ გვხედავს. არადა, საოცრად ტკბილი, სევდიანი ხმით მღერის: „ბახმაროს მთებზე დაუთოვია, ჰარალე. ჩემს შეყვარებულს სხვა უთხოვია, ჰარალე. იტირე სულო, იტირე გულო. იტირე, ჩემო შეყვარებულო!“

მოგვიახლოვდა. შავგვრემანი ვაჟი აღმოჩნდა, ხვეული თმით, კეხიანი ცხვირით. მთლად ქართველი! ირგვლივ შემოვერტყით. კითხვები დავაყარეთ. გვპასუხობს, მაგრამ ვაი იმ პასუხს... არც ქართული იცის და არც რუსული. წესიერად მეტყველება უჭირს. ორ გზაზე დაკარგულს ჰგავს. გვარიც ქართული აქვს, სახელიც. ქართველობასაც ჩემულობს, მაგრამ რად გინდა!.. თავდახრილი დგას, მზერას გვარიდებს. იმ ტკბილი სიმღერის მეტი არაფერი იცის. უცხო მინა-წყალს გადაეჯიშებინა.

თავისი ჭკუით ვითომ გვიმასპინძლა ვაჟმა, სამხურ ოჯახში მიგვიყვანა, სადაც ყველანი მოგვასვენეს (თითო საწოლი ხუთ მანეთად). მაღლიერი დავრჩით. ღამით არ დამეძინა. ჩამყუდროებულ სოფელს ვუსმენდი. კამკამა, გრილ ჰაერს

ვაჟის სევდიანი ხმა მოჰქონდა: „იტირე გულო, იტირე სულო, იტირე, ჩემო შეყვარებულო!“

დილით სკოლას ვენვით. დირექტორმა, ხმელ-ხმელმა, ჭალარა კაცმა (გვარად მურუსიძემ) იმდენი გვებოდიშა, გვილიმა, გველაქუცა, ლამის ეჭვი გამიჩნდა, ხომ არ დაგვემალა, რომ ღამით სტუმრები არ მიედო... არ გაგვემასპინძლებოდა. თუმცა არაფერი გვინდოდა, საგზალი თვითონ გვექონდა წალეული. „მშობლების თხოვნით, ქართულ ენას მხოლოდ ოთხნედეში ვასწავლით“ — გვითხრა დირექტორმა — „მაღალ კლასებში, მოსწავლეებმა თავად არ ისურვეს ქართულის სწავლა.“ მართლა ასე იყო? არადა, ირგვლივ იმდენი თვალმალხაზა გოგო-ბიჭები დარბის, გვიტრიალებენ, ჩვენი ხილვა უხარიათ (ქართულ ნიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, საბავშვო კრებულებს ვურიგებთ, საკუთარ ნიგნებსაც...). მადლობას გვეუბნებიან, გაუბედავად გვეჭურტულებიან, ლამის გული გამისკდეს! კონცერტი გაიმართა, თითო-ორი ქართული ლექსიც წავგვიკითხეს ყმანვილებმა... მომღერლებმა იმღერეს, გაიანე დოლიძე გვახლდა, ოპერის ცნობილი მომღერალი, ბავშვებს „თბილისო“ უმღერა. ლექსებიც წავუკითხეთ, თუმცა ის შეგრძნება რომ მდინარის სხვადასხვა ნაპირზე ვიმყოფებოდით, ვერ მოვიცილეთ.

უგუნებოდ დავბრუნდით... დარწმუნებული ვარ, ამჟამად პლასტუნკაში, ოთხნედეშიც აღარ ასწავლიან ქართულ ენას, საქართველოდან ალბათ მიმკითხველიც არავინ ჰყავს! დიდი იმპერიული ქვეყანა ნთქავს პატარა ერებს. მითუმეტეს, ესოდენ მცირე დასახლებას... ასეთ დროს ადამიანებს მახსოვრობა ეკარგებათ. მხოლოდ სიმღერა რჩებათ, ტკივილად და დარდად — „იტირე გულო, იტირე სულო, იტირე, ჩემო შეყვარებულო!“

ჩხეიძის ქალი

ჩემმა დედამთილმა, ჩხეიძის ქალმა, იცოდა თქმა: „ნეტავ რისთვის დადიხართ სამსახურში, თქვენი ფული მე ვერ ვნახე“. ამკარად გვსაყვედურობდა... ბოლო წლებში ავადმყოფობდა. უგუნებოდ ინვა. ხშირად ვსტუმრობდი. მეორე წიგნის ჰონორარი რომ ავიღე, მოლარემ ფული ჩამითვალა, წვრილ კუპიურებთან ერთად ათასმანეთიანი ასიგნაციაც მომანოდა. წინააღმდეგობა არ გამიწევია. ახალგაშობილი წიგნი, მასზე გაკეთებული თბილი წარწერა და ის ასიგნაცია დედამთილს მივუტანე. სასთუმალთან ჩამოვუფექი და მივანოდე... წიგნი დაათვალიერა, წარწერა წაიკითხა, დამლოცა. ფული რომ ამოფრიალდა... „ეს შენი!“-ვუჩურჩულე. საოცრად ეამა. გაიხარა. მეორე დღეს ფეხზე წამოდგა... ქუჩაში სეირნობისას ძველ ნაცნობებს ხედებოდა, ჩანთიდან წიგნს იღებდა, წარწერას აკითხებდა და კუპიურას ანახებდა, თავს იწონებდა... (კარგა ხანს არ დაუხარავჯავს!)

ამგვარი რალაცები უყვარდა ჩხეიძის ქალს.

ლიტერატურული საღამო სონში (1977 წ.)

სონში, ჩემს მშობლიურ დაბაში, შეხვედრას მინცობენ. ბავშვობის უსაყვარლესი ადგილები მეგებება. მოკირწყლული ქუჩები, ჩუხჩუხა არხები, ძველისძველი ბულვარი, სემინარიის შენობა, ყველანი... რაიკომის სააქტო დარბაზი ხალხით იყო გაჭყდილი. ყველანი მოსულიყვნენ, ძველი პედაგოგები, თანაკლასელები, ნაცნობები, მკითხველები, ხონის განთქმული ინტელიგენცია. ქუთაისიდან მწერლები მახლდნენ: დავით კვიციანიძე, ზურაბ კუხიანიძე, თეიმურაზ ლანჩავა, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ჩემი ვაჟი — მამუკა. საღამო კულტურის მუშაკთა მოწვევით გაიმართა. ადგილობრივი წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ: პოეტები — თინა ჭელიძე, ნაზი ხელაია და ვალოდია ბულეიშვილი. პედაგოგები — თინა ბახტაძე, ლამარა ვაშაქიძე და ლავრენტი მელაძე. მეორე საშუალო სკოლის (სადაც ვსწავ-

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №1,2,3

ლობდი!) მოსწავლეები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. რაიკომის მდივანი, ლიტერატურის მოყვარული ქალბატონი ნორა მამფორია ჩამოსულ სტუმრებს მხიარულად მიესალმა. დარბაზში ტაში არ წყდებოდა. წინა რიგებში ჩემთვის ახლობელი ადამიანები ისხდნენ: ჩემი უფროსი და, სიძე, მეზობლები... ახლო ნათესავები. მათი მზერა მამხინვებდა, სიხარულით მავსებდა.

მომხსენებლები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მოთხრობები ხომ მიმოიხილეს, თბილი სიტყვაც არ დამაკლეს... გაბრუებული ვიყავი. ცრემლს ვერ ვიკავებდი... მეჩვენებოდა, დარბაზის ერთ კუთხეში, სხვებთან ერთად, ჩემი გამზრდელი დეიდაც იჯდა — კაჭუ (ალექსანდრა) ლორთქიფანიძე. დიდებული ქალბატონი. ყველასგან გამორჩეული, სათნო და ერთგული.. 1973 წელს გარდაიცვალა.

ტაში, რომელიც დარბაზში ისმოდა, მას ეკუთვნოდა — ერთგულებისთვის, სიყვარულისთვის, მფარველობისთვის... მაღლობელი ვიყავი. ყველაზე გასაოცარი ის იყო, დეიდას ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი ჩანთაში მედო და ამოღება და ნაკითხვა ვერ გაებედე (პოეტობაზე არასდროს დამიდევეს თავი), არადა, აშკარად მაფორიაქებდა...

კაჭუ ლორთქიფანიძის

ერთ დროს ულამაზესი ქალბატონი,
ხოლის მოკირწყლულ ქუჩებში,
ფოთოლდაცვენით, სევდიან ქუჩებში სულ მარტო დადის...
დადის როგორც გახსენება ძველის და ახლის,
როგორც ხიდი გადებული მოგონებების
ცისფერ ნისლებზე.
დადის სულ მარტო, როგორც მორცხვი ერთფეროვნება.
იგი არაფერს იგონებს, თხზავს...
ეს თავად მასზე ჰყვებიან არაკს,
ფეხადგმული სილამაზის, უჭკნობი ხატის,
ორი ნაწნავის, მორონინე და დაგრაგნილი,
მწყაზარი შუბლი, ჩამოქნილი მისი ტან-ფეხი,
უცხო ბავშვივით გაბუტული მისი პროფილი და
საოცარი ქალწურობა.
სად არის ახლა?!
რას შეერია მისი ხმის ტემპრი?
რომელმა ქარმა გაიტაცა და თან წაიღო.
ხოლის ქუჩებში შემოდგომის ცივი ქარია...
დაცვნილ ფოთლებს, მტვერთან ერთად მოჰყვება ჩქამი.
ძველის და ახლის შეხსენების დამდგარა ჟამი...

(არ ვიცი, რა ღირსებისაა ეს ლექსი, მაგრამ, მისი ნაკითხვა საოცრად მსიამოვნებს).

სტუმრად გარდნალაში

ლადო ასათიანი ქუთაისელთა საყვარელი პოეტი იყო. მასხოვს, ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციაში (ჩვენი მისვლის პირველ წლებში) განუწყვეტილად ლადოსა და მის მეგობრებს იგონებდნენ. მეჩვენებოდა, რომ მათ ნაფხურებზე დავდიოდით, მათ ხმებს ვუსმენდით. მათ შესახებ ყველაფერი ვიცოდით. სად ცხოვრობდნენ, ვისთან მეგობრობდნენ. ვიძიებდით, ვირკვევდით, ვიმასხოვრებდით. რა უხაროდათ და რა სწყინდათ, რაზე შესტკიოდათ გული, ყოველ წერილმანს ვჩხრეკდით. ლადო ასათიანი, სევერიან ისიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ალექსანდრე საჯაია... „მარადიულ ჭაბუკებად“ დარჩენილი ახალგაზრდა პოეტები, როგორც ბატონი ნიკა აგიაშვილი უწოდებდა. ქალაქში ჯერ კიდევ იყვნენ ადამიანები, რომელთა სსოვნას ცოცხლად შემოენახა მათი სახეები... განუწყვეტილად მათზე გვიამბობდნენ... განსაკუთრებით, ლადო ასათიანის შესახებ გავიგებთ ბევრი რამ. გორაზე ცხოვ-



პლასტუნკა. შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან, მოსწავლეებთან. მწერლები: ლილა მესხი, დავით კვიციანიძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი. სკოლის დირექტორი — ნ. მურუსიძე, პედაგოგი — კ. ერემელიძე (1979 წელი)

რობდა, ბაგრატიის ტაძართან ახლოს, მინადორა ლორთქიფანიძის სახლში. 191-საფეხურიან კიბეზე არბოდა და ჩამორბოდა ყოველდღე. პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა, თეთრ ხიდთან „ცისფერ კაფეს“ მეგობრებთან ერთად სტუმრობდა, „ცისფერ კაფეში შევედივართ ორნი, ცისფერ მაგიდას შემოვუსხდებოდა...“ ვიცოდით, ქალაქის ბაღში რომელ ჭადართან უყვარდა ჯდომა, სადაც თავის პირველ ლექსებს წერდა. გაზეთ „სტალინელში“ აქვეყნებდა...

ჩვენც ავუვლიდით და ჩამოვუვლიდით ლადოს საყვარელ „ცისფერ კაფეს“, უკვე დაძველებულს, დარბაზგახსენებულს, შუშუბრამსხვრეულს. კაფე გაუქმებულიყო. სამაგიეროდ ხსოვნა შემორჩენილიყო — „პურის ორიოდ ნატეხს, ერთ თავ შებოლილ ტრანსს, ორიოდე ლიტრა ღვინოს ან სურნელოვანი ჩაით სავსე ჭიქებს რომ მიირთმევდნენ.“ ლექსებით გრძელებოდა სიცოცხლე...

ქუთაისში ბევრი მეგობარი ჰყავდა ლადოს, უბრალო, რიგითი ადამიანები. ერთი მათგანი, მისი თანაკურსელი, ვასიკო ობოლაძე, ჩემი ახლობელი იყო. მოხალისედ წავიდა ომში და აღარ დაბრუნებულა. ლადოსთან გადაღებული სურათები დღესაც ინახება ობოლაძეების ოჯახში... აქ გავიცანი შედარდ ჩილაძე, იგი გორაზე ცხოვრობდა, ბაგრატიის ტაძართან ახლოს, მინადორა ლორთქიფანიძის სახლის მახლობლად, სადაც ლადოს ბინა ჰქონდა ნაქირავები. მათი დაახლოება იმ ხანებში მოხდა.

შედანის დედა, ქალბატონი მარიამ ჩილაძე, ქუთაისის სახელმწიფო არქივში მუშაობდა (მასხოვს, „იმერეთის ეპარქიის კანცელარიის“ ვეება ფონდი აღწერა). საინტერესოდ მოსაუბრე ქალბატონი ბრძანდებოდა. ასაკით უმცროსი შედანი „კუდში დასდევდა ლადოსო“, იგონებდა ქალბატონი მარიამი. პოეტებთან სიახლოვე, მათ გვერდით ყოფნა სიამოვნებდა ყმანვილსო...

იგი დაბალი ტანის, გრძელცხვირი, ნითური ვაჟი იყო. „თმა ლუღის ქაფივით ადგა თავზე“ (როგორც ლადომ იცოდა თქმა). ღვინის მსმელი არასდროს ყოფილა. ორიოდე ჭიქა, უფრო ჭინჭილა, ადვილად უღებდა ბოლოს. დათვრებოდა და ერთბაშად „გადაიეროდა“... ხელებს შლიდა, ქაქანებდა, იცინოდა, როგორც ყველა დაუმაჭრებელი ყმანვილკაცი. ალბათ მისი ამგვარი „გადარევა“ გაიხსენა ლადომ, როცა გულბაათ ჭაფჭავაძეზე ლექსი დაწერა. ღვინის სმით განთქმულ, ძველ კახელ თავადზე: „როცა ლავამით დახურული სეფაც დაიქცა, როცა დაიმსხვრა სასმურები და დაილია, მაშინ გულბაათ ჭაფჭავაძე გადაირია, გადაირია, როგორც ერთ დროს შედანი ჭილაძე“... ქუთაისში, შედანს კარგად იცნობდნენ, ამიტომ იყო, ლექსში მისი ხსენება

არავის გაკვირვებია.. მახსოვს, თანამშრომელმა (მიხეილ იობიძემ) შედანი პირველად რომ დამანახა ბალის კიდეზე მომავალი, მითხრა, „ეს ის შედანია, ლადომ თავის ლექსში რომ ახსენა“.

თუმცა რაოდენი იყო ჩემი გაოცება, როცა 1979 წელს გამოცემულ ლადო ასათიანის ერთტომეულში, იმავე ლექსის სქოლიოში ვნერა: „ჭილაძე, შედანი — სახელგანთქმული ღვინისმსმელი ძველი სამეგრელოს მთავრის — დადიანის კარზე, მოხსენებულია იტალიელი მოგზაურის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერაში“ (1654 წ.)

ნადი და არკვეი სიმართლე! რედაქტორის შეცდომა იყო თუ... გავიდა წლები. პოეტები მიმოიკარგნენ. შედანი არ დაცოლშვილებულა, ქალაქის ქუჩებში კენჭად დადიოდა. მხატვრული ლიტერატურა და ახალი ფილმების ნახვა ძველებურად უყვარდა. საუკეთესო ბიბლიოთეკა ჰქონდა. ჩანთაში მუდამ წიგნები ეწყო. თუ წიგნს გათხოვებდა, დროს დაგინიშნავდა, დაუგვიანებდი და შენი აჯობებდა!

ქუთათურებს მწარე ენა აქვთ, არც შედანი დაინდეს... დედა რომ გარდაეცვალა, დასავლეთის პროცესიას თავგადასხული მიჰყვებოდა თურმე, კინოთეატრს რომ მიუახლოვდნენ, ახალი ფილმის აფიშა დაუნახავს, უთქვამს: „დროულად რომ დამესაფლავებინა დედაჩემი, ბოლო სენას მივუსწრებდი!“ (კამიუს რომანის გმირს ნაავაგს!) რამდენად შეესაბამება სიმართლეს, არ ვიცი...

გავიდა დრო, შემოდგომის მწიფე დღეს (ლადოს გარდაცვალების ოცდაათ წლისთავზე) ქუთაისში მცხოვრებმა ახალგაზრდა მწერლებმა ლექსებში გამგზავრება გადაწყვიტეთ, ბარდნალაში ლადოს სახლ-მუზეუმის ნახვა გვენადა, იქაურობის დათვალიერება. მანქანები მოვიძიეთ, წამსვლელები შეიკრიბნენ. დილიდან დავადექით გზას. უფროსი თაობის მწერლებიც გვახლდნენ: დავით კვიციანიძე, დომენტი ახოზაძე, რუთა ბეროძე და ლადოს განუყრელი მეგობარი, ლიტერატურათმცოდნე და მეცნიერი მიხეილ ალავიძე. მალაღი, ხმელ-ხმელი კაცი. დინჯი და ფიქრიანი. ახლა ენად გაკრფილიყო, მთელი გზა ლადოზე გვიამბობდა, მის ბედსა და უბედობაზე, მის შესანიშნავ პოეზიაზე. მშობლიურ კუთხესთან მიახლოვებამ (მიხეილ ლექსუმელი იყო!), სიმალეში წამომართული ხვამლის მთის გამოჩენამ, სარენკელას ხეობამ თუ გუმარემის ყანებში ჩამორიგებულმა ჩალის ვეება ზვინებმა კიდევ უფრო ააფორიაქეს. ბარდნალას ოქროსფრად დაფერილი ჭალა-ველიც გამოჩნდა: „ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი! რა კარგი იყო ბარდნალა, ბარდნალელების ბორანი, ვარდებიანი ბარდნარი, ბულბულთა ნამბორალი!“ — ხმაურობს მიშა, ვერ ისვენებს. ნამკაშურის ნისქვილების ხილვისას კიდევ უფრო აუნია ხმას: „თქვენ, ნისქვილებო, უნეტარესი შთაგონებების რომ ხართ სადგური, თქვენ, გუმარემის მწვანე ჭალებში ოცნებებივით რომ ხართ ჩადგმული“.

ყველანი შთაბეჭდილებების ქვეშ ვიმყოფებოდით. თბილი, მყუდრო დღე შეგვეგება. მწიფე ნაყოფის სურნელით ავსებულყო სივრცე. უკვე ვგრძნობდით ხაბარულას ქოლვას, ვინრო ხეობაში ჩრდილოეთის ქარად უბერავდა. „ეს გაფრენილი ფაფარი თუ მშობლიური ნისლია, ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?“ — ხმაურობს ჩვენი მეგზური. სოფელში ისე შევედით, არავინ გამოგვეგებებია. არვინ გველოდა!

ჩამყუდროებული გვეჩვენა ლადოს სახლკარი (მუზეუმი 1971 წელს გაიხსნა). წარწერაც მოჩანდა. „ცნობილი ქართველი პოეტის ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი“ — უბრალოდ და გასაგებად ეწერა...

ჩაკეტილი ჭიშკარი შევხსენით. სიჩუმე მასპინძელივით შემოგვეგება. მეგობრისადმი მიწერილ წერილში საკუთარ ეზო-კარს აღწერდა ლადო: „ჩვენი ოდა შორიდან ქოლვას ჰგავს. ირგვლივ ღობეა, ეზოს წინ სამი ჩინარი დგას. მარცხნივ ჭაა, მარჯვნივ სამზარეულო. უკან ტყე მოჩანს...“ იგივე სურათს ვხედავ, არაფერი შეცვლილა. მექი ასათიანის აშენებული ხის ოდა სახლი მართლაც ქოლვას ჰგავს, კოპნია და ჰაეროვანი, მომცრო აივნით, ტალავრით...

ეზოში შევდივართ. არავინ გვეგებება, არც გვემბინება. დუმს სახლი, ეზო და სოფელი. არც მიმსვლელ-მომსვლელი ჩანს. ბილიკსაც კი ეტყობა, რომ იშვიათად ჩამოდის ვინმე. ლალისფერი ნაყოფით შემკობილა ჯორისძუას ბუჩქები. ჩიტბატონები მოდებიან ხეებს. ყველა ტოტზე ჩიტი ზის. ჩვენს დანახვაზე ერთბაშად აიშალნენ და გაფრინდნენ. წუთიც და უკან მობრუნდნენ.

სტუმრებიდან ზოგი კიბეზე ჩამოჯდა, ზოგმა ოწინარზე დაკიდებული სათლი ჩაუშვა ჭაში. ცივ წყალს ვენაფებით. ეზოში მიმოვიფანტეთ, ყოველ კუთხე-კუნჭულს ვათვალიერებთ. კარებს ბოქლოში ადევს. არადა, ვერ მოვიცილე განცდა, რომ რომელიღაც კუთხიდან, საცაა მასპინძელი გამოვა. ცხოვრების ძნელბედობისგან დამძიმებული, ასაკოვანი კაცი — მექი ასათიანი თუ მისი თვალბეცებულა ვაჟი — „ლადიმე ასათიანი“ (ამგვარი ხუმრობა უყვარდა ლადოს). „ჩვენი სახლ-კარი აწრიალეს დაუბანელმა გლეხის კაცებმა“. „მამა ბუხართან ზის და იფურთხება.“ — გადასახლებაში მყოფ დედას უძღვნა ეს ლექსი „წერილი დედას“. კარგა ხანს აკრძალული იყო. არცერთ კრებულში არ შეიტანეს, თუმცა თითოეულმა ჩვენგანმა ზეპირად ვიცოდით. მრავალჯერ გადავწერეთ, გავამრავლეთ და გავავრცელეთ.

მასპინძელი არ ჩანს, მაგრამ ბუნება თვითონ გვმასპინძლობს. მწიფე ხეხილით ავსებულა ეზო, მწვანე ბალახზე ქარისგან თუ სიმწიფისგან ძირს დაცვენილი ლოყანითელი ვაშლები მოჩანს, ქარვისფერი მსხლები, კროლა-კროლად დარჩეული კაკალი ხომ ცვივა და ცვივა, ხმაურით ასკდება მიწას. ჯიბეებს კაკლით ვივსებთ, კიბის საფეხურზე ქვით ვამსხვრევთ, მივირთმევთ.

გვეჩვენება რომ ლადო გემასპინძლობს... კარგ გუნებაზე ვართ!

მოულოდნელად ჭალარათმიანი, შაოსანი ქალი მოადგა ჭიშკარს. ეზოში შემოვიდა... გვესალმება. მიხეილი მიეგება. შუბლს უკოცნის, მხრებზე ეხვევა. „ლადოს მამიდაა... — გვაცნობს სტუმრებს. — აქვე ახლოს ცხოვრობს“.

ქალბატონი გვებოდიშება, ჯიბიდან გასაღებს იღებს და ბოქლომს ხსნის.

ერთბაშად გაალო კარები, ფანჯრები დააფრიალა. დამდგარი ჰაერი გააქირქილა.

— მანანას ველოდებით, ლადოს ქალიშვილს. ჩამოსვლა დაუგვიანდა.. თქვენ რომ დაგინახეთ, გავიხარე. ვიფიქრე, სტუდენტებთან ერთად გვეწვია-მეთქი. ოჯახი, ლექციები... რა ქნას, არ სცალია... — ჩაილაპარაკა ქალმა.

— ესენი ქუთაისში მცხოვრები მწერლები არიან... — აცნობს მიხეილ ალავიძე.

— მწერლები? უი, თქვენ შემოგვევლეთ, როგორ გაუხარდებოდა ლადოს. შენ იცი, მიშა, უმასპინძლე, ყველაფერი დაათვალიერებინე...

მოსხუცი უხმო გვეტოვებს, ოთახში შემოსვლა რატომღაც არ ინდობა...

ჩვენმა ნაბიჯებმა თითქოს გამოაცოცხლა ოდა-სახლი. იქაურობა აახმაურა.

სტუმრებს შორის უმრავლესობა ახალგაზრდა პოეტებია: დოდო ჭუმბურიძე, ზაალ ებანოიძე, ირაკლი ბაზაძე, ავთო ყურაშვილი, ავთო ნიკოლეიშვილი, თემურ ლანჩავა, ელდარ მიქაძე. მათი ყოველი დღე ლექსით იწყება და ლექსით მთავრდება, მაგრამ ახლა ლადოს სამფლობელოში ოდნავ დამფრთხალნი ჩანან... ერთმანეთს მზერას არიდებენ. რაა მიზეზი, ვერ მივმხვდარვარ...

ასეთ დროს, ყველაზე მთავარი პირველი სიტყვის მიგნებაა. თუმცა ვერა და ვერ მიპოვნია ის პირველი სიტყვა...მეჩვენება, თითქოს ჭუჭრუტანიდან ვუჭვრეტ ლადოს სახლს, ოთახებს, მის სურათებს, წიგნებს, ხელნაწერებს, სამოსს, საწოლს, ქვეშაგებს... „შენ შეგჩვენე ვაჟას ფილტვების დაღრღნა და ჩემს დაცემას ნუ ლამობ ახლა, ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო, ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ მოგიხსენოს.“ თითქოს ხმაც მესმის. „ეს რა უშრეტი ცეცხლით დამბუგე, პირს მარიდებენ ქალიშვილები!“

უსიამოდ ჭრიალებს იატაკი...

ნიავე ფურცლებს ამრიალებს. „ლადო ასათიანს ძვირად დაუჯდა თავისი ნიჭიც და თავისი სითამამეც. მან პოეზიაში ფეხის შემოდგომისთანავე გაიჩინა, როგორც ძლიერი მეგობრები, ასევე ძლიერი მტრები...“ — ლადო ავალიანი იგონებდა.

შუა კედლიდან ლადოს სურათი გადმოგვცქერის ანთებული თვალებით. მთელი ტანი უჩანს, შარვალზე გადმოშვებული, ჯიბეებიანი, მუქი ხალათი აცვია, ნელზე ქამარი არტყია, ძველი პალტო, უფრო ძველი ფეხსაცმელი, ყელზე კაშნი. გაციებული ჩანს. თვალებზე ქუდი ჩამოუფხატია, თითქოს მზერას გვიმაღავს. იქვე გუდიაშვილის ნახატი მოჩანს, აქ სხვა ლადოა, მგალობელივით მოუღერია ყელი, თვალებში ცეცხლი უგვიგინებს.

მუზეუმში გამოფენილ სურათებს შორის ყველაზე გამორჩეული და თვალდასატანი ქუთაისელი მხატვრის, ნიკოლოზ (კოლია) ნაჭყვიას შექმნილი პორტრეტი აღმოჩნდა. საოცარი მსგავსება იყო, თითქოს ცოცხალი პოეტი გვიმზერდა. შენარჩუნებული ჰქონდა ხასიათი, განწყობა... თვალის უპეებში ჩანოლილი ფარული სევდაც იგრძნობოდა... მიხეილ ალავიძემ მოიგონა, „მუზეუმის გახსნის დღეს შემოსასვლელში დავეიდეთ ეს სურათი.“ მსგავსებამ გააოცა ლადოს მეგობრები. მხატვარს ემადლიერებოდნენ...

დედის სურათიც მოჩანს. ლიდა ცქიტიშვილი. მშვიდი, გაწონასწორებული მზერა აქვს. — ყველაზე მეტად რა გენატრება?! — გადასახლებაში მყოფ დედას მიმართავდა ლადო — „დავაუკაცებულ შვილთან ალერსი, თუ...“ „კივილი მინდა და შეცხადება!“ („წერილი დედას“) მუზეუმში მისი პირველი ნიგნიც იხსება. სულ პირველი, ორთაბახიანი, უიღბლო ნიგნი, დაჭრილი და დასახიჩრებული, რამოდენიმე ცალი რომ გადაურჩა ავ ბედისწერას.

სულ ახლახან როსტომ ჩხეიძემ ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ქრონიკაში „საგა ვახტანგური“ (“ჩვენი მწერლობა”, 2014, №6) ისე მძაფრად, სულისშემძვრელად აღწერა მომაკვდავი ლადოს ბოლო წუთები და მისი ნაოცნებარი ნიგნის „წინაპრები“ დანვა თუ დასახიჩრება, ერთხანს გონს ვერ მოვედი... „მკვლევები მოდიან! მკვლევები!“ ექსპრესიამ გამაოცა!

კედელზე, მეუღლის გვერდით მექი ასათიანის სურათიც მოჩანს. მღურვით შემოგვცქერის... ნიკა აგიაშვილის სიტყვები მაგონდება: „...იმ კვირაში სულ მამამისს ნატრულობდა თურმე, ლადო. სიკვდილის დღეს — დილით — უთქვამს: ნუხელ მამაჩემი დამესიზმრა, დღეს უთუოდ ჩამოვაო. 1942 წლის შემოდგომაზე, აბასთუმნიდან დაბრუნებულს, უნდოდა ბარდნალაში წასვლა, მაგრამ ვეღარ შეიძლო: შორი მანძილი აშინებდა ავადმყოფობით დაძაბუნებულს. სწორედ იმ დღეს, ჯერ მთლად არ იყო გაციებული ცხედარი, აივანზე ერთი მოხუცებული შემოსულა და ლადო ასათიანის ბინა უკითხავს... ეს იყო მექი ასათიანი. ლადოს აუხდა სიზმარი, ბარდნალადან მამა ჩამოვიდა, მაგრამ თვითონ მას აღარაფერი ესმოდა.“

ოთახში ვეღარ ვჩერდები, უკან, აივანზე გავდივარ. ალადასტურის ფოთლებს დაუფარავს იქაურობა, მნიფე მტევნებიც მოჩანს. დამკრეფი არავინა... დაბერებულა მექი ასათიანის ხელით დარგული კაკლები, ტოტები დამსხვილებია. უხვი ნაყოფით დამძიმებული ხე თვითონ ბერტყავს... ნელ-ნელა ცვივა კაკალი...

ირგვლივ ტყე ერტყმის სოფელს, ნიფელა და რცხილა ქარბობს. ოქროსფერ შემოდგომას მუხლი მოურთხამს, ფოთოლი ცვივა. სულ მალე აქაურობას თეთრი ზამთარი დაფარავს. ჩაიბურება და ჩამყუდროდება ლადოს სახლ-კარი. გადამფრენი ჩიტების ქარავნები გუნდურად გადაუფრენენ აქაურობას, მათი ნაღვლიანი ხმები დარდს შემატებენ მინაზე დაცვილი ფოთლების ბოლო ჩქამს... და უცებ ტყის მდუმარებიდან (მომერვენა თუ მართლა!) უცნაურმა ხმამ მოაღწია ჩემამდე... თავდაპირველად ვერ მივხვდი, რა ხმა იყო, უცხო ჩანდა. ტყის მშვენებამ, ქორბუდა ირემმა, თავისი მყვირალობით თითქოს შეაცოცხლა იქაურობა... აახმაურა. საქართველოში შემოდგომა ხომ ირემთა საქორწინო დროა...

მასხენდება, ლადოს სურდა დაენერა პოემა „ირმების შეთქმულება“, მაგრამ ვერ მოასწრო. ნეტავ რის თქმა სურდა?! არადა, ეს უცნაური ხმები, ტყის სიღრმიდან რომ აღწევს, პოეტის აუხდენელ სურვილებს მასხენებს. თითქოს ჯერაც დაუნერული სტრიქონები ხმებად ქცეულა და ახლა ირმის მყვირალობას წააგავს... სატრფოს თავისკენ რომ უხმობს და სურვილებს ამცნობს...

მასხენდება, აქვე ახლოს, მუზეუმიდან რამდენიმე ნაბიჯზე, მექი ასათიანია დაკრძალული. მოხუცი თითქოს აყურადებს საკუთარ ეზო-კარს, მომსვლელ სტუმარს და... დიდებაში წასული ვაჟის ნაბიჯებს. ჩემდა უნებლიეთ, ლადოს სტრიქონები მასხენდება, საკუთარ ქალიშვილს რომ მიმართავს: „მოიგონე მამაშენი, შუშა — ოქროდ გასაზრდელი, თქვი, რომ მოკვდა სიყვარულით — შეუყვარდა საქართველო!“

ზუსტად ასეა, შეუყვარდა საქართველო!

უხმოდ ვტოვებ სახლს და გარეთ გამოვდივარ.

წამოსვლისას ის იყო ჭიშკარი ჩაკეცილი და მანქანებში ჩასხდომა დაგინყეთ, რომ ორლობეში ლადოს მამიდა გამოჩნდა. მძიმე კალათა გაძნელებით მოჰქონდა. მიშა ალავიძე გაეგება. თეთრად დანწული კალათა ვაშლებით, მსხლებით, ყურძნის მტევნებითა და დარჩეული კაკლით პირამდე ავესო. კალათა მანქანაში შემოდგა და ტკბილი ხმით დაგვლოცა. „გზაში პირი გაისველეთო!“ — გვითხრა. პირველად მაშინ შევამჩნიე, ლადოს თვალები ჰქონდა მოხუცს... ფართო, თაფლისფერი თვალები...

კარგა ხანს მასსოვდა იგი, მძიმე კალათით ხელში, სოფლის ორლობეში მომავალი, შავით მოსილი, ჭლარათმიანი, ხნიერი ქალბატონი, მერე გადამავიწყდა...

ახლა ხელახლა ვხედავ მას...

რეზო ინანიშვილი

რეზო ინანიშვილი ჩემი უსაყვარლესი მწერალი გახლავთ. მისი ყველა ნოველა თუ მოთხრობა ვიცი. ძველიც და ახალიც, განუწყვეტილვ მის ნაწარმოებებს ვეძებდი, ჟურნალ-გაზეთებში პირველად მას ვკითხულობდი, მერე დანარჩენებს... ეს ჩვევა ბოლომდე გამომყვა. მახსოვს, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში შეხვედრა მოუწყვეს მწერალს. რომელიღაც აუდიტორიაში სტუდენტებთან ერთად მეც ველოდები მის გამოჩენას. თბილისიდან უნდა ჩამოსულიყვნენ. დაავიანდათ. მგზავრობა გაძნელებოდათ. პირადად არ ვიცნობ. დარბაზში ორი კაცი შემოვიდა. შეუხედავები, უბრალოები, დაბნეულები. ბოდიშობენ. ერთმა მეორე წარადგინა. სტუდენტებს მიმართა: „გაციანით, ეს არის რეზო ინანიშვილი“. ტაში შემოკრეს. სტუდენტებს დაპირებას რომ შეუსრულებს ლექტორი, მწერალს ჩამოგაცივანთო, ამგვარად წარუდგინა... გვეზოდიშა მწერალი, გალოდინეთო. მერე უბიდან ორად გაკეცილი (სველ ბელურასავით) რვეული ამოიღო და კითხვა დაიწყო. მონოტონურად, ყოველგვარი ემოციის გარეშე კითხულობდა. დაღლილი ჩანდა თუ კითხვა მოზებრებოდა, ვერ მივხვდი. შეიძლება თავად არ მოსწონდა მოთხრობა, ნანობდა კიდეც, ერჩია სხვა წაეკითხა, მაგრამ რაკი წამოიწყო, სხვა რა ძალა ჰქონდა, ბოლომდე უნდა ჩაჰყოლოდა. მოთხრობა უბრალო და გასაგები ჩანდა. ნელ-ნელა შემოდოდივნივ გმირები. იხატებოდა სივრცე. დიდი აღფრთოვანება არ მიგრძენია...

ყველანი უსმენდნენ. ვცდილობდი მთავარი აზრი დამეჭირა, უბრალო, ყველასთვის ნაცნობი ამბავი იყო, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, მოხუც მხერხავს და მის შვილიშვილს ეხებოდა. განზილებულივით ვიჯექი.. ვერც ახლომახლო მსხდომთ შევატყე დიდი აღფრთოვანება. ბევრს რომ მოეღი და ნაკლები შეგრჩება, ამგვარი განცდა მქონდა...

მწერალმა ნოველა დაამთავრა, ვილაცხები სიტყვით გამოვიდნენ, აზრიც გამოთქვეს. სტუმარი ტაშით გააცილეს. ყველაფერი დასრულდა. მწერალს ირგვლივ სტუდენტები შემოეხ-

ვივინ, ადრინდელ ნოველებზე ეკითხებიან: „ვილაცას ავტობუსზე ავგინანდება“, „ცისფერი გორგალი“, „ბიბო“, „შორი თეთრი მწვერვალი“, „ბარისკენ მიფრინავს ჯაფარა“ და სხვა. ოდნავ დარცხვენით პასუხობს, უმეტესად უხერხულად იმშუშნება.

მეც იქვე ვარ. უცხო და გარეშე. შორიდან მოთვალთვალის პოზას ვამჯობინებ. ვაცქერდები. საშუალო ტანის, ჩაფსკენილი კაცია, მოუხეშავი, ცოტა უაგრაგილო. შუბლი ოფლით დანამია... (მოგვიანებით, თავად მისგან მოვისმინე: „კახელები მგლისქედინებენ ვართ, როცა მობრუნება გვინდა, მთელი ტანით ვბრუნდებით“). თვითონაც მგლისქედინა ჩანდა. ჩესუნჩის თეთრი კიტელი ეცვა. შარვლის ხაზი ნაშლოდა. ზოლებიან, ლურჯ ცხვირ-სახოცს ჯიბიდან მალიმალ იღებდა და ფართო შუბლს გულდაგულ ინმენდა. გლეხურ ბეჭებზე თითქოს სიმძიმე ანვა (მიქელანჯელოს „მონა“ გამახსენდა, სიმძიმისგან ნახევრად ნახრილი, შემართული ტორსით, ძალოვანი მკერდით).

ავტოგრაფებს არიგებს, ახალგაზრდებს ლოცავს.

ნამით დაბნეული კაცის ხაფი ხმა ჩამესმის:

—საოცარია, ლიხს იქეთ თუ ვინმე მიცნობდა, არ მეგონა...

მარტოდმარტო გამოვყევ ქუჩას. ერთხელ კიდე მოვიხედე უკან და გავოცდი! აღარავინ მახსოვდა, არც აუდიტორიაში მსხდომნი, არც გამომსვლელნი, ვინ რა თქვა, თვით სტუმარიც კი. მხოლოდ მოხუც ხისმჭრელს, ახალგაზრდა ცოლქმარს და შვილიშვილს ვხედავდი. სამუდამოდ ჩამოჩნენ გონებაში, დღესაც მახსოვს... აი, რა ძალა აქვს მწერლის თვითნაბად ნიჭსა და უნარს.

სხვა შემთხვევაც მაგონდება, უფრო გვიანდელი. მწერალთა კავშირში ახალი მდივნები აირჩიეს, ხუტა ბერულავასა და რეზო ინანიშვილის კაბინეტები მეორე სართულზე, გვერდი-გვერდ იყო განლაგებული. მიმსვლელ-მომსვლელი არ აკლდათ, ოღონდ ეს იყო, ერთს თუ რიგი ედგა, მეორესთან სიჩუმე იყო. ხუტას ხალხი ესეოდა, რეზო კიდე მარტოდმარტო იჯდა. უხერხულობის გამო, ზოგჯერ კარსაც შეუღებდნენ, მაგრამ მობოდიშებით უკანვე იბრუნებდნენ პირს. იჯდა თავისთვის, მონყენილი და მხრებჩამოყრილი. აშკარად ჩანდა, ტყუილ-უბრალოდ გასარჯეს, მოაცდინეს. ამას ყველა გრძნობდა... ამიტომ იყო, მწერალთა კავშირის საქმიანობაში ნაკლებად ერეოდა, პრეზიდენტის კრებებსაც არ ესწრებოდა, არც თავმჯდომარის კაბინეტში შედიოდა.

ბინების, მანქანების განაწილება, წიგნების გამოცემა, შეხვედრების მოწყობა, საღამოები... ხუტა ბერულავას ევალებოდა, წარმატებითაც უძღვებოდა. ხოლო რეზო... უადგილო ადგილას რომ აღმოჩნდები და თავს უხერხულად იგრძნობ, ამგვარ დღეში იყო. მის მშვიდ მზერას, დინჯ ნაბიჯებს დიდბუნებიან კაცისთვის დამახასიათებელი სევდა ახლდა. ამოუცნობი სევდა...

მასთან გულია საუბარი, მხიარული მიეთ-მოეთი უდავოდ ძელი იყო!

იჯდა თავისთვის, ფიქრიანი და მარტოსული. ალბათ სტუმრები საკმაოდ ჰყავდა (მის გმირებს ვგულისხმობ!), ალაღმართლები, დაუხვეწავები, შრომისგან ხელებდაშაშრულები...

ხუტა ბერულავა

კაცი თავის კაცობით იცნობა, ღირსებით. სხვათა დახმარების ჩვევით...

1992-93 წლებია... საქართველოსთვის უმძიმესი ხანა. ცხოვრება ჭირს. პური ტალღებით იყიდება, გრძელი რიგები! მალაზიები ცარიელია. მწერალთა კავშირში სამ კილო მაკარონს და ათ ლიტრ ნავთს გვირიგებენ. სარდაფში მწერლების რიგი დგას, ჩემ წინ როსტომ ჩხეიძე დგას, ჩვეული თავაზიანობით ადგილს მითმობს. თითქოს შეღავათს მიკეთებს. „ვახტანგ ჭელიძის კუთვნილიც მომეცით, მე მივუტან“ — ჩამესმის ხმა.

— ღმერთო, რა დღეში ჩაგვყარეს ხალხი! — ზურგს უკან ვილაც ჩურჩულებს. აფორიაქებული ჩანან მწერლები. უმეტესად სდუმან. სადარდელს არ ამხელენ, მაგრამ მათი ფიქრიანი მზერა აშკარად გამოუვალ მდგომარეობაზე მეტყველებს. ამგვარი ყოფისთვის გამოუცდელები აღმოჩნდნენ, მიუჩვეველიც. მეც — მათ შორის...

ერთ დღეს ოჯახში ზარი გახმოვანდა, „ხუტა ბერულავა ბავშვთა ფონდში გიბარებს“ — მაცნობეს. მწერალთა კავშირიდან წასვლის შემდეგ ბავშვთა ფონდის პრეზიდენტი გახდა ბატონი ხუტა.

დილაადრიან ვენციე. ოთახი ხალხით იყო სავსე. მაგიდასთან ბატონი ხუტა ზის. თავდახრილი, ფიქრიანი სახე აქვს. იქვე მისი „მეგრელი ძმები“ ჩამომსხდარან: დილარ ივარდავა, ვაჟა ეგრისელი, ზაურ კალანდია, ვახტანგ ხარჩილავა და სხვები. უცხოებიც არიან. რალაც სიებს ადგენენ. ჩემს დანახვაზე ხუტა ამბობს: „მწერალი ქალია, საბავშვო მოთხრობებს წერს.“ მერე მეკითხება:

—ლეილა, შენ ოთხი შვილი გყავს ხომ?!

დავიბენი. რა ვუპასუხო, არ ვიცი. „ორი შვილი და ორი შვილიშვილი“ — გამიელვა ფიქრმა. არადა, დაეთანხმეო, მანიშნებს დილარ ივარდავა.

—დიას.

—დანერე განცხადება და ხვალ მოდი.

მეორე დღეს მივდივარ. კვლავ ხალხმრავლობაა. კვლავ ფუსფუსი, მისვლა-მოსვლა. როგორც კი გამოვჩნდი, ნომრიან ფურცელს მანოდებს ხუტა და მოადგილესთან მიშვებს. დეურფნის ბოლოს, სანყობის მსგავს ოთახში შევდივარ. თაროდან ვეებერთელა ფუთა გადმოაქვთ და ძლივძლივობით მოათრევს. უცხო წარწერებით აჭრელებული, საგულდაგულოდ შეკრული ფუთა აღმოჩნდა. აშკარად მძიმეა, ზიდვა მიჭირს. ერთხანს ქუჩაში ვდგევარ. სახლამდე ტაქსით რომ მივიდე, სამისო თანხა არ გამაჩნია. შორს ვცხოვრობ. გულისწყვეტით დაცქერი ფუთას. უცებ ჩემ წინ მანქანა ჩერდება. შორეული ნაცნობი აღმოჩნდა, თითქოს განგებამ გამომიგზავნა.

სახლამდეც მივალნიე... ჩემები მეხმარებიან.

გაოცებული ვხსნით ფუთას. თვალს არ ვუჯერებთ, თითქოს ვილაც უცხომ, გადამთიელმა კი არ გამოგზავნა, არამედ შენმა ახლობელმა, ჭირ-ვარამის მოზიარემ, რომელმაც იცოდა, რა ზომის ტანსაცმელი სჭირდებოდა ჩემს რძალს, შვილიშვილებს, შვილებს... თბილი ჯემპრები, ჟაკეტები, წინდები. ფუთა სამი განყოფილებისგან შედგებოდა. ერთში ტანსაცმელი ენყო, მეორეში სადიზინფექციო საშუალებები, შამპუნები, სარეცხი ფხვნილები. მესამეში (განსაკუთრებით საიმედოდ რომ იყო შეფუთული) — შოკოლადები, კამფეტები, ზეფირი, თევზისა და ხორცის კონსერვები, ზეთუნის ზეთი, ბრინჯი, ვერმიშელი. სულო და გული! გავიხარეთ.

მეორე დღეს მაღლობის სათქმელად ვეხმიანები ბატონ ხუტას. არც მომისმინა.

— ორ დღეში გამომიარე, ფქვილს და შაქარს გაგატან! — მესმის ხმა. გათიშა.

შეიძლება დღევანდელი გადასახედიდან ეს ყველაფერი უმნიშვნელო მოგეჩვენოთ, მაგრამ მაშინ სხვა იყო, სხვა დატვირთვა ჰქონდა... რაც მთავარია, ყოველივე უშურველად, გულთადობით კეთდებოდა...

მასხენდება, წლების წინათ, ბატონ ხუტას დავა გაუმართა ერთმა ცნობილმა მწერალმა. არ დაინდო. ხალხი ასეირა. თუ რამ შეიძლებოდა, ყველაფერი აკადრა. უდავოდ გული ატკინა... საკუთარი თავი უნიჭიერეს პოეტად მიაჩნდა მას. შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ახლა, ამ გადასახედიდან რომ ვუცქერი, წლებმა თითქოს ყველაფერი ნაშალა. ნიჭიერი თუ უნიჭო (როგორც მას ეგონა!) ერთ სიბრტყეზე აღმოჩნდნენ. მხოლოდ ადამიანური სითბო, სიკეთე და მაღლი დარჩა საამო მოგონებად...

სხვათა დახმარება უყვარდა ბატონ ხუტას, ნათელში მისი სული!

თაობის ერთი სიმბოლო

ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზეუმი წარმატებით აგრძელებს სტუდენტურ პროექტს „მცირე პროზა“, რომელიც მწერლობაში საინტერესო სახელების გამოვლენას, ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისებას ისახავს მიზნად. მართალია, არჩევნების შემდეგ თბილისის ახალ მთავრობას მრავალი პრობლემა დახვდა მოსაგვარებელი და არაერთი პროექტი ხელახლა გასააზრებელი, მაგრამ „მცირე პროზა“ ის საუკეთესო ჩანაფიქრი აღმოჩნდა, რომელსაც აქტუალობა და სიცოცხლისუნარიანობა არ დაუკარგავს. შესაბამისად, გამოინახა სახსრები პროექტის დასაფინანსებლად. კარგი იქნება, თუ კერძო სექტორიც შეეშველება ქალაქის მერიას და გამარჯვებული სტუდენტებიც მომავალში გაცილებით შთამბეჭდავი თანხით დაჯილდოვდებიან, რათა სურვილისამებრ განაგრძონ სწავლა დასავლეთის ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში და თავთავიანთ პროფესიაში დაოსტატდნენ, ანდა ესა თუ ის ლიტერატურული ექსპერიმენტი კიდევ უფრო გააღრმავონ, დახვეწონ და ორიგინალური ხედვითა და ძიებებით აღსავსე ნაწარმოებებით გაამდიდრონ ქართული მწერლობა.

2014 წლის მაისში ჩატარებულ კონკურსში მონაწილე სტუდენტები, ისევე როგორც წინა წლებში, შემოქმედებითი სითამამითა და ძიების წყურვილით გამოირჩეოდნენ. თავისუფალი აზროვნებისაკენ სწრაფვა, ყოველგვარი შეზღუდვებისა და კლიშეებისგან თავდაცვის ინსტიქტი, სიყალბისა და სხვა ადამიანურ უკეთურებათა სააშკარაოზე გამოტანისა და მათი შესაბამის მხატვრულ — გამომსახველობითი ფორმით მკითხველისათვის შეთავაზების უნარი ის თვისებებია, რომლებიც კონკურსის ჟიურიმ გამოარჩია და თითოეულზე საგანგებოდ იმსჯელა.

ბარათაშვილის მუზეუმის დირექტორს, სამუზეუმო საქმიანობის გამოცდილ სპეციალისტსა და დაუსრულებელი ენერგიული ალტურული ენთუზიასტს, **ნანა ელიზბარაშვილს** მომავალშიც არაერთი მიმზიდველი პროექტი აქვს ჩაფიქრებული, რომლებიც უთუოდ გარკვეულ წვლილს შეიტანს თბილისის ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე უაღრესად რთული, არაერთგვაროვანი, თუმცა შეუქცევადი პროცესის, რეფორმის განხორციელებაში, ქალაქის კულტურული ცხოვრების განვითარებაში.

გთავაზობთ კონკურსზე ნომინირებულ **ოთარ ჭულუხიას** და **თინათინ მანიას** ორ ნოველას, რომლებიც უცნობლად დააფიქრებს მკითხველს, განსაკუთრებით უფროს თაობებს და დღევანდელ ახალგაზრდებში ესოდენ საგრძნობ, ერთობ უსიამო სიმბოლურ, რელიგიური რწმენისა და აბსოლუტური ჭეშმარიტების საკითხისადმი გაორებულ დამოკიდებულებას, ნიჰილიზმსა და მყარი სოციალური საყრდენების ძიების მრავალნახნაგოვან პარამეტრებს ემოციურად და შეულამაზებლად წარმოაჩენს.

ქათეჰან ტომარაძე



ოთარ ჭულუხაძე

აღდგომა დღე

პოეტი გეგასთვის მნიშვნელოვანი დღეა. ეგებ ახლა მაინც დაეხსნას იმ ავსა და უაზრო ჩვეულებას, ამდენია წელია რომ ანამებს და ტანჯავს. ეგებ დღეს მიიღოს დასტური მისი ხანგრძლივი შრომისა, ეგებ დღეს მი-აღწიოს გამოსწორების გზაზე მდგომმა დამსახურებულ ფინიშს.

გეგას წარსული სტანდარტული, ქართული 90-იანებისაა. ნიჭიერი, მაგრამ დროების, გარემოების, თუ ვინ იცის კიდევ რის გამოა გაფუჭებული. ცხოვრების გზა რაა და ეს კიდევ იქიდანაც აცდენილია! მაგრამ ღმერთი შანსს ყველას გვაძლევს — ზოგს მეტს, ზოგს ნაკლებს. ზოგს აბრმავებს, ზოგსაც — თვალს უხელს. პოეტი გეგა დაბრ-მავებული, მაგრამ შანსიანია. ბოლომდე არასოდეს წირავდა გამჩენი — უფსკრული პირამდე მიუშვებდა, გადაახტუნებდა და მერე ოპ... უხილავი ხელითა და ძალით არ დაუშვებდა უფსკრულის ძირამდე, სა-ბოლოო დაღუპვამდე. დღეს ღმერთმა განსაკუთრებული შანსი მისცა გეგას, მოსპოს და გააქროს არათუ უფსკრული, არამედ იქამდე მისას-ვლელი გზაც, შანსი მისცა დაადგეს ნიჭისა და გაქანების, სათანადო ცხოვრების გზას — დამკვიდრდეს, სახელი დაიგდოს, დაფიქსირდეს, ხელოვნება საქმედ აქციოს... ვინ მოთვლის, რამდენი რამის დაწყება შეუძლია ამ „ექვსი საათის“ შემდეგ. თითქოსდა რა? მატერიალურად არაფერი განსაკუთრებული — დგომა და დიდი პირი. თუმცა ყველა ამქვეყნიურ ქმედებას რაღაც ზეციური სარჩული აქვს და ამას ცხოვ-რებაში ერთხელ მაინც ხვდება ადამიანი. უბრალოდ, დროისა და ცხოვრების ლაბირინთებში გართულს უჭირს იფიქროს აქაურის და იქაურის კავშირებზე, ბუნების კანონზომიერებებზე... „მაღალ მატე-რიებზე“. ყოველდღიური საზრუნავი თითქოს ავიწყებს საკუთარ არ-სობრივ პარადოქსს — თვითგადარჩენის ინსტიქტით დაბადებულს, წინასწარვე რომ აქვს თვითგადარჩენის დიდი ომი წაგებული. ავინყ-დება და მხოლოდ „პატარა ბრძოლების“ მოგებით უწევს დაკმაყოფი-ლება. ესეც ახარებს. ახარებს მარტივი და, ჩვენში რომ ვთქვათ, არც ისე გასახარებელი რაღაცები — საყვარელი გუნდის გამარჯვება ფეხ-ბურთის მატჩში, სხვისი დაჩაგვრა, ევერესტის დალაშქვრა... ასეთი წვრილმანები უზარებს გულს და პატარა ბრძოლების მოგებით გადიდ-გულელებული ხშირად „დიდი ომის“ მოგებას იჩემებს.

გეგას ერთადერთი გასახარი მის შავ-ბნელ გარემოში, მტანჯველ, ერთფეროვან ყოველდღიურობაში პოეზიაა, ლექსია, რითმია, რიტ-მია, ჰარმონიაა. ბევრი ქართველის მსგავსად, მასზე ვერ ვიტყვით, ნიჭიერია, მაგრამ ზარმაციაო. ის უფრო უერთადგილოა, საკუთარი ნიჭის საკუთარსავე უბანში დამტოვებელი — გართევრგამსვლელი, საკუთარი თავის არ და ვერ დამფასებელი, უმარიფათო.

დღევანდელი „ექვსი საათი“ შეიძლება სხვისთვის არაფრით გამოირჩევა, არაფრით განსხვავდება სხვა „ექვსი“ თუ „ორი“ საათისგან. მაგრამ გეგასთვის განსხვავდება და მერე როგორ! გეგასთვის დღევანდელი „ექვსი საათი“ გამორჩეულია, ათვლის ნერტილია, ურომლისოდაც აზროვნება და არსებობა მამაზეციერს თუ ძალუძს მხოლოდ. ამ ათვლის ნულოვან ნერტილამდე გეგამ მთელი ორმოცდახუთი დღე იარა — ორმოცდახუთი დღე თავშეკავების, თვითგვემის, მარხვის...

ტაძარში ნელ-ნელა იკრიბება ხალხი. წვერებიანი, აწონილი სტიქაროსნები ამბიონზე ფუსფუსებენ. კანდელებს ჭრახტი უსწორებენ, ხატებს წმენდენ. ყოველი მათი მოძრაობა მონინებითა და ყურადღებითაა ნაკურთხი. რა გასაკვირია! დღეს ხომ წელიწადში ყველაზე მნიშვნელოვანი წირვაა, დღეს ხომ აღდგომა დღეა!

სალამოს ათი, ანუ წირვის დაწყების საათი ახლოვდება. მრევლი თანდათან მატულობს და ტაძრის ცენტრში დაბრძანებულ გარდამოხსნასთან უშინაარსო, არაორგანიზებული რიგი დგება. ემთხვევიან უფლის გარდამოხსნას და ტაძარში ადგილს იკავებენ, სადაც შემდეგი ექვსი თუ ვინ იცის, რამდენი საათის განმავლობაში მოუწევთ დგომა.

ძველი ნაცნობები — გივი და კუსა ლოცვისწინა აუცილებელ რიტუალს აღასრულებენ.

- რა ვქნათ სამშაბათს?
- რა ვქნათ და... ვქნათ.
- ჰო, ჰო, — ილიმის გივი.
- სამშაბათს ჩამოვალ პატარძეულიდან და ჩავუჯდეთ პავლოვიჩთან. — ხმამაღლა ჩურჩულებს კუსა.
- რას შეება ეგ? ერთი თვეა რაც არ გვინახავს. ბოლოს დუგლასიჩის ქელეხში არ ვნახეთ?
- რატომ არა ჩანს წირვაზე?
- თქვა, გრიბი მაქვსო. მაგრამ მგონი ისევ პარტიის საქმეებზეა ბათუმში.

— ამ აღდგომა დღეს, კაცო? მაგისმა პარტიამ და პრეზიდენტმა რა დღეში ჩააგდო ქვეყანა, — აღმოხდა აღშფოთებულ გივის, — ეგენი არ იყვნენ ტარიფების შემცირებას რომ გვპირდებოდნენ? გეუბნები რა... არცერთი მთავრობის აღარ მჯერა.

— კარგი რა, გივიჯან! ყველას მოსაწონი მთავრობა არც არსებულა, — გაჯავრდა არც თუ მთლად ოპოზიციონერი მრევლი.

— ეე, შენ კაი ცხოვრება გალაპარაკებს. მე კიდე ჩემი „პისოტი“ გაეყიდე ორი დღის წინათ. ბანკმა დამახრჩო რა...

— გივიჯან, მე ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურები. მთავრობებს რომ უყურო, საქმე ვერ უნდა გააკეთო კაცმა.

— დალხენილი კაცივით ლაპარაკობ ბუხუტიჩი; აბა ჩემს ადგილს იყო...

ის-ის იყო კუსა საპასუხო სენტენციას ამზადებდა, რომ გარდამოხსნისკენ მიმავალი ხალხის მასამ დააშორა ორი ნაცნობი. კუსამ, საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულმა, ქრისტეს ფრესკას ახედა, დიდხანს უყურა და თითქოს მიიღო საკუთარ სიმართლეზე დასტური, მზერა გვერდზე მდგომ სამთავრობო პარტიის დეპუტატს მიაპყრო, გარდამოხსნისკენ მიმავალი ხალხის ნაწილი სანუკვარად რომ უღიმოდა, ნაწილი კი გაოცებით შესცქეროდა. პოლიტიკოსიც მომღიმარი სახით თავს უკანტურებდა, კრუხი გეგონებოდათ სიმინდის ჭამისას. ცოტა კი ეხამუშებოდა ყურადღების ცენტრში თავად რომ იყო და არა ტაძრის ცენტრში დაბრძანებული რელიგიური სიმბოლო. თუმცა პოლიტიკოსის უნარ-ჩვევებს ვერც ტაძარში ივინყებდა და ინსტიქტამდე დაყვანილი ღიმილით შესციცინებდა პოტენციურ ამომრჩევებს. ისე კი ერთი სული ჰქონდა მსახურება დაწყებულიყო, რათა წელიწადში ერთხელ მაინც დარჩენილიყო მარტო სა-

კუთარ თავთან, ცოტა ხნით ჩამოემორებინა პოლიტიკოსის, დიპლომატიური ღიმილი.

კუსამ თითოთ მიაწინა გივის — იწყება მგონი, და პოლიტიკური მიმოხილვა სამომავლოდ გადადო.

გეგა შინიდან გამოვიდა, თუმც უცბად შებრუნდა შინ და ყოველი შემთხვევისთვის მობილური ტელეფონი ჩაიგდო ჯიბეში. ეკლესიის გზაზე მიმავალმა გაიხსენა დაკარგული წარსული და წარმოიდგინა არდასაკარგავი მომავალი. გასახსენებელი და წარმოსადგენი მართლაც ბევრი იყო. უბნიდან უბანში ხეტიალი, აფხაზეთის ომი, მხედრობი, ჩხუბში გატარებული საათები, ჩამტვრეული ნექნები, დაღურჯებული თვალები, ატირებული დედები და მგლოვიარე მამები... პოეზიის მუდამ ამომავალი ვარსკვლავი, დაკარგული გონება, ნამიერი სიამოვნება და ამ დაწყებული წლებიდან გამოსვლის პატარა შანსი, რომელიც ბევრად გაიზრდებოდა თუ გეგა მოახერხებდა ამ ორმოცახუთდღიანი ტანჯვის, ჯაფის, გვემის ღირსეულად დასრულებას. გიტარისტის აკორდს ეკარგება ფასი თუ ბოლო აკორდს არასწორად აიღებს, ასევე გეგას შრომაც ფუჭი აღმოჩნდება თუ ღირსეულად ვერ დაავირგვინებს, ვერ აიღებს უკანასკნელ აკორდს. გეგა პოეტური ინტუიციით გრძნობდა, რომ ღმერთს მისი შანსიანობა ყელში ჰქონდა ამოსული, თითქოს დღევანდელ „ბოლო აკორდზე“ ყოფილიყოს ღმერთის საბოლოო სიტყვა დამოკიდებული — ღმერთისთვის კი, მოგეხსენებათ, სიტყვა და საქმე ერთი გახლავთ. ასე იყო თუ ისე, გეგა ავიდა ეკლესიაში. მეზობლებს, კუსას, გივის, მიესალმა და ლოცვის მოსასმენად გაემზადა.

კუსა ბრაზობდა გივის ნათქვამზე: „კარგი ხელფასი გალაპარაკებსო“. ვერც მეზობელი პოეტის სალამმა გამოაფხიზლა და ვერც ცოლის, ქალბატონი ნათელას სიტყვებმა — ზემოთ ნუ იყურებიო. გივიზე განაწყენებული ფიქრობდა თავის სიმართლეზე, ხან ზემოთ აიხედებოდა და ხანაც პოლიტიკოსს გადახედავდა, რომელიც მასსა და ნათელას შორის ჩამდგარიყო.

ნათელა სულ რაღაც ორმოცდათხუთმეტი წლის იყო. გვიან გაეყვა ცოლად კუსა ბუხუტიჩს. ათი წლის შვილი ჰყავდათ. ეკლესიაში საბჭოთა დროიდან დადიოდა და მეტად მკაცრი მრევლი ბრძანდებოდა. აი, ისეთი — ეკლესიაში ოდნავ გაფაჩუნებაზე ინკვიზიტორის სახით რომ შემოგხედავენ. ნათელა კვირის არცერთ წირვა-ლოცვას არ აცდენდა. არანაირი სკეპტიციზმი არ აწუხებდა. არანაირი ეჭვის ჭია არ ღრღინდა! იყო ის, რაც იყო... და სწამდა ის, რაც სწამდა! და ალბათ, ეს უფრო დიდი ბედნიერებაა, ვიდრე ის — არ იცოდე, რა ინამო და რა — არა; ვიდრე ათასი პასუხგაუცემელი შეკითხვა გიღრღინდეს გონებას. სჯობს ცოტა კითხვა და ცოტაც პასუხი. სჯობს ძველს, ათასჯერ დაღეჭილ უსაფრთხო ყლაპავდე, ვიდრე საეჭვო და ახალი ბოლოკითხვით გეჩხირობდეს საყლაპავში. კი, ქალბატონი ნათელა ყოველ შემხვედრ მოძღვარს ეკითხებოდა: ეკლესიის სანთლის „ზაფხივალკით“ ანთება თუ შეიძლებაო, მაგრამ მის ამ შეკითხვაში უფრო მეტი გულწრფელობა იყო, ვიდრე მავანი მწიგნობრების თეოლოგიურ ტრაქტატებში. ღმერთმა ყველას მისცეს ქალბატონი ნათელას რწმენა, უდარდებლობა, შეუეჭვებლობა; თორე ეჭვები რომ კლავს ადამიანს, ეს მასვე მოეხსენება ყველაზე უკეთ! ეჭვი ისეთი რამ არის, ხშირად ავის და კარგი გარჩევა არ იცის. თუ სულში შემოუშვი, გაგტანჯავს, მოგკლავს, — დაგაეჭვებს ცუდზეც, კარგზეც, დედაზეც, მამაზეც, ღმერთზეც. ბაღში უყურადღებოდ დატოვებული ელექტროსაკრეჭივით, ვარდსაც მოუთხრის ძირს და სარეველასაც. მერე კი სარეველას ამოძირკვა აღარ გაახსენდება გულმავინე მებაღეს. ისე, ეჭვი საკუთარი სისუსტეა. ოღონდ ეგაა, ეჭვს მეორე უკიდურესობა უპირისპირდება აბსოლუტური სიბრყველის სახით და ეშმაკიც ამას იყენებს ოსტატუ-

რად. ეტყვი ადამიანს: არ გინდა დაბრმავდე? — მაშინ მიმიღე! ადამიანიც ხშირად გაუცნობიერებლად, გულუბრყვილოდ მიიღებს და ბოლოს შეიძლება დედის იავნანაზეც ველარ დახუჭოს თვალი. აი, ქალბატონ ნათელას უძილობა არ ანუხებს! მისი ცისფერი თვალები საოცარ სინათლეს აშუქებენ. ცხოვრობს უდარდელად, რწმენით...

პოეტი გეგას ცხოვრება ეჭვებითაა; ჩივილია საკუთარი უმწიკვანობის გამო: რატომ მაინცდამაინც ასე და არა ისე, ღმერთო? რატომ ვარ ასეთი? რატომ ვერ გამოვიდვირ ამ დაწყევლილი წრებრუნვიდან (ეს ყველაფერი უკეთესად, გართიმულად, რა თქმა უნდა)? მაგრამ ღმერთს ალბათ არ უნდა დავუხსვავთ ბევრი შეკითხვა, რადგან „რატომ“ ეჭვია, უფრო სწორად კი ღმერთში შეტანილი ეჭვი, ღმერთის გამოცდა! ღმერთს კი საშინლად არ უყვარს საკუთარი გამოცდვები (ამით კი დაემსგავსა ადამიანი შემქმნელს)!

პოეტი გეგა დგას და ცდილობს წირვას მოუსმინოს, ძლივს ახერხებს ძველი დემონების, წარსულის შეტევების მოგერიებას. ზემოთ იხედება, ძველქართული ასოების ნაკითხვას ცდილობს. აკვირდება ადამიანებს და მათში მუხრუჭს ხედავს, მუხრუჭს იმ მანქანისა, რომელსაც თავად მართავს და რომელმაც ორმოცდახუთდღიანი მტანჯველი გზა გამოიარა. ცოტაც უნდა გაუძლოს! ნეტა რომელი საათია?! როდის დაიწყება ზიარება? იცის გეგამ, უნდა გაუძლოს ზიარებამდე! წითელ სისხლში მოთხვერილი ფრთები უნდა მოკვეთოს მხეცს, რომელიც პოეტის წითელ გულს ეჯავჯავრება; უნდა რომ ამოგლიჯოს საგულედან და მორიგი წვეთი ჩააპკუროს ჯოჯოხეთის მიქსტურას! ჯერჯერობით უძლებს, — აღარც ლოცვას უსმენს, ახლა აღარც ჭირდება ლოცვის მადლი, თითქოსდა ზიარება ყვავის ბახალასავით პირის დაფრენა ყოფილიყოს და სხვა არაფერი. იბრძვის, არ უნდა დანებდეს! ხანდახან ქალბატონი ნათელას სახეს გადახედავს და მეზობლის ნეტარი სახის დანახვისას კლავს ზევით იხედება.

სტიქაროსნები აქოთქოთდნენ, — ლიტანიობა დაიწყო. ეს მორიგი ბრძოლაა, უნდა გაუძლოს ამ განსაცდელს, უნდა შემოუაროს ტაძარს ხატით ხელში და დაბრუნდეს ეკლესიაში. სხვისთვის რა მარტივია? არაფერი, ტრადიცია, ყოველწელს შესრულებული ტრადიცია. ნუთუ ისინი იმავს განიცდიან, რასაც გეგა? ნუთუ მათაც ისევე ებრძვის წითელი მხეცი, როგორც პოეტს?

ეკლესიის კედლები ხატებისგან იცლება, ეკლესია — ქალებისგან. სამ წრეს გაუძლებს როგორმე, მთავარია ვინმე უბნელი არ შეეფეთოს — პანდორა, კუკიჩა, რეზა, პოზნინი. მაგათ არა, მაგრამ ისევე ქალბატონი ნათელა ეფეთება, თავისი უმნიველო სანდომიანი თვალებით. კონტრასტი დემონს აძლიერებს და კვლავ უტევს ნებისყოფასთან მებრძოლ პოეტს. გეგას თვალის გუგები აქეთ-იქით გაურბის, ცოტაც და გააგდებს ხატს ხელიდან, დაიოკებს წყურვილს, კიდევ ერთხელ გადახტება უფსკრულში... მაგრამ ძლებს ლიტანიობის ბოლომდე და ბრუნდება ტაძარში. გულზე ოდნავ მოეშვა! მაგრამ, როგორც ამ დროს იტყვიან — ბრძოლა მოიგო და არა ომი. ომს მაშინ მოიგებს, როცა ეზიარება, მაშინ გადმოფენს წითელი დემონი თეთრ ალამს. მანამდე კი...

ქალბატონი ნათელა გარეთ დგას. ველარ შებრუნდა ტაძარში მრევლის სიმრავლის გამო. თანაც გაიგო, იერუსალიმის ცეცხლს წუთი-წუთზე ჩამოაბრძანებენო, და ნათელამაც გარეთ დარჩენა ამჯობინა. მივა და პატარა შვილს დაუნთებს სასთუალოთან სანთელს და კვლავაც დაბრუნდება ტაძარში. გამოცდილი მრევლის ნებისყოფა ასეთი მანევრების საშუალებას აძლევს. თანაც, კუსასაც დახედავს, რომელიც უცერემონიოდ გაპარულა ლიტანიობიდან.

ტაძარში კი ომი გრძელდება, — ნამდვილი, ადამიანის სულის, ცნობიერების სიღრმეებში მიმდინარე ომი. თითქოს-



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

და სძლია პოეტმა დემონს, მაგრამ ის მაინც არ ნებდება (ან როდის ნებდებოდა?). ხან რას მოუგონებს, ხან რას. „დაგედალა ფეხები, ჩამოჯექი ეზოში!“ „გარეთ გადი, დაისვენე და შემოდი!“ „არავითარი ეშმაკი არ არსებობს: ეს შენი მოგონილია!“ „ახლა თუ არა, სხვა დროს ეზიარები!“ ყველა შემოტევა ღირსეულად მოიგერია პოეტმა, მაგრამ... მარცხენა ბარძაყზე ვიბრაცია იგრძნო. რეზა რეკავდა.

— ხო, რეზა? — ჩუმად უპასუხა პოეტმა.

— ეკლესიაში ხარ?

— კი, — გაუხარდა გეგას, ეგებ რეზამ უთხრას, იყავი, ეზიარე, ჩვენ დაგელოდებითო. დაავიწყდა პოეტს, რომ რეზა თავისდაუნებურად მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა ერთ პატარა, ადამიანურ ტრაგედიაში, ან რას გაახსენდებოდა, დადმონთან ბრძოლით ძალაგამოლეულს.

— გამო, ბრატ, ჭიშკართან ვართ!

— კაი, გამოვალ! — ეს არაფერი, „ბრატებს“ მიესალმება და შებრუნდება ეკლესიაში საზიარებლად, ცოტა ხნით გავა, ეგ არაფერი!

გილიოტინის რგოლში თავგაყრილი კაცის იმედებმა შეაწუხა ჩვენი პოეტი!

გავიდა. გადაკოცნეს „ბრატებმა“ ერთმანეთი. დაიწყო ძველებური, არაფრისმთქმელი ლაპარაკი. თუმცა ყოველი სიტყვა გეგასთვის განსაკუთრებული. გრძნობდა ჯალათს შემართული შქონდა მახვილი. ცოტაც და მოიხდიდა ჯალათურ ვალს.

ბევრი ილაპარაკეს... გადავიდნენ გვერდზე უბანში. ლუდი იყიდეს. დალევას მონვევა მოჰყვა. ძველი ნაცნობი შეხვდათ. მერე ვილაცამ ასანთის თავები და ბენზინი ახსენა. კუკიჩამ დაიწუნა — ეს რა გლეხობააო. პოზნინი დარეკა და არაგლესურიც იშოვეს.

გილიოტინაც დაეშვა!

ბევრი ილაპარაკეს. მერე დაიშალნენ. მაგრამ პოეტი გეგა დარჩა მარტო. ანკი საიდან ემახსოვრებოდა, იქ რომ მარტო იყო. ბნელოდა. გათიშული გეგა ძირს დავარდა. ეზოში არავინ იყო, ვერავინ შეამჩნია განწირული და დამარცხებული პოეტი. გიტარის სიმები განყდა, მანქანის ძრავიც გაფუჭდა. გეგას გული უცემდა, მაგრამ ვერ გრძნობდა, რომ უცემდა. სიბნელეს ხედავდა, შავ-წითელ სიბნელეს! უცხად იგრძნო, რომ ველარ გრძნობდა!

რამდენიმე კვარტალს მოშორებით ეკლესიის ზარები ხმამაღლა რეკდნენ; პროფექტორებთან ღამურები წრეს ურტყამდნენ, ქალბატონი ნათელა ღვთაებრივ ცეცხლს ალტაცებით შესცქეროდა!

ეშმაკს არც აღდგომა დღეს ეძინა.

თინათინ მანია

ნეტარ არიან ურნეუნონი(ც)

„...ჯონათან ბალტიმორი მე-19 საუკუნეში მცხოვრები ბრიტანელი პასტორი იყო, რომელიც მიიჩნევდა, რომ ქრისტიანები თავიანთი ქცევით მეტისმეტად დამორღვენ ღმერთს. იმისათვის, რომ ადამიანები უნებურ ცდუნებებს არ აჰყოლოდნენ, ბალტიმორმა მათი ცხოვრების ყველა ასპექტი მკაცრად განერა, თანამოაზრეები შეკრიბა და „ქრისტეს მისიონერთა“ სახელით 1870 წლიდან ქადაგება დაიწყო. მეტისმეტი აუღელვებლობისა და უშფოთველობის გამო მის მიმდევრებს ადგილობრივები **quietest**-ებად (ინგლ. ყველაზე მშვიდი) იხსენიებდნენ“ (რელიგიები საქართველოში, 1998, გვ. 319, ქვაითესთები)

ადრე

აღსარებაზე რომ გავედი, მისიონერებში ერთი თვის მისული ვიყავი. როგორც დამწყები, დამინდეს და ოთახში ჩვეულებრივზე ნაკლები ხალხი დამხვედრეს — ოცდაათამდე. საღამოვდეზობოდა, მუქი მინდისფერი ფარდების გამო კიდევ უფრო ბნელოდა და საბედნიეროდ ერთმანეთს კარგად ვერ ვხედავდით. არ მინდოდა, ჩემი ანთილტუბული ლოყები ყველას შეენიშნა, თორემ მე სინათლეშიც არავის შევხედავდი. მახსოვს, მოუხერხებელ სკამზე ვიჯექი საკუთარ მუხლებს მიჩერებული, გადაჭდობილი თითები მიკანკალებდა და მესხიერებაში შემონახულ თითოეულ ცოდვას ხმამაღლა ვიმეორებდი. მართალია, ზოგი ნახევრად გავამხილე, ზოგი — შევალამაზე, ზოგიც — მივაფუჩეჩე, ის ერთი საერთოდ გამოვტოვე, მაგრამ მაინც იმ საშინელ სიზმარს ჰგავდა ეს ყველაფერი, უნიტაზზე რომ ზიხარ სახალხოდ, სირცხვილით იწვი და გაქცევა გინდა, მაგრამ ნახევრადჩახდილს ადგომისაც გერიდება და რჩები ასე, ორ ცეცხლს შუა. გარშემო კი მიდი-მოდიან და გულგრილად შესცქერიან შენს ტანჯვას.

ახლა

კარდაკარ საქადაგოდ ძირითადად წყვილ-წყვილად დავდივართ, ქალები ერთად, კაცები ერთად. თუმცა გამონაკლისის სახით ცოლ-ქმარს შეუძლია ერთადაც იქადაგოს, პასტორ ჯონათანს სწამდა, რომ ოჯახური მადლი კარგად მოქმედებს დაკარგულ სულებზე და ისინი უფრო მალე მოექცევიან, ამიტომ მე და საბო ერთად ვარჩევთ სიარულს.

ცხრასართულიანებში მალლიდან ვინყებთ, მეცხრედან, მერე დაბლა ვეშვებით. დაკაუნების შემდეგ ოთახის სიღრმიდან ფლოსტების ფრატუნის ხმა გვემის, კარს მიღმა სათვალურიც ჩამოხვედნის ნამით, მაგრამ მაინც არ ალებენ — ვითომ არ არიან! იშვიათად გვიშვებენ კიდევ შინ, მაგრამ უფრო ხშირად გავვიღებენ, წინადადების დასრულებასაც არ გვაცლიან, არ გვაინტერესებსო, — მოგახსიან და კარს მოგვიხურავენ, ზოგიერთი უშვერი სიტყვებითაც მიგვალანძლავს. ოო, ამ დროს ძლივს ვიკავებ ყელში მონოლილ ბოლმას, მაგრამ სახეზე ღიმილი უშორებლად ვბრუნდები და ჩემთვის ვსკდები გულზე.

ვიცი, რომ საბო არასდროს ფიქრობს ასე. პირიქით, რაც უფრო უხეშად გვიშორებენ, მით მეტ სიბრალულს გრძნობს და მით მეტს ლოცულობს დაწოლის წინ მათი სულებისთვის. ხანდახან ვლიზიანდები კიდევ, ვერ დავმაღავ. მიკვირს, ასე უდრტინეველად რომ ხვდება ამდენ შეურაცხყოფას, მაგრამ თან ვერც წარმომიდგენია სხვანაირი საბო, გაბრაზებული, დაბოლილი, გადაღლილი ან გულაცრუებული. ზოგჯერ ვფიქრობ კიდევ, ალბათ „ქრისტეს მისიონერები“ ის ჭეშმარიტება, რომელსაც ახლა ვერ ვხედავ, მაგრამ თუ შევიცნობ, საბოსავით ხალისიანსა და ბედნიერს გამხდის-მეთქი. მაგრამ მერე თავადვე უარყოფ ამ აზრს, საბო არავის ჰგავს, საერთოდ არავის! არც „მისიონერებში“ და არც მის გარეთ.



უფრო ადრე

თავიდანვე ასეთი მეჩვენა, საეჭვოდ განსხვავებული. ყოველთვის მეგონა, რომ ზედმეტად კეთილშობილი ადამიანები კარადებში, ჩონჩხს თუ არა, გამხმარი ხელის მტევნებს მაინც მალავდნენ. რაც უნდა მეკითხა, თითქოს ყველაფერზე სიმართლეს მპასუხოვდა, მაგრამ ზუსტად ეს იყო საეჭვო. აქამდე არაფრითაც რომ არ მოვეტყუებინე, ესე იგი უბრალოდ მე არ დამისვამს ის შეკითხვა, რომლითაც ყველაფერს გავარკვევდი. მაგრამ რომ ვერ ვხვდებოდი, რა უნდა მეკითხა? პირდაპირ ხომ ვერ ვაჯახებდი, რატომ ხარ ასე ბედნიერი-მეთქი? ეჭვებს კი აღძრავს, მაგრამ ზედმეტი ბედნიერება დანაშაული მაინც არ არის. როგორც ჩანს, შევეგუე თუ არა ამ ფაქტს, ამ მუდმივი სიხარულისა და ბედნიერების წყაროს ხელიდან გაშვება აღარ მომინდა. მომინდა, ჩემი უღიმღამო ცხოვრება თავისი ფოიერვერკებით გაეხალისებინა. მგონი ამის გამო შემეყვარდა.

მინდოდა, თვითონაც მიმხვდარიყო, რომ მის გვერდით ჩემი საუკეთესო თვისებები საფუარმოყრილივით თვალსა და ხელს შუა იზრდებოდნენ და ბევრდებოდნენ, რომ მარტო მასთან არ მრცხვენოდა, ისეთი ვყოფილიყავი, როგორც ვიყავი, და რომ ისე მიყვარდა, როგორც არავინ და არაფერი სხვა. არ დავიჯერებ, რომ ვერ ხვდებოდა.

როცა ვინმეს, რაც კი რამ გაგაჩნია, იმათგან ყველაზე ძვირფას რამეს სთავაზობ — „ზე-მეს“- საკუთარი თავის საუკეთესო ვერსიას, ყველა საიდუმლო ფიქრს, განცდასა და აზრს... საერთოდ ყველაფერს, რაც შენს გარშემოწერილობაში ეტევა თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე და ის კი ამ ამბავს არაფრად აგდებს, აბა, როგორ იგრძნობ თავს? ხანდახან მიხვდებოდა ცუდად მომქცეოდა, ღირსება გაეთელა, თავმოყვარეობა შეელახა ჩემთვის... იმის მიზეზი მაინც მქონოდა, რომ შემძულეობოდა. იმიტომ, რომ ნამდვილი უსამართლობა იყო ჩემი შეთავაზებულის სანაცვლოდ, მისგან ნაწყალობევი „მეგობრობის“ ნასუფრალის კენკვა.

ადრე

საბო ქადაგებაზე დავინახე, მისიონერებში განვერიანების შვიდი თვის თავზე. ძალიან გამიკვირდა: არ ვიცოდი მისიონერი თუ იყავი, არასდროს გითქვამს-მეთქი. არც მე ვიცოდით, — გაუხარდა და პირველად შემომხედა ისე — სხვანაირად. იქ ხომ არ მომცილებია, მერე გასაცლილებლადაც გამომყვა. ჩემს სახლამდე ცოტაღა გვაკლდა, ხელი რომ ხელზე ჩამჭიდა და იმ თავისი ღვთაებრივი ღიმილით შემომლიმა.

ჩვენი შეხვედრიდან თვენახევარში „ღვთის შვილად“ მაკურთხეს და მქადაგებლების მოსამზადებელ ლექციებზე დავინყე სიარული. წელიწადნახევარში მქადაგებელი გავხდი და კიდევ ნახევარ წელიწადში საბოზე დავქონწინდი. ღიმილით ამბობს ხოლმე — მაშინ ღმერთმა შეგახვედრაო. მეც ვუღიმი და ვკოცნი, და ამ დროს ყოველთვის მანუხებს სინდისი, რომ საბომ არაფერი იცის.

ახლა

დღესასწაულებს არ აღვნიშნავთ. პასტორი ჯონათანი მიიჩნევდა, რომ უსაგნო სიხარული, ნაყოფიანობა და დროსტარება ღმერთთან დაახლოებაში გვიშლის ხელს. მე უკვე შევეჩვიე, მაგრამ ვგრძნობ, რომ პატარებს უჭირთ. გოგოების ყველა კლასელს სახლში ნაძვის ხე რომ უდგას და ახალ წელსა და საჩუქრებზე ლაპარაკობს, ამ დროს ჩვენი ბინა ისევე გამოიყურება, როგორც ყოველთვის. ჩვენი „როგორც ყოველთვის“ დასაწერი სულაც არ არის, მაგრამ ამასთანავე, ეს მაინც როგორც ყოველთვისაა. ამ დროს ძალიან მწყდება გული, რომ ჩემს გოგოებს ჩვეულებრივი ცხოვრება არა აქვთ; რომ ვერაფერს აღნიშნავენ საკუთარ დაბადების დღეებს დიდი ტორტებით, ვერ ივლიან მუხლებზე გამოგლეჯილი ჯინსებით, ვერ იცეკვებენ ქანცის განწყვეტამდე, როკ-კონცერტებზეც ვერ იყვირებენ ხმის ჩახრინწვამდე და სიყვარულითაც მხოლოდ მისიონერებს შეიყვარებენ — თითქოს ამის შეკვეთაც შეიძლებოდეს. ცოტათი დამნაშავე ამ ყველაფერში ჩემი თავიც მგონია, მაგრამ ეს განცდა მხოლოდ დროებით, მდუმარე ლოცვის დადგომამდე მიგრძელდება...

ყველაზე მეტად ეს ლოცვები მომწონს! საღამოს მცირე ქადაგების შემდეგ ისევე ოთახში რომ ვბრუნდებით, უკვე დაღამებას იწყებს. ამიტომ ერთმანეთის გამომეტყველებას მხოლოდ გვერდი-გვერდ მსხდომები თუ ვარჩევთ. ჩემ გვერდით კი ყოველთვის საბო ზის. ცოტა ხანში ყველანი ვჩუმდებით და ვცდილობთ ღმერთს გულით ველაპარაკოთ — უსიტყვოდ. ამ დროს საბო თვალებს ხუჭავს. ამით ვსარგებლობ და თვალს ვაპარებ — თხელ ქუთუთოებზე, ოდნავ შესამჩნევად აზიდულ ტუჩის კიდეებზე, ყელის გაყოლებაზე მფეთქავ ძარღვის კლაკნილზე ვაკვირდები და ღმერთის ნაცვლად მასზე ვფიქრობ. მერე ვგრძნობ, როგორ იზრდება, დიდდება და მანვება მკერდთან რალაც. და მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ მანალვლებს არანაირი მისია, მიუხედავად იმისა, რომ მერვე წელია კარდაკარ იმის საქადაგოდ დავდივარ, რისი ერთი სიტყვისაც არ მნამს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შვილებს არასდროს ექნებათ საკმარისი თავისუფლება, ასეთ წუთებში არაფერს ვნანობ! ვიცი, რომ მაშინ ნამდვილად სწორად მოვიქეცი.

უფრო ადრე

განსაკუთრებით მაშინ დავეჭვდი, დაბადების დღე რომ არ მომილოცა. საბოს არაფერი ავიწყდებოდა. კი არ დაავიწყდა, ადგა და არ მომილოცა. რომ ვნახე, ენის წვერზე შევიჩერე საყვედური და რატომღაც არაფერი ვკითხე.

შინდაბრუნებულმა კი ისევე იმაზე დავიწყე ფიქრი, რატომ არ ჰგავდა საბო არავის. იქნებ იმიტომ, თვეში ერთხელ გაურკვეველ ადგილას რომ იკარგებოდა? იქნებ იმიტომ, ჩემი დაბადების დღე რომ დავივიწყა? ან იმიტომ, წარმოუდგენლად ბედნიერი რომ იყო?... ყველა საეჭვო მახასიათებელი გულდაგულ ჩამოვწერე და ამჯერად კითხვებით საბოს კი არა, პირდაპირ ინტერნეტის საძიებო სისტემას მივადექი.

ღმერთს ჩემს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა არასდროს ჰქონია. იმდენად იშვიათად მახსენდებოდა და მალეღვებდა მისი არსებობა-არარსებობის საკითხი, რომ ფიქრადაც არ გამივლია, საბოს უცნაურობა რამენაირად მისთვის დამეკავშირებინა. იმ დღეს კი ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რაშიც იყო საქმე. საბო „ქრისტეს მისიონერის“ განსახიერება აღმოჩნდა, სრულად ერგებოდა მორჩილი „ქვაითესის“ პორტრეტს. არ მსახურობდა ჯარში, არ ენეოდა, არ სვამდა, არ სცნობდა დღესასწაულებს... ყოველთვიური გაუჩინარებისას, როგორც ჩანს, დიდ ქადაგებებსა და საჯარო აღსარებებზე დადიოდა, კვირაში სამ დღეს კი, არასდროს რომ არ ეცალა საღამოობით, თურმე თვითონ დადიოდა საქადაგოდ...

და რაც ყველაზე სასწაულმოკვეთი იყო ამ ყველაფერში, ქრისტეს მისიონერი საბო არავითარ შემთხვევაში არ დაუახლოვდებოდა ქალს, „ოჯახის შექმნის მიზნის“ გარეშე — ცოლად კი მხოლოდ თავისნაირს თუ შეირთავდა, მხოლოდ წმინდა წყლის ქვაითესის! ასეთ დროს ბევრი არჩევანი არ არსებობს, ან ხელს ჩაიქნევ და ღმერთსა და სხვა მისიონერებს შეატოვებ შენი ოცნების მამაკაცს, ან მის მოქცევას ეცდები, ან...

ადრე

მისიონერთა ყოველთვიური, დიდი ქადაგების უახლოესი თარიღი მეორე დღეს გავარკვეე. ექვსი თვის განმავლობაში ქადაგებაზე დასასწრებად ყოველთვის სხვადასხვა ადგილას მივდიოდი და მეშვიდე თვეს, რო-



მხატვარი ნელი კლასონია

გორც იქნა, იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო! შესვლისთანავე შევნიშნე საბო, ცოტა ხანში კი თვითონაც დამინახა. თვითონ ხომ გაიოცა ჩემი დანახვა, მაგრამ მე უფრო გავიკვირე, — არ ვიცოდი მისიონერი თუ იყავი, არასდროს გითქვამს-მეთქი.

ახლა

პირველადაა ძნელი, თორემ მერე აღსარებებზე გასვლა დიდად არავის უჭირს, ერთ თვეში, აბა, იმდენ რა ცოდვას ჩაიდენ? მეც ვზივარ და მშვიდად ჩამოვთვლი, როგორ ვეჩხუბე შვილებს, როგორ ვიეჭვიანე საბოზე, ან როგორ გავივლე გონებაში უწმინდური აზრი. იმ მთავარ ცოდვას, ჩემს ცხოვრებას უკვე ათი წელი რომ გასდევს, რასაკვირველია, არასდროს ვახსენებ. საბოს დაკარგვისა მეშინია, თორემ სხვისი რაღამიანების მარადიული ნეტარებისთვის არ დავდივართ კარდაკარ? სამარცხვინო რა არის იმაში, თუ ჩემი ბედნიერებისთვის ცოტათი ვიცრუე, ქრისტეს მისიონერებსაც ჩემი საუკუნო ნეტარება არ უნდოდათ?

მე ქვაითესებს საერთოდ არ ვატყუებ. მართალია, არც მათი ღმერთის მწამს და არც იმ თაღლითი ბალტიმორის, მაგრამ ეს სულაც არ მიშლის ხელს, ჩემი მოვალეობა პირნათლად ვასრულო და კვირაში სამი დღის განმავლობაში დიდი ენთუზიაზმით ვიქადაგო მრავალი უაზრობა. დავდივარ საბოსთან ერთად, მიხარია, რომ ჩემ გვერდით არის, მიხარია, რომ ჩემთვის გაუგებარი იდეები ალაფრთოვანებს, რომ რალაც დიადის სწამს. მიხარია, რომ ასეთი ლალი და ბედნიერია და დედამიწის ზურგზე არავის არ ჰგავს.

როგორც ჩანს, ღმერთისთვის სრულიად საკმარისია, რომ საბოს მისი სჯერა, მე კი — უბრალოდ საბოსი.



ტომას სტერნზ ელიოტი

ჯენტლმენ ელფრიდ პრუფროკის სამიჯნურო სიმღერა

„მე რომ ვფიქრობდე, თუ ჩემს პასუხს მოისმენს კაცი, ვისაც მოქცევა უნერია ხელახლა ქვეყნად, არ დაიძროდა ალი ესე სრულიად მაშინ. მაგრამ ვინათვან, თუ სიტყვების გვექნება რწმენა, ამ უფსკრულიდან არ გასულა ცოცხალი არსი, მეც გიპასუხებ: უშიშარი სირცხვილის მიმართ...“

დანტე ალიგიერი, „ჯოჯოხეთი“, ქება 27, კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანი.

ადრე ვამბობდით, მედეა ზაალიშვილი ნაყოფიერი მთარგმნელი არ არისო, და იქვე დავურთავდით, ეგებ მისი თარგმანები გამომცემელს ელისო.

ოსტატი რომ იყო, ყველამ იცოდა, და თურმე რარიც ნაყოფიერიც ყოფილა.

აი, კიდევ ერთი ჩინებული თარგმანი ტ. ს. ელიოტის უცნობილესი ლექსისა, რომლის გამოქვეყნებამაც გამოიწვია პოეტის საყოველთაო აღიარება.

წინასიტყვაობად, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, ჰელენ ვენდლერის გამოკვლევის ფრაგმენტი წაგუმძღვართ:

„...დავუბრუნდეთ ელიოტის პირველ „სრულყოფილ“ ლექსს, დიდი ხნის წინათ გაშინაურებულს – „ჯენტლმენ ელფრიდ პრუფროკის სამიჯნურო სიმღერას“ (თავიდან „პრუფროკი ქალებში“ ერქვა) და ახლებურად დავინახოთ, როგორც ლიტერატურული მონტაჟი ყველა იმ განაზრებისა, რაც ელიოტს მანამდე უცდია. ფორმა ბრაუნინგის დრამატული მონოლოგებიდანაა აღებული...“

„პრუფროკში“ ისმის და ცოცხლდება ადრეული ლექსების ხმები და მოტივები – ვნება და შიში, რომ ვნება „სიყვარულის“ სოციალურ სამყაროში და ხელის თხოვნაში გადაიზრდება; მოჩანს დანაშაულებრივი განხეთქილება; რომანტიკული მისწრაფება; ლაფორგისეული ირონია; ბოდლერისეული ურბანული გარემო; ფილოსოფიური ეჭვი; ლიტერატურული ალუზია; ლირიკული ტკივილი.

წონასწორობა ამ მოტივებს შორის აღწევს იმ დონეს, რასაც ვერ ვნახავთ უმნიშვნელო, გოთიკურ ნაცოდვილარში ნაკლებად წარმატებული ლექსებისა.

„პრუფროკამდე“ ელიოტს ახალი ტექნიკა არ გამოუყენებია. იგი უფრო იმას სწავლობდა, რომ სიახლე სტილურად შენახებინა უკვე გათავისებულ ტექნიკასთან, რათა ძველსა და ახალს ერთმანეთი არ ჩაეხშოთ; თავს აიძულებდა, ადრინდელივით არ მიემართა დამცინავი ან მელოდრამატული დასასრულისათვის, რაც წყალში ჩაუყრიდა მთელ ნააზრევს.

იგი ბედავს და დანტეს იყებს წინათქმად. უკვე ხედავს შესაძლო ესთეტიკურ ღირებულებებს მტრობისა და ტანჯვისა: დადგება დრო არამართო მკვლევრობისა, არამედ ქმნადობისაც, და ბედავს და ამბობს, თუნდაც ირონიულად, რომ მის მიერ შემოტანილი საკითხავი შეაფიქრინებს კაცობრიობას“.

მოდი, ნავიდეთ ახლა მე და შენ, შელამება რომ განოლილა მაღლა ზეცაზე, ვით ნარკოზის ქვეშ პაციენტი გრძელ მაგიდაზე. მოდი, ნავიდეთ, გავუყვეთ ქუჩებს დაცლილს ნახევრად, აქოთქოთებულ თავშესაფრებს ღამის სათევართ, იაფფასიან, ერთი ღამის მშფოთვარ ოტელებს, ნახერხმოფენილ რესტორნებს, სადაც ნიჟარებს ნაჭამ ხამანქისას დაყრილს ტოვებენ, ქუჩებს, მოსაწყენ კამათივით რომ გვედევნენ უკან ვერაგულ ზრახვით და ყოვლისმომცველ შეკითხვამდე მიყვანა უნდათ; ოჰ, ნუ იკითხავ, რა შეკითხვამდე? მოდი, ნავიდეთ, ვენვიოთ სტუმრად.

მიდი-მოდინ ოთახში ქალები, მიქელანჯელოზე ბჭობენ გამალებით.

ყვითელი ნისლი ფანჯრებს ზურგით ეხახუნება, ყვითელი კვამლი ფანჯრებს დრუნჩით ეხახუნება და ლოკავს ენით მწუხრის ყოველ კუთხეს და კუნჭულს; სანვიმარ ღარის გუბებთან წამით ჩერდება, ბუხრების ჭვარტლი მოაქვს ზურგით და ტერასიდან მოსხლტება უცებ, გადახტება და ძირს ეცემა და როცა ხედავს, რომ ოქტომბრის ღამეა წყნარი, შემოეხვევა ირგვლივ სახლს და ძილს მიეცემა. და მართლაც მალე დადგება ჟამი ყვითელ ნისლისთვის ქუჩის გასწვრივ რომ მიტივტივებს და ზურგს იხეხავს ფანჯრის მიწებზე; დადგება ჟამი, დადგება ჟამი, რომ შეამზადოს სახე შეხედეს იმ სახეებს, რომლებსაც ხვდებით; დადგება ჟამი მოკვლისა და ხელახლა შექმნის, ჟამი ყოველგვარ საქმისათვის და იმ დღეების, როცა ასწევენ და დაგიგდებენ კითხვას შენს თვალწინ თევშზე ხელები. ჟამი შენთვის და ჟამი ჩემთვის, ჟამი ათასგვარ გადუნწყვეტლობის, ათას ხილვის და განსახილველის, ვიდრე ჩაი და შებრანული პური მოგველის.

მიდი-მოდინ ოთახში ქალები, მიქელანჯელოზე ბჭობენ გამალებით.

და მართლაც მოვა ჟამი როდესაც გაოცებული დავსვამ კითხვას: „გავბედავ განა?! გავბედავ განა?!“ დადგება ჟამი, როცა ზურგით შევბრუნდე უნდა და კიბეებზე დავეშვა წყნარად,

გამომიჩნდება მოტვლეპილი თმებს შორის ქალა — (ასე იტყვიან: შეთხელებული თმა მის კეფას ველარა ფარავს!) — დილის ლაბადა და საყელო ყბებსმიბჯენილი, ჩემი ჰალსტუხი, თან მდიდრული და თანაც სადა, ერთი უბრალო ქინძისთავით მიმაგრებული (მერე იტყვიან: „რა გამხდარი ხელ-ფეხი აქვს“-ო) — განა გავბედავ შევაშფოთო მე ეს სამყარო? ნუთი საკმაო დროს შეიცავს გადაწყვეტის და გადახედვისთვის და იმისთვისაც ყველაფერი ქარს გაატანოს.

რადგან ვიცნობდი ყოველ მათგანს, ყველას ვიცნობდი — ნაცნობი იყო დილაც, შუადღეც, საღამოებიც, ჩემი ცხოვრება არწყმული მაქვს ყავის კოვზებით; ვიცნობ იმ ბგერებს, სულს რომ ლევენ ჟამს ფოთოლთცვენის, შორ ოთახიდან როცა ისმის მუსიკის ხმები.

და მე ვიცნობ თვალებს, უკვე ყველას ვიცნობდი — ფრაზის ჩარჩოში რომ გამწყვდევენ გამჭოლ თვალებით, და როს გამწყვდევენ, ქინძისთავზე წამოგაცმევენ და ქინძისთავზე წამოცმული ზედ კედელზე აფართხალდები, მაშინ როგორღა გადმოვაფურთხო ჩემი დღეების და ძველ ჩვევების ნარჩენები, მაშინ როგორღა გავბედო უნდა?

შეცნობილი მაქვს უკვე მკლავები, ყოველი ჯურის, შიშველნი, თეთრნი, ზედ სამაჯურით (დაბინდულნი მოყავისფრო ღია ბუსუსით შუქზე ნათურის); ნუთუ სუნამოს სურნელება კაბას რომ ასდის, მაიძულებს რომ ვიარო სხვა გზით?

და ის მკლავები მაგიდაზე რომ გადაწვდილან ან რომ იხვევენ ირგვლივ მოსასხამს. და როგორღა უნდა გავბედო? ან როგორღა უნდა დავინყო?

.....
ვთქვა, რომ მივლია ვინრო ქუჩებით ჟამს მიმწუხრისას, თვალს ვადევნებდი კვამლს ჩიბუხისას, მოკლემკლავიან პერანგებში, მარტოსული მამაკაცები, ფანჯარაში გადმოყუდულნი რომ აბოლქვებდნენ?.. ვყოფილიყავი ნეტავ წყვილი, უხეში კლანჭი, მდუმარე ზღვის ფსკერს გასწვრივ რომ ფხაჭნის.

.....
და ნაშუადღევს, შეღამებას ჩასძინებია დამშვიდებულს გრძელი თითებით, სძინავს... დალილა... ანდა თავი მოიმძინარა და იატაკზე განოლილა ჩვენს გვერდით წყნარად. განა ჩაის სმის, ნამცხვრისა და ნაყინის შემდეგ, მე ამ მომენტის კრიზისამდე მიყვანას შევძლებ? თუმცა ვიტყვი და ვიმარხულე, თუმცა ვიტყვი, ლოცვადაც შევდექე, თუმცა მე ვნახე ჩემი თავი (ოდნავ მელოტი) შემოიბრუნეს როცა ლანგარით, არა, არა ვარ ნათლისმცემელი, — მნიშვნელოვანი თუმცა ეს არ არის, ვნახე, რომ წამით გაიელვა ჩემმა დიდებამ, ვნახე, ლაბადა რომ ჩამომართვა, იმ მარადიულ კარისკაცის ჩაქირქილება, მოკლედ რომ ვთქვა, მე შემეშინდა.

და განა ღირდა ყოველივე, ბოლოს და ბოლოს, ფინჯნების, ჯემის და ჩაის ბოლოს,

ფაიფურისა და საუბრის მე და შენს შორის ეს ყოველივე ღირდა კი განა, პირზე ღიმილით საქმე ბოლომდე რომ მიმეყვანა, რომ შემეკუმშა ეს სამყარო ერთიან ბურთად და გამეტყორცნა ყოვლისმომცველ შეკითხვისაკენ, რათა ეს მეთქვა: „ვარ ლაზარე, აღმდგარი მკვდრეთით, დავბრუნდი, რათა ვთქვა ყველაფერი, ყველაფერს გეტყვი“ — თუ ის, ვინც ყურთბალიშს ისწორებს თავქვეშ, იტყოდა: „რასაც ვგულისხმობდი ეს ის არ არის, სულაც არ არის, სულაც არა“. ეღირებოდა განა რამედ, ბოლოს და ბოლოს, ეღირებოდა განა რამედ, მზის ჩასვლებისა, კარისწინაეზოებისა, წვიმისაგან სველი ქუჩების, რომანების, ჩაის ფინჯნების და იატაკზე დათრეული კაბების ბოლოს —

და ამისა და ბევრ რამის შემდეგ? შეუძლებელი არის იმის თქმა, თუ რას ვგულისხმობ, თითქოს ნერვების კონტურები ჯადოსნურ სანათს გამოეხატოს ეკრანზე უნმოდ,

ეღირებოდა განა რამედ, თუკი ყურთბალიშს ვინმე თავქვეშ ამოიდებდა ან მოისროდა თავის მოსასხამს და თან იტყოდა ფანჯრისაკენ შებრუნებული: „ეს ის არ არის, რაც ვიგულისხმე“.

არა, არა ვარ პრინცი ჰამლეტი და არც უნდა ვყოფილიყავი, მე ვარ მსახური, მე ის ვარ, ვისაც მხოლოდ ინტრიგის გაღრმავება მაქვს განზრახული, ვინც პრინცს არიგებს და რა თქმა უნდა, ვინც წარმოადგენს მის ბრმა იარაღს, წინდახედული, რომ იქცევა თავაზიანად, მუყაითობა არ მაკლია და არც ზრდილობა, მჭევრმეტყველი და ცოტა ჩლუნგიც ვარ მე აშკარად, ზოგჯერ რომ მართლაც ვარ სასაცილო, ზოგჯერ კი თითქმის ტაკიმასხარა.

სიბერე მოდის... სიბერე მოდის... უნდა ვატარო აკეცილი მე შარვლის ტოტი.

რა ვქნა, გავიყო თმა კეფაზე? ან ატმის ჭამა რომ დავაპირო? ჩავიცვამ თეთრი ფლანელის შარვალს და გავუყვები ზღვის სანაპიროს, მომისმენია თუ ქალთევზები როგორ უმღერენ ერთმანეთს ტკბილად.

არა მგონია, რომ ოდესმე ჩემთვის იმღერონ.

ისიც მინახავს ზღვის ტალღებზე ამხედრებულნი, როგორ ვარცხნიდნენ თეთრ ქოჩორს ტალღის, რომ აბრუნებდა კვლავ უკან ქარი, როდესაც წყალი ქაფდებოდა, — თეთრი, ხან თალხი.

ერთხანს ვჩერდებით ზღვის პალატებში, ზღვის გოგონებთან, თმებს რომ ჩასწვნიათ წყალმცენარეთ ჟღალი ძირები, ვიდრე კაცთ ხმები გვალვიძებენ და ვიძირებით.

ინგლისურიდან თარგმნა
მედეა ზაალიივილია

ფელისიან მარსო

სამი ნოველა

(ციკლიდან:
„კარგი ბუნებისანი“)

ქალბატონი ოქტავი

როდესაც თავის ექიმს შეემუდარა, მისთვის არაფერი დამალა, ქალბატონმა არტურმა შეიტყო, რომ განწირული იყო, თავისი ყველაზე ძველი მეგობარი, ქალბატონი ოქტავი ახმობინა და დააფიცა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ იზრუნებდა მის ქმარ-შვილსა და სახლზე. ქალბატონი ოქტავი შეპირდა. ეს მისია მოსწონდა მის აქტიურ სულს.

მონასტრიდან მოყოლებული, სადაც ერთმანეთი გაიცნეს, ქ-ნ არტურს და ქ-ნ ოქტავს — თუ მათ საქონწინო მოგზაურობებს არ ჩავთვლით — სამი დღეც კი არ გაუტარებიათ ერთმანეთის უნახავად. თითქმის ერთსა და იმავე დროს დაქორწინდნენ, არცთუ ერთმანეთისგან განსხვავებულ კაცებზე. არტური ექსპორტის საქმეებს განაგებდა. ოქტავი მამისგან დანატოვარ ავეჯის ფაბრიკას ხელმძღვანელობდა. თუ უფრო აქტიური და უფრო მუყაითი, ალიონზევე ფეხზე მყოფი არტური მეტს შოულობდა, ეს არ იყო შემანუხებელი განსხვავება. ქ-ნ ოქტავი საკმაოდ ხშირად ოხრავდა თავისი მეგობრის კომფორტისა თუ ახალი მანქანის შემხედვარე, მაგრამ თავის ქმარს კი არ ადანამაულებდა, არამედ დროებას, იღბალსა და საუკუნეს. „ექსპორტი მეტია, ვიდრე ავეჯის შექმნის მსურველი“, ამბობდა და მხოლოდ ამ ასპექტში განიხილავდა თანამედროვე ეკონომიკას. ზამთარში ორივე წყვილი კვირაში სამოთხჯერ ხვდებოდა ერთმანეთს, როგორც წესი, ბრიჯს თამაშობდნენ უემოციოდ და სიამოვნებით მუსაიფობდნენ. თუ ახალი სპექტაკლი ან ფილმი იყო, რომელზეც ხალხი ლაპარაკობდა, ერთად მიდიოდნენ, რათა პიესის დროს კანფეტები შეეთავაზებინათ ერთმანეთისთვის, ანტრაქტზე კი თავშეკავებულად გამოეთქვათ აზრი. ზაფხულშიც ერთად ატარებდნენ არდადეგებს, საერთო ხარჯით ქირაობდნენ ხან ვილას გარდის ტბაზე, ხანაც შალეს* ბასკების მხარეში. ტბას ოქტავი ანიჭებდა უპირატესობას. ენატრებოდა ბასკების მხარე არტურს. პროფესიული სიყვარული ჰქონდა ოკეანისა, არაფრად აგდებდა აქორწილ ტალღებს. ქალებს რაც შეეხება, ისინი თავის აზრს არ გამოხატავდნენ. გარდის თუ გეთარის ტბაზე ქსოვდნენ და უსასრულოდ ანდობდნენ საიდუმლოს ერთურთს. უცნაური იყო: ასეთი მუდმივი მეგობრობა იმით დასრულდა, რომ ერთმანეთს დაემსგავსნენ. ოთხივე მსუქანი, უფრო სწორად, მნიშვნელოვანი იყო, დიდლოყებიანი, დიდკორსაყიანი, დიდფილტვიანი. ბავშვებს რაც შეეხება — ორი ვაჟი არტურებს ჰყავდათ, ვაჟი და ორი ქალიშვილი ოქტავებს — ისინიც კარგად ეწყობოდნენ ერთმანეთს. არტური სიამოვნებით უსვამდა ხაზს იმ გალიზიანებას, რომელსაც მისი ვაჟი იჩენდა ოქტავების უფროსი ქალიშვილის პრანჭიანობისა და მის მიმართ გამოჩენილი ყურადღების გამო. ამაში დიდი სიყვარულის სანინდარს ხედავდა და ეს მოსწონდა (თავისი ვაჟის მიერ გოგონას არად ჩაგდებაში უკვე რაღაც მამაკაცურს ხედავდა, რაც მის თავმომწონეობას მალამოდ ედებოდა.)


დაკრძალვის მეორე დღეს, დილის ცხრა საათზე ქ-ნ ოქტავი არტურთან მივიდა. მოახლის გარდა ყველას ეძინა. ქ-ნ ოქტავი მსწრაფლ ავიდა არტურთან, უთხრა, რომ მწუხარებისთვის თავის მიცემა მის ტკივილს ვერ შეამსუბუქებდა,

და სამსახურში გაუშვა. ორივე ვაჟიც მისი მზრუნველობით ლიცეუმში იქნენ გაგზავნილნი. რის შემდეგაც, თავზე ქუდახურული (დაბნეულობის თუ იმის გამო რომ ქუდის მოხდის დრო არ ჰქონდა, ან კიდევ დელიკატურობისა, რათა ხაზი გაესვა, რომ შინ არ იმყოფებოდა), სახლის მონესრიგებას შეუდგა. შინამოსამსახურე, ზორბა, უტიფარი გოგო, კარგად შეჯორა, რვა დღის ჯამაგიერი მისცა, ტელეფონით შეატყობინა არტურს და მომსახურების ბიუროში წავიდა, საიდანაც დროებით ორი შემცვლელი მოიყვანა. ამ სევდიანი და მწუხარე დღეების შემდეგ სახლს მართლა სჭირდებოდა ისინი. იმას თუ არ ჩავთვლით, რომ — ეს ქ-ნ ოქტავის პირადი შეხედულება იყო — ქ-ნ არტური, ასეთი განუშეორებელი სხვა საქმეებში, ვერ გახლდათ მაინცდამაინც კარგი დიასახლისი.

აქ ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ამ სამი დღის განმავლობაში, რაც სახლის მონესრიგებას დასჭირდა, მიუხედავად თავისი ღრმა მწუხარებისა ქ-ნმა ოქტავმა დიდი სიხარული განიცადა. მას უყვარდა ნივთებისთვის ადგილის მიჩენა და განსაკუთრებით — ადგილის შეცვლა (თექვსმეტი წლის ქორწინების განმავლობაში ოთხჯერ გამოიცვალა ბინა, აქედან ორჯერ მხოლოდ და მხოლოდ ცვლილებათა სურვილით). ქ-ნ ოქტავს არასდროს მოსწონდა არტურების მისაღები ოთახის ავეჯის განლაგება. დალაგების მომიზეზებით ძირფესვიანად გადააკეთა ის, მოშალა პატარა მყუდრო კუთხეები, რომელიც ასე უყვარდა გარდაცვლილს და მისაღებს ზოგადად უფრო დიდებული იერი მიანიჭა. საღამოს არტურმა მხოლოდ თავშეკავებული ენთუზიაზმი გამოამჟღავნა, ამდენმა ყურადღებამ განაიარაღა. ნახალისებული ქ-ნ ოქტავი ზედა სართულს ეცა. იმ საბაბით, რომ მეუღლეთა ოთახი, ცხადია, აღარ იყო საჭირო, იქ ავეჯის გადაადგილება დააპირა. აქ კი არტური შეენინაღმდეგა, თავის გრძობათა და ჩვეულებათა ანგარიშის განვევა მოითხოვა. ქ-ნ ოქტავს ტერმინთა მოჩვენებითი ურთიერთგამომრიცხაობით თავი არ შეუნუხებია და უბასუხა, რომ მას გული ან არ ჰქონდა ან მეტისმეტად დიდი ჰქონდა. გული არ ჰქონდა იმიტომ, რომ აპირებდა იმ ოთახში დაძინებას, სადაც ყველაფერი გარდაცვლილს მოაგონებდა. და მეტისმეტად დიდი ჰქონდა იმიტომ, რომ ეს მოგონებები აეკვიატებოდნენ, არ მოასვენებდნენ, ღამეებს გაუმწარებდნენ და გუნებას გაუფუჭებდნენ.

— მიდით, მიდით, არტურ, დაფიქრდით. ერთ დღეს მადლობას გადამიხდით.

ალაღბედზე არტურმა მაშინვე გადაუხადა მადლობა. ფიქრობდა, რამდენიმე დღეში ეს ქარიშხალი ჩადგებოდა, შეძლებდა ცხოვრების ჩვეულ რიტმს მიბრუნებოდა, თავის საძინებელს და მისაღებს პირველად მდგომარეობაში დააბრუნებდა. ვაგლახ, ქარიშხალი არ ცხრებოდა. ქ-ნ ოქტავმა ფიცი დადო: მისი ფიცი წმინდათა წმინდა იყო. თვითონ დაიქირავა რა მოახლე, მასზე პასუხისმგებელიც თვითონვე იყო. ყოველ დღით მოდიოდა მისი მუშაობის თვალყურის სადევნებლად. ნაშუადღევს შემოივლიდა მეორე დღის მენიუს შესარჩევად, საყიდლების დასავალდებლად. დროდადრო მხოლოდ იმ მიზნით, რათა შეემონებინა, ნამზადი რიგიანი თუ იყო, თავს სადილზე იპატიყებდა. ოთხკუთხა მაგიდასთან ერ-



თადერთი ადგილი იყო თავისუფალი, გარდაცვლილის. ქ-ნმა ოქტავმა შეუმკრთალად დაიკავა. მაგრამ ტაქტი ყოფნიდა, რომ თავისი შენიშვნები მხოლოდ სამზარეულოში გამოეთქვა სადილის დამთავრების შემდეგ.

რალა თქმა უნდა ქ-ნი ოქტავი ანგარიშებსაც ადევნებდა თვალს. სხვა ვინ შეძლებდა ამის გაკეთებას? მიუხედავად დიდ საქმეთა მოხერხებულად მართვისა, საბრალო არტურს ამის თავი ნამდვილად არ ჰქონდა. უღრან ტყეში მარტო მიმავალი კაცივით იყო გაქურდული. ერთ დღეს თავისი მეგობრის ანგარიშების წიგნი აღმოაჩინა და ქ-ნმა ოქტავმა ფრიად გაიხარა იმ ფაქტის დადგენით, რომ მისი განმგებლობის დროიდან ხარჯი ბევრად ნაკლები იყო. დანახარჯის ამ შემცირების თაობაზე საუბარს არტურთან ქ-ნ ოქტავს ელემენტარული დელიკატურობა უკრძალავდა, მაგრამ სჯეროდა, რომ იმანენტური სამართლიანობა იზეიმებდა და ერთ დღეს არტური თვითონვე შეამჩნევდა ამ სხვაობას და მას ქათინაურს ეტყოდა. ქ-ნი ოქტავის სიამაყეს მაინც ერეოდა სინდისის ქენჯნა: მისი მხრიდან უფრო პატიოსანი საქციელი არ იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ ერთი მჭამელით ნაკლები იყო ოჯახში? მაგრამ, მეორე მხრივ, რა სიტყვებით უნდა გადმოეცა ეს? „ერთი მჭამელით ნაკლები...“ ასეთი ძვირფასი გარდაცვლილზე საუბრისას? ძნელი იყო, უნდა დამეთანხმოთ.

ასე გაგრძელდა რამდენიმე თვე. მიცვალებულის მოგონება ნელ-ნელა მიიწვავდა. ქ-ნი ოქტავს რაც შეეხება, განუხრელად ასრულებდა მიცემულ სიტყვას. ზრუნავდა არტურსა და მის ვაჟებზე, მეთვალყურეობდა მათი თეთრეულის გამოცვლას, ტუქსავდა, როდესაც ავინყდებოდათ პარიკმახერთან წასვლა. ერთ დღეს არტურმა სამადლობელი ვახშამი გამართა. ვახშამი თავისთავად უკვე მნიშვნელოვანი იყო. თორმეტი სტუმარი გახლდათ მოწვეული. რა თქმა უნდა ოქტავები. მამ ასე, ქ-მა ოქტავმა, როგორც კარგად აღზრდილ ქალს შეეფერება, შეადგინა პატარა, ხუთ-ექვს წინადადებიანი სიტყვა, მიძღვნილი დიასახლისისადმი, რომელთანაც იყო მინვეული, სადაც დელიკატურად ასხამდა ხოტბას. იმ წუთს, როდესაც ჩვეულებით გატაცებული სიტყვის თქმასა და კერძების შექმნას შეუდგა, მიხვდა, რომ ამ შემთხვევაში ამ ხოტბას არანაირი აზრი არ ჰქონდა, რადგან ამ კერძების მომზადება მისი გადაწყვეტილი იყო, მან შეიძინა პროდუქტი და უკანასკნელ წვრილმანებამდე მისი ზედამხედველობით მომზადდა ყველაფერი, ბულიონიც კი. აქ, ამ კერძების პირისპირ, ქ-ნი ოქტავმა შეიგნო, რომ ყველაფერი შეცვლილიყო, რომ თვით მისი ცხოვრებაც გადასხვაფერებულიყო და თუ ის ქ-ნი ოქტავი-სტუმარი იყო, ამავე დროს უფრო იდუმალად, უფრო მოუხელთებლად ის ქ-ნი ოქტავი-სახლის დიასახლისი გახლდათ. რომ ეს კერძები, გასაოცარია, მაგრამ თვითონვე მოართვა და თვითონვე მიირთმევდა. მიირთმევდა თავის მეუღლესთან ერთად, მაგრამ მოართვა არტურთან ერთად...

ამ აზრმა, არ კი იცოდა რატომ, გაანითლა. ამ გრძობამ ააზვირთა მისი ფართო კორსაჟი და კამეა, რომელიც გულზე ეკიდა. მისმა შეშფოთებამ იმატა, როდესაც მოგვიანებით ერთმა სტუმარმა ხოტბა შეასხა ცხვრის შემწვარ ხორცს, არტურმა კი ჩუმად გადახედა და მიანიშნა, რომ ქათინაური მას ეკუთვნოდა. და ეს შეშფოთება გაღიზიანებდა ექცა, როდესაც, კიდევ უფრო მოგვიანებით, დანოლისას ოქტავი, თავისი საძაგელი ხასიათის ერთგული, სადილის ზომიერ გაკრიტიკებას შეუდგა.

— ვერ იყო საუკეთესო არტურის ღვინოები, — თქვა საწოლზე ჩამომჯდარმა, თან წინდებს იხდიდა.

ჩვეულებრივ ქ-ნი ოქტავი სიამოვნებით ეთანხმებოდა ხოლმე ამ შენიშვნებს. ამჯერად კი ისეთი გაკაპასებით შეედავა, რომ მის ქმარს და თვით მასაც გაუკვირდა. უთხრა, რომ ქმარს არაფერი გაეგებოდა ღვინოებში, რომ ღვინოები იყო შესანიშნავი და რომ არტურისთვის ვერაგულად ორმოს თხრას (მისი ტერმინი რომ ვიხმაროთ) ერჩია მისნაირი მარა-

ნი ჰქონოდა. ღვინოები არტურის შერჩეული იყო, ქ-ნი ოქტავი ამაზე არანაირად არ გახლდათ პასუხისმგებელი, მაგრამ უნებურად მისი მხარე დაიჭირა.

ეს ვახშამი ქ-ნი ოქტავის ცხოვრებაში მნიშვნელოვან თარიღად იქცა. ჩვეულებად ექცა უფრო ხშირად საუზმობა არტურებთან და მთელი დღის მათთან გატარებაც იმ მიზნით, რათა მისი ზედამხედველობით საქმელ-სასმელი უფრო გემრიელი და დახვეწილი ყოფილიყო. მხოლოდ შინამოსამსახურის, ერთი თხუპნია გომბიოს, მზრუნველობის იმედად დარჩენილი საბრალო ოქტავი ნუნუნებდა. ქალბატონი ოქტავი გესლიანად საყვედურობდა: პრიმო, რომ არაფერი გაეგებოდა იმ წმინდათა წმინდა მისიისა, მან რომ იკისრა მომაკვდავის სასთუმალთან, და, სეკუნდო, რომ საერთოდაც ერთი ბედოვლათი იყო. აი ეს აზრი ჩამოუყალიბდა საკუთარ ქმარზე. ცხოვრობდა რა უმეტესად არტურებთან და ხედავდა, როგორ იკლავდა თავს კაცი თავისი მოვალეობის შესასრულებლად, ქ-ნმა ოქტავმა გადახედა თავის ადრინდელ თვალსაზრისს ამ ორი კაცის წარმატებებში ბედისა თუ მდგომარეობის როლის თაობაზე. ახალ ყოველგვარი სინაზის გარეშე დილით ქმარს ღვინოში შეუძახებდა ხოლმე: „აბა, ადექი. ამ დროს არტური უკვე თავის კაბინეტშია“.

ამ დრომდე ქ-ნი ოქტავი ყოველთვის ამაცობდა, რომ ლიცეუმში მის შვილებს, ზოგადად, უკეთესი ნიშნები ჰქონდათ, ვიდრე არტურის ვაჟებს. იმ ვახშამის შემდეგ ამას განიცდიდა. არ უნდა მიეცა საბაბი, რომ სამოთხიდან გარდაცვლილს მისთვის ესაყვედურა, მხოლოდ ჩემი ვაჟების ჯანმრთელობასა და ჩაცმულობაზე ზრუნავ და არა სწავლა-განათლებაზე. მაინც საჩოთირო საქმე იყო. არტურის ვაჟები ერთი უკვე თხუთმეტიცოდადნენ, ხანდახან მადლიერებასაც გამოხატავდნენ. ეს მოწინებდა და მადლიერება გარკვეულწილად ამორებდა მათ. ამგვარად, არც კი ფიქრობდნენ მისთვის თუნდ დღიურები ეჩვენებინათ — მითუფრო, რომ სულ ცუდი ნიშნები ჰქონდათ. ამ პირობებში როგორ დაეტუქსა? ქ-მა ოქტავმა ძალა გამოიჩინა. ერთ კვირა დღეს, როდესაც არტური ექსპორტატორთა კონგრესზე იყო წასული, ვითომ სასხვათაშორისოდ თქვა:

— მამათქვენი აქ არაა, დღიურებზე ხელი რომ მოგიწეროთ. შესაძლოა დაისაჯოთ. ერთ-ორ საბოდიშო სიტყვას მივწერ პროვიზორს.

უფროსმა, რომელიც კითხულობდა, არაფერი უპასუხა; ქ-მა ოქტავმა უფრო ყოჩაღად, მაგრამ გულის ფანცქალით განაგრძო:

— ანდა მე თვითონ მოვანერ ხელს. ეს უფრო იოლი იქნება.

ძალა მოიკრიბა და რადგან ორივეს დღიური საშინელი იყო, არავითარი შენიშვნა არ მისცა. შემდეგ შაბათს ყოველგვარი ეჭვის ჩრდილის გარეშე შეძლო კვირის შედეგებზე ინფორმაციის მიღება. სამი წუთის შემდეგ საქმე მოგვარებული იყო: არტურის ვაჟები ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ: ერთს კვირას კინოში წასვლა აეკრძალა, მეორეს მინიგოლფის ყოველკვირეულ პარტიაზე. საქმის კურსში ჩაყენებულმა არტურმა ვერ შეძლო ამ გადაწყვეტილებათა შეცვლა. არ იყო მართალი ქ-ნი ოქტავი? განა შეიძლებოდა ამ ორ ბავშვს კვირა დღე გართობაში გაეტარებინა, როდესაც განვლილი კვირის ნიშნები ასე სავალალო ჰქონდათ? მძიმე კვირადღე იდგა. არტური თავმოებურებული იყო. თავის ოთახში ჩაკეტილი ბიჭები გაბუტულნი იყვნენ, მისაღებ ოთახში კი მამაცი და მშვიდი ქ-ნი ოქტავი საკუთარ თავს ემუსაიფებოდა. არ იყო მართალი?

მართალი იყო. ამ რკინის რეჟიმის ორი თვის თავზე ბოლო თხუთმეტი არტურების ვაჟებმა დამსახურებულად დაიკავეს მეექვსე და მესამე ადგილი. პროვიზორმა მოსულმა არტურს და მიულოცა შვილების წარმატება, გახარებულმა არტურმა შვილებს ველოსიპედი აჩუქა. სამაგიეროდ, ვაგლახ, მამის დაუდევარ მზრუნველობას მინდობილი პატარა ოქტავები

სწრაფად დაგორდნენ იმ ფერდობზე, სადაც ასე მხიარულად ავიდნენ პატარა არტურები. მათი შედეგები სავალალო იყო. ქ-ნ ოქტავს ეს თითქოს არ ადარდებდა. მაგრამ დიდი სცენა მოუწყო არტურს, თან ძალზე პათეტიკური, იმ დღეს, როდესაც ხმა გავრცელდა, რომ იგი კინოში თავის მდივან ქალთან ერთად ენახათ. ამო იყო იმით თავის მართლება, რომ არტური ქვრივი გახლდათ და ცოლის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ არავის შეეძლო მისთვის მოეთხოვა ყოველგვარ გართობაზე აელო ხელი. ქ-ნი ოქტავი შეეპასუხა, რომ ის უბედურია ამგვარი რამეების გაგონებით, რომ მისი სიტყვები იმდენადვე შეურაცხყოფელია ძვირფასი გარდაცვლილისთვის, რამდენადაც იმისთვის, ვისაც მან გარკვევით დააკისრა მის ოჯახზე მზრუნველობა, ანუ მისთვის, ქ-ნ ოქტავისთვის, რომელსაც ვერაფერი შეუშლის ხელს ამ მისიის წმინდა აღსრულებაში.

— მაგრამ, სესილ, იფიქრეთ ჩემს საღამოებზეც. მე მთლად მარტო ვარ ამ დიდ სახლში...

ქ-მა ოქტავმა მიიღო გადაწყვეტილება. საღამოს ნავახშმევს მიდიოდა არტურებთან (თუ იქ არ ვახშობდა, მთელი დღის იქ გატარების შემდეგ). თამაშობდნენ ლოტოს ან ბრიჯს, რაღაც მათ გამოგონილ სახეობას ორ კაცზე, ძალზე გამარტივებულს. უეჭველია, არტური არ იყო მთლად კმაყოფილი საქმის ამგვარი მოგვარებით. ისიც უეჭველია, რომ საბოლოოდ არ უთქვამს უარი დროდადრო ბიუროს გარეთ შეხვედროდა თავის მდივან ქალს. ყოველ შემთხვევაში უცნაური სინთლე აუვიდოდა ხილმე გამელოტებული თავის კინკრიხომდე, როდესაც ზოგიერთ საღამოს ქ-ნ ოქტავს აცნობებდა, რომ ხვალ საქმიანი ვახშამი ჰქონდა და საკმაოდ შეაგვიანდებოდა. მაგრამ არაფერი მუღავნდებოდა და ქ-მა ოქტავმა კარგად იცოდა, რომ კაცებს ზოგჯერ ხელი უნდა შეუწყო. სამაგიეროდ, მთლად მიტოვებული და უყურადღებოდ მიგდებული, ურთიერთსაყვედურებით აღვსილ ოქტავების ოჯახში საქმე ცუდად მიდიოდა. ოქტავი მიეჩვია კაფეში სიარულს და ვულგარულ ამხანაგებთან შეხვედრას, რომელთა ჩამოშორებასაც ქორწინების პირველ ხანებში მისმა ცოლმა დიდი ძალღონე შეაღია. თამაშობდა კარტს, ბევრს სვამდა, ბევრს ენეოდა, ეარშიყებოდა მიმტან ქალებს, გვიან ბრუნდებოდა შინ, იღუპავდა ჯანმრთელობას. ქ-ნი ოქტავი ამაზე არ ღელავდა. სინდისი სუფთა ჰქონდა. რა, არ იცავდა თავის მიცემულ სიტყვას? როდესაც შინ მიბრუნებული უნესრიგობას ხედავდა, სამ საათზე ისევ აულაგებულ მაგიდას და თავის ქალიშვილს ინტიმური გაზეთით ხელში (აშკარად ცუდი ნიშანია), უცნაურად ამაყი ამოხვრით ამბობდა:

— აჰ! ამას არტურებთან ვერ ნახავთ!

ხალხი

მალტის ორდენის კავალერს და, აღარ ვიცი, რომელი პაპის შთამომავალს, რაღა თქმა უნდა არაპირდაპირს, კომიტ/გრაფ ?/ ეყენის ვატიკანში თავისუფლად შესვლის უფლება ჰქონდა. მან იქ წავიყვანა სამსახურში შვეიცარიელ მცველთა ჩადგომის სანახავად. მაღალი ჟანგმინისფერი ფასადები, შვეიცარიელ მცველთა ყვითელი და ლურჯი ლენტები, სასახლის დაცვის ომალის დუკასებური უნიფორმა, პრელატთა მოიისფრო-ვარდისფერი მოსასხამები, ძალზე ცოცხალ ფერებში გამოწყობილი რამდენიმე ქალი, ეს ყველაფერი საკმაოდ ჭრელ სანახაობას წარმოადგენდა. კომიტ ეყენიო, აღფრთოვანებული, კრუტუნებდა. სნობიზმით გადარეული ყველგან დარბოდა, თავნიწნანეულე, იმდენად აეტაცებინა თავგამოდებას, აქეთ-იქით სიცარიელეში საღამოს იძლეოდა იმის შიშით, ვინმე არ გამომჩრქესო, ეამბორებოდა ხელებს მანამდე, სანამ დაინახავდა, ვის ეკუთვნოდა ისინი, გარშემო აფრქვევდა ბუნდოვან, მაგრამ ყოველთვის სასიამოვნო სიტყვებს იმ ქალივით, პუდრის ფუნჯს რომ ამოძრა-

ვებს და სურნელს აფრქვევს. „რა ფაქიზი სუნამოა!“ ეუბნებოდა ვინმე ქალს. შემდეგ, ფრანგულად და უთუოდ გაუცნობიერებულად (ორ ნაბიჯში პრელატი იდგა და ეყენიო იცოდა, რა უნდა მიეგო ეკლესიისთვის) ჩაილილინებდა: „შენმა სურნელმა შემილიტინა და გამომაცოცხლა!“ და სრულიად მოულოდნელად პრელატს კურთხეული ღიმილი გადაუვლიდა სახეზე.

ცერემონია დამთავრდებოდა და იმაზე ზრუნავდა ეჩვენებინა, რომ აქ შინაური კაცი იყო, კომიტ ეყენიო დაბალ დარბაზში მიგვაჩაქჩაქებდა, სადაც მცველები ჯავშანს იხდიდნენ. უეცრად ოფიცერს გადაეყრებოდა, რომელსაც ეყენიო, რაღა თქმა უნდა, იცნობდა (მთელ რომს იცნობდა), მაგრამ რომელსაც აშკარად არ მოსწონდა, რომ ქალები მის ჰოპლიტა* გახდის საყურებლად იყვნენ მოსულები. „ნამდვილი რომაელი ხართ“, ეუბნებოდა ეყენიოს. შვეიცარიული დაჟინებით ხაზს უსვამდა: „ნაღდი რომაელი.“ ეყენიო მშვენივრად ხვდებოდა ნიუანსს, მაგრამ არად აგდებდა. იცინოდა, ცქმუტავდა, წინ და უკან დარბოდა, ჯავშანზე თითს აკაკუნებდა, რათა მისი ხმოვანება შეგვეფასებინა, მსუქან ჯვარისკაცს გამოელაპარაკებოდა: „საიდან ხართ? — ფრიბურგიდან. — ფრიბურგიდან? იცნობთ მარკიზ დე მონჟენოს?..“

რის შემდეგაც წამოგვიყვანა და მთელი სული და გულით გაგვანდობდა: „უცნაული ლამეებია (ენაც ეჩლიქებოდა). შვეიცარიული დაცვის გენეალური, ბალონი პფიფელ დ'ალტიმოვენი, ლომელსაც მე, გაგეცინებათ და, ბალონ დ'ალტიმოს** ვეძახი, მოკლედ, ჩვეულებრივ საერო ტანსაცმელში, სათვალეს ატარებს, მაგრამ უნიფორმაში გამოწყობილი იხსნის, რადგან აღმოაჩინა, რომ იმ დროს მონოკლები არ არსებობდა. სასაცილოა, ალა?“ დასაკვნიდა თვალგაბრწყინებული, თითქოს ისტორიის დიდი საიდუმლო გაგვიმხილაო.

სქელუა ამედეო ძალზე მორიდებული კაცი იყო, დედას ჰყავდა დატერორებული, ფეხსაცმელსაც ვერ ირჩევდა თავისთვის დედის დაუკითხავად; ორმოცდაათ წელს მიტანებული საროსკიპოებით კმაყოფილდებოდა. ერთმა პანსიონერმა ბოლოსდაბოლოს საკმაოდ ცხოველი გრძნობები აღუძრა. იქიდან გამოიყვანა და შემოგარენის ერთ სამიკიტნოში დაასახლა, სადაც უქმეებზე, ვითომდა ნადირობის მომიზეზებით, მიდიოდა. ბედნიერი იყო. ქალი უსაქმურობით გასუქდა. მაგრამ ზოგჯერ ამაღლოს ემართებოდა ის, რასაც განძის სიძნელეებს უწოდებენ. ჰოდა უკან გაისტუმრა ახალგაზრდა პერსონა თავის საროსკიპოში იმ პირობით, რომ მივიდოდა მის წამოსაყვანად, როდესაც რაიმე საბაბით დედამისს პატარა თანხას გამოსტყუებდა. ყოველი მისვლისას ბოთლი შამპანური მიჰქონდა, პატიჟებდა მიკიტანს. ჰოდა, ნავიდა! მხოლოდ ერთხელ ნახეს.

„ცხოვრება წარმტაცია!“ რაც კაცობაში შევიდა, გუსტავი ამ აზრზე დადგა და აღარასდროს უღალატია. ამან უარი ათქმევინა რამდენიმე სამსახურზე, რომელსაც შეიძლება მორგებოდა. „ცნობისმოყვარე ვარ, იმეორებდა ის, დიდი ცნობისმოყვარე. ცხოვრება მაინტერესებს ყველანაირი ფორმით. ხელობამ შესაძლოა შემზღუდოს.“ აგრეთვე არასდროს არაფერი უკეთებია. აჰ, სხვათა შორის, ესპანურს სწავლობდა. ხუთ წელიწადში გარკვეულ წარმატებას მიაღწია და ახლა ძლივძლივობით შეეძლო ესპანურად პატარა ამბების მოყოლა. ამოდ ეუბნებოდნენ, ესპანურისა არა გაგეგება რაო. მაინც ჰყვებოდა, ხარხარებდა და სწყინდა, სხვებიც რომ მასავით არ იცინოდნენ. მოთმინებით იმედოვნებდა, რომ სერვანტესის ნაკითხვასაც შეძლებდა დედანში. ეს იქნებოდა არაჩვეულებრივი ფანჯარა, გაჭრილი უცხო სამყაროში. მაგრამ მისი ძმისშვილი და ბიძაშვილი მექსიკის დე-

* მძიმედ აღჭურვილი მეომრები ძველ საბერძნეთში
** Artichaut –არტიმოკი

პორტაციიდან რომ დაბრუნდნენ, ერთი კითხვაც კი არ დაუსვა და, დაუდევარი თავაზიანობით, თავის თავზე, თავის ჯანმრთელობაზე და ახალ მერძევეზე ელაპარაკა, მის ქუჩაზე რომ გადმოსულიყო ახლახან. ლაშქრობამ მხოლოდ ძალზე შეზღუდული ინვესტიციები მოუტანა, პარიზში ბინა აიღო, მაგრამ წელიწადში სამჯერაც კი არ სცილდებოდა ვიქტორ ჰიუგოს ავენიუსს. როდესაც ვინმე პროვინციელი ნათესავი მოსწერდა და სთხოვდა დახმარება გაენია, ბუკინისტებთან რომელიმე წიგნი მოეძებნა ან თეატრში ადგილები დაეჯავშნა, თავის შეწუხების მაგიერ ("იმდენი საქმე მაქვს!") ოთხგვერდიან წერილს მისწერდა, სადაც სპექტაკლს აღწერდა ან იმ წიგნის ნაკითხვას არ ურჩევდა. თუ ნათესავი მაინც ჩამოვიდოდა, გუსტავი მძღოლის გვერდით ჯდებოდა. „მე გატარებთ, უჰ, ეს ცალმხრივი მოძრაობები...“ და ფოლი-ბერჟერის ნაცვლად პორტ-დორესთან აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

მხატვრობის შემოდგომის სალონზე კატალოგს რომ ჩავეყურებდი, ერთი პენსიანია გამომელაპარაკა: „უკაცრავად! ვერ მეტყვი, სად ვარ? დიუვილიე მქვია, მხატვარი ვარ, ხომ გესმით, კატალოგი, ასი ფრანკი...“ ვუთხარი: „თქვენ 3012 ნომერი ხართ.“ კილომეტრობით პეინაჟებს მივუყვებოდი. აი, 3012. „ღმერთო ჩემო! თქვა სათვალისნა, შეეშალათ. მე სენაზე მთვარის ეფექტი გამოვფინე. მართლაც უცნაური მთვარე იყო. 3012 ყვითელი ყვავილების თაიგული იყო ვაშლებით. დიუვილიე განცვიფრებული იყო. „იფიქრებენ, რომ ეს ჩემია. ვერ იცნობენ ჩემს მანერას.“ მიუახლოვდა ტილოს, შეეხო, უკან დაიხია: „არც ისე უბადრუკია, ჩაინიშნეთ...“

და უეცარი უიმედოდ: „დოქიც რომ ყოფილიყო!“

სამოცს კარგად გადაცილებულმა, დანტეს პროფილიანმა ანჟელომ, მზარეულმა, კიდევ მოხიბლა თავისი პატრონი, თავისივე კბილა ამერიკელი ქალი. ქალმა ის ლოგინში ჩაიგორა და ძალაც დაატანა, პირველად ცხოვრებაში უწინდებოდ დაეძინა. რაველოს მშვენიერ ვილაში ანჟელოს ახლა უზრუნველყოფილი ცხოვრება ჰქონდა, როგორც იტყვიან, გაკეთდა შავი დედალივით. აგავებსა და სტატუებს შორის სეირნობდა მთქნარებ-მთქნარებით. რალა თქმა უნდა, აღარავითარი სამზარეულო. ამერიკელმა სხვა მზარეული აიყვანა, ანჟელოს ძველი მეგობარი, რომელიც მდგომარეობის გათვალისწინებით ანჟელოს ახლა პროფესორს ეძახდა. ანჟელო ხანდახან მაინც წუნუნებდა. „რომში წამიყვანა. რა მოგ ზაურობა, რის მოგ ზაურობა! მუზეუმში წავედით. იქ ერთი საათი იდგა მადონას წინაშე. დალაპარაკება მინდოდა, გამაჩუმა. დრო რომ გამეყვანა, ვილოცე-ლოცვა დავამთავრე და გმობა დავინყე. ბოლოს როგორც იქნა გამოვედით. ახლა უნდა რომ განეკორწინდე. და ჩემი საბრალო ცოლი? და მერე, იტალიაში, მგონი, ეს აკრძალულია. შვეიცარიაში სურს წამიყვანოს. არაა მოსაბეზრებელი?“

ჟენევაში, უადრესად ლიტერატურულ სალონში ბუმბულებითა და მძივებით მორთული ორი შლიაპიანი ქალბატონი. — პოლეთ, ისევ ჰეიდეგერს?

— როგორ? არ გაგიგიათ?! სრულიად შემოვავტრიალე ნავი. ისევ ჰეიდეგერი, მაგრამ კიჩოთი კიერკეგორისკენ.

— ორივე ერთად? არ გეშინიათ!

მაშინ პოლეთი, ძალზე გაბედული, თვალების ლამაზი ფახუნით: „რისკზე მივდივარ.“

შემდეგ მე მომმართა ჭირვეულმა: „მელაპარაკეთ ჰეიდეგერზე“.

მე: ჰეიდეგერი, ქალბატონო? სახელი ძლივს ვიცი.

ქალი აღფრთოვანებულია: „ესეც ძალიან ლამაზია!“ თავის მეგობარს: „როგორ მართობს!“

ეს კარგი აზრი, ვაგლახ, დიდხანს არ გაგრძელებულა. ორი წუთის შემდეგ ზურგსუკან მისი ხმა გავიგონე: „ოჰ, ეს, ეტყობა, ბულვარული ავტორია.“



მხატვარი ნოდარ ბადურაშვილი

სრულიად პატარა, კატეგორიული, მამალივით ნერვიული, მბრძანებლურ ცხვირიანი ჟოზეფი მწერალი იყო. მაგრამ 1929 წელს გამოქვეყნებული, სხვათა შორის შესანიშნავი, ესეის შემდეგ ერთი ბნკარიც აღარ დაუნერია. დიდხანს ამას ცოლს აბრალებდა. „სულ ლაპარაკობს, ლაპარაკობს. როგორ უნდა ვიმუშაო? და ვერც ვცემ, ჩემო კარგო. ჭლექიანია.“ დაქვრივებულმა და ხელახლა დაქორწინებულმა სხვა გამართლება მონახა: „ძალიან უყვარს წესრიგი. ეს სულს მიხუთავს!“ ძალით მივყავარ, ალებს კარადას: „ერთი ამას შეხედე. კალსონები, ცხვირსახოცები, შალეული, დასტა-დასტა დანყობილი.“ ამით დათრგუნული იყო. შემდეგ ერთმა ნაწარმოებმა ეჭვის ჭია შეუჩინა: ემილის ნაწარმოებმა. ემილი სახელგანთქმული იყო. ჟოზეფს მიაჩნდა, რომ სულ ტყუილ-უბრალოდ და ბევრი დრო გაატარა ბევრ კაფეში, რათა აეხსნა თუ რატომ. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ემილი ამას განიცდიდა. დიდების მწვერვალზე იდგა, მისი პიესები ყველგან იდგმებოდა, მხოლოდ ეს ერთი შეუწყობელი ხმა აბეზრებდა თავს. — ბოლოსდაბოლოს რას მსაყვედურობთ? — ჰკითხა მან ჟოზეფს.

— შექსპირი რომ არ ხართ, — უპასუხა გაყინულმა ჟოზეფმა.

ემილი გაქვავდა. რას არ მისცემდა, ოღონდ ამ ჯიუტი ოპონენტისთვის თავი მოეწონებინა. ბოლოს შუადღისას საუზმეზე დაპატიჟა შინ, ფეხქვეშ გაეგო, იქამდეც მივიდა, რომ იმ ცნობილი ესეიდან მთელი ნაწყვეტები ზეპირად წაუკითხა.

ჟოზეფი გახევებული რჩებოდა. როგორც კი ემილი, ძალზე გულითადი, წამოისროდა: ერთი იდეა მაქვსო, ჟოზეფი, მშრალად მოუჭრიდა: „მე მეტი მაქვს“.

საუზმის შემდეგ ერთად გავიდნენ. ვესტიბიულში ჟოზეფმა შეკვრა აიღო, რომელიც, ეტყობა, იქ შემოსვლისას დატოვა, საკმაოდ დიდი ბრტყელი შეკვრა, გაზეთში გახვეული. ბაასით ჩაუყვანენ მალეზერბის ბულვარს. მადლენის მოედანზე რომ გავიდნენ, ჟოზეფმა განაცხადა, ავტობუსით უნდა წავიდეთ. ემილი დაელოდა. ავტობუსი მოვიდა. ჟოზეფმა ხელის ერთი მოძრაობით გახსნა შეკვრა, იქიდან ვატერის სათვალე ამოიღო და ემილის გაუნოდა.

— თქვენი დურბინდია. საუზმის შემდეგ აგნანეთ. აიღეთ.

და ავტობუსს შეახტა, დატოვა ემილი, სახელგანთქმული მწერალი, მადლენის მოედანზე, დურბინდით ხელში.

ჯერ მის გულკეთილობაზე უნდა ვილაპარაკოთ: ერთ დღეს ძალზე მნიშვნელოვანი სამსახურის განევა ვთხოვე, უყოყმანოდ შემისრულა. მის რწმენაზე, რომელიც პატივისცემას იწვევდა. მის ცხოვრებაზე, რომელიც თავისებურად დიდი იყო. ოცდაათი წლის ასაკში დაქვრივებულმა და უსახსროდ დარჩენილმა შეძლო სამი შვილის გაზრდა და ბრწყინვალე მდგომარეობის ზღურბლამდე მიყვანა. ამ ყველაფრის ფონზე რაღა განსასჯელია მისი პანანა თავმომნონეობა? და თუ ამაზე მაინც ვილაპარაკებ, მხოლოდ მეგობრულად. ორისამი პატარა რაღაც იცოდა მუსიკაში. რაღა ვილაპარაკოთ მოყვარულთა თვითკმაყოფილი დარწმუნებულობის თაობაზე. მაგრამ ხვდება ტოსკანინის, იერიშს მიიტანს სი ბემოლზე, არ შეეპუება. ტოსკანინი იფეთქებს: „რა სულელია! ლიტერატურაში მისი ცოდნა კიდევ უფრო ბუნდოვანია“. „ოჰ ეს სავარცხელა! ამბობს ის. გახსოვთ პეგის ის მშვენიერი გვერდი სავარცხელაზე?“ თავიდან გულიბრყვილოდ კიდევ მიკვირდა, ვისში ერევა-მეთქი. მისი მექანიზმი უფრო მარტივი იყო. ხედავდა სავარცხელას. მხედავდა მე, ახსენებოდა, რომ ერთ დღეს მეტროში დამინახა, პეგის რომ ვკითხულობდი, — და ეს სხვათა შორის, იქცა: „გახსოვთ? პეგიზე რომ ვლაპარაკობდით ტერასაზე...“ ან კიდევ: „ოჰ, მარსო, არ უნდა გამოიყვანო თავისი პეგიდან. „მისთვის ეს საკმარისი იყო. მისი აზრით, პოეტია ის, ვინც ლამაზ სტრიქონებს წერს ლამაზ რამეებზე. უცნაური ის იქნებოდა, რომ პეგის, პოეტს, არასდროს ელაპარაკა სავარცხელეებზე. ან შეიძლება ფრაზის ბოლო ნაწილი გახსენებოდა და უკულმა გაეგო. ვალერიზე ვლაპარაკობდით. „ისე მიყვარს მსხლის ფორმის ლექსები.“ მონტერლანზე: „პატარა სინაზე მაქვს მისი ეპითალამიისადმი.“ მე ვაპროტესტებ. „ეპითალამია შარდონისაა“. ჩემს ხმაში რაღაც დარწმუნებულობის ნაკლებობა შენიშნა? „მონტერლანისა უკეთესია, უფრო სათუთად ნაგრძობი.“ ან კიდევ: „საბრალო კოპო! როდესაც ვფიქრობ, რომ უზიარებელი მოკვდა.“ აქ კი მართლა ვფიქრდები, ვისში შეიძლება ეშლებოდეს. რაც შეეხება მარიტენს: „ის დაქორწინდა, არა, ჩვენს ცუგრუმელა რივიერზე?“ გამოთქმას „ჩვენი ცუგრუმელა“ ძალიან ხშირად ხმარობს. სიამოვნებით ლაპარაკობს ცუგრუმელა კაზარესზე, ცუგრუმელა ვილმორენზე. კოლეტის შემთხვევაში ეს გამოთქმა იქცევა: ეს ძვირფასი კოლეტი. მხოლოდ იმით ჩამოვთვლი, ვინც ახსენდება: „კარგი გასტონი“. ვისზეც მაინც აქვს დამატებითი შენიშვნა გასაკეთებელი: „ეგეთ იერს იჭერს, არ მომტყუვდე. არც ეგეთი კარგია.“ არაა საჭირო იმის თქმა, რომ თავის სიცოცხლეში ამ ოთხთაგან არც ერთისთვის თვალიც არ მოუჭრავს, არ მიახლოებია. სხვათა შორის, სიამოვნებით რჩებოდა მიახლოებითობაში. ეს ნებას აძლევდა, თუ შეეკამათებოდი, უკან დაეხია წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე. „ეს ყოჩალი ფეიერი. აი, რას ვეძახი ნამდვილ თავაზიან ქალს.“ თუ საკითხს ჩაუვლრმავდებოდა, შევნიშნავდით, რომ ედვინ ფეიერი მხოლოდ ერთ ფილმში ენახა. „და რა? ამ ფილმში არა აქვს თავაზიანი იერი?“ ან კიდევ: „მახსენდება, რას გვეუბნებოდა კლოდელი ერთ საღამოს...“ რა საოჯახო შეკრება იყო? აჰ, საჯარო ლექცია ყოფილა. გაზეთში კითხულობს რომ ახლახან როანი ლა რომენფუკოზე დაქორწინებულა. „ვფიქრობ, რაღაცაა ცუგრუმელა როანსა და ერთ-ერთ, არ ვიცი რომელ, ლა რომფუკოს შორის.“ რა უნდა გეპასუხა? არაა მართალი? ან: „ოჰ, ეს ფორმალობები! საბედნიეროდ, საელჩო მომიგვარებს.“ სინამდვილეში ეს ნიშნავდა, რომ ის მივიდა ცხაურთან დაბეჭდილი ფორმულარის გამოსატანად. მაგრამ ზოგჯერ მაინც ტყუილი აშკარა ხდებოდა. მე ზავრობისას, მატარებელში, შეხვედებოდა კაცს, რომელსაც ცოტათი იცნობდა და რომელსაც ამჯერად შემთხვევით მიანდეს საელჩოს ჩემოდანი. „იფიქრეთ მებაჟეებზე ჩვენი დიპლომატიური პასპორტები!“ რამდენიმე

წლის წინათ გარდენ-ფართოზე, სადაც სამასი კაცი იყო, ანდრე ჟიდი დაინახა, მისკენ წავიდა, თვალეები დააფახუნა: „მინდოდა თქვენს შემოქმედებაზე მესაუბრა.“ ჟიდი გვერდზე გაჰყვა. მალე მის ლულუნზე თვლემა მოერია. შემდეგ თვალეები აენთო. ქალის სახელოზე ბუზი დაინახა და დარტყმით, ხარსაც რომ მოკლავდა, მისარისა. ჩვენმა მეგობარმა შეჰკვივლა. ეტკინა. და კიდევ სისხლის ლაქა დარჩა მის თეთრი ტილოს კოსტიუმის სახელოზე, რომელიც ახალი ნაყიდი ჰქონდა. მაგრამ გული აუჩუყდა. „მოგონებად დამრჩება. მეგობრებს ვეტყვი: აი, ანდრე ჟიდისეული ლაქა!“

ფერიათა ზღაპრების ძალზე დამფასებელ ხუთი წლის კატრინს, რომელსაც და გულუხვად უყვებოდა ზღაპრებს, თვითონაც მოუნდა ამბის მოყოლა. „ჯერ, თქვა მან, იყო მკვდარი ბავშვი.“ მაგრამ ეს დასაწყისი, ეტყობა, ცოტა არ იყოს უხეშად მოეჩვენა და თავიდან დაიწყო: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბიჭი და მას ჭიანჭველა ჰყავდა ხელში, ჰოდა მოკლა ჭიანჭველა, დედამისი გაბრაზდა, რადგან ეს პატარა ცხოველი ძალზე თავაზიანი იყო. მაშინ პატარა ბიჭი ეშმაკად გადაიქცა, მაგრამ დედამ ეს არ იცოდა, რადგან მას არ ჰქონდა ნაკვებები.“

- რატომ? ეშმაკები იკბინებიან?
- ეს მე გამოვიგონე. და მაშ, ასე ბიჭი შეხვდა კარბოსს.*
- კარბოსს.
- კარბოსს და დაინახა, რომ ეს არ ყოფილა კარბოსი, რომ ეს იყო თავაზიანი, კეთილი ფერია, და მაშინ ბიჭმა ის დანვა მთელი თავისი თეთრი პირბადეებით, და იქცა პატარა კატად.“

მადამ ჟიული რომ თავად გულკეთილობა იყო, ეს ჯერ არაფერია. ზოგჯერ რომ უმადურებს გადაეყრებოდა, ეს ძალზე ბუნებრივია. ვინც აწყენინებდა, გულით და სულით პატიობდა. გაიგო რა, პოლონელი ოჯახი სილატაკეში ცხოვრობსო, შესთავაზა, დროებით თავისთან ნამოყვანა მათი ორი ბავშვი, აცმევდა, ანებებდა. ექვსი თვის შემდეგ გაბედა და მშობლებს უთხრა, ბავშვები უკან წაყვანათ. წაიყვანეს, მაგრამ მადლობაც კი არ უთქვამთ და საკმაოდ გესლიანი სიტყვებითაც გამოემშვიდობნენ. „საბრალოები, თქვა მადამ ჟიულმა, ეტყობა, ეგონათ, რომ ოფიციალური სამსახური იყო, და რომ სახელმწიფო მიხდოდა ფულს პოლონელი ბავშვების მისაღებად.“ ხელოვნების მოყვარულმა ერთი გალატაკებული პიანისტი შეიფარა. ის კი ყველგან ლაპარაკობდა, რომ ეს სტუმართმოყვარეობა ბნელ სურვილს ფარავდა, და რომ მადამ ჟიულის მასთან დაწოლა სურდა. „საბრალო ბიჭი, თქვა მადამ ჟიულიმ. თავისი თავმოყვარეობა აქვს.“ დროთა განმავლობაში, ამ ჭორებმა მაინც შეანუხა მადამ ჟიული. მოუნდა პიანისტის დათხოვნა, ხშირად გადაუკრავდა სიტყვას. კაცი ყურსაც არ იბერტყავდა.

- გადაჭრით უთხარით...
- აჰ, არა! ეს ტკივილს მიაყენებს. ხომ იცით, ეს ხელოვანნი ისეთი მგრძნობიარენი არიან.

ჯერ თავი მოიავადმყოფა, სულის გაფრთხობამდე ახველებდა, დარწმუნა პიანისტი, რომ ექიმმა შვეიცარიაში წასვლა ურჩია. „შესანიშნავია, თქვა პიანისტმა. მე მივხვდავ თქვენს ბინას.“ და, იძულებული გახდა, იმის მაგივრად, რომ ის გაეშვა თავისი ბინიდან, თვითონ მიექირავებინა, დაეთხოვა მოსამსახურე ქალი, ვისზეც ძალზე იყო მიჯაჭვული და შვეიცარიაში წასულიყო. პიანისტი გააფთრდა, ლანძღა, ფეხები ურტყა ავეჯს. „საბრალო! — თქვა მადამ ჟიულმა, — სულ პიანისოს ბრაღია, მთელი დღეები უკრავს და ეტყობა, ააფრენინა.“

* ბებერი ბოროტი ჯადოქარი

ზადეატი სიტყვა

ხელგამლილი ბუნების მადამ ოსკარი თავისი მიღებათა გამოსაცოცხლებლად ამაოდ იჩენდა ზედმეტ ენთუზიაზმს. „რა ჰქვია თქვენს შვილიშვილს? ეკითხებოდა მოხუც გენერალს. — მარიანი. — მარიანი! საოცარია! და რამდენი წლისაა? — ორი წლის. — შესანიშნავი ასაკია!“ და თითქოს იმის საჩვენებლად, რომ არაფერს უსმენდა, კვლავ გამოცოცხლებული, დასძინდა: „დარწმუნებული ვარ, პირველი თავის კლასში.“ რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა შემდეგ სტუმარზე შეტევა. იმღერებთ რამეს? სტუმარი უარობდა. ეს აძალღებდა. ეს ლულუნებდა. ბოლოს ის შესთავაზებდა მონტევერდის რალატას, *Lasciatemi morire*. „*Lasciatemi morire!*“ მადამ ოქტავი მიიბნიდებოდა. „ყველაზე მეტად მიყვარს, ჩემი უსაყვარლესი არიან! როგორ გამოიცანით, რომ ეს უნდა მოგესმენინებინათ?!“ გულმოდგინებით ატაცებული, უკეთ მოსასმენად სათვალეს იკეთებდა. ტურებმომრგვალებული მომღერალი ამოიმღერებდა რომანსს. „ბრაუო!“ ყვიროდა მადამ ოსკარი დამთავრებამდე. სიჩუმე ჩამოვარდებოდა. მის დასარღვევად მადამ ოქტავი, კაცმა არ იცის, რას ყვიროდა: „მარსო, რამდენია დღეს დოლარის კურსი?“.. რატომ დოლარის? მე რატომ მომმართავდა? და ნამსვე სხვა რამეზე გადადიოდა: „აჰ, ჩემო საბრალო მეგობარო! დიდი უსიამოვნებები მაქვს. ჩემი შილს, ხომ იცნობთ, ჩემი მაზლის ცოლს? ქმარს უღალატა ისეთი მანერით... წინდაუხედავად!“ ლაპარაკობდა და თან ზედხედ ყავის ეკლერებს სანსლავდა. „არ ვიცი, რატომ ვიკლებდი ამ სიამოვნებას. როცა ვხედავდი ამ ქალს, საყვარლები სახლში რომ მოჰყავდა.“ შემდეგ უცტრად ილღებოდა. გენერალი, ისე, რომ ადგომას არც აპირებდა, თუ იტყოდა გვიანაო, ეს იყვირებდა, მოსამსახურე ქალს დატუქსავდა. „დროზე, გენერლის პალტო!“ და საბრალო გენერალი მანამ აღმოჩნდებოდა ქუჩაში, სანამ რამეს გაიგებდა. მეც ვემშვიდობებოდი ჩემი მხრივ. „როგორ? უკვე მიდიხართ? არა!“ მაგრამ ხელს, რომელსაც უნდა შევეჩერებინე, მხარზე მადებდა და კარისკენ მბრძანებლურად მიიბიძგებდა.

ხელობით ტყავის მენარმე, ბრონხერჟე, პატარა ტანის, პატარა სახის, უოკეისავით მოსიარულე კაცი გახლდათ. უნდა ვიფიქროთ, რომ იყო ამაში რაღაც წინასწარ განსაზღვრული. ომის დროს ორნის ერთ სოფელში თავისი გვარის გამო თავშეფარებულმა აღმოაჩინა, რომ ცხენები იტაცებდა. გატაცება იმდენად ძლიერი იყო, რომ იმ დროიდან მოყოლებული თავისი კომერციაც კი ასე აღარ ართობდა. ერთ დღეს დეიდაჩემი გარდაიცვალა, მან მოიბრძინა: „აჰ, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას! თქვენი ძვირფასი დეიდა! უცბად შემოვირბინე, იფიქრეთ. ჩემი პატარა ფაშატის შეკაზმვის დროა. სხვათა შორის, გინახავთ? არა, იზაბელზე გელაპარაკებით. ჯორზე, ამ ცხოველზე, ჯორზე, გეუბნებით. მ'სიე ტანის ვაჩვენე, დორბლები წამოუვიდა. და ეს ძნელია, შენიშნეთ. ანგლო,* ძნელია მისთვის ამის გადაყვალა. ნორმანდიელია. მაგრამ ჯორი. ხუთი წლის, მეტრი ორმოცდათვრამეტი, ოქროა. წარმოიდგინეთ, ხელიდან რომ გამეშვა. ვერაფერს დაუნუნებ ამ ცხოველს. გარდა ფერისა. მიყვარს ჩალისფერი ცხენები. ცირკის ცხენივითაა. ჩემი მეგობარი შაპონიც ცხენივითაა. რასაც გინდა, გააკეთებინებ ამ ცხენს. ის კიბეზე ადის, როგორც გითხარით, თავისი და სხვა პარკის კიბეებზეც. ზარებიც რომ დაერეკინებინა, არ გამიკვირდებოდა. პენის დოღზე არბენინა. პირველი იყო და მერე წავიდა და წავიდა. ფოს პაპმა უთხრა: „ჰეი, მშვიდად!“ ეშმაკი. მაგრამ ბრძანებების შესრულება არ უყვარს შაპონს. ჰოპ და თავში მოექცა, ასე და ამგვარად, გაიმარჯვა, დიდი გაჭირვებაც არ დადგომია. აჰ, შეურაცხყოფილები დარწმუნდნენ ფოს პაპი და სხვები. მე მას ვუთხარი: „მაშ, მ'სიე დიუ ფო?“ ოჰ, ეს არ იყო თავაზიანი, კარგად ვიცი, მაგრამ ვირივით ჯიუტი ვარ, მით უარესი, რაც ვარ, ისა ვარ, არავისი არაფერი მმართებს, იმას ვაკეთებ, რაც მინდა, ბოდიში. მეყო, მთავარ თემას მივუბრუნდეთ. მაშ ასე, უცბად წავიდა, ორ წუთში, თქვენი საბრალო დეიდა?“

* ანგლო-ფრანგული ჯიში, წმინდა ჯიში შეჯვარებული არაბულ ცხენთან.

— არა, ეს არაა პუბლიკის შიში! — იყვირა გაცოფებულიმა. — რატომ უნდა მეშინოდეს? უკვე ექვსი წელია მიკროფონში ვლაპარაკობ. არასდროს შემშინებია.

— ხდება ხოლმე. — ვთქვი მე. — ვიცნობდი ერთ მომღერალს...

არ მისმენდა, თავის წინ ხელს იქნევდა თითქოს ჩემი ნათქვამის თავიდან მოშორება უნდაო.

— ეს შიში არაა. ეს უფრო...

ერთი წამით შეყოყმანდა.

— ეს უფრო სინდისის ქენჯნაა.

განცვიფრებული დავრჩი. ვარანჟო იმ პატარა ქერა კაცების რიგს ეკუთვნოდა, რომლებიც დიდად არ ინუხებენ თავს სინდისის ქენჯნით. ზოგადად მხიარული, გულითადი, პუნქტუალური გახლდათ.

— რა სინდისის ქენჯნა? ამისხენით! არაფერი მესმის.

უკვე ნახევარი საათი იყო, ეს ამბავი ტრიალებდა. ნახევარი საათის წინათ შემოვიდა ჩემს კაბინეტში და არეულ-დარეულად დამინწო ლაპარაკი სამსახურიდან გათავისუფლებაზე, წინასწარ გაფრთხილებაზე. ნახევარი საათი ვცდილობდი გადაწყვეტილება შემეცვლევინებინა.

— ბოლოსდაბოლოს რა ხდება? ასე ხუმტურზე ვინ ტოვებს სამსახურს? სხვა შემთავაზება გაქვთ? რატომ არ მეუბნებით? რამე პრობლემა გაქვთ კოლეგებთან? აქ დიქტორის კარგი პატარა კარიერა გაიკეთეთ... მეგონა კმაყოფილი იყავით...

ისიც არის, რომ კარგი დიქტორის პოვნა არც ისე ადვილია. მეტყვიან, არაა რთული. შეცდომაა. ჯერ საჭიროა სიმპათიური ხმა და სწორი არტიკულაცია. აი, უკვე ორი თვისება, რაც ქუჩაში არ ჰყრია. საჭიროა წესრიგი და მეთოდი. ინციდენტი ყოველთვის შეიძლება მოხდეს. ხანდახან საჭიროა ინიციატივის უნარიც. პროგრამები ხშირად საკმაოდ ზერელედ კეთდება. მხოლოდ დიქტორის გადასაწყვეტია, გადავიდეს თუ არა მხიარულ პოპურზე, გარდაცვალების განცხადების შემდეგ, რომელიც მთელი ერი დაამწუხრა. ბოლოს საჭიროა გარკვეული ზოგადი კულტურა. თუ დიქტორს მოეპრიანება წარმოთქვას *Brogie* ისე როგორც *ინერება ან ფრანსის ჟამი /Jammes/* როგორც *ჟიმის /James/* როგორც *მილი*, ერთი ამბავი ატყდება. უმცირეს გვატემალურ ან ლოპარულ სიტყვაზე შეიძლება დიდი აურზაური ატყდეს, ყოველთვის მოინახება მსმენელთა შორის იმპეცილი, რომელიც გვატემალაში ან ჩრდილო პოლუსზეა ნამყოფი და გამოგზავნის მკვახე, გესლიან წერილს. ვარანჟოს ყველა ეს თვისება ჰქონდა. არ მინდოდა მისი დაკარგვა.

— პირველ რიგში გავიწყდებათ, რომ — კონტრაქტის შესაბამისად — თქვენი წასვლის შესახებ სამი თვით ადრე უნდა შეგვატყობინოთ.

— გემუდარებით, ჩაერიეთ, რომ გავთავისუფლდე.

— ერთი მიზეზი მაინც მითხარით.

დაბინდული მზერით შემომხედა.

— ჩვენს შორის დარჩება?

— გაირდებით.

მამ ასე, მთელი უბედურება წერილით დანყებულა. ვფიქრობ, ახალს არაფერს გამცნობთ, თუ ვიტყვი რომ რადიოს დიქტორები საკმაოდ ხშირად ლეზულობენ მსმენელთა წერილებს. ყველაფერია ამ კორესპონდენციებში, ლანძღვა-გინება, ქებათა-ქება, მუქარა და ათა-ის აბდაუბდაა, უმეტესად კი სამიჯნურო წერილებია. ვისგან მოდიან ისინი? დიქტორებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ და არ დაინტერესდნენ, ვინ არიან წერილთა ავტორები. ალბათ შინაბერა ქალწულები ან დაცენტ-

რილები, ისეთ საშინელ მარტოობაში ჩავარდნილები, რომ ეს გულთბილი ხმები, ეს მოალერსე ხმის მიმოხვერები ადელ-ვეტო. მამ ვარანჯო არ უნდა გაეკვირვებინა ამგვარი წერილის მიღებას, ერთს მეორე მოჰყვა, შემდეგ მესამე ერთი და იმავე მსმენელისგან. მოულოდნელი ამ კორესპონდენციებში მაინც ის იყო, რომ ამჯერად ქალი მას ისე მიმართავდა, თითქოს იცნობსო. მეტიც, მისი ფრაზებიდან, ხშირად არათანმიმდევრულიდან, ისე გამოდიოდა, რომ კაცს საყვედურობდა, რომ ოდესღაც მიატოვა. „დაბრუნდი, წერდა ის, გელოდები. გპატიობ. ჩვენი გოგონა ახლა ოცი წლისაა. მე მემკვიდრეობა მივიღე. ჩვენ აღარ ვიქნებით იმ საშინელ სილატაკეში, რომელსაც გაექეცი.“ ვარანჯო, რა თქმა უნდა, ამაზე მხოლოდ იცინოდა და ახლა, როდესაც მელაპარაკებოდა, გამახსენდა, რომ ადრეც მომიყვა ამ ამბავს.

მამ ასე, გასული კვირის ერთ დღეს, როდესაც ვარანჯო სამსახურში, თავის ცვლაში მოვიდა, მეკარემ შეატყობინა, რომ მისი არყოფნისას ერთი ქალი მოსულიყო თავის ქალშვილთან ერთად და მისი ნახვა სურდა. თანამგრძნობი მეკარისთვის ქალს გაემხილა, რომ ბორდოდან სასწრაფოდ ჩამოსულიყო, რადგან ვარანჯოს ხმაში თავისი ქმრის, ადრე დახუცების აგენტად მომუშავე, ვინმე პოლ ბონევის ხმა ცხადად ამოეცნო, ოცი წლის წინათ ვინც მიატოვა. ასევე დაემატებინა, რომ გაჩერებული იყო სასტუმრო „გრანდ-ბრეტანიში“, რომ იქ დაელოდებოდა ვარანჯოს მთელი დღე და, რომ თუ არ მივიდოდა, მეორე დღეს თვითონვე მოაკითხავდა და, დარწმუნებული იყო, საუკეთესო გრძნობებს გაუღვიძებდა.

წარმოვიდგინოთ ვარანჯოს გაოგნება. გიჟი რომ წერილებს სწერდა, ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავი იყო. თუ თავს კარგავდა მისი ხმის გაგონებისას, თუ გაგებდავთ და ასე ვიტყვით, ესეც არ აკვირვებდა. მაგრამ ბორდოდან ჩამოსვლა... და თანაც ქალიშვილთან ერთად! ორივე გიჟი იყო? ვარანჯო თავისი წარსულის ქექვას შეუდგა. ამაოდ. ვერაფერი ამ ამბის მსგავსი ვერ აღმოაჩინა. არა, არაფერი, არავითარი მიტოვებული ქალი. გარდა ერთი მანიკურშასი, რომელსაც ეს განმორება ცუდად არ დაურჩა. ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა და მეკარეს სთხოვა, მეორე დღეს ქალები იმ მოსაცდელ ოთახში შეეყვანა, სადაც დიქტორთა სურათები იყო გამოფენილი. თუ ქალი მას იცნობდა, კიდევ ექნებოდა დრო ამ საქმისთვის უფრო სერიოზულად მოეკიდა ხელი. ასეც მოხდა. მეორე დღეს მომდინარემა მეკარემ აცნობა, რომ პორტრეტების გალერეაში შეყვანისას ქალმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე თითო გაიშვირა ფოტოსკენ... რომელიც ვარანჯოსი არ იყო. საქმე მოგვარდა. ქალი გიჟი გახლდათ, მისი ქალიშვილიც ან გიჟი ან თანამზრახველი ანდა უმეცარი. ამაზე აღარ ვილაპარაკოთ. ყოველთვის ხდება რაღაც ანეკდოტური.

მაგრამ მაინც ცდუნება შეიპარა ვარანჯოს სულში. რა ცდუნება? ეს კი ჩემს წინ, საწერი მაგიდის მეორე მხარეს, კვლავ თვალდაბინდულმა, შუბლზე თმაჩამოყრილმა ვარანჯომაც გარკვევით არ იცოდა.

— თავიდან ეს ამბავი მართობდა. ვამბობდი...

მაგრამ დაინტრიგადა, აიძვრა. ადვილი სათქმელია, ბედი, რომელიც გეძლევს... რადგან ეს ასე იყო. იმ ეგზალტირებულ მდგომარეობაში, რომელშიც ეს ორი ქალი იმყოფებოდა (წერილებისა და მეკარის მიხედვით), ნათლად ჩანდა, რომ მზად იყვნენ მიეღოთ სულერთია, ნებისმიერი თაღლითი რომელსაც ეყოფოდა უტიფრობა და ეტყოდათ: „მე ვარ პოლ ბონევი“. და განსაკუთრებით ამას, რომლის ხმაც უკვე იცნეს და რომლის საძებნადაც ბორდოდან ჩამოვიდნენ. ქალი ჯერ კიდევ მომხიბვლელიაო, ამბობდა მეკარე. ვარანჯო დაუქორწინებული გახლდათ, მარტო იყო ცხოვრებაში, დიდი ხნის დაოხლებული და ამას განიცდიდა. მკაცრად განსჯით? მაგრამ თქვენ თუ მოგცემიათ ცხოვრებაში ბედის შეცვლის შესაძლებლობა? დემონს ოდესმე უთქვამს თქვენთვის: „მიდი, მია-

ტოვე შენი ცხოვრება, საბრალო სულს. აი, სხვა ცხოვრება, სრულიად მზამზარეული, ხელი გაიწოდე და შენია, ერთი სიტყვის თქმა საკმარისი და შენია“. თუ ეს არასდროს მოგსვლიათ, როგორ უნდა განსაჯოთ? და ნუ დაგვავინცდება პატარა ფრაზაც მემკვიდრეობაზე. პუნქტუალურ, თავის სამუშაოს კარგად შემსრულებელ ვარანჯოს მაინც არ უყვარდა მუშაობა. სხვა ცხოვრებაზე ოცნებობდა. ოჰ, სიგიჟის გარეშე, ექსცესების გარეშე, მაგრამ არაფრის კეთება, ანკესი, ჩუსტები... მე ასე ვიფიქრე. იქნებ სხვა რამეც იყო. სხვა რამ, რაც ნათლად ვერ წარმოვიდგინე, რომელსაც ბუნდოვნად ვხედავდი გამოუჩინილ ვარანჯოს დახლართული ფრაზებიდან, რაღაც საეჭვო, ბნელით მოცული. ეს გიჟი ქალი. ეს ქალიშვილი, ალბათ ყველაფრისთვის მზადმყოფი, დედამისის ილუზია რომ გადაერჩინა. ყველაფერი ეს წყვილიადით მოცულიყო. ყველაფერი შესაძლებელი ხდებოდა. და კიდევ ცნობისმოყვარეობა. ეს ექსტრავაგანტული შემოთავაზება, გამონვდილი. მე არ ვამართლებ. ვცდილობ ავხსნა. ვცდილობ გამოვიცნო, იმ საღამოს ვარანჯომ რატომ გადაუხვია გზიდან და გაიარა სასტუმრო „გრანდ-ბრეტანის“ წინ; რატომ ვერ გაბედა შესვლა; შინ მიბრუნებულმა რატომ აიღო ტელეფონის ყურმილი.

- ალო! შეიძლება ველაპარაკო მადამ ბონეოს?
- ვინ კითხულობს?
- პოლი.
- აჰ!

ტელეფონის მეორე მხარეს წამოძახილი ნიშნავდა, რომ საბრალო ქალს ყველასთვის გაემხილა თავისი იმედები. სასტუმრო გრანდ-ბრეტანი დიდი არაა. უფრო საოჯახო პანსიონია. ტელეფონის ხაზის მეორე მხარეს დიდი ფუსფუსი შეიქნა, ჩურჩული. შემდეგ ძალზე სუსტი ხმა, რომელმაც თქვა:

- ალო...
- ალო, — თქვა ვარანჯომაც და გაბედა და დასძინა: „მე ვარ, პოლი...“

— მამ, — თქვა მან ხელებში თავჩარგულმა, — მე გავიგონე ეს სუსტი, მოცახცახე ხმა, რომელიც ამბობდა: „შენ ხარ, პოლ?“ მე გავიგონე, ბატონო, და ველარასდროს დავივინცებ. ველარასდროს.

ცრემლი სდიოდა თითებს შორის. მეტი აღარაფერი მითქვამს. გაქვავებული ვიყავი ზიზლისგან, შიშისგან, სიძულვილისგან.

— და მე დავკიდე ყურმილი. — თქვა მან. — მაგრამ ახლა, მე აღარ შემიძლია მიკროფონში ლაპარაკი. შეუძლებელია. შევეცადე. სულ ამ ქალზე ვფიქრობ, რომელიც მელოდება, ამ ქალზე, ტელეფონთან რომ მიმჯდარა. არ შემიძლია. ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ... მაგრამ ის იქაა, მისმენს, ცნობს ჩემს ხმას. ჩემს ხმას, ტელეფონში რომ მოისმინა.

რა უნდა მეთქვა?

— ვნახოთ...

საქმიანი ტონი მივიღე.

— გინდათ მის სანახავად წავიდეთ? ვეტყვით, რომ ტელეფონზე ის გააშაყირეს. რადგან თქვენი ფოტო ვერ იცნო, კარგად უნდა მიხვდეს თქვენი ნახვისას, რომ თქვენ არ ხართ მისი ქმარი. თქვენ წამოიღებთ თქვენს პირადობის მონმობას. რამდენი წლის ხართ?

— ოცდათორმეტის...

— ხომ ხედავთ! ოცდათორმეტი წლის ხართ და ოცი წლის წინათ როგორ მიატოვებდით თქვენს ცოლ-შვილს? ვერ მიატოვებდით.

— არა, — მითხრა მან. — არაფერი გამოვა. ის, რაც ჩავიდინე იქ, ვიცი, ერთ დღეს უნდა ვზღო. მე ისეთ რამეს შევხე, რასაც არ უნდა შეეხო. იმ კაცივით ვგრძნობ თავს, ღმერთს რომ სილა უთავაზა.

ფრანგულიდან თარგმნა
დალი იაშვილი

ორ ცეცხლშუა

ორ ზღვას შუა ძველისძველად საომარი იყო ლელოო, — ამბობდა დიდებული ქართველი პოეტი. ზღვებს ვინა ჩივის, რაგინდ ამღვლელებულ-აბობოქრებულყვინენ, ვერც ჩვენს ბარაქიან ბარს წაღვეკავდნენ და ვერც ამაყად ცაღანვდილ მთებს, მაგრამ თქვენ ისა თქვით, რომ გამუდმებით ორ ცეცხლს შუა ვიმყოფებოდით საუკუნეთა გრძელ გზაზე. ეს მართლაც ერთი უთქმელი გასაჭირი და ვაება იყო — ყოფნა ორ ცეცხლშუა უხსოვარ ჟამთაგან დღემდე. და აღარ თავდება ამგვარი ყოფნა, ზოგჯერაც არყოფნას რომ მოგანატრებს.

აღნიშნულმა ფენომენმა განსაკუთრებით თვალსაჩინო გამოსახულება ჰპოვა, როდესაც დასავლეთით ოსმალთა მძლავრი იმპერია დაგვიმეზობლდა და აღმოსავლეთით — არანაკლებ საშიში ყიზილბაშთა სახელმწიფო. სხვა რაღაც-რულაცების გარდა ერთმანეთს საქართველოს მინა-წყალსაც ედავებოდნენ — არა, სულ ჩემია, არა, სულ ჩემიო. ხვამიად ვერ აისრულეს და 1555 წელს, როგორც იქნა, დაზავდნენ. დაზავდნენ და ჩვენი სამშობლო შუაზე გაიყვეს: დასავლეთ საქართველოს ოსმალები დაეპატრონნენ, აღმოსავლეთ საქართველოს — ყიზილბაშები. მაგრამ ხარბნი და გაუმადლარნი თავის წილს რას დასჯერდებოდნენ. დღენიდაგ მეტოქე მეზობლის ნაალაფარზე ეჭირათ თვალი. ანკი რა არის აქ გასაკვირი? ძველადვე თქმულა: ნახევარი ნაზუქის ქამას მთელი ნაზუქის ქამა გერჩივნოსო.

...გამორჩენილი იტალიელი მოგზაური და მწერალი პიეტრო დელა ვალე (1586-1652) თავის ცნობილ თხზულებაში „Viaggi“ მოგვითხრობს, რომ ოდიშის მთავარს გულით ეწადა მტკიცე მეგობრობის დამყარება უკრაინელ კაზაკებთან, შავ ზღვაზე რომ ბატონობდნენ, და საამისოდ მოეწვია ისინი თავის სამშობლოში. ერთხელაც გაუგზავნა წერილი და საჩუქრები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა რამდენიმე მომცრო ოქროს ჯვარი — კაზაკთა დასარწმუნებლად, ქრისტიანები ვართო. დელა ვალე დასძენს, აღმოსავლეთის ქრისტიანებში ჯვრის სიყვარული და თავყანისცემა ქრისტიანობის უპირველესი ნიშანი არისო.

აი, ჯერ კიდევ როდის ჩასახულა ჩვენი ძმობა და მეგობრობა, დღესაც რომ ძალუმად კაშკაშებს, გულებს გვითბობს და გვამხნევეს.

კაზაკები მფარველობდნენ და იცავდნენ ქართველთა სავაჭრო ხომალდებს შავ ზღვაზე ნაოსნობისას და, რასაკვირველია, ამით ნდობას და პატივისცემას იმსახურებდნენ.

და აი, საქართველოს საზღვაო სანაპიროსთან გამოჩნდა კაზაკთა ფლოტი, რომელმაც ჩამოიყვანა ორი ათასზე მეტი მეომარი. ისინი მზად იყვნენ, რომ გადმომსხდარიყვნენ ხმელეთზე, დაეტოვებინათ ხომალდები მეგობრულად განწყობილ ქვეყანაში და სეფიანთა ირანის შაჰისათვის გაენიათ სამსახური ოსმალთა მიერ გაჩაღებულ ახალ ომში.

მაგრამ მერე განსაჯეს, რომ მაჰმადიანი ხელმწიფის ნება-სურვილი დანამდვილებით არ იცოდნენ და მხოლოდ ორმოცი კაზაკი გადმოვიდა ხმელეთზე იმ მიზნით, რომ ჩაეღწიათ სეფიანთა სამეფო კარამდე, დაეზუსტებინათ ირანის შაჰის გულისწადილი და თუკი ის ინებებდა კაზაკთა სამსახურს, მაშინვე ემცნოთ საქართველოში დარჩენილთათვის, თქვენც გამოემშურეთო, და ერთობლივი ძალებით გაჰყოლოდნენ სეფიანთა ხელმწიფეს საომრად ყველგან, სადაც კი საჭირო შეიქნებოდა მათი სამსახური.

ორმოცმა რჩეულმა კაზაკმა დაიტოვა ფრეგატები იმ შემთხვევისათვის, თუკი ზღვით მოუწევდათ უკან გაბრუნება. ამასობაში ისინი მიიპატიჟა იმერეთის მეფემ. კაზაკებს იმერეთში კარგად დახვდნენ, საკადრისად დააბინავეს. როდესაც იმერეთის მეფემ შეიტყო მათი ჩანაფიქრი, ურჩია, რომ ირანს წარეგზავნათ მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. იგი შაჰს მი-

ართმევდა წერილებს და გაეცნობოდა იქაურ ვითარებას. ოცდაცხრამეტი კაზაკი იმერეთში დარჩა და ირანს გაემგზავრა ვინმე სტეფანე, წარმოშობით პოლონელი და სარწმუნოებით კათოლიკე. ჩავიდა ჯერ თბილისში, რომელსაც განაგებდა გამაჰმადიანებული ქართველი ბაგრატი-მირზა, ქართლის ბაგრატიონთა საგვარეულოდან, შვილიშვილი სახელოვანი ლუარსაბ პირველისა, დანიშნული ქართლის გამგებლის პოსტზე თვით შაჰ-აბასის მიერ. იმერეთის მეფე წერილობით სთხოვდა მას, რომ სათანადო რეკომენდაციებით აღჭურვილი კაზაკთა დესპანი სასწრაფოდ გაეტყუებინათ ირანში, სეფიანთა სამეფო კარზე კონტაქტების დასამყარებლად. იმერეთის მეფე, ამასთან ერთად, ბაგრატი-მირზას უხსნიდა უკრაინელი კაზაკის ვინაობას და მისიას.

დელა ვალეს სიტყვით, იმერეთის მეფემ უშუალოდ შაჰ-აბასს არ მისწერა წერილი, რადგანაც, მიუხედავად მეგობრული დეკლარაციებისა, მათ შორის მაინც უნდობლობა სუფევდა. იმერეთის მეფე ხომ ნათესავი და მხარდამჭერი იყო თეიმურაზ პირველისა, ვისაც უკვე რახანია ეომებოდა და სდევნიდა სეფიანთა ირანის მრისხანე ხელმწიფე.

წარგზავნეს სტეფანე თბილისში. ბაგრატი-მირზამ კარგი თვალთ შეხედა იმერეთის მეფის შუამდგომლობას და, უპირველეს ყოვლისა, შაჰისათვის სამსახური პირნათლად რომ გაენია, დაუყოვნებლივ გაამგზავრა უკრაინელ კაზაკთა დესპანი სეფიანთა სამეფო კარზე — შეიარაღებულ მხლებელთა რაზმის თანხლებით. გულუხვად დასაჩუქრებულმა სტეფანემ ირანში წაიღო წერილები, სადაც სრული ინფორმაცია მოიპოვებოდა კაზაკთა დესპანისა და მისთვის მინდობილი მისიის შესახებ.

1618 წლის გაზაფხულზე სტეფანე ირანდა ქალაქ ფერშაბადში, სადაც იმჟამად იმყოფებოდა სეფიანთა სამეფო კარი.

შაჰ-აბასი გაეცნო ბაგრატი-მირზას წერილებს და დიდი გულითადობით მიიღო სტეფანე, მაგრამ გადაუდებელი და საქმიანი საუბარი ვერ შედგა, ვინაიდან სტეფანემ აღმოსავლური ენები არ იცოდა, ხოლო ხელმწიფეს შესაბამისი თარჯიმანი არ ახლდა.

შაჰ-აბასმა სტეფანე ჩააბარა თავის ერთ-ერთ გამორჩეულ კარისკაცს ისფენდიარ-ბეგს, შემდეგ საჩქაროდ დაწერა პასუხები და ბაგრატი-მირზას ხელქვეითებს გაატანა. იგი სწერდა ქართლის გამგებელს, რომ დაკავშირებოდა იმერეთში შეყოვნებულ კაზაკებს და ემცნო მათთვის სეფიანთა ხელმწიფის ნება-სურვილი; კაზაკთა დესპანს კი მალე უკანვე გააბრუნებდა, თანამებრძოლებთან საჩუქრებს გაატანდა და ყველას მიიწვევდა ირანში.

თითქოს ყველაფერი საუცხოოდ აენყო, ოღონდ სტეფანე მაინც უკმაყოფილებას მოეცვა. მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რა მოიქმედა სეფიანთა ხელმწიფემ. არც ენა იცოდა, რომ საქმის მსვლელობა ვინმესთვის გამოეკითხა, მაგრამ ყველაზე მეტად ის აწუხებდა, იმერეთში დარჩენილმა კაზაკებმა ამდენი დაგვიანების გამო ვაითუ დალუპულად ჩამთვალონ, უკან გაბრუნდნენ და უცხო მხარეში მარტოდმარტო დამტოვონო.

და უეცრად, დაღონებულმა და შეწუხებულმა, შეიტყო, რომ ფერშაბადში ჩამოსულიყო იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე, რომელიც იღვწოდა, რათა აღმოსავლეთის ფრონტი გაეხსნა ოსმალთათვის, რომელთაც ლამის ნახევარი ევროპა დაეპყროთ და მთელ კონტინენტზე გაბატონებნასაც ლამობდნენ. ხოლო იტალიელ მოგზაურს მათი ექსპანსიის შესაჩერებლად სწორედ უკრაინელი კაზაკებისა და სეფიანთა ირანის სამხედრო ძალთა შეკავშირება-გაერთიანება ეწადა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ საომრად.

პიეტრო მართლაც მფარველ ანგელოზად მოეკლინა თავისდაუნებურად დამუნჯებულ სტეფანეს, რომელიც სასწრაფოდ ესტუმრა იტალიელ მოგზაურს და, იღვწოდა, იქ დახვდა ერთი თარჯიმანი, მცოდნე თურქულ-სპარსულ-სომხურ-ფრანგული ენებისა, რომელიც ცოტაოდენ რუსულსაც ამტყვევდა.

პიეტრომ და სტეფანემ, სწორედ ამ თარჯიმნის მეშვეობით, საუბარი გააბეს, თავიანთი საქმეები გაუზიარეს ერთმანეთს და გამოირკვა, რომ ორივეს ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებდა! პიეტრომ თავისი სამსახური შესთავაზა უკრაინელ კაზაკს ყველაფერში და სტეფანემ სანდო მრჩეველად შერაცხა იტალიელი მოგზაური. შეთანხმდნენ, რომ პიეტრო, პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში, შაჰთან თუ მის კარისკაცებთან შეხვედრისას, კაზაკთა შესახებ ჩამოაგდებდა სიტყვას.

ორიოდე დღის შემდეგ იტალიელმა მოგზაურმა შაჰ-აბასის კარისკაცს თოხთა-ბეგს დაწურულად გააცნო კაზაკთა ასავალ-დასავალი და მიზნები. მერე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, თუ რაოდენ გამოსადეგი იქნებოდა სეფიანთა ხელმწიფისათვის მათი სამსახური. პიეტრო გულმოდგინედ არწმუნებდა თოხთა-ბეგს, რომ ხელიდან არ უნდა გაეშვათ ესოდენ მომგებიანი შანსი, როდესაც თავად კაზაკები გულწრფელად სთავაზობდნენ სამხედრო მხარდაჭერას ირანის დაუძინებელი მტრების — ოსმალთა წინააღმდეგ ომში. თოხთა-ბეგი დაინტერესდა პიეტროს ნაამბობით და შეჰპირდა, უახლოეს ხანში ხელმწიფის ყველაფერს წვრილად მოეხსენებო.

როგორც ჩანს, თოხთა-ბეგმა პირობას არ უღალატა, რადგანაც ერთ მშვენიერ დღეს შაჰ-აბასი აქტიურად ჩაერია უკრაინელი კაზაკის ბედ-იღბალში.

სეფიანთა ხელმწიფის ბრძანებით, სტეფანე უნდა გაბრუნებულიყო იმერეთს, მისთვის გაეყოლებინათ გონებამოქნილი და მცოდნე პირი კაზაკებთან მოსალაპარაკებლად, შემდგომში კი იმერეთს დაბანაკებული ყველა თანამებრძოლი სტეფანესი სასწრაფოდ წამოსულიყო სეფიანთა კარზე შესაფერ წყალობათა მისაღებად, რაც ნიშნავდა ურთიერთობის დამყარებას და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებს.

სტეფანე გაეშურა საქართველოსაკენ, მაგრამ რამდენიმე დღეში შაჰ-აბასმა მოულოდნელად მალემსრბოლი დაადევნა, რათა უკან მოებრუნებინა კაზაკი. მოაბრუნეს კიდეც, ოღონდ გაოგნებულ სტეფანეს ვეღარ გაეგო, თუ რატომღა მოაბრუნეს, როდესაც საქმე უკვე წინ იყო დაძრული და თითქოსდა დაადგა საშველი კაზაკთაგან მინდობილი დავალების განხორციელებას. სტეფანე ველარაფერს ხვდებოდა, მუდმივად იმყოფებოდა სეფიანთა სამეფო კარზე, შაჰ-აბასს ომში დაჰყვებოდა, სიზმრადღა ხედავდა შავ ზღვაში გასულ მეკობრე კაზაკთა ხომალდებს და თითქოს ყურში ჩაესმოდა მათი საბრძოლო ყიჟინა, თავზარს რომ სცემდა ნახევარი ევროპის დამპყრობელ ოსმალებს.

ირანში ჩარჩენილ კაზაკს არავინ უხსნიდა მისი ბედის უკუღმართობის მიზეზს. პიეტრომაც არაფერი იცოდა და თავის პროტეჟეს ვერანაირად ვეღარ შეეწეოდა.

იტალიელმა მოგზაურმა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეიტყოს კაზაკთა დესპანის უღიბლობის მიზეზი. თურმე შაჰ-აბასს, თავის მსტოვართა მოხებით, მიუღია სავსებით სარწმუნო და დანვრილებითი ინფორმაცია იმერეთში დარჩენილ კაზაკთა შესახებ და, ამის გამოისობით, სტეფანე გადაურჩენია მოსალოდნელ ხიფათს.

მაინც რა მომხდარა ასეთი იმერეთში?

დელა ვალეს სიტყვით, იმერეთის მეფემ თავისი სტუმრების — კაზაკ მეომართა მიმართ, რომელთაც ასე გულითადად შეეგება და უმასპინძლა, სულ მოკლე ხანში ჩაიდინა გაუგონარი უსამართლობა.

იტალიელი მოგზაური ლამობს გაერკვიოს საქმის არსში და საკუთარ თავს შეკითხვას შეკითხვაზე უსვამს. მაგრამ ეს შეკითხვები უპასუხოდ რჩება. რატომ უღალატა ქრისტიანმა მეფემ კეთილი ნების მისიით წამოსულ და მასთან სტუმრად შეყოვნებულ ერთმორწმუნე კაზაკებს? ეგებ არ ეამებოდა მეგობრობა თავისუფლების მოყვარე უკრაინელ კაზაკებთან, რაც უკვე გამოეცადათ გურიისა და ოდიშის მთავრებს? ეგებ ყველაფრის მიზეზი იყო ცვალებადობა ბუნებისა, რაც ესოდენ დამახასიათებელია აღმოსავლეთის მკვიდრთათვის?

ეგებ ღალატი მოხდა ოსმალთა შიშით, ვისგანაც მოსალოდნელი იყო თავდასხმა ხმელეთიდან? ეგებ ბრალი მიუძღოდა, უწინარეს ყოვლისა, თეიმურაზ პირველს, ოსმალთა შეწვევით რომ ლამობდა თავისი სამშობლოს განთავისუფლებას ყიზილბაშ ოკუპანტთაგან?

იტალიელი მოგზაური ბეჯითად განიხილავს სხვადასხვა ვარაუდებს, დამაჯერებელ და ამომწურავ პასუხს ვერ პოულობს, და საბოლოოდ ბუნებრივი თანაგრძნობაც კი უწინდება იმერეთის მეფის მისამართით, ვისაც ძლიერ უჭირს ყოფნა — გრდემლსა და უროს შორის მოქცეულს. ოსმალებსაც ხომ უნდა გაუწიოს ანგარიში და ყიზილბაშებსაც...

როგორც ირკვევა, იმერეთის მეფემ სტეფანე რომ გაისტუმრა ირანში, კვლავინდებური სტუმართმოყვარეობით უმასპინძლებოდა მასთან შეყოვნებულ კაზაკებს. ამასობაში საიდუმლოდ ამცნო ოსმალებს მათი ჩამოსვლა იმერეთში, მათი განზრახვა ირანს გამგზავრებისა და მათივე ანტიოსმალური გეგმები.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ იკმარა და როდესაც ყიზილბაშთა წინააღმდეგ დაძრული ოსმალთა სარდალი თავისი ჯარით დაბანაკდა ვანის ტბის მიდამოებში, მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ძღვნად გაუგზავნა ოცდაცხრამეტი კაზაკი. იმავდროულად თავისი სტუმრები დაარწმუნა, რომ მათ სეფიანთა სამეფო კარზე გზავნიდა. იმათაც იოლად დაუჯერეს, ვინაიდან იქაურობას პირველად ხედავდნენ და, რაც მთავარია, უჭოჭმანოდ ენდობოდნენ თავიანთ მასპინძელს, რომელმაც ასე გულუხვად დაასაჩუქრა ისინი უმშვენიერესი ცხენებითა და იარაღით. ჩინებულად აღჭურვილნი, სარჩონ-სანოვავით დატვირთულნი, იმერეთის მეფის მცველთა რაზმის თანხლებით, უდარდელად და ლაღად გაუდგნენ გზას. ოდნავადაც არ დაეჭვებულან, რომ ამ გზას ისინი ირანში როდი მიჰყავდა და მაშინღა მიხვდნენ ყველაფერს, როდესაც თავი ამოყვეს ოსმალთა სამხედრო ბანაკის შუაგულში. უსიტყვოდ, ხელის გაუძრევლად დანებდნენ მტერს. გაბრძოლება უაზრო იყო.

ოსმალთა სარდალი ჰალილ-ფაშა, რომელიც ირანის მიმართულებით სალაშქროდ ემზადებოდა, უზომო სიხარულმა შეიპყრო. მყისვე ბრძანა კაზაკთა განიარაღება, შებორკვა და ერთ უმაგრეს ციხე-კოშკში მიუჩინა ბინა.

ცოტა ხნის შემდეგ დელა ვალეს აუწყეს, რომ უკრაინელ კაზაკებს მაინც მოუხერხებიათ გაქცევა ტყვეობიდან. რვა მათგანი 1619 წლის გაზაფხულზე ჩავიდა ისპაანში. ისინი შეხვდნენ პიეტროსა და სტეფანეს, უამბეს ყველაფერი.

დელა ვალე თავის თხზულებაში აღნიშნავს კიდევ ერთ ფაქტს, რომელსაც შეეძლო გამოენვია სავალალო ინციდენტი.

იტალიელი მოგზაურის ანტიოსმალური კოალიციის პროექტი უსაზღვროდ მოხიბლულ შაჰ-აბასს კონტაქტები დაუშვარებია პოლონეთის მეფესთან და ასეთი იტა წამოუყენებია: დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები უნდა დაქვემდებარებოდნენ პოლონეთს. იმჟამად მასთან იმყოფებოდნენ ელჩები დასავლეთ საქართველოდან, რომლებსაც ეს ახალი ამბავი უნდა ჩაეტანათ თავიანთ მეფე-მთავრებთან.

დელა ვალეს აზრით, ქრისტიანი ქართველებისათვის პოლონეთის სამეფოს ფარგლებში მოქცევა დიანაც სასარგებლო იქნებოდა მაჰმადიანთა კლანჭებიდან თავის დასაღწევად, თუმცა იქვე დასძენს: „მაგრამ ისინი დამოუკიდებელი არიან და ჰყავთ კანონიერი მეფე-მთავრები, ამიტომაც არ ეჭაშნიკებათ დაექვემდებარონ თუნდაც ერთმორწმუნე უცხოელებს, რაც ყველა ხალხში აღშფოთებას და ზიზღს იწვევს“.

რაც შეეხება უკრაინელ კაზაკებს, მიუხედავად მომხდარიისა, ისინი საშველიმვილოდ როდი გადამტერებია ქართველებს. ორიოდე წლის შემდეგ იტალიელ მოგზაურს აცნობეს, რომ კაზაკები განაგრძობდნენ ნაოსნობას საქართველოს სანაპიროსთან, კვლავ მეგობრობდნენ ქართველებს და კიდევაც ემოყვებოდნენ ხოლმე.